644/
1999/3

# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 6 | 1999



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე პუშკინი - 200





* * *

მე თქვენ მიყვარდით, შესაძლოა იმ სიყვარულის
ჩემს სულში ახლა კიდევ ენთოს ოდნავი ალი,
მაგრამ არ მინდა ამის გამო გეტკინოთ გული
და თქვენს წუხილში რაიმეთი მე მედოს ბრალი.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, ჩუმად, უთქმელად,
ხან კრძალვა მძლევდა, ხან ეჭვებით ვიყავი სავსე;
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად...
ღმერთმა ინებოს, რომ თქვენ სხვასაც უყვარდეთ ასე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

6 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი -
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია -
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსულ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№1
ტელ: **99-85-81** მთ. რედაქტორი
**98-36-43** მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!..**

**3.** ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

**პოეზია და პროზა**

**16.** მიხეილ ქვლივიძე. ლექსები
**18.** ჯემალ ქარჩხაძე. განზომილება. რომანი. გაგრძელება
**75.** შაბურა არაბული. ლექსები
**78.** ირმა მებურიშვილი. ლექსები
**81.** ჯარჯი ფხოველი. ფურცლები
**93.** ნოდარ შამანაძე. ლექსები
**96.** ბადრი სულაძე. ლექსები
**98.** დავით ჯავახიშვილი. აკრობატული ეტიუდი. მოთხრობა
**105.** ნიკა ჯორჯანელი. ლექსები
**107.** ნოდარ ხუნდაძე. ნუთუ?! მოთხრობა

**ახალი თარგმანები**

**115.** რადიარდ კიპლინგი. როგორ შეიძინა აქლემმა კუზი.
ინგლისურიდან თარგმნა ანი მოსულიშვილმა

**ჩვენი თანამედროვე**

**118.** გენო კალანდია. ფერმწერიც, პოეტიც...

**სამშობლო – მარადი ფიქრი**

**120.** ერთი წიგნის გამო - რევაზ ბარამიძე. გურამ ბათიაშვილი.
დავით მჭედლური. თამილა ლასხიშვილი

**წერილები**

**125.** მაია ჯალიაშვილი. „ტანჯვაში პირგაბადრული ღმერთი დიონისო“
**128.** თამარ ახვლედიანი. აკაკის მხატვრული სამყაროს მოდელი
**130.** მანანა ხომერიკი. ბერი ფილადელფოსი და იერემია წინასწარმეტყველი
**133.** ლილიანა ჯანაშია. ანტიუტოპიის ფენომენი XX საუკუნის ლიტერატურაში
**135.** გულნაზ კაკაშვილი. კაი ყმა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირები

ეროვნული
ბიბლიოთეკა






იერუსალიმი. სიონის მთა.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 119

ანბანთქება[1]

### ა ალეფ

1. ნეტარ არს გზაზე უბიწო კაცი,
   რომელიც დადის
   გამჩენის სჯულით.
2. ნეტარ არს კაცი – მსასოებელი და დამმარხველი
   მცნებათა მისთა,
   ვინც მთელი გულით დაეძებს უფალს;
2. არ აღასრულებს უსჯულოებას,
   არამედ დავალს
   ჭეშმარიტ გზაზე.
4. შენ კი გვიბრძანე, შეგვენახა სურვილი შენი.
5. აწ წარმიმართე სავალი გზები,
   რომ დავიმარხო შენეული ჭეშმარიტება.
6. და არ უკუვდგე გაწბილებული,
   როს მცნებებს შენსას
   შესაცნობად მივეახლები.
7. კვლავ განგადიდებ უბიწო გულით,
   რომ შევისწავლო შენმიერი მართლმსაჯულება.
8. და დავიმარხავ სიმართლეს შენსას, –
   ნუ მიმატოვებ მარტოდმარტო,
   გემუდარები...

### ბ ბეთ

9. ვით შესძლოს მოყმემ მალგულოვანმა განისპეტაკოს
   სავალი გზანი? –
   გაიგულისხმოს სიტყვები შენი.
10. მოგიძიებ და
    მოგელტვი გულით,
    ნუ მიმდრეკ შენთა მცნებათაგან,
    ყოვლადძლიერო!
11. გულთ ჩავიმარხე ნათქვამი შენი,
    რომ არ შევცოდო
    ცოდვილის ცოდვით.

- - - - -

1 ებრაულ დედანში წინამდებარე ფსალმუნი აკროსტიქულ პრინციპებზეა გაწყობილი, სადაც თითოეული რვასტრიქონიანი მონაკვეთის (სულ ოცდაორი ასეთი მონაკვეთია) ყოველი მუხლი, თანმიმდევრულად, ებრაული ანბანის ერთი რომელიმე ასოთი იწყება (მთარგმნ. შენიშვნა).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. კურთხეული ხარ, უფალო ჩვენო,
მასწავლე, გეხავ,
შენეული მართლმსაჯულება;
13. რომ ჩემი პირით გავახმიანო
სიწრფოება და სამართალი ბაგეთა შენთა.
14. შენს მოძღვრებაზე მიდევნებული
თითქოს ვხარობდი
უსაზომო ავლადიდებით.
15. შენს კანონებზე ვილაპარაკებ,
რომ მოვიხილო
სავალი შენი.
16. გულს მოვიოხებ შენეული ჭეშმარიტებით,
არ დავივიწყებ
ნაუბარს შენსას.

### ბ გიმელ

17. კეთილად მექმენ,
ვითარცა მონას,
აღმადგინე და
შემასმინე მოძღვრება შენი.
18. აღმიხილე და
აღმიხვენ თვალნი,
რომ შენი სჯულის სასწაული გავიცნაურო.
19. მოვსულვარ ქვეენად
მსხემად და
მწირად,
ნუ დამიმალავ შენეულ მცნებებს.
20. აძრწუნებს ჩემს სულს ყოველჟამიერ
წყურვილი შენი უნაპირო მართლმსაჯულების.
21. შერისხავ გულზვავ,
დაწყევლილ მოდგმას,
ვინც გადაუდგა კანონებს შენსას.
22. დამხსენ ყოველი დამდაბლება,
დამუნათება,
რადგან ვიცავდი შენეულ მცნებებს.
23. ჩამოსხდებოდნენ წარჩინებულნი და უგვანს რასმე
იტყოდნენ ჩემზე,
შენი მონა კი ადიდებდა სიმართლეს შენსას.
24. ნუგეშინად მიჩნს
მოძღვრება შენი
და მცნება შენი მეგულვის მრჩევლად.

### დ დალეთ

25. მიწას შერთვია
სიცოცხლე ჩემი,
მაცოცხლე, გეხავ, შენმიერი სიტყვიერებით.
26. მე გავიცხადე სავალი ჩემი,
აწ შემისმინე, გემუდარები,
გამიცნაურე მოძღვრება შენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

27. მასწავლე გზანი
მცნებათა შენთა,
მე კი შენეულ სასწაულებს გავახმიანებ.
28. სევდა-ნაღველმა გამილღო სული,
კვლავ შემამტკიცე შენმიერი სიტყვიერებით.
29. მარიდე გზანი სიცრუისანი,
შენს სიწრფოებას დამაწაფე,
გემუდარები.
20. ვცან სამართალი ბილიკთა შენთა,
ჭეშმარიტება შენეული გავიგულისხმე.
21. შევნივთებივარ
მოძღვრებას შენსას,
ნუ გამაწბილებ,
უფალო ჩემო!
22. სრბოლით შემოვწერ შენეულ ბილიკს,
რადგან განავრცე გული ჩემი, გულთამპყრობელო!

### ჰ ჰე

22. მამცნე, უფალო,
ბილიკი შენი,
რომ მცნება შენი შევინახო უკუნისამდე.
24. დამმოძღვრე, რათა ჩავიძიო მოძღვრება შენი –
დავიმარხო და
დავიცვა გულით.
25. წარმიძეხ შენი მცნებების გზაზე,
მიმაწევინე,
მიველტვი რასაც;
26. რომ გული მივცე
კანონებს შენსას
და არა ზოგთა უნაპირო თავმოთნეობას.
27. გამოარიდე თვალი ჩემი
ამაოებას,
მაცოცხლე, გესავ,
შენეულ გზაზე.
28. მომმადლე შენს ყმას
შენეული სიტყვიერება,
რომ კვლავ აღვიძრა შენდამი შიშით.
29. განამე ჩემგნით წყევლა-კრულვა,
სირცხვილ-აუგი,
რადგან ტკბილია სიმართლე შენი.
40. დია მეთნევა
მოძღვრება შენი,
კვლავ აღმადგინე შენმიერი მართლმსაჯულებით.

### ვ ვავ

41. მოეც, უფალო, წყალობა შენი,
ხსნა შენმიერი
შენეული სიტყვების კვალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. მე კი ჩემს მწყევარს გავესიტყვები
და სიტყვას შენსას მივენდობი, ყოვლადძლიერო! –
43. რომ არ წარხოცო ჩემეული ბაგე-პირიდან
ჭეშმარიტების სიტყვა სრულიად,
რადგან ვსულდგმულობ შენეული მართლმსაჯულებით.
44. მოძღვრებას შენსას
დავიცავ მარად
და უკუნითი უკუნისამდე.
45. და ქვეყნად ვივლი გალაღებული,
რადგან შენს ნებას დღენიადაგ მოვიძიებდი.
46. ავამეტყველებ შენეულ მცნებებს, –
მეფეთა თვალწინ გავაცხადებ გაუწბილებლად.
47. და მივენდობი მოძღვრებას შენსას,
რადგან მეთნევა,
უფალო ჩემო! –
48. რომ შენმიერი მცნებებისკენ ხელაპყრობილმა
კვლავ შევიყვარო სიმართლე მათი
და გავაცხადო შენეული ჭეშმარიტება.

## 8 ზაინ

49. აწ გაიხსენე,
უფალო ჩემო,
შენივე მონა-მსახურისთვის ნათქვამი სიტყვა,
რომლითაც მე შენ მაიმედებდი;
50. ეს არის ჩემი ნუგეშინი შეჭირვებისას,
რადგან მაცოცხლებს
ნათქვამი შენი.
51. მაქილიკებდნენ მზვაობარნი,
მაგრამ ამაოდ –
არ განვუდექი მოძღვრებას შენსას.
52. ვიხსენებ მე შენს ძველთუძველეს მართლმსაჯულებას
და მეყსეულად ვიქარვებ დარდებს.
53. მრწოლამ შემიპყრო
ცოდვილთა გამო,
ოდეს დააგდეს
მოძღვრება შენი.
54. სავალობლებად გადაექცა შენი წესები
სამკვიდრებელს და
საცხოვრისს ჩემსას.
55. შენი სახელი მოვიხსენე შუაღამისას,
რომ სჯული შენი შემენახა
კვლავინდებურად.
56. და მოვაწიე
მოაქამამდე,
და დავიმარხე
ბრძანება შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხ ხეთ

57. ჩემი წილი ხარ,
უფალო ჩემო, –
შენ შეგღაღადე შეიწრებულმა, ვინძლო დამეცვა
მოძღვრება შენი.
58. და მთელი გულით შემოგავედრე,
რომ შეგვეფარე შენეული სიტყვიერებით.
59. ჩავიძიებდი ბილიკებს ჩემსას
და, ღმერთო, შენი მცნებებისკენ მოვიქცეოდი.
60. დაუხანებლად მოგესწრაფოდი
ყოვლადსაჩინო ბრძანებების აღსასრულებლად.
61. გარს მომეხვია
უკეთურთა ბადე-ხლართები,
მაინც არ დავთმე
მოძღვრება შენი.
62. გამოვიღვიძებ შუაღამისას,
რომ შემოგწირო სამადლობელი
ყოვლადმართალი შენეული სამართლისათვის.
63. მომმედ მიცვნია ყოველთაგანი,
ვინც შენ გესავს და
აღიარებს მოძღვრებას შენსას.
64. ქვეყნიერება აღსავსეა შენი წყალობით,
ყოვლადმოწყალე უფალო ჩვენო, –
დამმოძღვრე შენი
მოძღვრების მადლით.

## ტ ტეთ

65. კეთილად ეყავ
მონასა შენსა,
უფალო ჩემო, შენეული სიტყვიერებით.
66. მომმადლე შენი სწავლულება,
კეთილგონება,
რადგან ვირწმუნე მცნებანი შენი.
67. მაგრამ ვიდრემდე შევძრწუნდებოდი, მე აღვასრულე
ცთომილებანი,
აწ კი, უფალო, დავიმარხავ
შენეულ სიტყვას.
68. კეთილი ხარ და
კეთილმყოფელი,
დამმოძღვრე შენი მოძღვრების მადლით.
69. ლაფში გამსვარა ავსულთა მოდგმამ,
მაინც შენს მცნებებს ვინახავ გულით.
70. ქონმა განჭოხა გულები მათი,
მე კი შენს აღთქმას მიველტვოდი,
უფალო ჩემო!
71. კეთილ არს ჩემდა –
ვივნე და
ვილმე,
რომ შემესწავლა სიმართლე შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

72. უმჯობესია, უფალო ჩემო, შენი ბაგიდან
აღმრული სჯული,
ვიდრე ათასი ოქრო და ვერცხლი.

### Ⴈ იოდ

72. შენმა ხელებმა, ხელთაღმპყრობელო, გამაჩინეს და
შემასხეს ხორცი;
მაშ, შთამაგონე კვლავინდებურად,
რომ შევიმეცნო მოძღვრება შენი.
74. მნახავენ შენი მოშიშნი და
გაიხარებენ –
როგორ ვსასოობ შენეულ სიტყვით.
75. ვიცი, უფალო, მართალია შენი სამსჯავრო:
შენ განმიკითხე სამართლიანად
და მართებულად გამასამართლე.
76. გარდმომივლინე ნუგეშინად შენი წყალობა,
როგორც აღვუთქვი მონასა შენსა.
77. და მომაწიე შენეული გულმოწყალება,
კვლავ განმაცოცხლე,
უფალო ჩემო,
რადგან შენსავე მოძღვრებაშია
სასოება და
იმედი ჩემი.
78. დე, განისაჯოს მედიდურთა განუსჯელობა,
რომ გამდაბლებდნენ განუკითხავად, –
მე კი შენს ნებას გავაცხადებ კვლავინდებურად.
79. ჩემდა მოიქცნენ
მოშიშნი შენნი
და მეცნიერნი მცნებათა შენთა.
80. ჩემი გული კი გმსახურებდეს უბიწოებით
მართლმსაჯულების წიაღთა შინა
რომ არ გავწბილდე,
უფალო ჩემო!

### Ⴕ ქაფ

81. მე შენმიერი შემწეობით დაიმედებულს
გამელია და
გამილღვა სული –
მაინც ვსასოობ შენეულ სიტყვით.
82. და შენი სიტყვის მოლოდინში ამომიღამდა
თვალისჩინი და
გეტყოდი ასე:
„როდის გარდმოხვალ, ნუგეშო ჩემო?“
82. ალში ვბოლავდი
თხიერის მსგავსად –
არ დამიგმია წესები შენი.
84. მარქვი, რას მითქვამს
უხანობა ჩემი დღეების,
თუ მომეწევა, ყოვლისმსაჯულო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდევართა ჩემთა
განკითხვის ჟამი?
85. ორმოს მითხრიან მედიდურები,
არად აგდებენ
მოძღვრებას შენსას.
86. ყოველი მცნება შენეული –
ჭეშმარიტია,
უღმერთოდ მდევენ, მეუფეო,
მეოხად მექმენ.
87. სამკვდროდ განმართხეს დედამიწაზე,
მაინც არ დავთმე
მოძღვრება შენი.
88. მაცოცხლე, გესავ,
შენმიერი გულმოწყალებით,
რომ დავიმარხო სამართალი შენი ბაგისა.

## ლ ლამედ

89. უფალო ჩემო,
უკუნისამდე
განფენილია შენი სიტყვა მაღალთა შინა.
90. საუკუნოა შენეული ჭეშმარიტება,
შენ დააფუძნე ქვეყნიერება,
რომ მარად იყოს
სუფევა მისი.
91. შენი განგება გვასულდგმულებს მოაქამამდე,
რადგან შენ გმონებს
ყველა და
ყოვლი.
92. რომ არ მქონოდა ნუგეშინად შენი მოძღვრება,
ჩემს ტკივილებში
საუკუნოდ ჩავინთქმეოდი.
93. მე შენს სიმართლეს არასოდეს გადავუდგები,
ვიდრე ცოცხალ ვარ,
ვიცოცხლებ მისით.
94. შენი ვარ, შენი –
გამომიხსენი,
რადგან ვეძიებ
სამართალს შენსას.
95. სიკვდილს მიქადის ბოროტეული,
მე კი შენს მცნებებს ვიცნაურებ
კვლავინდებურად.
96. ქვეყნად ზღვარი აქვს
ყოველნაირ უსაზღვროებას, –
ჰოი, რაოდენ უსაზღვროა
მოძღვრება შენი.

## მ მემ

97. მეთნევა შენი
ზეგარდმო სჯული,
მის შესაცნობად ვჭირნახულობ
ყოველჟამიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

98. ჩემს მტრებზე მეტად განმაბრძნობენ შენი მცნებები, –
მათ მივესწრაფი
უკუნისამდე.
99. განსწავლულობით მასწავლებლებს გადავამეტე,
რაც შევისწავლე
მოძღვრება შენი.
100. საზრიანობით ვაოცებდი მოხუცებულებს,
როს ვიაზრებდი
კანონებს შენსას.
101. ცოდვის ბილიკებს გამოვერიდე,
რომ შენი სიტყვა
გადამერჩინა.
102. არ განვდგომივარ სამართალს შენსას, –
შენ მასწავლიდი,
მოძღვარო ჩემო!
102. სასას ატკბება სიტყვები შენი
და გოლეულად
მეღვრება პირში.
104. შენი მცნებებით გავცნობიერდი,
ამად შემძულდა
ცოდვილთა გზანი.

ნ ნუნ

105. ლამპრად მიუძღვის შენი სიტყვა ნაბიჯებს ჩემსას
და ბილიკს ჩემსას
ეღვრება ნათლად.
106. შევფიცე მე და
გავირჯები აღსასრულებლად –
შენი მართალი სამართალი გავამძლიანო.
107. გავიტანჯე და
შევძრწუნდი ფრიად,
მაცოცხლე, გესავ, შენმიერი სიტყვიერებით.
108. და შეიწირე,
უფალო ჩემო,
ბაგეთა ჩემთა სასურველი შესაწირველი
და შენეული სამართალი გამიცნაურე.
109. ლამის ხელიდან გამისხლტეს სული,
მაინც არ დავთმობ
მოძღვრებას შენსას.
110. უსჯულოებმა დამიგეს მახე, –
არ დამიგდია
ბრძანება შენი.
111. და სჯული შენი დავიმკვიდრე სამარადჟამოდ,
ვით ჩემი სულის დღესასწაული.
112. და შენეული კანონების აღსასრულებლად
მოვდრიკე გული
უკუნითი უკუნისამდე.

### ს სამეხ

113. მძაგს უსჯულობა
ადამის მეთა
და სჯული შენი
მეთნევა ფრიად.
114. ხარ ჩემი ფარი,
ჩემეული თავშესაფარი
და სიტყვას შენსას ვესასოები.
115. ბოროტმოქმედნო,
განვედით ჩემგან
და მე დავიცავ
გამჩენის ნებას.
116. შემეწიე და აღმადგინე შენი სიტყვებით,
ნუ გააწბილებ
მოლოდინს ჩემსას.
117. გარდმოვედ დახსნად,
გამომიხსენი,
რომ სჯული შენი ჩავიმიო
მირისმირამდე.
118. პირქვე განართხე ყოველთაგანი, ვინც გადაუდგა
მოძღვრებას შენსას,
რადგან ფუჭია მათეული გარჯა ყოველი.
119. ვით ნამუსრევი უმსგავსოების,
შენ აღგიგვია მათი მოდგმა დედამიწაზე, –
ამად ვითნიე
მოძღვრება შენი.
120. გულგვამს მიძრწუნებ
შიშით და
ელდით
და მზარავ შენი უნაპირო მართლმსაჯულებით.

### ყ ყაინ

121. ვქმენ ყოველგვარი სამართალი,
მართლმსაჯულება,
ნუ მიმატოვებ
მტერთაგან დევნილს.
122. დაუდექ შენს ყმას
სასიკეთო თანამდგომლობით,
რომ გადავურჩე
მოლიზღართა ცილისწამებას.
123. დამიშრტა თვალნი შენმიერი შემწეობით და
შენი სიტყვების სიწრფოებით
დაიმედებულს.
124. ვითარცა მსახურს,
გარდმომხედე კეთილწყალობით
და შემამეცნე
მოძღვრება შენი.
125. შენი მონა ვარ,
განმიბრძნე გონი, –

რომ მცნებებს შენსას
სრულყოფილად გავეცნაურო.
126. უფალო ჩვენო,
აჰა, ესერა – მოწეულია ქმედების ჟამი,
სრულ დაივიწყეს მომღვრება შენი, –
127. რომელიც მიყვარს, ვითარცა ოქრო, –
ხალასი ოქრო,
ბაჯაღლო ოქრო.
128. სწორედ ამიტომ მივიჩნიე სამართლიანად
ყოველი შენი ნება-სურვილი
და მოვიძულე სიცრუის გზები.

### ფ ფე

129. ყოვლადსაჩინო კანონებს შენსას
მე სასოებით ვიუნჯებ სულში.
130. სიტყვათა შენთა
მეუხეული გამოცხადება
სიბრძნით მოსავს და
ახსივოხნებს გონდაბინდულებს.
131. აღვაღებ პირს და
უჩვეულო ცნობისწადილით
დავეწაფები მომღვრებას შენსას,
რადგან მწყურია, მოწყალეო, მცნებანი შენი.
132. შემივედრე და
შემბრალედ მექმენ
შენი სახელის ჭეშმარიტი სიყვარულისთვის.
133. წარმართე შენი სიტყვისაებრ
ჩემი ნაბიჯი,
რომ არ დამმალოს
ბოროტმა ძალამ.
134. მარიდე კაცთა გულქვაობა,
გაუტანლობა
და მე დავიცავ
ბრძანებებს შენსას.
135. მოაჰყარ შენს ყმას სხივმოსილი შენი სახება,
და შემამეცნე სიმართლე შენი.
136. ცრემლების ღვარი
მიმრწუნებს თვალებს,
რადგანაც შენს სჯულს ივიწყებენ
უსჯულოები.

### ც ცადე

137. ჭეშმარიტი ხარ,
უფალო ჩვენო,
მართებულია, ჭეშმარიტად,
სამსჯავრო შენი.
138. მცნება, რომელიც გაგვიცნაურე,
სარწმუნოა და
საჩინო ფრიად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

139. ეჭვმა და ბოღმამ დამრია ხელი,
რაც შენი სჯული დაივიწყეს
უსჯულოებმა.
140. ცეცხლით ნაწრთობს ჰგავს შენი სიტყვები
და შენმა მონამ
ითნია ფრიად.
141. თუმც კი მწირი ვარ,
მარტოეული -
არ განვუდგები
სიმართლეს შენსას.
142. სიმართლე შენი -
სიმართლეა უკუნისამდე
და სჯული შენი - ჭეშმარიტება.
143. წამომეწია ჭირი და
სნება,
ნუგეშად მიჩანს
მოძღვრება შენი.
144. სიმართლე შენი მცნებებისა ჰგიეს მარადის,
განმაბრძნე მე და
გავცოცხლდები კვლავინდებურად.

## ქ კოფ

145. კვლავ მოგღაღადებ გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით, -
უფალო ჩემო,
მომაპყარ სმენა,
რომ შევინახო
სიმართლე შენი.
146. ცრემლით გენუკვი -
გადამარჩინე
და დავიმარხავ
მოძღვრებას შენსას.
147. დილასისხამზე წამოვდგები,
შეგეზრახები
და სიტყვას შენსას
სასოებით მივაყურადებ.
148. ჩემი თვალები დაასწრებენ ცისკრის გუშაგებს,
რომ სიტყვა შენი ჩავიძიო
გულისგულამდე.
149. უსმინე ჩემს ხმას
შენეული ლოცვა-კურთხევით,
უფალო, შენი სიწრფოებით დამამწყალობე.
150. წამომწევიან ავისმზრახველნი,
შორით რომ ჭვრეტენ
სიმართლეს შენსას.
151. ახლო ხარ, ახლო,
უფალო ჩვენო,
ჭეშმარიტია შენეული მცნება ყოველი.
152. დასაბამიდან გამიცხადეს შენმა მცნებებმა,
რომ სჯული შენი
დავიმკვიდრე უკუნისამდე.

### რ რეშ

153. იხილე ჩემი შეჭირვება,
გამომიხსენი,
რადგან არ დავთმე
მოძღვრება შენი.
154. გარდმოვედ შემწედ,
გამომესარჩლე,
უფალო, შენი სიტყვისაებრ გადამარჩინე.
155. მაგრამ შორია ცოდვილთათვის შენი მწეობა,
რადგან არ სცნობენ
კანონებს შენსას.
156. დიდზე დიდია, მწყალობელო, შენი წყალობა,
მაცოცხლე, გესავ, შენეული სიტყვიერებით.
157. მრავალ არიან მდევარნი ჩემნი, მწყევარნი ჩემნი,
უფალო ჩემო, –
არა, არ დავთმობ მოძღვრებას შენსას.
158. ვნახავ ორგულებს,
გავურისხდები,
რომ განდგომიან
სიმართლეს შენსას.
159. ხედავ, უფალო, რარიგ მეთნევა ყოვლადსაჩინო
სურვილი შენი, –
მაცოცხლე, გესავ, შენმიერი კეთილწყალობით.
160. ჭეშმარიტია შენეული სიტყვის სათავე,
შენი სიმართლის სამართალი –
მარადიული.

### შ შინ

161. ცუდად მდევნიან ქვეყნის თავადნი, –
შენმა სიტყვამ კი,
გულთამეოფელო,
შემაძრწუნა და
შემიძრა გული.
162. შვებას მგვრის შენი ნაუბარი, კეთილმეტყველო,
ვითარცა ყარიბს, რომელმაც ჰპოვა ნადავლი უხვი,
აურაცხელი.
163. მძარავს ცოდვა და
მეთაკილება,
დია მეთნევა
მოძღვრება შენი.
164. შვიდჯერ გიგალობ ყოვლცისმარე
შენი მართალი სამართლისათვის.
165. მომაღლდებიან შენეული კეთილწყალობით
მოყვარულები შენი სჯულისა
და არასოდეს დაბრკოლდება
ნაბიჯი მათი.
166. უფალო ჩემო,
ვსასოებდი შენი მწეობით
და წესებს შენსას აღვასრულებდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



167. გულში ვითქვამდი შენეულ მცნებებს, –
ეგზომ მიყვარდა
სიმართლე მათი.
168. ვიცავ შენს სიტყვებს,
ბრძანებებს შენსას,
შენს წინ განხმულა ჩემი გზები,
ყოვლის მეგზურო!

Ⴇ თავ

169. დე, მოგეახლოს ჩემეული ლოცვა-ვედრება,
განმაბრძნე შენი სიტყვისაებრ,
უზეშთაესო.
170. კვლავ ყურად იღე ჩემი გალობა
და შენი კეთილმეტყველებით გადამარჩინე.
171. აღმოგივლინონ ბაგეებმა სამადლობელი,
რომ შემასწავლე
კანონი შენი.
172. ენამ ღაღადყოს შენი სიტყვები, –
უფალო ჩემო,
დასაბამიდან
ჭეშმარიტია შენეული მცნება ყოველი.
173. აღმიპყრე ხელი,
ხელთაღმპყრობელო,
რადგან სხვის ნებას ვამჯობინე შენი სურვილი.
174. მომწყურდა შენი შემწეობა, ყოვლადძლიერო,
შვებად მეგულვის
მოძღვრება შენი.
175. დე, სული ჩემი ცოცხლობდეს კვლავაც, რომ დღენიადაგ
შეგასხას ქება,
მფარვიდეს შენი სიმართლის მადლი.
176. დავკარგე გზა და
დავიბენი ცხოვართა დარად,
აწ მომიძიე მსახური შენი,
ვინც მცნებებს შენსას სასოებით იმარხავს გულში.

ებრაულიდან თარგმნა

ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხეილ ქვლივიძე

## ექსპრომტი
## ეროსი მანჯგალაძეს

პანეგირიკებს თუმცა ვერ ვიტან,
მაგრამ არ ვიცი, რა მემართება:
ზოგჯერ შენი ხმა, როგორც ემიგრანტს,
*სამშობლოსავით* მომენატრება!

## უკანასკნელი თხოვნა

...და ბოლოს, როცა გარდავიცვლები
და უსარგებლო ნივთად ვიქცევი,
უკანასკნელად მეცით პატივი
და სანიმუშო ექსპონატივით
ნუ გამომიტანთ გამოსაჩენად!

ნურც ჭია-ღუებს მიმცემთ საჭმელად!

გახევებული ჩემი ცხედარი,
ყოვლად უმსგავსო, შეუხედავი,
არ გააჩეროთ ამ ქვეყანაზე:
გაანადგურეთ, დასწვით, დანაცრეთ,
ხორციც გააქრეთ ბედკრულ სულივით...

ესაა ჩემი ბოლო სურვილი!

გთხოვთ, ნუ მომაქცევთ ხალხის ალყაში,
ნუ გადამიხდით წესით „პანაშვიდს", -
არ მინდა, ცოცხლებს მივცე საბაბი
განუკითხავად ჩემზე იმსჯელონ,
დამაგემოვნონ, როგორც ქაბაბი
და მერე ლუდით გული იჯერონ!..
არ მინდა ჩემი ნეშტის ყურებამ
შვილს წაუხდინოს ლაღი ბუნება -
მისი მამაც ვარ, მისი მოძღვარიც
და მსურს, ვახსოვდე მხოლოდ ცოცხალი!

ასევე მინდა, ჩემო მეღიკო,
ჩემო მეუღლევ - მუდამ მხნედ იყო,
არ შეიფერო „ქვრივის" წოდება
და არ გადაჰყვე ჩემზე გოდებას!..

ამიტომ, როცა გარდავიცვლები
და უსარგებლო ნივთად ვიქცევი,
არ გამაჩეროთ ამ ქვეყანაზე:
დაუყონებლივ დამწვით, დამნაცრეთ,
ხორციც გააქრეთ ბედკრულ სულივით...

ესაა ჩემი ბოლო სურვილი!
1999

* * *

„მოკითხვამდე“ გამოგზავნილ წერილივით
ვარსებობ,
ყუთში ვგდივარ, მოუთმენლად ველოდები
ვინმეს.
ჩვენში, ლექსის მოყვარულნი კიდევ დარჩნენ,
ასე რომ
ჯერ არ ვკარგავ „მომკითხველის“ გამოჩენის
იმედს!..

## „აფხაზური ხაჭაპური“

ისტორიის სანაგვეზე,
მოვლენათა ნაგავში,
*არძინბასთან* ერთად მალე
აღმოჩნდება *ბაღაფშიც*,
*ჯერგენიაც, ჯინჯოლიაც*
და *შინკუბა ბაგრატიც*...

მოღალატე სხვაც ბევრია,
დედაც ............ მაგათი!

დამერწმუნეთ, ყოველ მათგანს
ცუდი დასასრული აქვს,
ვინც რუსეთის საქათმეში,
გამოჩეკა გულიამ...

რუსმა მითხრა, მეგობარმა,
ვისთანაც პურსა ვჭამდი...

„ჯობს, შენგან თავი მეჭიროს შორს,
ამაყი ქართველი რო ხარ...
С тобою, брат, КУРИЦУ есть хорошо,
Черный хлеб кушать - плохо!“



81.251
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯემალ ქარჩხაძე



## განზომილება

### წიგნი მეორე

### თავი პირველი

#### სანაკლიო

ვწუხვარ, პირველ წიგნში ისეთი პიკანტური ვერაფერი შემოგთავაზეთ - ვერც სატრფიალო, ვერც სათავგადასავლო, ვერც ფანტასტიკური - რომ ამ ვერაგსა და ცრუპოლიტიზირებულ დროში ცოტა გული გადაგეყოლებინათ, მაგრამ თუ თქვენს მიმტევებელ თვალში ნდობა ჯერ კიდევ არ დამიკარგავს, მონანიე და შეძლებისდაგვარად პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რას იქ დაგაკელით, აქ აგინაზღაურებთ. უეჭველად აგინაზღაურებთ, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში, როდესაც ზოგი ძველი შეხედულება კიდევ ერთხელ დავდე ეჭვის სასწორზე და საბოლოოდ დავრწმუნდი, ადამიანი და, კერძოდ, მკითხველი ბუნებით კონსერვატორი ყოფილა, მტკიცედ გადავწყვიტე, მთავარი ყურადღება საყოველთაოდ აღიარებულ მხატვრულ მოთხოვნილებებს მივაპყრო, ხოლო ყველაფერი სხვა, რაც ამ მოთხოვნილებათა დიაპაზონში ვერ ჩაეტევა, მაქსიმალურად შევკუმშო, შევამოკლო და წავშალო.

როგორც გახსოვთ, პირველ წიგნში ბიძაჩემმა სასწრაფოდ გამომიძახა სანაკლიოში. მეც - თავისთავად ცხადია - დაუყოვნებლივ წაველი. იგოეთის მახლობლად ვინმე სალომე ერისთავს გადავაწყდი, რომელსაც მანქანა გაჰფუჭებოდა, და რაკი ისიც სანაკლიოში მიდიოდა, დიდსულოვნების მოსაბაბებით დავიმგზავრე. რიკოთზე მოულოდნელად შევფერხდით. თექვსმეტი საათი ვიდექით. ამ თექვსმეტი საათის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და ბოლოს, როგორც იქნა, გზა გაიხსნა. სულ ეს არის ჩემი იმდღევანდელი თავგადასავალი და იგი გვარიანად მოსაწყენია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ერთმა წაბლისფერმა ულაყმა ჩემი მანქანის საბარგულს დააფუნა, რამაც მგზავრთა შორის არაჯანსაღი აჟიოტაჟი გამოიწვია: გვირაბს რომ გავცდით და ფუნა იგი მზის ირიბ სხივებზე უცხო ფერებად აბრჭყვიალდა (რომელთა შორის მბზინავი მუქი-ლურჯი და დაბინდული ვერცხლისფერი ჭარბობდა), მანქანებმა საზეიმო პიპინ-პიპინი ატეხეს. მგზავრები, რომელთაც სიხარულისაგან სახეები ისე შეშლოდათ, თითქოს მწუხარებისაგან შეშლოდათ, სიცილით ბჟირდებოდნენ და რთული პანტომიმური ნიშნებით თან მამხნევებდნენ, თან თანამიგრძნობდნენ, თან მასხრად მიგდებდნენ. აღტაცებული ბავშვები გაბრწყინვებულ ცხვირ-პირს მანქანების მინებს აჭყლეტდნენ. ოჯახის დედები და სხვა ჩაცმულ-დახურული მანდილოსნები ეშმაკურად მოციმციმე თვალებიდან მდაბიურ იუმორს მაფრქვევდნენ, და კიდევ კარგი, ისტორიული კდემამოსილების ნარჩენები აკავებდათ, თორემ, ეჭვი არაა, სიტყვიერადაც სიამოვნებით გამიზიარებდნენ იმ გაბედულ შეხედულებას, ღირსებაშელახული ჩემი საბარგულის შემხედვარეთ რომ ენაზე ადგათ. მაშინ მე, რაკი არამც და არამც არ მინდოდა, ამ ხალხს ჩემი მიზეზით ცოდვა დაედო და თავს ღვთის წყრომა დაეტეხა, ერთ პატარა გუბესთან შევჩერდი და საბარგული გადავწმინდე.

მალე სანაკლიოც გამოჩნდა.

ყოველთვის, როდესაც მწარე და ნეტარი ბავშვობის ამ ცრუ-საიმედო ნავსაყუდელს მივადგები, სანტიმენტალურად განვრცობილ ჩემს არსებაში მთვლემარე ზღვა იღვიძებს და დიდი მოქცევა იწყება. ეს სიყვარულის

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 3,4,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცევაა. მართალია, მას ხშირად სიძულვილის სახე აქვს (რაც თავის ადგილას სალომემაც შენიშნა), მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიყვარული და სიძულვილი ისეთი ორი გვერდია, რომლებიც ერთ ფურცელს ქმნიან და ერთმანეთისგან არაფრით განირჩევიან გარდა იმისა, რომ როცა ერთი ზემოთაა, მეორე ქვემოთაა და პირიქით.

სანაკლიო კიდევ უფრო შეცვლილიყო. ოღონდ ამჯერად ეს არ ყოფილა დროისმიერი, მოძრაობისმიერი და ჰერაკლიტესმიერი ცვლილება. თითქოს მთელ მოსახლეობას ერთდროულად ასტკივნოდა კბილი, ქალაქი ცოტა ფერმიხდილი ჩანდა, ცოტა შუბლშეჭმუხნილი, ცოტა მოკუნტული, ცოტა გაღიზიანებული და ცოტა საგონებელში ჩავარდნილი. ადამიანები ფრთხილად, ფეხაკრეფით და, იმავდროულად, გამომწვევადაც მოძრაობდნენ, რაც გულის კოვზთან გარდაუვალი კონფლიქტის შემაშფოთებელსა და საამო მოლოდინს აღვიძებდა.

მოსახლეობის ერთი ნაწილი შეუიარაღებელი იყო.

ხოლო ცენტრალურ მოედანთან, ეკლესიასა და თეატრს შუა, ვერნისაჟას სახინკლის წინ, ამ ზოგად-პესიმისტურ ფონზე მხცოვანი ავტოინსპექტორი ასე მოძღვრავდა ახალგაზრდა კოლეგას:

- რაც მისწავლია, ყველაფერს გასწავლი და მაღალ მორალურ სულისკვეთებასაც შთაგინერგავ. ოღონდ ერთი კი დაიხსომე: ვინც ავტოინსპექტორად არ დაბადებულა, ის ავტოინსპექტორი ვერ გახდება. სწავლა სინათლეა, მაგრამ საკმარისი არ არის. ჩვენს საქმეში მთავარი თანდაყოლილი ალღოა. გაქვს თუ არა თანდაყოლილი ალღო, ამას გამოსაცდელი ვადა დაგვანახებს. მანამდე ის დაისწავლე, რისი დასწავლაც შესაძლებელია. პირველ რიგში ავტოინსპექციის მიზანი და დანიშნულება უნდა გაიგო. კრებებს რომ ყური უგდო, გეგონება ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, მძღოლები ვაიძულოთ, მოძრაობის წესები დაიცვან. თუ როდისმე კრებაზე გამოსვლა დაგაძალონ, შენც ასე თქვი, იმიტომ რომ თქმით ასე უნდა ითქვას. სამაგიეროდ, მოქცევით ისე უნდა მოიქცე, როგორც ადგილი და ვითარება გიკარნახებს. ხომ გაგიგონია, ცხოვრება არსებობისთვის ბრძოლააო! ავტოინსპექტორის ცხოვრებაც არსებობისთვის ბრძოლაა. განსაკუთრებით, ჩვენში. მედგრად უნდა ვიბრძოლოთ და ბრძოლით ვიშოვოთ დავლა და ალაფი, თორემ ყველა მძღოლს თუ ფრთები გამოესხა და წითელ შუქზე აღარავინ გაიარა, არსებობისთვის კი არა, არარსებობისთვის გვიბრძოლია და ისაა! მონადირეს ნადირი ჭირდება, შვილო, მასწავლებელს მოწაფე, ექიმს ავადმყოფი, მოსამართლეს მომჩივანი და წესრიგის დამცველს წესრიგის დამრღვევი. დაოჯახებული ხარ?

- კი. სამი შვილი მყავს.

- აგაშენა ღმერთმა. ვინ შეგინახავს იმ სამ შვილს და ვინ გამოგიზრდის? წესიერი მძღოლი თუ უწესო მძღოლი? უწესო, ხომ? ჰოდა, ჩვენც იმას უნდა მოვუფრთხილდეთ, ვინც ჩვენი მარჩენალია. დამრღვევები რომ არ გვყავდეს, მაშინათვე გადავშენდებით, რავარც დინოზავრები გადაშენებულან გამყინვარების ხანაში! ა, ეს უნდა ისწავლო, ეს უნდა იცოდე და ეს უნდა გახსოვდეს მიწყივ. ახლა იმას გაჩვენებ, რასაც სწავლა ვერ შველის. მიყურე!

მხცოვანმა ავტოინსპექტორმა მანქანების ნაკადიდან ერთი „მოსკვიჩი" გამოარჩია და გაჩერების ნიშანი მისცა. „მოსკვიჩი" გაჩერდა. მხცოვანი ავტოინსპექტორი მივიდა, მძღოლს მხედრულად მიესალმა და საბუთები მოსთხოვა. მძღოლმა საბუთები მიაწოდა, მხცოვანმა ავტოინსპექტორმა ფურცლებშუა ფაქიზად ჩაკეცილი ოცდახუთმანეთიანი ამოაძრო, საბუთები უკანვე დაუბრუნა მძღოლს და მხედრულად გამოესალმა. „მოსკვიჩი" წავიდა.

ყრმა ავტოინსპექტორი მთელს ამ პროცედურას უმანკო აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს.

- არ გადამრიო, ალექსანდერე ბიძია! რა იცოდი?..

- ესაა, შვილო, ალღო. ინტუიციას რომ იტყვიან. ამის სწავლა არ შეიძლება. ეს დაბადებით უნდა დაგყვეს. აბა ახლა შენ სინჯე.

დამწყებმა ავტოინსპექტორმა სინჯა, მაგრამ გამოუცდელობით ხელთათმანი მე გადმომიგდო, რაც შეცდომა იყო. მართლაც, გავაჩერე თუ არა მანქანა, ოსტატმა მყისვე მანიშნა, წადი, წადი, შენ არ გამოგვადგებიო. მე ოსტატის ნიშანს დავემორჩილე და ის იყო, კიდეც უნდა დამექოქა მანქანა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



– იაშა, ძამია! – გაისმა ამ დროს ხრინწიანი ბარიტონი.

ვიდრე გონს მოვეგებოდი, მანქანიდან უკვე გადათრეული ვიყავი და სახე თბილად და საამურად მქონდა ჩაფლული ვრცელ, ღრმა და ფუმფულა მკერდში, რის გამოც ბარიტონი, რომელიც მალევე ვიცანი, ყრუდ ჩამესმოდა, ვითარცა შორეული ქუხილი.

– რამდენი ხანია არ მინახიხარ! დედა, რამდენი ხანია!..

აქ ბარიტონმა ერთბაშად მომწყვიტა მკერდს, მხრებში ჩავლებული ხელებით ოდნავ უკან გამწია და გამომცდე-ლად მომაჩერდა.

– ვისკენ ხარ შენ, იაშა?

მერე მე რომ პაუზა ვერაფრით შევავსე გარდა დაუნაწევრებელი ბმუკუნისა, შეკითხვა დააკონკრეტა და უფრო გასაგებად ჩამოაყალიბა:

– ფალარათიანი წუწუნავა გირჩევნია, ძამია, თუ ღვთით მოვლენილი კუტუბიძე?

– ისევ ისე ფუმფულა ხარ, მედეა, – შევეცადე პირდაპირი პასუხისთვის თავი ამერიდებინა.

– კი, ისევ ისე ფუმფულა ვარ, – სათნო ღიმილით დამემოწმა მედეა, მაგრამ პასუხისათვის თავის არიდების საშუალება არ მომცა, – მითხარი, ფალარათიანი წუწუნავასკენ ხარ თუ ღვთით მოვლენილი კუტუბიძისკენ?

– რა საბუთი არსებობს, რომ, ვისაც შენ „კუტუბიძედ" მოიხსენიებ, მართლა ღვთით მოვლენილია? – მივუგე მაშინ, – საერთოდ, თუ გინდა ადამიანს არჩევანის საშუალება მისცე, შენი კლასიფიკაცია არ უნდა მოახვიო თავს. დაე, თავად დაადგინოს, ვინ ფალარათიანია და ვინ ბუასილიანი. რაც შემეხება მე, ხომ იცი, რომ მე ყოველთვის იონა კამკამიძისკენა ვარ!

– იონა კამკამიძე ფლიდია და სლიპინა. ადრეც ფლიდი და სლიპინა იყო, მაგრამ ახლა, როცა სიბნელე გადაიყარა და ეროვნული ფარნის შუქზე ყველა დაფარული გაცხადდა, კიდევ უფრო ფლიდი და სლიპინა გამოჩნდა. ზოგი იმასაც იძახის, იმპერიის აგენტიაო და, რა იცი, რომ სწორი არ არის! დღეს ყველამ საბოლოოდ უნდა გააცხადოს თავისი არჩევანი და არადანი. საბოლოოდ და გამოთქმით. ასე ითხოვს დრო. ზეგ... დარჩები ზეგამდე?

– კი.

– ხოდა, ზეგ... ცოლი ითხოვე?

მე მის მზერას გავაყოლე თვალი. სალომე თავისთვის იჯდა კუთხეში. ჩვენკენ არ იყურებოდა.

– არა.

– ზეგ დღის ორ საათზე პიონერთა სახლში მოდი. კონფერენცია გვაქვს. კუტუბიძის ირგვლივ უნდა დავირაზმოთ და ფალარათიანი წუწუნავა მუხის კუბოში ჩავაწვინოთ. მოხვალ?

– აუცილებლად.

– შენ რა გითხარი! – მედეამ ძველებურად – ემხიანად და გულშიჩამწვდომად – გადაიკისკისა, რასაც თავის დროზე, მახსოვს, ვერცერთი სულდგმული, რომელიც კი თავს მამაკაცად თვლიდა, გულგრილად ვერ ისმენდა, – ერთ ფინჩხაზე არ შეცვლილხარ. რაც იყავი, ისევ ისა ხარ. არ მოხვალ და ნუ მოხვალ, არც მაგით დაიქცევა ქვეყანა. ისე, არჩევანის გაკეთება მაინც მოგიწევს. აბა, კარგად იყავი! შაბათს დიდი დემონსტრაცია გვაქვს დანიშნული.

მედეა წავიდა და ორივე ავტოინსპექტორმა, რომლებიც მის დანახვაზე მოულოდნელად ისე დაფეთდნენ და აიწურენ, როგორც ყაზარმიდან გამოპარული სალდათები, რომლებსაც პატრული წაადგათ თავს, შეებით ამოისუნთქა. ეს გაუგებარი იყო. ხოლო მედეა მიდიოდა ამაყად, ფართედ, ღირსეულად. და ჩემი ყურადღება მიიქცია არა იმან, რომ მედეა ამაყად მიდიოდა – რამეთუ მედეა ყოველთვის ამაყად დადის, არამედ იმან, რომ მის სასიცოცხლო ძალებს, რომლებიც აქამდე ძირითადად სექსუალური უპირატესობის გრძნობას ეყრდნობოდა, ახლა საყრდენად პოლიტიკური მრწამსი და პატრიოტული აღმაფრენა შედგომოდა, რაც სიამაყეს ოდნავ განსხვავებულ იერს ანიჭებდა.

– მედეა კუტუბიძისკენაა. – ვუთხარი სალომეს, მანქანაში რომ ჩავჯექი, – მე იონა კამკამიძისკენა ვარ. თქვენ ვისკენ ხართ?

– მამიდებისკენ.

– საქებარი, მაგრამ მეტისმეტად თამამი სეპარატიზმია.

– მედეა ვინ არის?

– მედეა ჩემი თანაკლასელია. თერთმეტი წელი ერთად ვსწავლობდით. თავიდანვე ფუმფულა იყო. ბარიტონიც თავიდანვე ჰქონდა. კლასში ყველას გვიყვარდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეათეში, მეორე მეოთხედის ბოლოს, როცა ზამთარმა პიკს მიაღწია, გეოგრაფიის მასწავლებელმა შეგვიცდინა. ცოლად შერთვას დაპირებია. მედეა მაშინ ჯერ თექვსმეტი წლისაც კი არ იყო და ეგონა, გეოგრაფიის მასწავლებლის ცოლობა საშუალებას მისცემდა თანაკლასელებისათვის მაქსიმალურად ზემოდან ეცქირა... პირდაპირ ხომ?

– დიახ.

– მაგრამ შეცდენის შემდეგ ერთბაშად და უცნაურად შეიცვალა. შესაძლოა კონსულტანტები გაიჩინა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ შურისძიება იყო ულმობელი და, ღვთის წინაშე, ალბათ სამართლიანიც. რა დარწმუნდა, მასწავლებელმა ქრესტომათიული უნამუსობა ჩაიდინა, ჯერ აიძულა – არავინ იცის, რა გზითა და საშუალებით – პირობა შეესრულებინა და ცოლად შეერთო, მერე მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება თავის სახელზე გადაიფორმა, მერე უახლოეს მეგობართან – საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთან – უღალატა, თანაც ისე აშკარად და დაუფარავად, რომ საეჭვო, სამარჩიელო და თავის მოსატყუებელი – კაცებს ასეთ დროს თავის მოტყუება გვიყვარს ხოლმე – არაფერი დაუტოვა, მერე სახლიდანაც გააგდო და ბოლოს, შობის დამდეგს, შეცდენიდან სწორედ წლისთავზე, ეს ჩვენი მკაცრი და ქარაფშუტა მასწავლებელი – ოთხიანზე მაღალ ნიშანს არ წერდა საწყალი და სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობა სწამდა – ნაკლისწყლის პირას მკვდარი იპოვეს. სიკვდილის მიზეზად ექიმებმა ერთხმად დაასახელეს სიცივე და შიმშილი, მაგრამ იმაზე კი ვერ შეთანხმდნენ, თუ ამ ორი მიზეზიდან სამედიცინო დასკვნაში პირველი რომელი მოეხსენიებინათ. საბოლოოდ პასუხისმგებლობა ანბანთრიგს დააკისრეს... აქ მგონი მარჯვნივ, არა?

პაპასკირის რვა აღმოჩნდა ორ დიდ სახლს შორის მოქცეული, ერთ დროს თეთრად შეფეთქილი, მაგრამ აწ უკვე ჭუჭყის ფერში გადასული ბელეტაჟის ტიპის პატარა სახლი, რომელსაც, როგორც ბავშვის ნახატს, ზემოთ ორი კუთხოვანი ფანჯარა ჰქონდა, ქვემოთ – ცალფა კუთხოვანი კარი და სულ ქვემოთ – ხუთი თუ ექვსსაფეხურიანი ქვის კიბე. სახლი ძველი იყო. ამ სიძველეს კიდევ უფრო უსვამდა ხაზს კარისა და ფანჯრების ზომაზე მეტად ვიწრო და წაგრძელებული ფორმა, რაც, რომ არა თვალშისაცემი კუთხოვანება, ალბათ, ეკლესიის შორეულ ასოციაციასაც გამოიწვევდა. კარს, თითქოს საგანგებოდ გაუტყავებიათო, სქელი, თავის დროზე უხვად წასმული ღია ყავისფერი საღებავი თითქმის მთლიანად გადასცლოდა.

მარცხენა ფანჯარასთან, მინასა და ფარდებს შუა, ორი მოხუცი ქალი იდგა, რომლებიც, ეჭვი არაა – ამის გამოცნობას დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა – მამიდები იყვნენ. ორივე ერთნაირად ტანმორჩილი იყო, ერთნაირად გამხდარი, ერთნაირად ჭაღარა, მხრებზე ყაისნაღით ნაქსოვი ერთნაირი შალები ესხათ და თავი თავზე ისე მიედოთ, მეც კი, სიცხადისა და საზღვრების მოყვარულს, თავში სიტყვა „გუგულები“ ამომიტივტივდა და გულში უნებურად გავიელე: „ნეტა პანაშვიდზე მისვლა მომეთხოვება?“

მამიდები (მახსოვს, გაკვირვებით გავიფიქრე, ნეტა მესამე რა იქნა-მეთქი) ლურჯ „ზაპოროჟეცს“ ელოდებოდნენ, ამიტომ თეთრ „ნივას“ გულგრილად აარიდეს თვალი. მაშინაც კი, როცა „ნივა“ ქვის კიბესთან გაჩერდა, მხოლოდ წამით მოატრიალეს ჭაღარა თავები და მერე სევდიანი მზერა კვლავ ქუჩის ზედა კუთხეს მიაპყრეს, საიდანაც მათს მოთმინებადაკარგულ მოლოდინში ლურჯი „ზაპოროჟეცი“ უნდა შემოსულიყო. ამასობაში „ნივის“ კარი გაიღო და, ხმაურზე რომ თვალი ისევ გამოექცათ და სალომე დაინახეს, განცვიფრებულებმა ხელი ლოყაზე იტკიცეს.

– აი ჩემი ტელეფონები, – ვუთხარი სალომეს მას შემდეგ, რაც უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოვხიე და ზედ ტელეფონის ორი ნომერი – მამაჩემისა და ბიძაჩემის – დავუწერე, – თქვენს ნომერსაც ჩავიწერ. იმედი მაქვს დანაპირებს შეასრულებთ.

– დანაპირებს? – მსუბუქი გაკვირვებით შემომხედა სალომემ, თან თავისი ნომერი მიკარნახა.

– იმ კაცის ვინაობა ხომ უნდა გამიგოთ, მარქსიზმის კლასიკოსებზე რომ დაიწერა ჯვარი!

– დაგპირდით?

– ჩემეული ინტერპრეტაცია თვითნებურია, მაგრამ აკი თქვით, ცდას არ დავაკლებო!

– დიახ. ოღონდ იმ ფარგლებში, რომელზედაც შევთანხმდით.

– ეგრე იყოს.

სალომე მანქანიდან გადავიდა (სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ იყო, მამიდებმა რომ ხელები ლოყებზე იტკიცეს და ფანჯარას ჩქარა-ჩქარა მოშორდნენ). მეც გადაველი და ბარგი გადავუტანე - ერთი საშუალო ზომის სამგზავრო ჩანთა და ერთიც ხელჩანთა (კანაფით ჯვარედინად შეკრული ყუთი, რომელშიაც - თუ გახსოვთ - ფეხსაცმელი არა და ნამცხვარი კი მართლა იდო ერთ დროს, უკვე აღარ არსებობდა).

- ძალიან დიდი მადლობა! - მითხრა სალომემ, - არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ...

ამ დროს სადარბაზოს კარიც გაიღო და მამიდები გამოტუსტუსდნენ. ისინი კვლავაც მხოლოდ ორნი იყვნენ და ამ გარემოებამ - სასაცილო კია, მაგრამ არც ისე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს - ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა.

- ჩამოხვედი ჩემო ანგელოზო?! - შესძახა ერთმა მამიდამ, კიბე სწრაფად ჩამოირბინა და მოეხვია.

- შენ კი შემოგევლოს შენი მამიდა მაგდა, ჩემო მზეთუნახავო! - შესძახა მეორე მამიდამ, მანაც სწრაფად ჩამოირბინა კიბე და ისიც მოეხვია.

მამიდებს ღრმა ცისფერი თვალები და თეთრი სახის კანი ჰქონდათ. ჩემკენ არ გამოუხედავთ. ირგვლივ უვლიდნენ ძმისწულს, ეხვეოდნენ, ეფერებოდნენ, კოცნიდნენ. ლოყებზე, ყელში, საფეთქლებზე, შუბლში, თმაში... საყელოს ზემოთ ადგილი არ დაუტოვიათ, რომ არ ეკოცნათ. იმდენი კოცნეს, რომ მე ბოლოს და ბოლოს იძულებული შევიქენი ამ ტემპერამენტიანი და ცოტა არ იყოს გადამდები რიტუალისათვის თვალი ამერიდებინა და მზერა სახლის სახურავისკენ მიმემართა.

მამიდები ხვევნა-კოცნას არ ათავებდნენ, რაც ვითარებას, რომელიც არსებითად სამგლოვიარო იყო, უადგილო ზეიმის ხასიათს ანიჭებდა. მართალია ერთი-ორჯერ მამიდა ნატოც იქნა ნახსენები თბილი და ოდნავ ენამოჩლექილი სინანულით („ვერ დაგახვედრეთ ცოცხალი, შენ შემოგევლოს შენი მამიდა მაგდა!“ - თქვა ერთმა მამიდამ. „არადა, როგორ გნატრობდა, ჩემო ვარსკვლავო და ჩემო ანგელოზო!“ - მხარი აუბა მეორემ), მაგრამ შეხვედრა ძირითადად მაინც სიხარულის ნიშნით წარიმართა. ხოლო მე ვიდექი მანქანის კარს ლენჩად მიყუდებული და აბსურდის სიმბოლოს განვასახიერებდი, ვინაიდან ვატყობდი, წასვლა უხერხული იყო და დარჩენა უაზრობა. ბოლოს, როდესაც ალერსით გართულ ერთ-ერთ მამიდას მხრებიდან შალი ჩამოუცურდა, მე, იმით გამოცოცხლებულმა, რომ ჩემს უქმ არსებობას ამით მცირე მიზანი და გამართლება მაინც გაუჩნდა, შალი ავიღე და ფრთხილად წამოვასხი. ამაზე მან მადლიერი ღიმილით შემომხედა, მაგრამ იმავ წამს, თითქოს ჩემს დანახვაზე რაღაც მოაგონდაო, სალომეს მიუბრუნდა და შეშფოთებით ჰკითხა:

- მანქანა რა უყავი?

- გავყიდე, - მიუგო სალომემ.

- რატომ, დედა? - ახლა მეორე მამიდა შეშფოთდა.

- გამიფუჭდა. იმის შეკეთებას დროც დიდი უნდოდა და ფულიც. მამიდა ნუცა სადაა?

- სოფელშია, - მიუგო პირველმა.

- ჯერ არ ჩამოსულა? - ცოტა გაუკვირდა სალომეს.

- სულ აქ იყო. ახლა მეორემ ითავა პასუხის გაცემა, - მამიდა ნატო რომ ისა, მერეღა წავიდა სოფელში. კაბა არ ჰქონდა წამოღებული - შავი. შენ რატომღა დაიგვიანე?

- ვერ მოუხერხდა, ალბათ, გუშინ წამოსვლა - გამოესარჩლასავით სალომეს პირველი მამიდა.

- გუშინ წამოვედი, მამიდა თეკლა. დილაადრიან წამოვედი, მაგრამ ჯერ იყო და მანქანა გამიფუჭდა, მერე რიკოთის გვირაბი დაგვხვდა დაკეტილი და მთელი დღე და ღამე მოგვიხდა ლოდინი. ეს ადამიანი რომ არ შემხვედროდა და ძალი არ მოესხა, კიდევ მეტი დამაგვიანდებოდა.

აქ მამიდებმა, როგორც იქნა, ჩემთვისაც მოიცალეს. სამაგიეროდ, რაკი ერთი მოიცალეს, ანდაზის იმ ცნობილი ქაჩალისა არ იყოს, მგონი ცოტა მეტიც მოუვიდათ.

- გმადლობთ, ჩემო ბატონო! - თბილი ღიმილით მითხრა მამიდა თეკლამ, მაგრამ როგორც კი შემომხედა, ღიმილი წამსვე რაღაც რთული, მრავალწახნაგოვანი ცნობისმოყვარეობით შეეცვალა და ყურადღებით დამაკვირდა.

- დიდი მადლობა! - მხარი აუბა მამიდა მაგდამაც და ახლა ის დამაკვირდა. ერთხანს რომ ასე მიყურა - დაბნეული და ცოტა შეშფოთებული ინტერესით - მერე თავი გადაიქნია, თითქოს უამური რაღაც ფიქრი მოიშორაო, და დასძინა, - კეთილი ხალხითაა ეს ქვეყანა რომ ჯერ კიდევ ფეხზე დგას.

- ეს კაცი კეთილი არ არის, მამიდა მაგდა, - უთხრა ამაზე სალომემ.

- ნუ სულელობ! - სიყვარულით გაუწყრა მამიდა მაგდა და თავზე ხელი გადაუსვა.

- მართალს გეუბნები. თუ გინდა, თვითონ ჰკითხე. ნიჰილისტია და მიზანთროპი. შესაძლოა, ათეისტიც. გარდა ამისა, ძალიან ეჯავრება ტრასაზე ქალების დამგზავრება.

- აბა რატომ დაგიმგზავრა? - ღიმილითა და შემწყნარებლური ნიშნისმოგებით მოუჭრა მამიდა მაგდამ.

- სინდისმა შეაწუხა.

- სინდისმა თუ შეაწუხა, აბა მეტს რაღას თხოვ, დედა! - შენიშნა მამიდა თეკლამ.

- სინდისია, სიკეთეს რომ უკვალავს გზას, - განმარტა მამიდა მაგდამ. ხოლო მე გავიფიქრე: „ერიჰაა!“

„ერიჰამ“ კლაკვნით გაიარა ჩემი ასტრალური სხეული და რომელიღაც კიდევ უფრო რაფინირებულ მატერიაში გაუჩინარდა.

მაშინ მე მტკიცედ ვთქვი:

- ჩემი წასვლის დროა.

ამაზე მამიდებმა ისევ შემომხედეს, ყურადღებით დამაცქერდნენ, მერე ერთმანეთს შეხედეს და მამიდა მაგდამ გაგრძელებულად თქვა:

- თეკლაა...

მამიდა თეკლამ პასუხად სალომეს შეხედა, ახლა მას დააკვირდა და მითხრა:

- იქნებ ცოტა დაისვენოთ. ჩაის მოგიდუღებთ... ნამგზავრი ხართ...

- გმადლობთ, - რაც შეიძლებოდა თავაზიანად მივუგე მე, - მეჩქარება. - და უეცრად ვიკითხე, - პანაშვიდი როდისაა?

მამიდებმა კიდევ ერთხელ შეხედეს ერთმანეთს. მერე მამიდა მაგდამ თქვა:

- ზეგ და მაზეგ.

- ზეგ და მაზეგ, - გავიმეორე მე და წასასვლელად მოვემზადე, - ჭეშმარიტი სიკეთე, როგორც ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ირწმუნება, ის სიკეთეა, რომელსაც ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ჩავდივართ, - მერე უკვე მანქანიდან ვუთხარი სალომეს, - ანგელოზებივით მამიდები გყოლიათ სალომე!

მამიდებმა ქათინაური გაიგონეს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. ისევ ისე მიყურებდნენ - გამომცდელად და იდუმალი ინტერესით. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ადვილი შესაძლებელია მამიდები დეტექტივების კოლექტიური კითხვით იყვნენ გატაცებული, მაგრამ ეს დეტექტივებით გატაცება მამიდებისთვისაც კი მეტისმეტი იყო და, ახსნა რომ არ მომეძებნა, ეგებ შევშფოთებულიყავი კიდეც. საბედნიეროდ ახსნა სულ მალე მოვუძებნე. ახსნა ლოგიკური, მარტივი და დამაჯერებელი. მართლაცდა შინაბერა მამიდებისთვის, რომელთაც ერთადერთი, კრიტიკულ ასაკს მიტანებული, შეიძლება ითქვას, პოტენციურად უკვე შინაბერა ძმისწული ჰყავდათ, ალბათ ძალზე საინტერესო უნდა ყოფილიყო იმის გამოცნობა, მე, ასევე ზღვართან მდგარი, მაგრამ სხვაფრივ საღი და ნორმალური მამაკაცი, ცოლიანი ვიყავი თუ უცოლო?

ამ ახსნით სავსებით დავკმაყოფილდი და გეზი ბიძაჩემის სახლისკენ ავიღე.

შინ მხოლოდ ბიცოლაჩემი დამხვდა.

ბიცოლაჩემს მე გამორჩევით ვუყვარვარ და უნდა ვთქვა, საფუძველიც აქვს: თავის დროზე, როდესაც გასაგები (შესაძლოა მისატევებელიც) მიზეზის გამო ჩვენი სანათესაო მას ამრეზით შეხვდა და იმ ხაზის გადაბიჯებას, რომელიც დედაჩემის სოციალურმა თავმოყვარეობამ გაავლო, დიდი ხნის განმავლობაში ვაგლახად ვერავინ ბედავდა, მე ვიყავი ერთადერთი მეამბოხე და გამონაკლისი. მეამბოხე, გამონაკლისი და ხიდი, როგორც დაპირისპირებულთა შესაძლო ერთიანობის ნორჩი სიმბოლო. მე პატარაობიდანვე თავისნათქვამა ბავშვის რეპუტაცია მქონდა, რასაც წარმატებით ვიყენებდი იმისთვის, რომ ირგვლივ მყოფთ იმაზე უფრო თავისნათქვამა ვგონებოდი, ვიდრე ვიყავი. მართლაც, მიუხედავად უმკაცრესი მოთხოვნისა, რაც, თუმც აშკარა მითითების სახით არასოდეს ჩამოყალიბებულა, დედაჩემის პერმანენტულ წყევლას მუდამ მკაფიო რეფრენად გასდევდა, მე ყველასაგან დაწუნებულსა და გარიყულ ბიცოლას, რომელიც - მრავალრიცხოვან პიროვნულ ღირსებებს რომ თავი დავანებოთ - უსაყვარლესი ბიძის მეუღლე იყო, სულ მალე შევეთვისე. მანაც, ჩემი ალალი დამოკიდებულება რა დაინახა, გულით შემიყვარა.

- ასე უნდა მოგვენატრო თავი?! - ახლაც გაბადრული გამომეგება და ორივე ლოყაზე მაკოცა.

- რა ვქნა, ბიცოლა ია... - უზოგადესი შაბლონით ვცადე მე თავის მართლება.

- რას იზამ! ძნელია მოუცლელი კაცის ცხოვრება... შემოდი. - ამ სიტყვებით სახლის-

კენ გამიძღვა – დაჯექი, ყავას მოგიდუღებ. მონატრებული გექნება ჩემი ყავა.

– მონატრებული მაქვს. ბიძაჩემს სძინავს?

– ეჰ! რა ხანია ბიძაშენმა ძილი რა არის, არ იცის, – უკვე სამზარეულოდან გამომეპასუხა, – ენაგადმოგდებული დარბის დღე და ღამე. კიდევ კარგი, შენ ჩამოუხვედი. სამნი რომ იქნებით, ერთმანეთს შეენაცვლებით და უფრო მალე დააყენებთ ფეხზე ამ ცოცხალმკვდარ ქვეყანას.

– სამნი?... – მე ეჭვით გავხედე ბიცოლაჩემს, რომელიც ყავას ჩასცქეროდა, რომ არ გადმოსვლოდა, – მაგით რისი თქმა გინდა? ნუთუ მამაჩემი?..

– ჩუ, ბიჭო! – გამიწყრა ბიცოლაჩემი, სწორედ მაგ ჭკუაზეა მამაშენი, შენ და ბიძაშენს აგყვეთ!

– აბა მესამე ვინ არის?

– იშოვა ვიღაცა ბიძაშენმა. ფერი ფერსაო, რომ იტყვიან, იმისთანაა.

ბიცოლაჩემი ყოველ მხრივ სანიმუშო ქალია, მაგრამ იმდენი, ცხადია, მანაც არ იცის, რომ ბიძაჩემი განუმეორებელია.

– ბავშვები სად არიან – ბიცოლა ია?

ამაზე ბიცოლაჩემმა ყავას წამით მოაშორა თვალი და გაკვირვებით გამომხედა.

– შენ მართლა არ გაგიგია, რა ამბები ტრიალებს აქ?

– ისეთი რა უნდა ტრიალებდეს, სხვაგან რომ არ ტრიალებს?

– რა ვიცი... თუ სხვაგანაც ყოველ ღამე ამისთანა ტყვიის წვიმაა, აღარ ყოფილა ამ ქვეყნის საშველი! ბავშვები სოფელში გადავმალე. სახლში არ ყოფილხარ ჯერ?

– არა.

– მამაშენია ცოტა შეუძლოდ.

მე შევკრთი.

– რა დაემართა?

– ისეთი არაფერი. მე მგონია, უფრო უგუნებოდაა, ვიდრე შეუძლოდ. სულგუნს ხომ შეატან?

– მამაჩემს მართლა არაფერი სჭირს სერიოზული?

– არაფერი.

– მაშინ შევატან. – მერე, ყავა და პატარა თეფშით სულგუნი რომ გამოიტანა, ეკითხე, – კაციასი რა ისმის?

– კაციას, რაღაი ამ ვაი-უშველებელს გაასწრო, არაფერი უჭირს. საჭმელიც ხომ არ გაგიცხელო?

– არა, არა. დროზე მირჩევნია წავიდე. იქნებ ცოტა გამოძინებაც მოვასწრო, ვიდრე ბიძაჩემი გამოჩნდება.

– რატომ გუშინ არ ჩამოხვედი?

– რიკოთზე შევყოვნდი. გველეშაპმა გადამიღობა გზა.

– ჰოო.. აბა კიდევაც ადრე ჩამოსულხარ. სამაგიეროდ ნაგველეშაპარზე უფრო გაგიადვილდება სიმართლისათვის ბრძოლა.

– ნაგველეშაპევზე.

– კიდევ გინდა ყავა?

– არა. ასეთ ყავას ზედმეტად არ უნდა გაუშინაურდე კაცი. – ამ სიტყვებით წამოვდექი და წასასვლელად მოვემზადე, – ბიძაჩემმა დაიბარა რამე?

– სახლში იჯდეს და ფეხი არ მოიცვალოს, რა წუთში დამჭირდება არ ვიციო; – აქ შეყოვნდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს – უკვე ეზოში ვიყავით გამოსული – გაბედა და თქვა, – წერას ჰყავს ატანილი. აღარ ვიცი, რა ვქნა.

რაც თავი მახსოვს, ბიძაჩემი სულ წერას ჰყავს ატანილი. ამიტომ ეს მოულოდნელი განცხადება, ცოტა არ იყოს, უადგილო მეჩვენა.

– ახალია რამე?

– მთელი ქალაქი გადაიკიდა.

მე დავმშვიდდი.

– ქალაქი რას მიქვია, ბიცოლა ია! მე აქ არა ვარ!

ბიცოლაჩემმა ცერად შემომხედა.

– ჰო, რაღაი შენც აქა ხარ, აწი ნამდვილად გვეშველება.

მე გამეცინა.

– კარგი. მაშ, შინ დაველოდები.

თუ დრო, ბოდიში თქვენთან და, ერთგვაროვანი მასაა, რომელიც თანაბარი სიდიდის დღეებად იყოფა, მაშინ მე თბილისელი უფრო ვარ, ვიდრე სანაკლიელი, რადგანაც ჩემი წილი ოცდაჩვიდმეტი წლიდან სანაკლიოში მხოლოდ ჩვიდმეტი მაქვს გატარებული, თბილისში კი სრული ოცი. მაგრამ არის კია დრო ერთგვაროვანი (თავი რომ დავანებოთ უხეშსა და პლებეურად მკვრივ სიტყვას „მასა“) და იყოფა კია თანაბარი სიდიდის დღეებად? ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ფსიქიკა – ფსიქიკა კი ანგარიშგასაწევი ფაქტორი გახლავთ – არ ენდობა ასეთ მარტივ შეფარდებებს, ვინაიდან ამ შეფარდებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაბათილებელი მრავალი სოლიდური არგუმენტი მოეპოვება.

ერთი სოლიდური არგუმენტი მეც მომეპოვება. მართალია, როგორც კი ასე თუ ისე ხანგრძლივი განშორების შემდეგ სანაკლიოს კვლავ მივუახლოვდები, რაღაც-რაღაცა არგუმენტები უკვე გზაშივე იმშუშნებიან და პრეტენზიების გადმოლაგებას ცდილობენ, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ჯერ კიდევ ძილ-ბურანში არიან, ამიტომ ბუნდოვანსა და მთვარეულ აჩრდილებს გვანან. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი სახლი გამოჩნდება, ფესვები და შრეები ირყევა, რომელიდაც მარადფხიზელი არგუმენტი თავს აღწევს დავიწყების დილეგს და დიდი სიჩქარით ამოტყორცნილი, ქადაგის საშიში თავდაჯერებით ამტკიცებს, რომ დროის თანაბარ და გონივრულ ნაწილებად დაყოფა ლოგიკური ჭორია, რომ დრო კი არ მოიცავს დღეებს, არამედ დღეები მოიცავენ დროს; დრო მთლიანადაა ჩადებული ჩვენი ცხოვრების თითოეულ დღეში, ოღონდ თავად დღეები - მრავალ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო - ამ მთლიან დროს სხვადასხვა ძალითა და სისრულით განასახიერებენ და დაყოფის მაცდური ილუზიაც ამის წყალობით გვიჩნდება, მე, მაგალითად, ამ სახლს რომ დავინახავ, მყისვე ვგრძნობ, რომ სანაკლიელი ვარ. აქ დარჩენილი ჩემი დღეები გაცილებით უფრო დიდია, უფრო ვრცელი, უფრო ტევადი და უფრო სავსე, ვიდრე ნებისმიერი სხვა დღე.

წითელი აგურით ნაგები და „მარსელის" კრამიტით დახურული ჩვენი დიდი, ორსართულიანი სახლი, ორ მხარეს (ფასადსა და მარცხენა კედელზე) შემოვლებული ფართო აივნითა და თლილი ქვის მოხერხებული, კარგად დაფერდებული კიბით, რომელსაც შუაში შესასვენებელი მოედანი აქვს დატანებული, ქალაქის ძველ უბანში, ერთი წყნარი, თანაბარი ქვებით მოკირწყლული ვიწრო ქუჩის პირას დგას. სახლს ირგვლივ მოზრდილი ეზო არტყია, რომელსაც ქუჩისგან ბეტონის თეთრი, დაბალი კედელი ჰყოფს შუაში დატანებული რკინის დიდი, განიერი ჭიშკრით, ხოლო მომიჯნავე ეზოებისგან - ტრიფოლიატის ღობე. სახლის წინ კოინდარი გვაქვს. კოინდრის ბოლოს, ქუჩის გასწვრივ იასამნებია ჩარიგებული, ხოლო ეზოს დანარჩენ სამ სხარეს, განსაკუთრებით სახლის უკან, სადაც ფართობი მეტია, დიდრონი ხეებია, მათ შორის ერთი ტანმსხვილი კაკალი, ერთი სწორი, ცადატყორცნილი ბალი, რომლის კენწეროდან მთელი უბანი, ე. წ. „ძველი ქალაქი", ხელისგულივით მოჩანს, და ერთიც წვრილმარცვლიანი ხურმა Diospyros lotus, რომელსაც სანაკლიოში უფრო ხშირად უცენზურო მეტსახელით მოიხსენიებენ ხოლმე.

ეს ხეები ჩემს ბავშვობაში უკვე ბებრები იყვნენ.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ გარეგნული ფონია, ერთგვარი წიაღი, ხოლო ის საკვირველი ბიძგი, რომელიც ამ გარეგნულ ფონზე, პირობათა ამ წიაღში იბადება, როგორც მშობლიურობის ნიშანი, როგორც ფესვების მძაფრი განცდა და ჩემი სანაკლიელობის შეუვალი არგუმენტი, სულ სხვა მოგონებაა. კერძოდ, ეს არის გარინდებული სიგრილე დარაბებდახურულ, ნახევრადჩაბნელებულ დიდ სასტუმრო ოთახში, რომელიც, რაც თავი მახსოვს, მუდამ ეკლესიასავით სუფთა იყო, ვინაიდან იქ, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როცა მამაჩემს საპატიო სტუმრები ეწვეოდნენ, თითქმის არასოდეს არავინ შედიოდა. არ ვიცი, რატომ შემორჩა მეხსიერებას ეს სურათი ასე მკაფიოდ, მაგრამ რაც უნდა იყოს ამის მიზეზი, ფაქტია, რომ აქ, დახურული დარაბების შიგნით - განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა დარაბები კვირეების მანძილზე არ იღებოდა, - ეს იდუმალ - ქრუანტელისმომგვრელი სიგრილე, რომელიც საამურად იწვა სიბნელეში, როგორც ნეტარება ნეტარების იდეალისტურ ჰამაკში, უცნობ სამყაროში გაჭრილ სარკმელს ჰგავდა, საიდანაც არაამქვეყნიური რამ სახილველი მოჩანდა. ხოლო დარაბების ვერტიკალური ჭუჭრუტანებიდან შემოჭრილი მზის თხელი და სიფრიფანა სხივი, რომელსაც სიგრილისა და სიბნელის ამ საუფლოში თითქოსდა დისჰარმონია უნდა შემოეტანა, სინამდვილეში მხოლოდ ავსებდა და ასრულებდა ნეტარ განცდას, როგორც წარწერა ნახატს, როგორც სათაური ლექსს, როგორც გვარი და სახელი ადამიანს.

ჩვენი სახლის დანახვაზე მე მუდამ ეს უცნაური სიგრილე მაგონდება. იგი ჯანსაღი სანტიმენტალიზმით ავსებს ყოველივეს, რასაც - არცთუ მთლად ზუსტად და მართებულად - სხეულს ვუწოდებთ, და მე წამით ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეტარებით ვიქლინთები, რომელიც რელიგიურ ექსტაზს ჩამოჰგავს.

ბავშვობის ნოსტალგია საყოველთაო დაავადებაა და ალბათ არ არსებობს მეტ-ნაკლებად ცოცხალი ადამიანი, ეს სენი რომ ერთხელ მაინც არ შეჰყროდეს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ მოიყარა თავი ამ დაავადების ყველა მიზეზმა ესოდენ რიგით - ერთის მხრივ, თითქოსდა უბრალო, მეორე მხრივ, თითქოსდა ბუნდოვან, მესამე მხრივ თითქოსდა არაფრისმთქმელ - შთაბეჭდილებაში, მაშინ, როცა ჩემი ბავშვობა სავსე იყო გაცილებით უფრო მძაფრი ეპიზოდებით. ჩემი ბავშვობა ხომ არსებითად - სხვა დროსაც მითქვამს - პოლარულ განცდათა ჯამია: ერთ მხარეს უმწვერვალესი სიხარულის მთებია, მეორე მხარეს უღრმესი ტანჯვის უფსკრულები. დაბლობი არ არსებობს. პირობითად რომ ვთქვათ, ჩემი ბავშვობა ერთდროულად იყო ამომავალი მზეც, რომელსაც სიცოცხლის ოქროსფერი გვირგვინი ედგა, და ჩამავალი მზეც, რომელსაც სიკვდილის შავი გვირგვინი ედგა. საცა უნდა ვყოფილიყავი და რა ვითარებაშიც უნდა ვყოფილიყავი, ეს ორი მზე განსაზღვრავდა ჩემს ყოფას. ხან ერთი, ხან მეორე. მათ შუა არაფერი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა და მეც ასე მეგონა, მაგრამ ბავშვობა რომ დასრულდა და სანაკლიოდან წავედი, უეცრად გამოირკვა, რომ მოგონებათა ტკბილსა და სათუთ სევდას - დრო-ჟამის ამ შავ ხვრელს - სიგრილის უცხო და იდუმალი სახე მიუღია და ნახევრადჩაბნელებულ, დიდ, ჭერმაღალ სასტუმრო ოთახში დახურულ დარაბებს შუა დაუდევს ბინა. ამგვარი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას შესაძლოა იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ ოთახში მარტოობის სულის გარდა მარადიულობის სულიც ტრიალებდა, ვინაიდან მისი დიდი, მძიმე, მასიური ავეჯი არასოდეს - ყოველ შემთხვევაში, ჩემს მეხსიერებაში არასოდეს - გადაადგილებულა; ყველაფერი მუდამ ისე იდგა, როგორც ახლა დგას.

ამ ძვირფას სახლში მე ჩემი საკუთარი ოთახი მქონდა, კუთხის პატარა, წყნარი ოთახი მეორე სართულზე, რომლის ფანჯარა ეზოს უკანა მხარეს გადის, სადაც, სიღრმეში, ჩემი საყვარელი ბლის ხე დგას. ჩემს ბავშვობას სხვა ოთახებზე უკეთ ეს ოთახი იცნობს, ვინაიდან სწორედ ამ ოთახში გაიარა მისმა ყველაზე დიდმა, ყველაზე მწვავე, ყველაზე გრძნობიერმა ნაწილმა. აქაა დარჩენილი კვალი უაღრესი და უდარესი ჩემი სიმწარისა და სიტკბოსი. აქაა დარჩენილი ჩემი განმარტოების ყველა მგზნებარე მონოლოგი - საზეიმო - მაღალფარდოვანიცა და ტრაგიკულ-მაღალფარდოვანიც - სიხარული და წუხილი ჩემი, ყიჟინა და ელდა ჩემი, სინათლე და სიბნელე ჩემი, ზეცად ასვლა და ქვესკნელს ჩაშვება ჩემი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, ყველა მაჟორი და ყველა მინორი, რისგანაც მე და ჩემი ბავშვობა შევდგებოდით. დღესაც, აქ რომ შევალ, მოგონებები მყისვე იღვიძებენ და ენად გაკრეფილები ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევენ. და თუმც ყოველივე ეს ფრიად და ფრიად ტკბილ-მწარეა და ამაღელვებელი, მაინც კი აქაური მოგონებები და მათი გაუთავებელი ლაქლაქი სრულებით ვერ შეედრება იმ შთაბეჭდილებას, რომელიც სასტუმრო ოთახის დიდი და გარინდებული სიგრილის გახსენებაზე ერთიანად შემძრავს ხოლმე.

ახლაც, ზარს რომ ვრეკავდი, რომლის ღილაკი - თუ როდისმე დაგჭირდეთ - ჭიშკრის მარჯვნივ, ბეტონის ღობის თავზეა მოთავსებული, თან იმას ვცდილობდი, აჩქროლებული გული დამეურვებინა.

ჭიშკარი დედაჩემმა გააღო.

- იკო, დედა!

რომ მაკოცა, მერე ერთხანს დაკვირვებით მათვალიერა, რათა დარწმუნებულიყო, რომ, რაც მისი ხელი მომაკლდა, ჩემს ჯანმრთელობას სერიოზული რამ საფრთხე არ დამუქრებია, და ბოლოს შვებით თქვა:

- მადლობა ღმერთს, ჩამოხვედი!

- მამა როგორ არის? - ვკითხე მე.

ამაზე ეჭვიანი გაკვირვებით შემომხედა.

- კარგად. რა იყო?

- ბიძაჩემთან გამოვიარე და ბიცოლა იამ - ცოტა შეუძლოდააო.

მაშინ კიდევ ერთხელ შემომხედა და ამჯერად სახეზე ისეთი გამომეტყველება დაედო, რომელიც მე ჩემს გულში ვთარგმნე - ვფიქრობ, საკმაოდ ზუსტად - როგორც „არამკითხე“, თუმც კი თვითონ სხვა სიტყვით გამოხატა:

- მოგახარა?

დედაჩემმა დღემდე ვერ აპატია ბიცოლა იას ის სარეკორდო ნახტომი, რომლის შედეგადაც იგი სოციალური ფსკერიდან ესოდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალ ორბიტაზე აღმოჩნდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დედაჩემის დიდი და კეთილშობილური გულისწყრომა გამოიწვია არა ნახტომის სარეკორდო ხასიათმა, არამედ იმან, რომ რეკორდი ჩვენი ოჯახის ხარჯზე იქნა დამყარებული და ბიცოლაჩემი ისეთ სათუთ სფეროში შემოიჭრა, რომელსაც ჩვენი სანათესაო სიამაყით უწოდებს „ჩვენს წრეს". მართალია - და ამ სიმართლეში, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები - საამაყო მაგდენიც არაფერი გვაქვს, მაგრამ როცა საგანთა უცნაურ ბუნებასა და ფსიქიკის ზოგ ახირებულ კანონს ვაკვირდები, არც დედაჩემის დაძრახვა შემიძლია იმის გამო რომ შემთხვევას არ უშვებს ხოლმე ხელიდან, „ჩვენი წრისათვის" შეუფერებელი რძალი არ გაკილოს და არ დაამციროს. მაგალითად, ახლა რომ პირიქით მომხდარიყო - ბიცოლაჩემს მამაჩემის უქეიფობის ამბავი არ გაემხილა - დარწმუნებული ვარ, ასეთივე გამომეტყველებით და ასეთივე კილოთი იტყოდა: „დაგიმალა?".

ხოლო მამაჩემის ჯანმრთელობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები კომპრომისულ საერთო მნიშვნელზე დაიყვანა.

- არაფერი შეუძლოდ არ არის. იგონებს, თორემ მშვენიერი კარგადაა.

ვერ ვიტყვი, რომ ასეთი რამ მამაჩემისგან ძალიან გამიკვირდებოდა, მაგრამ დედაჩემის ხმაში მოულოდნელად რაღაც უცხო სიმი შეირხა და ჯერ კიდევ შორეული, მაგრამ უკვე ხიფათის მაუწყებელი ხმა გამოსცა. ამიტომ, მანქანა რომ ეზოში შევიყვანე და ჭიშკარი დავკეტე, ხელი მოვხვიე და ვკითხე:

- რა მოხდა, დედა?

- არაფერი, - ოდნავ, მაგრამ გამაფრთხილებლად გაიმკაცრა ხმა დედაჩემმა, რათა არ შემქმნოდა ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს - და ხელის მოხვევამ იმედი გამიმართლა და რასაც ვვარაუდობდი, ის ეფექტი გამოიწვია, - ხომ იცი, რაც პენსიაზე გავიდა, ხასიათი გაიფუჭა და ცოტ-ცოტა ყველანი შეგვიძულა. თუ სადმე ვინმეს ჯავრი ჩაყვა, სულ ჩვენზე ცდილობს ამოყრას. უმიზეზო ბუტიაობას მიეჩვია. ხანდახან - მაინც მარიხი თუ სახლში არ ეგულება - დღე ისე დაღამდება, სიტყვა არ ამოუვა პირიდან.

- ხომ არ ჩაგრავთ?.. - ვკითხე მე და, რაკი ასეთი რამის კითხვას არ ვაპირებდი და ჩემდაუნებურად წამომცდა, იძულებული შევიქენი განმემარტა კიდეც - მარიხთან როგორღა გამონახა საერთო ენა?

დედაჩემმა ერთი ისე შემომხედა, ბავშვობაში რომ შემომხედავდა ხოლმე, როცა რამე ღირსშესანიშნავ სისულელეს ვიტყოდი.

- საერთო ენა კი არ გამონახა, დედა, სხვადასხვა ჭკუაზე არიან და დასაკბენად მიუწევთ გული ერთმანეთისკენ. ხანდახან იმისთანებს იტყვიან, მიკვირს სად ისწავლეს. მარიხი თუ სახლში არაა, ჩუმადაა. რამე რომ მოუნდება, დაიკვნესებს. მე მისი კვნესის ხმაზე უნდა მივხვდე, რა უნდა. ასე რომ, ნუ გაიკვირვებ, თუ ხმა არ გაგცეს. ნურც გაიკვირვებ და ნურც ყურადღებას მიაქცევ. რაც უფრო დაუტკბები, უფრო შეიფერებს და შეიძლება მართლა დასნეულდეს.

დედაჩემს ჯანსაღი ფსიქიკა აქვს, რომლის სიჯანსაღე, თუმც კი დროდადრო შესაძლებლობის ზღვარს აღწევს, ამ ზღვარს არასოდეს გადადის. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ზოგს ასე ჰგონია, ფსიქიკა, რაც უფრო ჯანსაღია, მით უკეთესია. სინამდვილეში, მეტისმეტად ჯანსაღი ფსიქიკა სულაც არ არის მეტისმეტად კარგი. ისევე, როგორც მეტისმეტად სუფთა წყალი არ არის მეტისმეტად კარგი. შიგ თუ ცოტაოდენი მიკრობები არ ყრია, წყალი უგემურიცაა და მავნებელიც. ფსიქიკაც ასეა. რაც შეეხება დედაჩემს, დედაჩემის ფსიქიკაში მიკრობები აუცილებელი და მინიმალური რაოდენობით ურევია, რის გამოც ამ ფუნდამენტზე აღმოცენებული მისი ხასიათი, ანუ ის ატმოსფერო და ის კლიმატი, რომელიც გარკვეულ რადიუსში და მეტნაკლები დოზით ყველა შინაურს თავის სპეციფიკურ დაღს გვასვამს, მკაცრია, ოღონდ არა სასტიკი და პრაგმატულია, ოღონდ არა მოთავისე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანი - განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ინდივიდუალიზაცია ჯერ შუა გზაზეა - ნათესავების გარემოცვაში ცხოვრობს. სანათესაო პლანქტონების კოლონიაა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი შიდა ეკონომიკური დიფერენციაციაა. ჩვენი სანათესაო ისეთი კოლონია იყო, რომელიც მცირე გამონაკლისების გარდა უილაჯო და ხელმოკლე ნაწილებისგან შედგებოდა. მამაჩემის ოჯახი კი გამონაკლისი რგოლი გახლდათ, შეძლებული და ღონიერი. მე მრავალი მაგალითი ვიცი - ჩვენს სანათესაოშიც და სხვაგანაც - იმისა, რომ

შეძლებულ ოჯახებს თავიანთი შეძლების ირგვლივ მტკიცე გალავანი აქვთ შემოვლებული, ღრმა, მაგრამ ცრუ ევროპულ იზოლაციაში სხედან და თავი ისე უჭირავთ, თითქოს ნათესაობა რა არის, საერთოდ არ იცოდნენ. დედაჩემი ცხრაკლიტულში არასოდეს ჩაკეტილა, არასოდეს არაფერი დაუმალავს და ნათესავებზეც - მართალია, უფრო თავისებზე, ვიდრე მამაჩემისებზე, მაგრამ ეს, ბოლოს და ბოლოს, მისატევებელი სისუსტეა - დიდი ამაგი აქვს. ამას ვერც ვერავინ უარყოფს და, კაცმა რომ თქვას, არც არავინ უარყოფს. სიმკაცრე და პრაგმატიზმი კი იმაში გამოიხატება, რომ მისი ქველმოქმედება მშრალია და ანგარიშიანი და, დევიზის შედგენა რომ შეიქნას საჭირო, დევიზი დაახლოებით ასეთი იქნება: „მაქსიმალურ გაჭირვებას მინიმალური დახმარება“. მართლაც, დედაჩემი ხშირად ეხმარება ღარიბ ნათესავებს, მაგრამ, როგორც წესი, ეხმარება მხოლოდ იმას, ვისთვისაც აუცილებელია, და ეხმარება მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელია. ეხმარება მხოლოდ იმდენს, რამდენიც აუცილებელია. სამაგიეროდ არასოდეს არავის არაფერს ამადლის. მდიდარი ნათესავი, რომელიც ცოტას იმეტებს და - რაც განსაკუთრებით დამაფიქრებელი და დამაეჭვებელია - არ გამადლის, ცხადია, პოპულარული ვერ იქნება. მართლაცდა, ბევრს ვერ დავასახელებ ისეთ ნათესავს, რომ დედაჩემი გულწრფელად უყვარდეს. სამაგიეროდ, აშკარად რომ სძულდეს, ერთსაც ვერ დავასახელებ. გულში შესაძლოა ბევრი ცუდი რამ უდევთ - გულში ყველას გვიდევს ბევრი ცუდი რამ, მტრობაც, სიძულვილიც, სიბინძურეც და ათასი უცენზურო სიტყვაც - მაგრამ ყველაფერი ეს საიმედოდა გვაქვს ჩაკირული ღრმა ფენებში, სადაც მხურვალე გრძნობიერება, რომელიც მათ ზემოთ ეწევა, და შემგუებელი გონიერება, რომელიც ქვემოთ ეწევა, ერთმანეთს კარგად აწონასწორებენ. რაც შეეხება თვად დედაჩემს, მას სრულებით არ აინტერესებს, თუ რა უდევთ გულში ნათესავებს. დედაჩემისთვის მთავარია მოვალეობა, მოვალეობა არა ნათესავების, არამედ ღვთის წინაშე, და ამ მოვალეობას იხდის კიდეც იმ დოზით, რომ უფალ ღმერთს სადავო და სასაყვედურო არაფერი ჰქონდეს. ამას იქით ნათესავები არ აინტერესებს. არც აინტერესებს და არც სცალია მათთვის: დედაჩემი იმ კატეგორიის დედებს მიეკუთვნება, რომლებიც ოჯახზე არიან გადაგებული. ოჯახი მისთვის ის წყაროა, საიდანაც სასიცოცხლო ძალებს იღებს, და ის ასპარეზია, სადაც ამ ძალებს ხარჯავს.

სამაგიეროდ სადავეებიც ყოველთვის თავად უპყრია ხელთ, ერთპიროვნულად უძღვება ოჯახს, ერთპიროვნულად განსაზღვრავს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ერთპიროვნულად განაგებს მეურნეობას და ერთპიროვნულად გაჰყავს ყველა სტრატეგიული გზა.

მამაჩემს ოჯახში არაფერი ეკითხებოდა. ის, უბრალოდ, ოჯახის სახე იყო, ფორმალური, მაგრამ აუცილებელი და შთამბეჭდავი სახე, რომელსაც დისტანციიდან უნდა უყურო, როგორც ზეთის საღებავით დახატულ პეიზაჟს, თორემ ნატიფი ხელოვნების მაგივრად შეიძლება ხელთ უგემური მასალა შეგრჩეს. რაკი დისტანციას აქაც დედაჩემი არეგულირებდა, შორით დანახული მამაჩემი ნათესავების თვალში პატივისცემის, რიდისა და ზოგჯერ მოწიწების აღმძვრელი იყო და ისეთი ადამიანების სიაში შედიოდა, რომლებსაც გულკეთილი მიამიტობით „დიდ კაცებს“ ეძახდნენ. ასეთ სახეს ვაგლახად ვერ შეუთამამდებოდით და ვერ გაუშინაურდებოდით. თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მეტად საჭირო დისტანციის დაცვას მამაჩემი შეძლებისდაგვარად თავადაც უწყობდა ხელს. უწყობდა, კერძოდ, იმით, რომ ნათესავებთან სიარულს მაქსიმალურად არიდებდა თავს და სახლში უფრო ხშირად უცხოური პიჟამა ეცვა.

მამაჩემს რომ ოჯახში ფუნქცია არ ჰქონდა და ოდენ ფორმალურ სახეს წარმოადგენდა, ერთგვარ ხარისხის ნიშანს, რომლის ერთადერთი მოვალეობა იყო მტერი და მოყვარე დედაჩემის მიერ მიჩენილ ადგილას დაემაგრებინა, ამას დრომდე - ვიდრე ყოველდღიური წესი და რიგი თავისი მონოტონურობისა და თვითიდენტურობის წყალობით მარადიულობის შთაბეჭდილებას ქმნიდა - ვერავინ ამჩნევდა, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან მამაჩემი თავის როლს მორჩილად და ძალზე ბუნებრივად ასრულებდა და, გარდა ამისა, ცხოვრების დიდ ნაწილს სამსახურში ატარებდა, სადაც, როგორც ვვარაუდობდით, შედარებით რეალურად არსებობდა. მართალია, მერე და მერე ეს ვარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიც ეჭვის ქვეშ დადგა, მაგრამ პირადად მე ამ ეჭვს არ ვიზიარებ: ბოლოს და ბოლოს რეალურია არა ის, რაც რეალურია - ვინაიდან არავინ იცის, რა არის რეალური - არამედ ის, რასაც ადამიანი აღიქვამს, როგორც რეალურს. ასეა თუ ისე, დიდი ხნის განმავლობაში მამაჩემის საოჯახო ყოფის ფორმალურობა შეუმჩნეველი იყო, როგორც ბუნებრივი საგანი საგანთა ბუნებაში. მაგრამ დრო მიდიოდა ( ან მოდიოდა) და ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემი, როგორც მორალურად გაცვეთილი რგოლი, სამსახურებრივი ჯაჭვიდან ამოღებული იქნა.

ეს კარგახნის ამბავია, მაგრამ დრო გარკვეულ დანაყოფამდე, სადაც დამატებითი სიჩქარეები ჩაირთო (ამაზე ქვემოთ), ნელა მუშაობდა.

პენსიაზე გასულსა და ოდენ ფორმალური არსებობის ამარა დარჩენილს მალე ფსიქიკაშიც შესაბამისი ცვლილებები დაეწყო. ცვლილებები დიდხანს ნელა მიმდინარეობდა და შეუმჩნეველი იყო, როგორც ისრების მოძრაობა გამართულ საათზე, მაგრამ უკანასკნელ ხანებში საათი მოიშალა და უკონტროლოდ აჩქარდა (მამაჩემის ოფიციალური სარწმუნოება ამას რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლას უწოდებს).

- წევს თუ ზეზეა? - ვკითხე დედაჩემს.

- ახლა წევს. შუადღისას შეიძლება ადგეს. მიდი, ნახე. მე მანამ საუზმეს მოგიმზადებ. ჭადი გამოგიცხო?

- კარგს იზამ.

მე ერთი წამით სააბაზანოში შევედი, რათა პირზე წყალი შემესხა და ცოტა გამოვფხიზლებულიყავი, და დაუყოვნებლივ ავედი ზემოთ მამაჩემის სანახავად. როდესაც აივნიდან მარჯვნივ, საწოლი ოთახისკენ უნდა გამეხვია, დედაჩემმა, რომელიც, ეტყობა, მოელოდა ჩემს ამ შეცდომას და ამიტომ გადარაჯებული იყო, მომაძახა:

- თავის კაბინეტშია.

მე წამით დაბნეული გაკვირვებით შევხედე დედაჩემს. ერთის მხრივ, ძალზე საეჭვო იყო, რომ მას, ერთმმართველობრივი იდეის თანმიმდევრულ განმახორციელებელს, მამაჩემი თვითონ გაესახლებინა საწოლი ოთახიდან, ვინაიდან შეუძლებელია კაბინეტში მყოფი ქმარი ისეთი კონტროლის ქვეშ გყავდეთ, როგორც საწოლ ოთახში მყოფი ქმარი. მეორე მხრივ, არანაკლებ საეჭვო იყო, ასეთი საბედისწერო ნაბიჯი მამაჩემს საკუთარი ინიციატივით გადაედგა. სად უნდა ეპოვა ამოდენა გამბედაობა? „და თუ იპოვა - მახსოვს, გავიფიქრე მე - მაშინ რაღაც გაუგებარი მანქანებით დამოუკიდებლობის იმდაგვარი ხარისხისთვის მიუღწევია, რომელშიაც, საფიქრებელია, გლობალური ნგრევის მომასწავებელი ნიშნები დევს".

დედაჩემმა ეს ეჭვი იოლად წაიკითხა ჩემს სახეზე, მაგრამ პასუხის მოცემა საჭიროდ არ ჩათვალა. მაშინ მე შევტრიალდი და მარცხნივ წავედი.

მამაჩემი რბილ ტახტზე იწვა და საბნის ქვეშ თავისი ცნობილი პიჟამა ეცვა, რომელიც, დღესაც არ ვიცი, რამდენიმე ეგზემპლარად არსებობდა, თუ ერთი იყო, მაგრამ უცვეთელი.

ამბობენ, იმის მიხედვით, თუ რა წიგნები აქვს ადამიანს - მიუხედავად იმისა, კითხულობს თუ ისე აქვს, ჩვენში რომ იციან, - შეუმცდარად შეიძლება ხასიათის გამოცნობაო.

მამაჩემს, თუმც კი მაინცდამაინც დიდი ბიბლიოთეკა არ ჰქონია თავის კაბინეტში, რაც ჰქონდა, ის მართლა მკაცრად ჰქონდა შერჩეული და დახარისხებული. ბიბლიოთეკას აქ ორი კარადა ეჭირა. ერთში ის წიგნები ეწყო, რომლებშიაც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების არსი იყო დაკრისტალებული. ბელადების ნაშრომები - საუცხოოდ გამოცემული, საუცხოოდ მოვლილი, და ბელადების ხარისხის მიხედვით ზემოდან ქვემოთ დალაგებული სქელ-სქელი ტომები. ამავე კარადაში ეწყო ლიტერატურა, რომელიც ხსენებული მოძღვრების პოზიტიურსა და კონსტრუქციულ ანალიზს შეიცავდა. მეორე კარადაში ძირითადად მხატვრული ლიტერატურა ელაგა (უპირატესად პოეზია) და იგი შედგენილობის თვალსაზრისით პროგრესული იყო. თითქოსდა ესოდენ თვალნათლივი მაგალითი უტყუარი საბუთი უნდა იყოს ზემოხსენებული დებულების სისწორისა, მაგრამ მე ამ დებულებას ბოლომდე მაინც ვერ ვიზიარებ, ვინაიდან ძალზე მეეჭვება მხოლოდ ბიბლიოთეკის საფუძველზე და დედაჩემის ფაქტორის გაუთვალისწინებლად შესაძლებელი იყოს მამაჩემის არცთუ ისე მარტივი და, ჩემი აზრით, გვარიანად ჭირვეული ხასიათის შესახებ სწორი დასკვნის გამოტანა

გარდა წიგნების კარადებისა, იმ მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვან ნივთთაგან, რასაც მამაჩემის კაბინეტში ნახავდით, აღსანიშნავი იყო განიერი ტახტი (სწორედ ამ ტახტზე იწვა, მე რომ შევედი. გულაღმა იწვა თავისი ცნობილი პიჟამით და ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოწყობილი), დიდი, ძველებური (მაუდგადაკრული) საწერი მაგიდა საწერი მოწყობილობებით (გრძელი კალმისტარი, რომელიც ბატის ფრთის იმიტაციას წარმოადგენდა, ვეებერთელა პრესპაპიე, რომელიც მთელი ბავშვობა რაღაც ცხოველს მაგონებდა, მაგრამ ისე გავიზარდე და ისე გამინელდა ინტერესი იმ პრესპაპიესადმი, რა ცხოველს მაგონებდა, ვერ დავადგინე, თხელი და განიერი ხის საქაღალდე, რომელშიც პატარა ზომის ქაღალდები ეწყო, და სხვ.), საწერ მაგიდასთან მაღალზურგიანი, მოჩუქურთმებული განიერი სკამი, ცისფერაბაჟურიანი დიდი ტორშერი, კიდევ ოთხი ნახევრადრბილი სკამი, მარცხნივ, კედელთან, გობელენის წინ ორი სავარძელი, მათ შუა დაბალი, ოვალური ფორმის მაგიდა და მაგიდაზე საფერფლე, რომლის ფუნქცია ამ მნიშვნელოვან ნივთთა შორის იმაში მდგომარეობდა, რომ უფუნქციო იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კაბინეტი თითქმის ზუსტი ასლი იყო იმ კაბინეტისა, რომელიც მამაჩემის უკანასკნელი ოცდაათი წლის სამსახურებრივ გარემოს წარმოადგენდა.

– ჩამოხვედი? – გულგრილი ან, შესაძლოა, უფრო გულაცრუებული კილოთი თქვა მამაჩემმა, კარი რომ შევაღე. არც კი შერხეულა, მხოლოდ ცალი თვალით გამომხედა.

– როგორა ხარ, მამა?- ვკითხე მე და ტახტის წინ შევდექი იმის მოლოდინში, რომ თვითონ მაგრძნობინებდა, გადამეკოცნა თუ ხელის ჩამორთმევას დავჯერებოდი. გამხდარი ჩანდა ცოტა, თორემ სხვაფრივ ავადმყოფობისა მართლა არაფერი ეტყობოდა.

– დაჯექი, – მითხრა მან. არც გადაკოცნა მოინდომა და არც ხელის ჩამორთმევა, რაც უეჭველი ნიშანი იყო იმისა, რომ თავის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეტისმეტად გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა.

მე ოთხი ნახევრადრბილი სკამიდან ერთი ავიღე, ახლო მივიტანე ტახტთან და დავჯექი. თან გავიფიქრე: „თუ სრული სახელითაც მომმართა, მაშასადამე, რაღაც ეპოქალური ეჭვი ღრღნის“. საქმე ის გახლავთ, რომ სრულ სახელს არავინ მეძახდა, გარდა მამაჩემისა; მამაჩემი ბავშვობაში იმ შემთხვევაში მეძახდა, როცა ამას ჩემი დანაშაულის სიმძიმე მოითხოვდა, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავში აღარა ვარ, ორჯერ ისეთ შემთხვევაშიც დამიძახა, როცა განსაკუთრებით მტკივნეული და მძიმე პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი და მორალური ან ინტელექტუალური მხარდაჭერა სჭირდებოდა. მართლაც, მცირე სიჩუმის შემდეგ, რომლის განმავლობაში ის ჭერს შესცქეროდა, ხოლო მე – კედელს, ჩემი ეჭვი დადასტურდა.

– იაკობ! – მითხრა მან და კვლავ შეყოვნდა, თითქოს დრო დამიტოვა ვითარების შესაფასებლად; მერე, როცა მე ეს ვითარება ჩემს გულში შევაფასე, როგორც ძალზე რთული და ამის შესაბამისად დავასკვენი, რომ წინ ხანგრძლივი და მოსაწყენი საუბარი მელო, ნელა გადმოტრიალდა ჩემკენ და წამით ყურადღებით დამაკვირდა. ახლა მის უკიდეგანო მზერაში ამაოების მარცვლები ტივტივებდა. მე ამ აღიდებული მზერის ქვეშ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც მორყეული ჯებირი. მაგრამ ვიდრე საბოლოოდ დავიქცეოდი, მამაჩემმა ისევ ამარიდა თვალი, კვლავ გულაღმა გადატრიალდა და უცბად დასძინა, – შენ ვისკენა ხარ?

მამაჩემმა რომ მედეას სექსუალურ-პატრიოტულ ბაგეთაგან ერთხელ უკვე მოსმენილი ეს კითხვა ღრმააზროვანი სერიოზულობით ხელახლა დამისვა, მკითხველს შეიძლება კომიკური ეფექტის ცრუ შთაბეჭდილება შეექმნას. სინამდვილეში ამჯერად ამ კითხვამ გული მწარედ შემიკუმშა და თუ მაინცდამაინც მსხვილკალიბრიან სიტყვებს მოვიხმობთ, წარმოშვა არა კომიკური ეფექტი, არამედ ტრაგიკული ფონი, რომელზედაც – გული უკვე მიგრძნობდა – რაღაც მძიმე პრობლემა იდო.

მე პასუხს ვერ ვპოულობდი და საგონებელში ჩავარდნილი უხმოდ მივჩერებოდი მამაჩემს. მამაჩემიც გაუნძრევლად იწვა. იწვა გულაღმა და თავქვეშ ხელებამოწყობილი შესცქეროდა ჭერს. ერთხანს ასე ვიყავით, მერე ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა მოკლე ულვაშებში (ეს მოკლე ულვაშები მჟავანაძის ზეობის დროს დაიყენა და მერე აღარ შეუცვლია, ვინაიდან მომდევნო ხატები და სახეები ულვაშონი გამოდგნენ). ღიმილი იყო არა მხნე და ხალისიანი, როგორც ნამდვილ ღიმილს შეეფერება, არამედ სევდიანი

და ირონიული, ხოლო რაკი ირონია მამაჩემის ბუნებისთვის უცხოა, ეს მოულოდნელი შტრიხი კიდევ უფრო აშიშვლებდა სიტუაციის ღრმა პესიმიზმს.

დუმილი რა გამიგრძელდა, მამაჩემმა საჭიროდ ჩათვალა თავისი უცნაური შეკითხვა ცოტა დაეზუსტებინა და ეს საქმე მომბოდიშებელ-წამქეზებლური კილოთი ჩაიდინა:

- ვინმესკენ ხომ უნდა იყო კაცი!

ადამიანი მთელი თავისი არსებით - მოყოლებული რელიგიური, მორალური და ფილოსოფიური შეხედულებით, ვიდრე უმცირეს ყოველდღიურ წვრილმანებამდე - დროის პალოზეა გამობმული. მე რომ პატიოსნად გამეცა პასუხი შეკითხვაზე, თუ ვისკენ ვიყავი, უნდა მეთქვა, რომ ამ წუთას პირველ რიგში ჭამის ღმერთისკენ ვიყავი, მეორე რიგში - ძილის ღმერთისკენ. ყველაზე ნაკლებად გრძელი საუბრის ღმერთისკენ ვიყავი. მაგრამ თუნდაც გამებედა და მეპასუხა, ეს უკვე ვეღარაფერს შეცვლიდა; გრძელი საუბარი ეტყობა მტკიცედ იყო დაგეგმილი და მე, ბევრიც მესხმარტალა, ამ ხაფანგს ვეღარ დავუსხლტებოდი. არა მხოლოდ იმის გამო, რომ მამაჩემმა შესავალი კარგად წარმართა და, ასე ვთქვათ, კუთხეში მომიმწყვდია, არამედ - უფრო მეტად - იმის გამო, რომ მისი მზერის წინაშე, მისი გამომეტყველების წინაშე, მისი ხმის კილოს წინაშე, მისი ზოლებიანი პიჟამის წინაშე მე უეცრად და ერთბაშად ვიგრძენი ის დანაშაული, რასაც მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე ვაგროვებდი. წარმოიდგინეთ: ოცდაჩვიდმეტი წელი სრულდებოდა, მამა-შვილი ვიყავით, და ამ ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც კი ისე ახლო ვერ მივედით ერთმანეთთან, რომ ჩვენი შეხედულებები, ჩვენი მსოფლმხედველობა, ჩვენი მრწამსი, ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი არსებობის მიზნები, საყრდენები და იმპულსები ერთმანეთს შეხებოდა და სერიოზულ, დარბაისლურ, პრობლემატურ საუბრად გამოვლენილიყო. არადა ახლობელთა შორის, თუნდაც ეს ახლობლობა ისეთ თხევად სუბსტანციაზე იყოს დამყარებული, როგორიცაა სისხლი, პოზიციათა შეჯერება ერთხელ მაინც აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მუდამ ისეთი დაულაგებელი ურთიერთობა გექნებათ, როგორიც მე და მამაჩემს გვქონდა - როცა ვერც გაშინაურება მოგიხერხებია ბოლომდე და ვერც გაუცხოება, როცა ერთმანეთს უამრავ რამეს უმალავთ და თან ღრმად გწამთ, რომ მამაშვილს შორის ეს დასამალი არ არის. რაღა თქმა უნდა, ამ დაუწმენდავი ურთიერთობის მთელ ბრალს მე ჩემს თავზე ვერ ავიღებ. მეტიც: თუ ბრალდებაზე მიდგება საქმე, პირველი ბრალეული დედაჩემია, რომელმაც მამაჩემი კედელზე ჩამოჰკიდა და ირგვლივ ჩარჩო შემოავლო; მეორე ბრალეული მამაჩემია, რომელიც დედაჩემის მითითებით კედელზე ჩამოეკიდა და ირგვლივ ჩარჩო შემოივლო. მე, თუ მაინცდამაინც, მესამე რიგის ბრალეული ვარ, ვინაიდან მე მხოლოდ ის შემეძლო, რომ ბრძანება დამერღვია და ლობეზე გადავმძვრალიყავი, რათა ჩარჩოს შიგნით შემეღწია, რაც ძალიან ძნელი - ეგებ შეუძლებელიც - იყო. თუმცა, ვინ იცის, ჩემი ნამდვილი დანაშაული ის კი არ არის, რომ ღობეზე არ გადავედი, არამედ ის, რომ გადასვლა არ მომიწადინებია. ერთი სიტყვით, ცოტა მკაცრად, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, მე მამაჩემისთვის არასოდეს მეცალა, ისევე, როგორც მამაჩემს არასოდეს ეცალა ჩემთვის. ამიტომ ახლა, როცა ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით და ჟამმა, რომელსაც ორივენი ბეჯითად გავურბოდით, ბოლოს და ბოლოს მაინც დაჰკრა, იმასაც მივხვდი, რომ ამ გადამწყვეტი შეხვედრისა მე ყოველთვის მეშინოდა. მეშინოდა, ვინაიდან ვგრძნობდი, საუბარი დაპირისპირებას გამოკვეთავდა, დაპირისპირების იმპულსები ერთმანეთთან შეხებისას აფეთქდებოდა და აფეთქების ტალღაზე კონფლიქტი აღმოცენდებოდა.

მეორე მხრივ, სულაც არ იყო გამორიცხული - ახლა ასეთი ვარაუდი სარწმუნოც კი ჩანს - რომ ჩვენი საუბარი წინდახედულად იქნა განგების მიერ გადადებული იმ დრომდე, ვიდრე მე სულიერად, ინტელექტუალურად, მსოფლმხედველობრივად საკმაოდ დავვცინდებოდი საიმისოდ, რომ ცალმხრივად შემძლებოდა კონფლიქტის არიდება.

მაგრამ შევძლებდი კია? იყო კია დამდგარი საჭირო წამი?

არადა, ეტყობოდა, მამაჩემს უკანასკნელი ძალები მოეკრიბა...

ბიცოლაჩემის ინტუიტიური დიაგნოზი, რომელიც - თითქოს დედაჩემის ჯიბრზე - ყოველთვის დიდი სიზუსტით გამოირჩეოდა, ამჯერადაც დადასტურდა. მამაჩემი უფრო უგუნებოდ ჩანდა, ვიდრე შეუძლოდ. და თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა



უგუნებობას ამ შემთხვევაში ავადმყოფობის სახე ჰქონდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ავადმყოფური უგუნებობა იყო, რომელსაც ეჭვები ასაზრდოებდა. ადრე მსგავსი რამ არასოდეს დამართნია - ცის თავანივით მრგვალი, რვალივით მტკიცე, სარკესავით პრიალა და დღესავით ნათელი მისი მსოფლმხედველობა ყოველგვარ ეჭვს იოლად და უხმაუროდ ისხლეტდა - ახლა კი გარემოებათა შეთქმულების წყალობით პირდაპირ ეჭვების ჭინჭრობში ჩავარდნილიყო, სადაც სახელგანთქმული პიჟამა ჭინჭრის ხურვებისგან ვერ იცავდა, ვინაიდან მას (პიჟამას) - თბილს, მოხერხებულსა და უცხოურს - ეჭვებსაწინააღმდეგო იმუნიტეტი არ ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ერთადერთ იმედად (არცთუ ისე სანდო, მაგრამ მაინც სხვაზე უფრო რეალურ იმედად), ვისი მეშვეობითაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ მოულოდნელ ჯუნგლებში გზის გაგნება, მე ვეგულებოდი. მე მას ახლა ჰაერივით ვჭირდებოდი და, თუმც ამას ცოცხალი თავით არ გაამხელდა, ჩემი გამოძახებისთვის, ეჭვი არაა, გულში ბიძაჩემის დიდი მადლობელი იყო.

ამგვარად, სანაკლიოში ჩამოსვლისთანავე ახალი, მოულოდნელი და მძიმე მოვალეობა დამაწვა. მე პასუხი უნდა გამეცა კითხვაზე: „შენ ვისკენ ხარ?“ ამ კითხვას რომ მეღეა დაგისვამთ, ვინც გრძნობად სამყაროში სავსე მსუბუქ მთვარეს განასახიერებს, თამამად შეგიძლიათ ის პასუხი მისცეთ, რაც ენაზე მოგადგებათ, მაგრამ თუ იგივე კითხვა მშობელმა მამამ დაგისვათ, რომელიც მთელი სიცოცხლე ლარივით სწორ გზას მიუყვებოდა და, ღრმად დარწმუნებული, რომ ყველაფერი ნათელი იყო, არც აქეთ, იყურებოდა, არც იქით, ნურას უკაცრავად და, ვერც ეცრუებით და ვერც სახელდახელო ხუმრობაზე გადაატარებთ, მით უფრო, თუ ისიც ცხადად ჩანს, რომ ამ კითხვას წინ მძიმე ფიქრითა და მტკივნეული ჭოჭმანით გაჯერებული ხანგრძლივი სამზადისი უძღოდა.

- არავისკენ, - მივუგე ბოლოს.

- ანტიკომუნისტურ ბლოკში ხომ ხარ?

- ანტიკომუნისტური ბლოკი არ არსებობს. თუ შეიქმნა, არ შევალ.

მამაჩემმა ერთი უნდოდ შემომხედა და მერე დაძაბული მრავალმნიშვნელობით გაიკვირვა:

- არაა?!. შეენ?!.

ჩემთვის მისი მრავალმნიშვნელოვნების ყველა ფუძე მნიშვნელობა ნაცნობი იყო.

- მე ანტიიდეოლოგიურ მოძრაობას ვცემ პატივს და არა ბლოკებს. ბლოკში, როგორც წესი, საადმშენებლო ენთუზიაზმის ბაცილები ყრია, რომლებიც, ძველ იდეოლოგიას რომ მოინელებენ, ახლის შექმნას იწყებენ. როგორც ბიძია იო იტყვის, თხა გავყიდე, თხა ვიყიდე...

ბიძაჩემის ხსენებაზე მამაჩემმა კოპები მსუბუქად შეიკრა.

- ბიძაშენი რომ თხას იყიდის, ის თხა ბიცოლაშენმა მოწველოს. იდეოლოგიის გარეშე რანაირად უნდა იცხოვრო?! რამეს ხომ უნდა დაეყრდნო?!

ვისაც იდეოლოგია სწამს, როგორც მსოფლმხედველობრივი გრუნტი, მას, - განსაკუთრებით, პატიოსანიც თუა - ამ რიტორიკულ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ გასცემ. პრაქტიკულად იდეოლოგიის გარეშე მართლა არავინ ცხოვრობს. მაშასადამე, პრაქტიკულად იდეოლოგიის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. პრაქტიკულად ყველა ყოველთვის რაღაც იდეოლოგიას ეყრდნობა. მაშასადამე, პრაქტიკულად იდეოლოგიური საყრდენი აუცილებელია. განა ასეთი წანამძღვრებიდან თავისთავად არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ იდეოლოგიათა ორთოდოქსი აღმსარებლები პრაქტიკულად მართალნი არიან, ხოლო იდეოლოგიათა უარმყოფელი თეორიები - უნიადაგონი?

მე კარგახანს ვყოყმანობდი, მომეშველიებინა თუ არა სიტყვა „თავისუფლება“. ყოყმანის საფუძველი ბევრი მქონდა, მაგრამ მთავარი მათგან ორი იყო: ერთი რომ ეს სიტყვა, თუმც კი მეძავი ქალივით ყველასთან წვება, გულს არავის უჩენს და მარად იდუმალია, რისი წყალობითაც მის ირგვლივ გამართული დისკუსია, როგორც წესი, უნაყოფოა, და მეორე - მშიოდა და მეძინებოდა.

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე მაინც მომეშველიებინა.

- ბიძაჩემს ისეთი ბედი აქვს, - ყოველი შემთხვევისთვის ცოტა შორიდან დავიწყე მე, - მართლა თუ იყიდა თხა, შეიძლება ვაცი გამოდგეს. ადამიანის ამოსაცნობი ნიშანი თავისუფლებაა. იდეოლოგია კი თავისუფლების მტერია.

მამაჩემს პოზა არ შეუცვლია - ისევ ისე გულაღმა იწვა თავქვეშ ხელებამოწყობილი

და ჭერს დაფიქრებით შესცქეროდა - ეს კია, რომ სიტყვა „თავისუფლების“ გაგონებაზე სახეზე რაღაც უცხო კმაყოფილების მსუბუქმა ტალღამ გადაუარა (აბა მე მაშინ რა ვიცოდი, სწორედ ამ სიტყვას თუ ელოდა, როგორც პაროლს, რათა საპასუხო პაროლი წარმოეთქვა!); მერე ნელა, დამარცვლით და სულ ოდნავი ნიშნისმოგებით მკითხა:

- რამდენი კაცი შეიძლება ერთდროულად თავისუფალი იყოს? - ამ სიტყვებით ერთბაშად, მკვეთრი მოძრაობით წამოჯდა, ასე წამომჯდარი შემოტრიალდა, ფეხები ტახტიდან გადმოაწყო, ისე რომ საბნის კუთხე პიჟამას მუხლებსზემოთდა უფარავდა, თვალი თვალში გამიყარა და ამჯერად უფრო შემპარავად, ვიდრე ნიშნისმოგებით, გაიმეორა, - რამდენი კაცი შეიძლება ერთდროულად თავისუფალი იყოს?

მე ვერ გავიგე, რას გულისხმობდა.

- ვერ გავიგე, რას გულისხმობ.

მამაჩემმა ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა „მჟავანაძის“ ულვაშებში. ეს მისი თანამდებობრივი ღიმილი იყო, რომლითაც ფსიქოლოგიურ უპირატესობას იქმნიდა ხოლმე და რომელსაც ზოგჯერ არათანამდებობრივი დანიშნულებითაც იყენებდა.

- ერთი, მხოლოდ ერთი. მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლება თავისუფალი იყოს. ისიც იმ შემთხვევაში, მეორე ადამიანი თუ არ არსებობს. - აქ შეისვენა და ეფექტს დაელოდა. მე დაბნეული შევცქეროდი. მაშინ მან მცირე ყოყმანის შემდეგ, ისე კი, რომ არ შეტყობია, ჩათვალა თუ არა ჩემი დაბნეულობა საკმარის და დამაკმაყოფილებელ ეფექტად, განაგრძო, - შენ პატარაობიდანვე შენი საკუთარი ჭკუა გქონდა და ისეთ საქმეზე, რაც არ გჯეროდა ან არ მოგწონდა, ვერავინ დაგიყოლიებდა. შენი და-ძმები - გივის გარდა, გივის სხვა სიგლახე სჭირს - ფეხის ხმას არიან აყოლილი. ოღონდაც არაფერზე აფიქრო და თუ გინდა ცეცხლში და ქვესკნელში გამოგყვებიან. კი მართალია, შეხედულებები შენიც მცდარია და იმათიც, მაგრამ შენი მცდარი შეხედულებები შენი შეხედულებებია, და სხვისი შეცდომების გამეორებას ისა სჯობს, შენ თვითონ ჩაიდინო შეცდომა. გატყობ არ გჯერა. ნუ გჯერა, შენი ნებაა, ოღონდ ეს მითხარი: ასე გულდანდობით რომ ახსენებ, იცი რა არის თავისუფლება? - აქ მცირე ხნით შეყოვნდა. ამ ნაცადი პედაგოგიური ილეთის დანიშნულება იყო, ჩემთვისაც მოეცა საშუალება, ცოდნა გამომემჟღავნებინა და თავი გამომეჩინა, მაგრამ რა დაინახა, რისკის გაწევას არ ვაპირებდი, ისევ განაგრძო, - არ იცი, ხომ? არ იცი. არც მე ვიცი. მაგრამ მე ის მაინც ვიცი, რომ თავისუფლება ერთია და, მრავალს რომ გაუნაწილებ, რაც მეტს გაუნაწილებ, თითოს მით უფრო ნაკლები შეხვდება. მაინც ვერ გაიგე?

- მმმ... ისე რა... ბუნდოვნად.

- წარმოიდგინე, ვითომ ერთ დიდ, თვალუწვდენელ მინდორში ხარ. მარტო ხარ და შენს მეტი იმ მინდორში კაცი არ ჭაჭანებს. ხომ სრული იქნება შენი თავისუფლება? კი. მთელი ის მინდორი შენი საკუთრებაა. რამხელაც ისაა, შენც იმხელა ხარ. თუ ის დიდია, შენც დიდი ხარ, თუ ის ძალიან დიდია, შენც ძალიან დიდი ხარ, თუ ის უსასრულოა, შენც უსასრულო ხარ. ყველაფერი შენია და ყველაფერი შენს ნებაზეა. საითაც გინდა, იქით წახვალ, რასაც გინდა, იმას იზამ. ახლა ის წარმოიდგინე, რომ ერთხანს მარტო იყავი, მერე ვიღაც გამოჩნდა, ვთქვათ გივი, შენი ძმა და ახლა ერთის მაგივრად ორნი ხართ. ესე იგი რა? ესე იგი მინდორი უკვე ორივეს გეკუთვნით. თავისუფლებაც ორივესია და მაშასადამე, ორადაა გაყოფილი.

- თავისუფლება წმინდა იდეაა და მისი მატერიალისტური თვალთახედვით განხილვა... - დავაპირე მე თავისუფლების აპეკუნობა, მაგრამ მამაჩემმა ისე მშვიდად გამაწყვეტინა და ისე შეუფერხებლად განაგრძო, ჩემი ჩარევა ეტყობა არც კი გაუგია.

- როცა მარტო დადიხარ მინდორში - რამდენიც გინდა იარე, შენს თავისუფლებას მისხალი არ მოაკლდება და ბეწვი არ ჩამოვარდება. როცა ორნი დადიხართ, რაც უნდა დიდი იყოს მინდორი, არ შეიძლება ადრე თუ გვიან ერთმანეთს არ გადაეყაროთ. ერთმანეთს რომ გადაეყრებით, ან ერთი უნდა მიდგეთ გვერდზე, ან მეორე. ეს არის თავისუფლების დაყოფა და შეზღუდვა. თუ ორნი ხართ, თავისუფლება ორად იყოფა, თუ სამნი ხართ, სამად, თუ ოთხნი ხართ, ოთხად და რამდენიცა ხართ იმდენად. ასე რომ თავისუფლება ის არ არის, შენ რომ გგონია და ბევრს რომ ჰგონია. თუ სიმართლე გინდა, თავისუფლება სულ არ არსებობს. თქვენ რომ თავისუფლებას ეძახით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ანარქიაა. ზოგიერთს რომ უანარქიოდ წარმოგიდგენიათ თავისუფლება, ის ილუზიაა. სადაც თავისუფლების მოსურნე ერთზე მეტია, იქ თავისუფლება სახიჩარია. თავისუფლება ძალადობის წყაროა. ჩვენი ცხოვრების საძირკველი არის არა თავისუფლება, არამედ ძალადობა. სანამ სახელმწიფო წარმოიქმნებოდა, ქვეყანაზე განუკითხავი ძალადობა იყო გამეფებული. როცა სახელმწიფო წარმოიქმნა, დალაგებული ძალადობა გამეფდა. სახელმწიფო თავისუფლების ნანგრევებზე შენდება. ამიტომ ძალადობაა. ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები, მაგრამ ყოველთვის ძალადობა. ძალადობა ცუდი არ არის. იმიტომ, რომ აუცილებელია. რაც აუცილებელია, ის არ შეიძლება ცუდი იყოს. ძალადობის გარეშე საზოგადოება დაიშლება, ძალადობა საზოგადოების წებოა. შენ გოდორი არასოდეს დაგიწნავს - შრომასთან ბავშვობიდანვე მწყრალად იყავი - მაგრამ ნახვით ხომ გინახავს! თუ დაკვირვებიხარ, გოდორში წნელები მოღუნულადაა ჩატანებული და ძალად დამაგრებული. და სწორედ ამით ასრულებს სასარგებლო ფუნქციას. გოდორი რომ დაარღვიო და წნელები ნებას მიუშვა, გაიშლებიან და „თავისუფალნი" გახდებიან, მაგრამ აღარაფრის მაქნისები აღარ იქნებიან. წნელს მაშინა აქვს ფასი, როცა - გინდა „ხელოვნური" უთხარი, გინდა „ნაძალადევი", გინდა „იდეოლოგიური" - როცა საერთო საქმეს ემსახურება. კომუნისტური სახელმწიფო, შენ რომ ასე ძალიან გეჯავრება და შენს დაძმებსაც ეჯავრებათ - ოღონდ იმათ ბრმად და უჭკუოდ - სხვაზე უფრო წმინდად დაწნული გოდორია, უფრო ვიწრო ნაჩვრეტები აქვს და, რამე რომ იყოს, მარცვალიც უფრო ძნელად გასცვივა. ყველას, ვისაც კომუნისტური წყობა არ მოგწონთ, ერთი საერთო უბედურება გჭირთ: ერთმანეთში ურევთ თეორიას და პრაქტიკას. შემსრულებლები რომ არ გამოგვადგა, ამიტომ იდეას უნდა ვკრათ წიხლი?! როგორ შეიძლება! შემსრულებლებმა - გეთანხმები - ნამდვილად დაგვღალატეს. დაგვღალატეს და დაგვაზარალეს. უფრო იმით, რომ იდეას გაუტეხეს სახელი. ამ კუთხიდან თუ შევხედავთ საქმეს, კომუნისტური სახელმწიფოს აშენება ცოტა ნაადრევი იყო: ჯერ სამყოფი ზნეობა არ ჰქონდა მოგროვილი ადამიანს. თქვენ ბავშვობიდანვე ანტიკომუნისტები იყავით. ყველანი გივის გარდა - გივისთვის კომუნისტი და ანტიკომუნისტი სულ ერთია. მერე? რომელი ერთი დავსაჯეთ ამის გამო? რომელი ერთი გავაგდეთ სახლიდან? კი, არ დავმალავ, ნამდვილად ვცდილობდი ჭეშმარიტების გზაზე დამეყენებინეთ, მაგრამ უკადრისი მეთოდები არ მიხმარია და გულიდან არ ამომირეცხიხართ. შენ რომ გკითხოს კაცმა - შეიძლება ხათრით არ გაამხილო, მაგრამ ხომ ვიცი რომ ასე ფიქრობ - შენ რომ გკითხოს კაცმა, კომუნისტის უარესი ქვეყნიერებაზე არაფერია. მაშ რატომ მოხდა, რომ მე არ შევიძულე შენი და მარიხი - მე, კაციჭამია კომუნისტმა და ათეისტმა - იმას კი, ჰუმანისტს, ანტიკომუნისტსა და ფრთოსან ქრისტიანს, მოსისხლე მტერივით ვძულვარ და დღე და ღამე იმის ნატვრაშია, რაც შეიძლება მალე ამომძვრეს სული? რატომ მოხდა? რატომ? მიპასუხე, შენ ხომ პატიოსანი კაცი ხარ! დედაშენს რა უნდა მოვკითხო, მაგას პოლიტიკური შეხედულებები, გივისი არ იყოს, არა აქვს, მაგრამ გულში ყოველთვის ვძულდი - ისე, პოლიტიკური შეხედულებების გარეშე - და ახლა, მარიხის სიძულვილი რომ დაინახა, თავისიც იმას მიუმატა.

– იკო, დედა! - მოისმა ამ დროს ქვემოდან.

რაც თავი მახსოვს, მამაჩემს ჩემი თანდასწრებით ამდენი არასოდეს ულაპარაკია; თანაც არავითარი ნიშანი არ უჩანდა იმისა, რომ ადრე თუ გვიან (გვიან მაინც) მოათავებდა. ამიტომ დედაჩემის ხმამ - რატომ უნდა ვითვალთმაქცო და ვიფარისეველო ტყუილუბრალოდ - შვება მომგვარა. ეს არც იყო გასაკვირი - ზემოთაც ვთქვი, ძაღლივით მშიოდა და, რამდენი ხნის უძილო ვიყავი, აღარც კი მახსოვდა - მაგრამ რაკი მამაჩემი (დედაჩემის ხმის გაგონებაზე მას აზრი გაუწყდა, სიტყვა პირზე შეაშრა, ალმაფრენა ჩაუქრა და ნირი წაუხდა) ეჭვიანი ყურადღებით დამაცქერდა, რათა შეეტყო, მისი მონოლოგის უეცარმა დამუხრუჭებამ ემანდ შვება ხომ არ მომგვარა, თვალი შეძლებისდაგვარად მშვიდად გავუსწორე და შევეცადე თავი ისე დამეჭირა, ვითომ დედაჩემის ძახილი არც კი გამეგონოს. მივაღწიე თუ არა მიზანს, არ ვიცი - ჩემი მცდელობის მიმართ მამაჩემს რაიმე თვალნათლივი დამოკიდებულება არ გამოუხატავს. სამაგიეროდ, მეორედ რომ გაისმა (ცოტა უფრო ხმამაღლა) დედაჩემის

ძახილი, მშვიდად მითხრა:

- დედაშენი გეძახის.

მაშინ მე წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი და ოდნავ გამოვაღე.

- ბატონო!

- ჩამოდი, დედა, ისაუზმე. მამაშენსაც უთხარი, იქნება მაგიც ჩამოვიდეს.

მე მამაჩემს მივუბრუნდი.

- ჩავიდეთ?

- ჩავიდეთ, - ამოიოხრა მამაჩემმა, წამოდგა, ფაქიზად დაკეცილი ხალათი, რომელიც ტახტის ბოლოში იდო, აიღო და პიჟამაზე ჩაიცვა. ხალათი - ზურმუხტისფერი, ჩინური, გრძელი, ფართობორტებიანი, სიგრძივ დაყოლებული ბაცი, ოდნავ მღვრიე, ვიწრო ყვითელი ზოლებით არანაკლებ ეფექტს ახდენდა, ვიდრე პიჟამა (და მისი მთავარი დანიშნულებაც, კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს იყო).

სანამ ბუხრის პირას ვისხედით და საუზმეს შევექცეოდით, მე და მამაჩემი უფრო მეტად ჩუმად ვიყავით და მე საშუალება მქონდა მამაჩემის წეღანდელი ნალაპარაკევი, რომელშიაც მრავალი კითხვა და მრავალი ეჭვი იდო, შეძლებისდაგვარად გამეანალიზებინა.

მთავარი ეჭვი გახლართული იყო მთავარ კითხვაში: რა მიზანი ჰქონდა მამაჩემის ამ მოულოდნელსა და, ერთი შეხედვით, უკონტროლო გულახდილობას?

მაგრამ, ამ კითხვაზე რომ პასუხი გამეცა, ჯერ ის უნდა გამერკვია, თუ რისი იმედით მიზიარებდა გულის ნადებს ესოდენ დაუფარავად, რისი იმედით შევყავდი იმ იდუმალ წალკოტში და სანუკვარ ნაკრძალში, სადაც ოჯახის წევრებს აქამდე ფეხი არასოდეს დაგვედგა. რას გამოელოდა ჩემგან? ჩემ შეხედულებათა შერყევის იმედი ვერ ექნებოდა, ჩემი გულაჩუყების იმედი ვერ ექნებოდა, ჩემი უჭკუობის იმედი ვერ ექნებოდა (ცრუ თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ამ მხრივ ხუთი შვილიდან მხოლოდ მე ერთს მაღიარებს). ჩემი მოსყიდვის იმედი ვერ ექნებოდა. მაშ, რისი იმედი ჰქონდა?

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე (ჩემთა ფიქრთა დენაზე, ეჭვი არაა, ცხელმა ჭადმა და ჭყინტმა ყველმაც კეთილმყოფელი გავლენა იქონია), ბოლოს და ბოლოს დავასკვენი, რომ მამაჩემს გულის მოოხება სჭირდებოდა - რაც მიზეზთა და მიზეზთა, ჯერჯერობით უცნობთა, გამო მისთვის ეტყობა ახლა სასიცოცხლო აუცილებლობა იყო - და ობიექტად მე ამირჩია, ვინაიდან (sic და ყურადღება! აქ ერთი პატარა, მაგრამ იშვიათი ჯიშის ძაღლის თავია დამარხული) ჩემი ტაქტის იმედი ჰქონდა. ნუ გაიკვირვებთ და ნურც ისეთ რამეს დამწამებთ, ცოდვა გაიმრავლოთ. თუ ოდესმე რეკლამის გაკეთება დავაპირე, მერწმუნეთ, აქცენტს ტაქტზე არ ავიღებ. უბრალოდ აქ ლაპარაკია ტაქტის ერთ სპეციფიკურ სახეობაზე, რომელიც მე და მამაჩემის დაულაგებელ ურთიერთობაზე სარეველასავით ამოვიდა. ზემოთაც, მგონი, ვთქვი, უმოკლეს სანათესაო თოკზე გამობმულები, ჩვენ გამუდმებით ერთმანეთის ირგვლივ ვტრიალებდით და, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ერთმანეთის თვალებში ვირეკლებოდით, ხოლო მეორე მხრივ, გულმოდგინედ ვცდილობდით ერთიმეორის მზერას არ წავწყდომოდით, რათა ჩვენ-ჩვენი გულისა და გონების სიმართლე არ გაგვემჟღავნებინა და ერთიმეორის საკირკიტო არ გაგვეხადა. მოკლედ, ერთსა და იმავ დროს ძალიან შინაურებიც ვიყავით და ძალიან უცხოებიც. ხოლო ტაქტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც შინაურს, შინაურებზე ჩივილს ვერ დავუშლიდი და, როგორც უცხოს, მწარე სიმართლეს პირში ვერ მივახლიდი. ვინც არ ითაკილებს და ასეთ შინაურუცხო დამოკიდებულებას იარაღად გამოიყენებს, ათი შემთხვევიდან ცხრაჯერ მაინც მიზანს მიაღწევს. მამაჩემმა არ ითაკილა, რაც, ეჭვი არაა, იმის მანიშნებელი იყო, რომ მოთმინების ფიალა პირთამდე ავსებოდა. მაგრამ რამ აუვსო? და რამაც აუვსო, რითი აუვსო? ეს კითხვები ჯერ კიდევ პასუხს მოითხოვდა. ხოლო მამაჩემი ხაზგასმულად ლაღად იჯდა სუფრასთან და, ამ ხაზგასმული სილაღით შებორკილი, გაბუტული სახით ილუკმებოდა.

როგორც ითქვა, საუზმეზე ცოტა ვილაპარაკეთ. მამაჩემს თითქმის არ ამოუღია ხმა. ორი თუ სამი მოკლე ფრაზა წარმოთქვა, ეს იყო და ეს. ამიტომ ძირითადი დატვირთვა დედაჩემს დააწვა, რომელსაც მე ჩვენების ამბავი ვკითხე. დედაჩემის ნაამბობიდან ზოგი რამ საყურადღებო აღმოჩნდა. მაგალითად ის, რომ მარიხს თურმე სამსახური მიეტოვებინა (აქ უნდა აღვნიშნო, რომ იმ ორისამი ფრაზიდან, რაც მთელი საუზმის განმავლობაში წარმოთქვა, მამაჩემმა ერთი სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ამ თემას მიუძღვნა. კერძოდ, როდესაც საუბარი მარიხის ხსენებულ ნაბიჯს შეეხო - მოულოდნელსა და გაუგებარს - შენიშნა: „პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა“, რაზედაც დედაჩემმა ელვისებური და მწყრალი მზერა სტყორცნა). სხვა დედაჩემის ნაამბობში ახალი და განსაკუთრებით საინტერესო არაფერი ყოფილა.

მარიხის მომდევნო ჩემი ორი უფროსი და-ძმა, ციალა და ლადო, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ციალა ამ თხუთმეტიოდე წლის წინ თავის ერთ კოლეგას, ვიღაც რუს-ქართველა ქიმიკოსს, რომელსაც - თუმც კი გვარად ვაშალომიძე იყო - სახელად ვიტალი ერქვა და ქართველები ველურ და უკულტურო ხალხად მიაჩნდა, ცოლად გაჰყვა და ლენინგრადში (იყო მაშინ ასეთი სახელწოდების ქალაქი) დასახლდა, რის გამოც მარიხი მას დაშაქრული გესლით ჩრდილოეთის ციალას ეძახდა; ხოლო ლადო, ოჯახში ყველაზე წყნარი და მშვიდობისმოყვარე კაცი, სანაკლიოში კი ცხოვრობდა, მაგრამ ცალკე იდგა ნაკლისწყალგაღმა, სიმამრის დანატოვარ სახლში, რომელსაც ირგვლივ ნახევარი ჰექტარი მაღალნაყოფიერი მიწა ერტყა.

რაკი ცალკე ცხოვრობდნენ, დედაჩემმა ისინი თავშეკავებული და ნეიტრალური კმაყოფილებით მოიხსენია. გივი, მათი მომდევნო და ჩემი წინამორბედი, თავისი ჯალაბით რაჭაში, ცოლოურს ყოფილიყო სტუმრად წასული.

ის იყო ვამთავრებდით კიდეც საუზმეს, რომ მარიხი შემოგვესწრო, თან მდედრობითი სქესის ორი სულიერი არსება მოიყოლია, რომელთაგან ერთს ელზა ერქვა, ხოლო მეორეს ციცარი.

მარიხი, ბოლოს რომ ვნახე, იმაზე მეტად გამხდარი ჩანდა, მაგრამ რაკი ასეთი რამ შეუძლებელი იყო, გაკვირვებითა და ცოტა შეშფოთებით გავიფიქრე, ეტყობა სიგამხდრის პრაქტიკული ზღუდე გადალახა და თეორიულ ნაკრძალში შეიჭრა-მეთქი. საზოგადოდ, მარიხი თავიდანვე ძალიან გამხდარი იყო და ამ მხრივ ოჯახში ყველასგან მკვეთრად გამოირჩეოდა. დედაჩემი ხომ მსუქანია, გამხდარი არც მამაჩემია. მართალია, მამაჩემი არც მსუქანია ამ სიტყვის სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გაგებით, მაგრამ თუ ამ ორ განსაზღვრებას შორის არჩევანი აუცილებელი შეიქნა, ათი კაციდან, ეჭვი არაა, ათივე სიტყვა „მსუქანს“ დაუჭერს მხარს. ისე კი - ვისაც ასეთი წვრილმანები აინტერესებს - უფრო ფერხორციანია, ვიდრე მსუქანი. თუმცა ზომიერი მუცელიცა აქვს, რომელიც პიჟამაში სულ ოდნავ ეტყობა. შვილებიც ზღვარზე ვართ. ამ ზღვარზე ზოგი სიმსუქნისკენ უფრო ვიხრებით (ციალა და გივი) და ზოგი სიგამხდრისკენ (ლადო და მე), მაგრამ თვალშისაცემად გამხდარი არც ერთი არა ვართ. ამიტომ მარიხი იმთავითვე გამონაკლისი იყო. სხვათა შორის, გამონაკლისი იყო არა მარტო სიგამხდრით, არამედ სიმაღლითაც. იგი ოჯახში ყველაზე მაღალია, რაც არანაკლებ გაკვირვებას - ხოლო ბიჭებში შურსაც - იწვევდა. ადრე, პატარები რომ ვიყავით (უფრო სწორად, მე რომ ვიყავი პატარა - მარიხი ჩემზე მთელი ათი წლით უფროსია და ამიტომ ჩემს მეხსიერებაში პატარა არასოდეს ყოფილა), ლამაზიც იყო. ლამაზიც იყო, ჭკვიანიც, ზრდილიც, გამგონეც, ნაკითხიც, მუსიკალურიც, დინჯიც, თავდაჭერილიც, კარგი მოსაუბრეც, კარგი მეოჯახეც და საერთოდ, თითით საჩვენებელი. თერთმეტი წლის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა; სკოლა რომ დაამთავრა, ახლა ექვსი წლის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. ინსტიტუტიც რომ დაამთავრა და კვლავ მშობლიურ სანაკლიოში დაბრუნდა, მრავალი წლის განმავლობაში ახლა ერთ-ერთ საუკეთესო პედიატრად ითვლებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მუდამ გამხდარი იყო, მაგრამ ის განსაკუთრებული სიგამხდრე, რომელიც მისი ზოგადი სიგამხდრის ფონზეც კი თვალს ჭრიდა და რომელმაც დედაჩემი და მამაჩემი - პირველი ორი-სამი თვე მაინც, ვიდრე მიეჩვეოდნენ - ძალიან შეაშფოთა, მას შემდეგ დაიწყო, რაც გათხოვებაზე საბოლოო და მტკიცე უარი თქვა. რატომ თქვა უარი, დიდხანს არ ვიცოდი, თუმც კი ბუნდოვნად ვხვდებოდი. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებას ჯანსაღი ინტუიციით ვუკავშირებდი წარსულის ერთ ხანმოკლე მონაკვეთს, როდესაც ჩვენს სახლში ხშირ-ხშირად წარმოითქმოდა სიტყვა „სასიძო“. მარიხი მაშინ ახალგაზრდა ექიმი იყო. სამწუხაროდ, ხსენებული სიტყვა, ერთი ხანობა ესოდენ აქტიური და ყოველთა ბაგეთა ლამის განუყრელი თანამგზავრი, სულ მალე, რო-

გორც ერთბაშად შემოვიდა ხმარებაში, ისე ერთბაშად ამოვარდა ხმარებიდან, რასაც ის მოჰყვა, რომ მარიხი მთელი წელი ნაღველიანი იყო. მერე და მერე ნაღველი კი გადაიყარა, მაგრამ გათხოვებაზე ფიქრი ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდო გულიდან და ისედაც გამხდარი სულ მთლად ძვლად და ტყავად იქცა. რამდენჯერმე შესაძლებლობის ზღვარსაც მიატანა, მაგრამ რამდენჯერაც კი ზღვარს მიატანა, იმდენჯერ გამოირკვა, რომ ის, რაც ზღვარი გვეგონა, ჯერ კიდევ არ ყოფილა ზღვარი.

მარიხმა გადამკოცნა და მერე ელზა და ციცარი წარმომიდგინა, როგორც - სწორედ ასე თქვა - მამულისათვის თავდადებული ქალბატონები.

ორივე თავდადებული ქალბატონი შავი იყო, ორივე დაბალი (რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი ჩანდა მარიხის ფონზე, რომელსაც პატარა ფლიგელებივით ედგნენ აქეთ-იქით), ორივეს ხუჭუჭი თმა ჰქონდა და ამ ხუჭუჭი თმის ქვეშ ორივე ერთი და იმავე ჯიშის ფინიას ჰგავდა. ეს მსგავსება კიდევ უფრო ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ერთმა მათგანმა, კერძოდ, ელზამ, წკავწკავი ატეხა. (ეს მოგვიანებით და ცოტა მოულოდნელად მოხდა; მანამდე ის, ისევე როგორც ციცარი, მორკალული იჯდა სკამზე, წინა თათები მაგიდაზე ეწყო და წყნარად იღმურძლებოდა). მართალია, მარიხი შეეცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ელზას წკავწკავი სინამდვილეში ხველება იყო, მაგრამ ეს თითიდან გამოწოვილი ვერსია მე მგონი, თვითონაც არ დაუჯერებია. შესაძლებელია ელზას, რაც დაემართა, უნებურად დაემართა, მაგრამ ეს იმის უფლებას არ იძლევა, წკავწკავი და ხველება ერთმანეთში ავურიოთ. თუ არ აუტეხავს და მხოლოდ აუტყდა (რაც მე პრინციპულად დასაშვებად მიმაჩნია), სულ ერთია, წკავწკავი აუტყდა და არა ხველება.

ყოველ შემთხვევაში, მე ეს ეპიზოდი ასე დავინახე და ასე აღვიქვი.

მარიხისა და თავდადებული ქალბატონების გამოჩენაზე მამაჩემს სახეზე უკანასკნელი ჯანსაღი ფერები გაუქრა და სამი წუთის შემდეგ გავიდა კიდეც სამზარეულოდან. მშრალი, ცოტა მკაცრი კილოთი მოიხადა ბოდიში (წასვლის მიზეზი არ უთქვამს) და გავიდა. სამი წუთი იმიტომ შეიცადა, რომ მიჩვეული იყო ეტიკეტის წინაშე ვალის მოხდას, ხოლო სამ წუთზე მეტი იმიტომ არ შეიცადა, რომ არავის შექმნოდა შთაბეჭდილება, თითქოს ეს რაღაც უფრო მეტი იყო, ვიდრე ეტიკეტის წინაშე ფორმალური ვალის მოხდა. სანამ კარს მიაღწევდა, ისე მიდიოდა, მის ხურმუხტისფერ ჩინურ ხალათს ზურგზე ერთგვარი მედიდურობის ბეჭედი ერტყა, რის გამოც მე გული სიბრალულით ამევსო. მობოდიშების პასუხად არავის არაფერი უთქვამს, არც მარიხს, არც მის ქალბატონებს, არც დედაჩემს. თვალიც კი არავის გაუყოლებია. „ნუთუ მართლა სძულთ?“ - გავიფიქრე მაშინ მე (არსებითად, ეს ეჭვი მხოლოდ დედაჩემსა და მარიხს ეხებოდა, ვინაიდან ციალასა და ლადოს, რაკი ცალკე ცხოვრობდნენ, სიძულვილის მიზეზი, ბუნებრივია, ნაკლები უნდა ჰქონოდათ, უმიზეზოდ კი ახლობელს არავინ შეიძულებს; რაც შეეხება გივის, მართალია ის აქ არ იყო და ამგვარად ახალი მონაცემები არ მქონდა, მაინც - ძველი მონაცემების საფუძველზე - შემეძლო დაბეჯითებით მეთქვა, რომ დედისა და დის სიძულვილს იგი ვერ გაიზიარებდა. საქმე ისაა, რომ მას ემოციის ამპლიტუდა ძალზე მოკლე აქვს და, შესაბამისად, გრძნობათა პოლუსებს შორის მანძილი ძალზე მცირე, რის გამოც მისი ყველა ადამიანური ვნება - მათ შორის, ცხადია, სიყვარული და სიძულვილიც - ამ პაწაწინა პლატფორმაზე რომ დაეტიონ და ხევში არ გადაცვივდნენ, ისე არიან ერთმანეთის ჩაკრული, ჩაკონებული, გადაჭდობილი და გადაწნული, თითქმის შეუძლებელია გაარჩიო, რომელი ნაწილი რომლისაა).

ამის შემდეგ დიდხანს აღარც მე დავრჩენილვარ. იმის გაფიქრებაზე, რომ მონოლოგის მომდევნო თავები მამაჩემს ყელზე ადგა და ჩემს მოლოდინში ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდა, თანდათან მოსვენება დავკარგე. მაგრამ ისე მალე, როგორც მინდოდა, როგორც ვაპირებდი და როგორც იმედი მქონდა, მაინც ვერ მოვახერხე გასვლა, ვინაიდან, ვიდრე გავიდოდი, ერთ პიკანტურ და იკლიკანტურ კითხვაზე პასუხის გაცემა მომიხდა.

მარიხი ჯერ თბილისის ამბებით დაინტერესდა. მართალია ძირითადად მიტინგები აინტერესებდა, დემონსტრაციები, მსვლელობები, საიდუმლო შეკრებები, გაფიცვები, ბოიკოტები, შიმშილობები, დაუმორჩილებლობები და მისთანანი, მაგრამ თბილისის ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაც ხომ მაშინ ძირითადად სწორედ ამ კომპონენტებისგან შედგებოდა! რაკი მე ბევრი და სარწმუნო ვერაფერი ვუთხარი, ყველაფერი თვითონ მითხრა. მადლი უფალს, ზოგად სურათს დამაჯერა და დეტალებსა და წვრილმანებს არ გამოჰკიდებია. ბოლოს, იმ დროს, როცა თავდადებული ქალბატონები ჩაის ფინჯნებში იყვნენ ჩაყურყუმალებულები და ვითარებაც საკმაოდ ხელსაყრელი მეჩვენა საიმისოდ, რომ აქაურობას გავცლოდი, უცებ მკითხა:

– მაინც ვისკენ ხარ, იკო?

ამის გაგონებაზე ქალბატონებმა ცხვირპირი ფინჯნებიდან ისევ ამოჰყვეს და ყურები დაცქვიტეს.

– ვინც სიღრმე იხილა, – მივუგე მე.

– სიღრმე, კარლო წუწუნავამ რომ იხილა, ისე უნდა! – შენიშნა ციცარმა და ქაღალდის ხელსახოცით პირი მოიწმინდა, რის შედეგადაც საჭმლის ნარჩენების ნაწილი კი მართლა მოიშორა, მაგრამ მათ ადგილას ხელსახოცის სველი, დაგორგლილი ნარჩენები დატოვა.

– ხოკ, – დაემოწმა დობილს ელზა, – რაც მაგას იმპერიის უწმინდურობები უხილავს, ბარე ორს არ მოელანდება!..

მარიხს ეტყობა ცოტა შერცხვა, ვინაიდან შეეცადა ფინიებისთვის კუდი გაესწორებინა.

– კარლომ რომ იხილა, ისეთი სიღრმე, ცხადია, ბევრს არ უხილავს, მაგრამ ჩემი ძმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ციტატით გაგვიმასპინძლდა. თუმცა არა მგონია, გილგამეში ან უთნაფიშთი ჰყავდეს მხედველობაში.

– ბიძია იო მყავს მხედველობაში, – ვუთხარი მე.

– ბიძია იო, – განმარტებითი დიდაქტიკით თქვა მარიხმა, – შენ არ გეწყინოს დედა და ორპირია...

– რადა არ მეწყინოს! – უსასოო ღიმილით თქვა დედაჩემმა, – ბიძაზე ასე უნდა ილაპარაკო, დედა?!

– თუ იმსახურებს, დიაღაც უნდა ვილაპარაკო! – რევოლუციური პირდაპირობით თქვა მარიხმა, – იონა კამკამიძე ნათესავია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ახლო ნათესავია. ჩვენ კი სწორედ ჭეშმარიტებაზე გვაქვს ლაპარაკი. ბიძია იო ორპირია. ადრეც ორპირი იყო, მაგრამ ახლა, ბოლშევიკური წყვდიადი რომ გაიფანტა და მრავალი დაფარული გაცხადდა, კიდევ უფრო ორპირი გამოჩნდა. ძალიანაც რომ გეწყინოს, დედა, ეს არის მისი ნამდვილი სახე. დღეს კაცს – თუ მაინცდამაინც მამაჩემივით ნაკურთხი კომუნისტი არა ხარ – ორთა შორის გაქვს არჩევანი: ან კუდმოთხვრილი კუტუბიძე, ან ღვთაებრივი კარლი.

– ზოგი ამბობს, კუტუბიძე უფრო ღვთაებრივიაო, – ჩავურთე მე.

ელზამ დაასლოკინა. დედაჩემმა წყალი მიაწოდა. ელზამ დალია, მარიხმა თქვა:

– ზოგი კი არა, ბევრი ამბობს. ამიტომაც გვიდევს წინ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სული თუ არა გაქვს მტკიცე და სპეტაკი, თვალისთვის ქრისტე და ანტიქრისტე ძნელი გასარჩევია. ამიტომ ცდებიან მრავალნი. მალე გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართება სინათლესა და სიბნელეს შორის. ჩვენი ერის მომავალიც ამ ბრძოლის ფონზე გადაწყდება, ჩვენ, გვინდა-არგვინდა, დიდ საღვთო ომში ვართ ჩაბმული და ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლაც მისი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ ახალი აპოკალიფსის მერე ისეთი გულგრილი და ვითომ მიუმხრობელი ხალხისთვის, როგორიცაა ბიძია იო, დედამიწაზე ადგილი არ დარჩება. ხომ ასეა, დებო? – დაეკითხა თავდადებულ ქალბატონებს და მათაც მიუგეს:

– ხოკ.

– ამის დახსომება, იკო, არც შენ გაწყენს, – ცოტა ნაძალადევი სიცილით მითხრა მარიხმა, მერე ამ ნაძალადეობის გასაქარწყლებლად ქოჩორში ხელი ჩამავლო და მსუბუქად შემანჯღრია.

ნჯღრევა რომ მოათავა, ვუთხარი:

– ორი ღამეა არ მძინია. წუხელ და იმის წინ. ამიტომ, ცოტა თვალი თუ არ მოვატყუე, შეიძლება თვლემამ წამომეპაროს და მამულისთვის თავდადებული ქალბატონების წინაშე სირცხვილი ვჭამო, – მერე თავად ქალბატონებს მივუბრუნდი, – ამ ერთხელ თუ მაპატიებთ, სააპოკალიფსედ უსათუოდ გამოვსწორდები.

ეს რომ ვთქვი, თავდადებული ქალბატონების პასუხს აღარ დაველოდებივარ და სუფრიდან ავდექი. თუმცა თავდადებულ ქალბატონებს პასუხი არც მოუციათ. ეს იყო მხოლოდ, თავები მხრებზე დაიწყეს და კეთილსინდისიერი, მაგრამ უაზრო ყურადღებით შემომაჩერდნენ. სამაგიეროდ მარიხმა გამიღიმა დამრიგებლურად, როგორც დედა

გაუღიმებს ონავარ შვილს, და თქვა:

- შენ იცი, იკო, ოღონდ მამაშენს უფროხილდი; პარტიაში შეყვანა თუ დაგიპიროს, არ შეყვე.

მეორე სართულზე რომ ავედი, ძილმა ისე წამართვა თავი, ერთი შეყოყმანება შევყოყმანდი, იქნებ მეც გავწირო მამაჩემი, ჩემს ოთახში შევიპარო და, ვიდრე ბიძია იო საგანგაშო სირენას ააყვირებს, ცოტა წავიძინო-მეთქი, მაგრამ, როგორც კი ეს გავიფიქრე, გონების თვალწინ მყისვე გაწბილებული მამაჩემი დამიდგა, რომელიც ყველასგან (მათ შორის, ჩემგანაც) მოძულებული, თუმც კი პრესტიჟულ პიჟამაში და მედიდურ ხალათში გამოწყობილი, ალბათ მოუსვენრად მიმოდიოდა თავის კაბინეტში და საწყალობლად ებღაუჭებოდა ჩემი ხელახლა დამარტოხელების იმედს. და მე მივხვდი, რომ დედაჩემის ნათქვამი - ხმას არავის გვცემსო - მთლად სწორი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, სამეცნიერო-პოპულარული კეთილსინდისიერება მოითხოვდა, ვიდრე იტყოდა, ხმას არავინ გვცემსო, ჯერ ეთქვა, ხმას არავინ ვცემთო.

მთლად სწორი არც ჩემი ხილვა აღმოჩნდა. მამაჩემი არ მიმოდიოდა. დაფიქრებული იდგა ფანჯარასთან და ჩინურ ხალათსაც მედიდურობისა ბევრი აღარაფერი შერჩენოდა.

კარი რომ შევაღე, არ მოუხედავს, ისე მითხრა:

- ატყობ, ქვეყანა რომ იქცევა?

როცა იმედი გვემსხვრევა, ძნელია ჩვენი პაწაწინა ფათერაკი მთელ კაცობრიობაზე არ განვავრცოთ და ერთი უსახური, შეუმჩნეველი უჯრედის დაღუპვა ქვეყნიერების აღსასრულად არ წარმოვიდგინოთ. ეს სასაცილო კია, მაგრამ ვიდრე მხოლოდ ჩვენშია, სისუსტის მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ არის. სისუსტის მაჩვენებელი მაშინ გახდება, სხვებს რომ გავუზიარებთ.

- რომ ირყევა, ვატყობ, მივუგე მე, - მაგრამ თუ იქცევა, ისე იქცევა, ვერ ვატყობ.

- დააკვირდი ამ ორ ქალს, მარიხმა რომ მოიყვანა? რა არის აბა ეს, თუ ქვეყანა არ იქცევა?! ან იქნებ გგონია მთელ სანაკლიოში მაგ ორია მარტო ამისთანა შავი?! როგორ გეკადრება! მაგნაირებითაა სავსე ქალაქი. რამ გააჩინა, თუ ქვეყანა არ იქცევა? საიდან გაჩნდნენ?

- თუ ეგ კითხვა ფორმალური არ არის, მამა, და პასუხსაც მოითხოვ, ეგ ხალხი იმ რეჟიმის პროდუქტია, რომლის ერთგულება - მაპატიე და - მოდაში უკვე აღარც კია.

- მე მოდის კაცი არასოდეს ვყოფილვარ, კი უნდა იცოდე შენ ეს. მე ყოველთვის პრინციპის კაცი ვიყავი.

- მართალია. სამწუხაროდ, შენ ყოველთვის პრინციპის კაცი იყავი.

- მერე? რაში უნდა დასჭირვებოდა კომუნისტურ რეჟიმს ამისთანა ხალხი? რისთვის უნდა შეექმნა?

- იმისთვის, რომ, როცა სადმე განსხვავებული შეხედულების კერა გაჩნდებოდა, ზედ საწამლავად მოეფრქვია. ეგ ქალები იმ სახელგანთქმული „კოლექტივის" ნაწილია, რომლითაც ბოლშევიკები მუდამ ამაყობდნენ.

- არ იყო საამაყო?

- არა მგონია. კოლექტივი იდეოლოგიური ზიარჭურჭელია, რომელშიაც რეჟიმს საჭიროებისდა მიხედვით მიმართული აგრესიის - ან ვითარებასთან შესაფერისი სხვა რამ - შხამი შეჰყავს. სანამ ზიარჭურჭელი ცარიელია, მასა ინდიფერენტულია - არც პოლიტიკური მოთხოვნილება გააჩნია, არც მსოფლმხედველობრივი, არც მორალური. მხოლოდ ზომიერი სოციალური პრეტენზიები აქვს, რომლის დაკმაყოფილება ბედნიერების განცდას იწვევს. როცა გარემოება მასის დამუხტვასა და დარაზმვას მოითხოვს, საიდუმლო ონკანი იხსნება და შესაფერისი ხსნარი ზიარჭურჭელში შედის. ბერკეტი რეჟიმს უჭირავს ხელში. მაგრამ გაუგებარი თავდაჯერების გამო, რაც ასეთი ეჭვიანი და მფრთხალი რეჟიმისაგან სრულიად მოულოდნელი იყო, კომუნისტებს ეგონათ, სადავეებს ვერასოდეს ვერავინ გამოგლეჯდა ხელიდან. როგორც ვნახეთ, გამოგლიჯეს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტიურად გამოგლიჯეს და დღის წესრიგში ახლა ამ ფაქტის იურიდიული გაფორმებაა, რაც, ეჭვი არაა, მალე მოხდება და ის ხალხიც, რომელიც რეჟიმს კომუნიზმის მშენებელი იდეოლოგიზებული საზოგადოება ეგონა, კვლავ სუფთა ფურცლად, იდეოლოგიის ნეიტრალურ ჭურჭლად იქცევა, თუმცა, როგორც მარიხი და მედეა ამტკიცებენ... გახსოვს მედეა?

- აბა მედეა? - ოდნავ მოგუდული ხმით მკითხა მამაჩემმა.

- ერთი ფუმფულა მედეა იყო ჩემს კლას-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ში, ვარდოსანიძე...

– აა! ვიცი. აქტიური კუტუბიძისტია.

– ალბათ ასეც შეიძლება ითქვას... ერთი სიტყვით, ხალხი, რომელიც ყოველთვის ცარიელი ქვევრი იყო, უკანასკნელ ხანებში, როცა, როგორც ის მედეა და ეს ჩვენი მარიხი ნიშანდობლივი ხმაშეწყობით იტყოდნენ, კომუნისტური სიბნელე გაიფანტა და ეროვნული მზის შუქზე ყველა დაფარული გაცხადდა, კიდევ უფრო დაცარიელდა. ახალი ძალა ამ მზამზარეულ ქვევრს საკუთარი იმპულსებით აავსებს.

მამაჩემმა კვლავაც მშვიდად მომისმინა, მაგრამ პასუხს რომ მაძლევდა, ოდნავ შეფერხდა, თითქოს მის სიმშვიდეს გზად რაღაც მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეხვდა.

– ხალხზე ასე ლაპარაკი არ შეიძლება,– თქვა წყნარად, მაგრამ ცოტა გაუცხოებული ხმით, – ხალხი ბრძენია.

მამაჩემი, რაც თავი მახსოვს, ყოველთვის მეტისმეტად პატიოსანი იყო, და, რაკი მოვალეობის გრძნობაც ძალზე განვითარებული ჰქონდა, გარემოებათა სპეციფიკა რომ ფარისევლობას დაავალებდა, ამ დავალებასაც პატიოსნად ასრულებდა.

– ისტორია არ ადასტურებს ხალხის სიბრძნეს. ისტორია იმას ადასტურებს, რომ ხალხს არაფერი ისე არ სწადია, როგორც საბელი და პალო. კომუნისტები, ერთი სიცრუე რომ გამოუჩნდებოდათ, დასაფარავად ზედ მეორე სიცრუეს ადებდნენ, სიმართლეს პრინციპულად ერიდებოდნენ. არადა, სტრატეგიული თვალსაზრისით, სიმართლე ყოველთვის უფრო მომგებიანი უნდა იყოს, ხალხი ბრბოა.

– შენ მაგ ხალხში არ შედიხარ და მაგ ხალხის ნაწილი არა ხარ? – ჯერ კიდევ წყნარად მკითხა მამაჩემმა, ოღონდ ახლა ეს სიწყნარე ხაზგასმული იყო და შიგ სევდა ერია.

– არა, – მივუგე მე, – მე ამ ხალხის ნაწილი არა ვარ.

ამის თქმა ადვილი არ იყო, მაგრამ უეცრად გულში გამკრა, ხომ შეიძლება ასეთი საუბრის საშუალება მეტად აღარ მოგვეცესმეთქი. გაბედულება ამ ეჭვმა შემმატა, განხორციელებისთვის საჭირო ასპარეზი და ნიადაგი კი ზემოთ ნახსენებმა შინაურუცხო დამოკიდებულებამ გამიმზადა. და მე, ესოდენ ხელსაყრელი წინაპირობებით წაქეზებულმა, ბუნდოვან გულისთქმას, რომელიც სადღაც გრძნობისა და გონების საზღვარზე თუხთუხებდა და არც კი ვიცოდი, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს, ვერბალური ფორმა მივეცი. ახლა, როცა მამაჩემის სამოქმედო ბერკეტებსაც შინაურუცხოობის ურთიერთმაკონტროლებელი ძალები მართავდა, ეს მაინცდამაინც დიდი რისკი არ იყო: როგორც კი ამ ძალების შინაური ნაწილი როყიოდ პირდაპირი პასუხის წამოსროლას დააპირებდა, უცხო ნაწილი თავშეკავების ხელს წამსვე პირზე ააფარებდა. ათიდან ცხრა შემთხვევაში უსათუოდ ასე იქნებოდა, ხოლო ათიდან ერთი შემთხვევა მე ყოველთვის განგებისთვის მაქვს მინდობილი და თქვენც გირჩევთ ასე მოიქცეთ, თუ არ გინდათ ცხოვრება სულ მთლად დუბელად გექცეთ.

მამაჩემმა შემომხედა და ერთხანს უხმოდ მიცქირა. ბოლოს თქვა (და მისი სიმშვიდის ბუნებრიობაში ამ დროს ეჭვის შეტანა ძალზე ძნელი იყო):

– ცდები, იაკობ. ხალხი ნამდვილად ბრძენია და „კოლექტივი" ნამდვილად საამაყო სიტყვაა. საამაყოცაა და საჭიროც. დაქუცმაცებულ და დათითოკაცებულ ქვეყნიერებას, სადაც ყველა თავისი საკუთარი ჭკუით ცხოვრობს, განვითარება არ უწერია: ერთი ჭკუა მარცხნივ მოინდომებს წასვლას, მეორე მარჯვნივ, ერთი წინ, მეორე უკან, ერთი ზევით, მეორე ქვევით, ერთი ალთას, მეორე ბალთას, საბოლოოდ ვერც ერთი ვერ გადასძალავს და ყველა ერთ ადგილას იტრიალებს. ქვეყანა რომ განვითარდეს, ხალხი კოლექტივად უნდა ჩამოყალიბდეს და ერთი იდეით გამსჭვალულ და ერთი მიზნით შედუღაბებულ მასად შეიკრას, და თუ იდეა წმინდა იქნა და მიზანი ნათელი, კაცობრიობა სწორ გზას დაადგება. ყველაზე სპეტაკი იდეა კომუნიზმის იდეაა და ყველაზე ნათელი მიზანი კომუნისტური საზოგადოების აშენება. კომუნისტური მანიფესტის ბადალი ქვეყანაზე არაფერი დაწერილა. სამწუხაროდ, შემსრულებლებმა დაგვაღალატეს. გითხარი, მისი არ იყოს, კომუნიზმის მშენებლობა ნაადრევად დაიწყო: კაცობრიობას ჯერ სამყოფი ზნეობა არ ჰქონდა მოგროვილი. როცა ქვეყნიერებას ზნეობა აკლია, იქ დიდ იდეას ყოველთვის საკადრო პოლიტიკა დაღუპავს, ეს იცოდე. ზემოთ გვიმტყუნეს კადრებმა, თავში, თორემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი, იცოცხლე, კი იყო მუშტად შეკრული.

- ეს ეტყობა ჩვენი შებრკოლების პუნქტია, სადაც საერთო ენას ვერ გამოვძებნით, - ვუთხარი მე პასუხად, - იქნებ ჩანაფიქრის მიხედვით, გლობალურად და ისტორიულად, ხალხი მართლა ბრძენია, ამდენი მე არ ვიცი, მაგრამ იმ კონკრეტულ ეპოქაში, რომელშიაც ვცხოვრობთ, ის კონკრეტული ხალხი, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს, იდეოლოგიური ზიარჭურჭელია, ცარიელი ქვევრი, ბრბო, ფარა.

- და შენ ამ ხალხის ნაწილი არა ხარ ხომ? - ისევ მკითხა მან და ხმის კილოში სკეპტიციზმი იმ დოზით შეურია, რაც საკმარისია (მაგრამ მხოლოდ საკმარისი და მეტი არა) საიმისოდ, რომ შეკითხვაში შემკითხველის პასუხიც ივარაუდო. მერე, ჩემდა სასიხარულოდ (მე აღარ მინდოდა ამ პრობლემაში ჩაღრმავება და მამაჩემის ხელახალი დაინტერესება ცუდად მენიშნა), შეუსვენებლად დასძინა, - მარიხი? მარიხზე რას იტყვი?

- მარიხს რაღაცა ხომ არ აწუხებს, მამა? - ცოტა უნამუსოდ, მაგრამ ვფიქრობ საკმაოდ მარჯვედ გადავიყვანე მე საუბარი სხვა ხნულში, - კიდევ უფრო გამხდარა.

- აპაჰ! - როგორც გამართული მატარებელი კარგი მეისრის ხელში, ისე თვინიერად გადავიდა მამაჩემი ჩემს მიერ გამზადებულ ახალ რელსზე, - დიდი ხანი რომ არ გინახავს, იმის ბრალია, თორემ როგორიც იყო, ისევ ისეთია. მაგ კი არა, ბოლო ხანებში ცოტა მგონი მოიკეთა კიდეც.

- ვითომ? - ყოველი შემთხვევისთვის, მტკიცედ დავაფიქსირე მე ახალ თემაზე გადასვლა.

- როცა ამნაირი შავ-შავი ქალები მოჰყავს, მაშინ მართლა უფრო გამხდარი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია, - თქვა მამაჩემმა და ისე, რომ არც კი უცდია ამ უცნაური დებულების ახსნა, განაგრძო, - როცა საქმროსთან ერთად მოვა - ამ საღამოს მოვა ალბათ, მაგრამ ამ საღამოს შენ სახლში არ დახვდები; ბიძაშენთან იქნები - მაშინ მოკეთებული ჩანს.

მამაჩემი ბუნებრივი და ნეიტრალური კილოთი ლაპარაკობდა, ყოველ შემთხვევაში, ირონიისა არაფერი შეტყობია.

- საქმროსთან ერთად?.. ხუმრობ?..

- რას ვხუმრობ, ვარლამი ქვია სახელად!

მე მცირე პაუზა დამჭირდა, ვიდრე ლაპარაკს განვაგრძობდი.

- ვინ არის? - ვკითხე მერე, - რა კაცია?

- რევოლუციონერია ისიც. წუწუნავას მარჯვენა ხელი ყოფილა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე დაახლოვდნენ. ისე ნოტარიუსია. ძალიან მაწუხებს ეს ბეჭი, ხომ იცი!

- ბეჭი?

- მარჯვენა. გამჭოლი ტკივილია რაღაც; ძარღვს მიჰყვება.

- ხომ არ გაგიცივდა? ექიმს არ ეჩვენე?

- არა, - თქვა მამაჩემმა და მოულოდნელად გაიცინა, - ერთი ღირსება კი აქვს მარიხს.

- რატომ ბევრი არა აქვს!

- საჩემოს ვამბობ. ახლა ხომ ყველა სათავისოს ლაპარაკობს! ერთი საჩემო ღირსება ნამდვილადა აქვს: რომ მოვკვდები, მიტირებს.

ვაღიარებ, რომ ჩემი „ხომ არ გაგიცივდა?“ და „ექიმს არ ეჩვენე?“ ვერ იყო მთლად იმ ხარისხისა და იმ გულწრფელობის თანაგრძნობა, როგორსაც, საფიქრებელია, მამაჩემი მოელოდა (ვინ იცის, სამართლიანადაც), მაგრამ რას ვიფიქრებდი შეფასებას თუ ესოდენ შეუფარავი და გამჭვირვალე ქარაგმით გამოხატავდა!

წამით კალაპოტიდან ამოვვარდი და მგონი ცოტა უხერხულადაც შევიშმუშნე. მართალია, მამაჩემმა უხერხულობა ხელადვე გაფანტა, მაგრამ გაფანტა იმით, რომ კიდევ უფრო მძიმე უხერხულობის წინაშე დამაყენა.

- ამ დედაშენსაც, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო!

მე ვიგრძენი, რომ იგი ახლა ისეთ კუთხეში მიპირებდა მიმწყვდევას, სადაც სულელური არჩევანის გაკეთება მომიხდებოდა მასა და დედაჩემს შორის (თქვენ ვისკენ ბრძანდებით, ქალბატონებო და ბატონებო, დედა უფრო გიყვართ თუ მამა?). ამას, ცხადია, ვერ ვიზამდი. არადა, მამაჩემს რომ იმ პრეტენზიების, ბრალდებების, საყვედურების, მოთხოვნების, რეკლამაციების ჩამოთვლა მოესწრო, რომლებიც, აშკარად ჩანდა, ბლომად მოეგროვებინა, ეჭვი არაა, ორთავენი გამოუვალ ჩიხში მოვექცეოდით. მეორე მხრივ, რაკი პირველი ნაბიჯი გადადგა და დაწყება გაბედა, ახლა მისი შეჩერება იმ ძალის გარდა, რომელმაც შეაჩერა, არა ძალას არ შეეძლო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, კაცმა არ იცის,

სადამდე შევტოპავდით და, სადაც შევტოპავდით, იქიდან როგორ გამოვაღწევდით, მოულოდნელ მხსნელად რომ - ძალიანაც ნუ გაიკვირვებთ - ბიძაჩემი არ მოგვევლინოდა.

მართლაც, ერთი იმ მცირერიცხოვან სიკეთეთაგანი, რაც ბიძაჩემს ჩაუდენია (ძირითადად უნებურად), ისიც იყო, რომ სწორედ ამ კრიტიკულ ჟამს დარეკა და მამაჩემს გეგმები ჩაუფუშა.

ტელეფონი კუთხეში, პატარა მაგიდაზე იდგა საფერფლის გვერდით და მამაჩემმა მას ამრეზით გახედა.

- აიღე, - მითხრა მერე, - ბიძაშენია.

- რა იცი? - ცრუ დაეჭვებით ვკითხე მე.

ბიძაჩემს ისეთი კილო ჰქონდა, ბარე ორ გენერალს შეეხარბებოდა, ხოლო როცა ბრძანებაც გამომიცხადა - მანქანითა და სრული სამგზავრო აღჭურვილობით დაუყოვნებლივ აქ გაჩნდიო, მის გენერალურ კილოში ისეთი ინტონაციები გაკრთა, აშკარა იყო, რაღაც დიდი და საპატიო დავალება მელოდა, რომელსაც წარმატების შემთხვევაში შესაძლოა ჩინის მომატებაც კი მოჰყოლოდა. ეს ოპტიმისტური კვესება ბოლოში სიტყვიერადაც გაამაგრა:

- აჰა, გეძლევა შანსი - ვინ იცის, ერთადერთი - მცირეზე ამაღლდე და დიდს მოეჭიდო. სამშობლო უკვე იმ ზღვარზე დგას, როცა შეუძლია ყველა ერთგული შვილი მსხვერპლად შეიწიროს. მაშ, ნუღა დააგვიანებ.

ყურმილი რომ დავდე, მე და მამაჩემი ერთხანს ჩუმად ვიყავით და ჩვენი სიჩუმე დაძაბული იყო. ბოლოს მამაჩემმა თქვა:

- შენი გულის მესაიდუმლე ყოველთვის ბიძაშენი იყო. არ ვიცი, რა ანდამატი აქვს ამითანა. კი მინდოდა ერთი გულდაგულ მელაპარაკა შენთან, მაგრამ არა უშავს...

- დავრჩები, თუ გინდა, არ წავალ... - არც ისე მტკიცედ ვთქვი მე.

- წადი, - მიპასუხა მამაჩემმა, - სხვა დროს იყოს. ნაჩქარევად და ნაძალადევად მაინც არ ივარგებს ჩვენი ლაპარაკი. იქნებ მერე გამოგიჩნდეს დრო. ხვალ, ზეგ... როცა იქნება. გინდ დღე, გინდ ღამე. თუ იმოვი დროს, რაღაც-რაღაცა მინდა გითხრა, სანამ თბილისში დაბრუნდები. მერე რა ვიცი, იქნებ ვეღარც მოგვიხერხდეს...

მამაჩემს უნდოდა ეთქვა, ახლა თუ ვერ მოვასწარით დალაპარაკება, შემდეგ ჩამოსვლაზე ეგებ ცოცხალს ვეღარც ჩამომისწრო, მაგრამ მოერიდა და ზედმეტი პატიოსნების გამო ისეთ მორცხვსა და ბუნდოვან ფრაზას დასჯერდა, რომელიც, თუკი მოიწადინებთ, თამამად შეგიძლიათ ვერც გაიგოთ. ზედმეტი პატიოსნება (შესაძლოა უფრო სწორია ითქვას - სპეციფიკური პატიოსნება) მისი ცხოვრების ნიშანდობლივი ხაზი იყო. ამიტომაც ვერ გაიკეთა ის კარიერა, რასაც მის ადგილას ასიდან ყოველი ოთხმოცდათვრამეტი „მუშაკი" იკეთებდა. მას, განსხვავებით კომუნიზმის სხვა მშენებელთაგან, ზნეობა ჰქონდა მოგროვილი, რომელიც ერთთავად ფეხებში ებლანდებოდა და მოძრაობას უშლიდა. ზემოთ გითხარით, სახლში არაფერი ეკითხებოდა-მეთქი. ეს სიმართლეა, მაგრამ უბედურება არ არის, პირიქით, თუ კაცი მოხერხებული ხარ და არც მაინცდამაინც საოჯახო გრძნობიერება გახრჩობს, ამგვარი ვითარებიდან სარგებელიც კი შეიძლება გამოადნო. მამაჩემის მთავარი და გაუმხელელი - აწ გავამხილოთ - ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ არც სამსახურში ეკითხებოდა რამე. იერარქიულ ჯაჭვში იგი ერთი იმ მცირერიცხოვან რგოლთაგანი იყო, რომლებიც ქილეტის ღილებს უფრო გვანან, ვიდრე ჯაჭვის რგოლებს: არავითარ გავლენას არ ახდენენ არავისზე და არაფერზე, არც ზედა მეზობელ რგოლზე, არც ქვედა მეზობელ რგოლზე, არც - მით უფრო - დანარჩენ რგოლებზე. მამაჩემი ფაქტიურად იზოლირებული იყო იმ ჯაჭვისგან, რომელშიც ფორმალურად ჩაბმული იყო და საბოლოო ანგარიშით ნათელი მომავლის მშენებელთა ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელსაც საკმარისი საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა კი ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ მინიჭებული არ ჰქონდა ამ მდგომარეობის შემდგომი გაფართოების შანსი. მისი ყველა ენერგეტიკული (თუნდაც სულიერი ვთქვათ) იმპულსი ამ იზოლირებულ რგოლში იბადებოდა, ტრიალებდა და აქვე ამთავრებდა თავის ზომიერ არსებობას. ყველაფერი ამის მიზეზი ის იყო, რომ - როგორც ზემოთ აღვნიშნე - ზნეობა ჰქონდა მოგროვილი. ზნეობა ისეთი რამ არის, რასაც თუმც ჩუმ-ჩუმად ყველანი დავცინით, ხმამაღლა აუგად მოხსენიებას ვერ ვუბედავთ; ამიტომ ოფიციალურად იგი არასოდეს იკრძალებოდა და არც არაოფიციალურად იყო ადვილი მისი ასე გვერდმომპალი მსხალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მოწყვეტა და გადაგდება. მეორე მხრივ, ცხადია, მამაჩემს ვერც იმის ნებას მისცემდნენ, თავის ჭკუაზე ენავარდა და ეს მეტიჩარა ზნეობა დანარჩენ რგოლებში დაებანდებინა. მართალია, ზნეობით შეპყრობილი კაცი ცოტათი ყოველთვის სახიფათოა და თვალყურის დევნებასაც საჭიროებს (განსაკუთრებით პოლიტიკურ მოსახვევებში), მაგრამ თუკი ლოკალიზებული და იზოლირებული გყავთ, ხიფათი მინიმალურია და შესაბამისად თვალყურის დევნებაც მსუბუქი კმარა, მით უმეტეს, რომ - ცინიზმში არ ჩამომართვათ და - პატიოსნების ტყვეობაში მოქცეულ კაცზე თვალყურის დევნების დიდი წილი თამამად შეგიძლიათ მისსავ პატიოსნებას დააკისროთ. სამაგიეროდ რეჟიმმა რომ ერთ მშვენიერ დღეს ფეხქვეშ ნიადაგი ველარ იგრძნო და ჩაძირვა დაიწყო, რის გამოც მონოლითი დაიბზარა და განტევების ვაცების (ზოგი ამ უწყინარ ცხოველებს „გაშვების თხებს" ეძახის) მოძებნა შეიქნა საჭირო, პირველ ყოვლისა სწორედ ეს ფიქსირებული და იზოლირებული რგოლები იქნა განწირული. ეს სავსებით ბუნებრივი იყო და, თუ კარგად დავუკვირდებით, სამართლიანიც. მართლაცდა, როცა რაიმე იდეისა თუ სისტემის უარყოფას ვაპირებთ, პირველი იერიში სწორედ ორთოდოქს მორწმუნეებზე უნდა მივიტანოთ. თაღლითებმა წამსვე გამოაცხადეს, არა გვწამდა, ვთაღლითობდითო, და ერთი ნახტომით მოწინააღმდეგე ბანაკში გაჩნდნენ, რათა მერე, თუ ფარა ისევ შემობრუნდებოდა, იგივ ნახტომი უკუმიმართულებით შეესრულებინათ. მამაჩემისთვის არასოდეს მიუციათ ჯილდო იმის გამო, რომ გულით სწამდა. არც ეკუთვნოდა (თუმც ნდომით კი, სულო ცოდვილო, უნდოდა). ჯილდოს მსხვერპლის გაღებაში იძლევიან, ხოლო მსხვერპლი იმათ გაიღეს, ვისაც არ სწამდა და მაინც იძახდა, მწამსო, ვისაც სწამს, მისთვის რწმენაა ყველაზე დიდი ჯილდო. ისიც სავსებით კანონიერია, რომ ბოლოს, წყალი რომ შეუდგათ, პირველ ყოვლისა მამაჩემი და მამაჩემისნაირები გასწირეს - ასეთი უსამართლობა როგორ იწამეთო. საერთოდ, ყოველივე ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ცხადსა და მარტივ ჭეშმარიტებას, რომ პატიოსნება სიბრიყვის ბაღში ამოსული ყვავილია, რომელსაც არც ფერი აქვს, არც სუნი და არც დანიშნულება, მაგრამ მამაჩემი ამ დროს უკვე სამოცდათორმეტი წლისა იყო. ეს ცოტა არ არის. თუ თქვენ სამოცდათორმეტი წლის განმავლობაში გულდაჯერებით, პატიოსნად და რწმენით თხრიდით მიწას, ვინაიდან მაღლით ხმა ჩაგესმათ, თხარე, თხარე და მალე დღის სინათლეზე გამოხვალო, მაგრამ სამოცდათორმეტი წლისას ახლა სხვა ხმა ჩაგესმათ, რას შვრები კაცო, ეგრე ხომ უფრო ღრმად ჩადიხარ ხაროში, ვერა ხედავ უკუღმა თხრიო, თქვენ პირველი, გარდაუვალი თავზარდაცემის შემდეგ, განსჯის უნარი რომ დაგიბრუნდებათ, ერთს ქურდულად მიმოიხედავთ და მერე ისეთი სახით განაგრძობთ თხრას ძველი მიმართულებით, თითქოს ის მეორე ხმა სულაც არ გაგიგონიათ. და რაც უფრო პატიოსანი ხართ, და რაც უფრო მცირე დრო დაგრჩათ სიცოცხლის ბოლომდე, მით უფრო მეტია შანსი, რომ სწორედ ასე მოიქცევით. ბოლოს და ბოლოს, ორივე ხმა საეჭვოდ ჰგავდა ერთმანეთს, სიმართლე კი კაცმა არ იცის რა არის.

და მაინც: შეძლებდა მამაჩემი ამ ახალი ხმის უწყვეტ ფონზე სიცოცხლის ბოლომდე ერთგულ და უკანასკნელ დარაჯად დადგომოდა ღრმად ჩაფლავებულ ძველ იდეას, რომელსაც მტერმაც და მოყვარემაც შესაშური ტემპით და შესაშური ერთსულოვნებით შეაქცია ზურგი?..

და თუმცა ოჯახური ტრაგედია, რომლის გათამაშებასაც კეთილსინდისიერად ცდილობდა, ვინაიდან წარმოსახვით ეგონა, მართლა ტრაგედია აღმოჩნდა (რაც ვითარებას კარდინალურად ცვლიდა). მე ჩემს წმიდათა წმიდა ვალად მიმაჩნდა, ბიძაჩემის დაძახილს დაუყოვნებლივ გამოვეხმაურებოდი, ან, სხვანაირად რომ ვთქვა (ვინ იცის, ეგებ ასე უფრო ზუსტად და გასაგებადაც გამომივიდეს), მე ჩემს წმიდათა წმიდა ვალად მიმაჩნდა, როგორც კი ბიძაჩემი ჩემს სახელს ახსენებდა, წამსვე მასთან გავჩენილიყავ.

ალბათ არსებობენ ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, ბედის მიერ არიან დაჩაგრული. თუ არსებობენ, მამაჩემი მათ რიცხვს მიეკუთვნება.

- წავიდეთ, დიეგო, - მითხრა ბიძაჩემმა, - ხედავ, დღე რა თბილია, ცა რა მაღალი და მზე რა ბრწყინვალე! ეს ნიშანია იმისა, რომ პირტიტველა ჰერმესი მფარველობას გვპირდება. მართალია, ამ უწმაწურ დროში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ის შეძლება, ადრე რომ ჰქონდა, ალბათ აღარ ექნება, მაგრამ, თუ პრაქტიკულად ხელს ვერაფრით გაგვიმართავს, მორალურ მხარდაჭერას ხომ არ მოგვაკლებს და ესეც რამეა.

მაშინ მე ვკითხე:

- მართლა, ბიძია იო - ჰერმესზე გამახსენდა - შენ ვისკენა ხარ?

ბიძაჩემმა დამანამუსებლად შემომხედა.

- პროფესორი დიდებულიძისკენ; ვისკენ უნდა ვიყო! შენ?

- პროფესორი დიდებულიძე ვინ არის?

აქ ბიძაჩემს სახეზე ისეთი გამომეტყველება დაედო, ლენჩიც კი მიხვდებოდა, რომ კითხვის ასე დასმა ჩემის მხრივ მორალური და ინტელექტუალური კაპიტულაციის ტოლფასი იყო. ამიტომ სწრაფად დავძინე:

- ეს ის ცნობილი მესამეა, ბიცოლა ია, შენ რომ მიხსენე?

- კი, - თქვა ბიცოლაჩემმა, - ღმერთი სამებითაა.

- ეგ სხვა სამებაა, - განვუმარტე მე და ისევ ბიძაჩემს მივუბრუნდი, - თავად პროფესორი დიდებულიძე ვისკენაა?

ბიძაჩემმა მხრები პრეტენზიულად აიჩეჩა.

- ჭეშმარიტებისკენ.

მე სახტად დავრჩი.

- რაჲ არს, ბიძია იო, ჭეშმარიტება?

- შენი უმეცრება ადვილი ასახსნელია, - მიპასუხა ბიძაჩემმა, - შენი ცნობისწადილი ღრმად ბუნებრივი; ვიდრე საკუთარი თვალით არ ნახავ პროფესორ დიდებულიძეს, რომც გითხრა, მაინც არ დამიჯერებ, რომ ჭეშმარიტება ის არის, რისკენაც პროფესორი დიდებულიძეა, და ეს ჭეშმარიტების ყველაზე ზუსტი და ამომწურავი განმარტებაა.

- ბიძია იო...

- დროს უნაყოფოდ ნუღა დავკარგავთ. აქ ლოგიკური წრფეები, გონებაჭვრეტითი მეთოდი და, საერთოდ, სპეკულატიური აზროვნება სწორ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს. სწორ დასკვნას რომ მიაგნო, შენ ახლა ემპირიული სოკო გჭირდება, რომელიც ნაწვიმარ ტყეშია. ასე რომ, ვახსენოთ ღმერთი და გავუდგეთ გზას.

- მითხარი მაინც სად მიგყევარ.

- ხომ გითხარი!

- არ გითქვამს.

- ორჯერ გითხარი. სოფელ ეწერში.

- ეწერში?!. - მე წამით გავშრი, - აგაშენა ღმერთმა! მაშ ვიჩქაროთ, თორემ შემჭამა ამ გიჟდათიკომ თავისი გამქრალი ეკლესიებით.

- რომელმა გიჟდათიკომ? - სავსებით პატიოსნად შეიჭმუხნა შუბლი ბიძაჩემმა და ამ პატიოსანი შუბლის დანახვაზე მივხვდი, რომ ჩემი ეფემერული ეჭვი უსაფუძვლო იყო; დათიკოს საქმიანობასთან მას არაფერი ჰქონდა საერთო. მაშინ ჩავეკითხე:

- ეწერში რა გვინდა?

- უკვე ორი კვირაა პროფესორი დიდებულიძე ეწერში გველოდება. დროა ადგილი გამოვუცვალოთ.

მე დავეჭვდი.

- მართალს ამბობს, ბიცოლა ია?

- არ დაიჯერებ, დედა, და მართალს ამბობს. იქა ჰყავს გადამალული.

მე და ბიძაჩემი რომ მანქანაში ვსხდებოდით, ბიცოლაჩემი კიბის ძირას იდგა ძლიერ კონცენტრირებული და ოდნავ სევდიანი სახით. მერე ჭიშკარს რომ გავცდით და ქუჩაში გავედით, გრძელი ქაქეტის ჯიბიდან ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო, მაგრამ ამასობაში სახლების მწკრივი ჩამოგვეფარა და ველარ დავინახე, თვალთან მიიტანა, ცხვირთან თუ სულაც ჩვენ დაგვიქნია.

- რომელ უფსკრულში გადაიჩეხა სანაკლიო? - დაუყოვნებლივ დავსვი მე მთავარი კითხვა, როგორც კი მარტონი დავრჩით.

მაგრამ ბიძაჩემმა, ასე ვთქვათ, ჩემს კითხვას არც კი დახედა და გაუხსნელად დამიბრუნა უკან:

- რომელ უფსკრულში გადაიჩეხა?

- მე მეკითხები?

- ჰო. არ გკითხო?

- შენ რატომ უნდა მკითხო, როცა მე უნდა გკითხო! მე გამოგიგზავნე ის გაალმასებული დეპეშა, რომელშიც შავით თეთრზე ურცხვად ეწერა, სანაკლიო უფსკრულში გადაიჩეხაო, თუ შენ გამომიგზავნე?!

- მე გამოგიგზავნე; ამას ფოსტაშიც დაგიდასტურებენ; მაგრამ სიტყვა „უფსკრული" აქ გადატანითი მნიშვნელობით ვიხმარე.

- გადატანითი მნიშვნელობით რომ იხმარე, მაგას დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა, მაგრამ იმას როგორღა მივმხვდარიყავი, თუ კერძოდ რა მნიშვნელობით იხმარე?

- ჰოო... - ნეტარების ტკბილი და გაგრძელებული ბგერები ამოუშვა ბიძაჩემმა, - მაგას ვერ მიხვდებოდი... - მერე ულვაშებში ჩაიღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმა და კმაყოფილი თანაგრძნობით დასძინა, - დიდხანს იჭყლიტე ტვინი?

მაგრამ იმ თემის გაღრმავება, რომელიც, აშკარა იყო, ბიძაჩემს სიამოვნებას ანიჭებდა, მე არ მოვისურვე.

- პროფესორი დიდებულიძე ვინაა?

- სიბრძნეს, დიეგო, რამდენიმე ნიშანდობლივი მახასიათებელი აქვს. ერთი მათგანი ისიცაა, რომ იგი სულსწრაფი არ არის. თუმცა, შენი ხნის რომ ვიყავი, ვერც მე დავიკვეხნიდი - და თუ დავიკვეხნიდი, კვეხნა გამომივიდოდა - დიდ სიდინჯესა და მოთმინებას. იცოცხლე, ცივილიზაციის განვითარებისთვის ისა სჯობს ბიძა ყოველთვის კარგ მაგალითს აძლევდეს დისწულს, მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა და ხანდახან ცუდი მაგალითით უნდა გავიდეთ ფონს. ეს დიდი უბედურება არ არის: თუ სწორად მოიხმარ, არც ცუდი მაგალითია ცუდი. ეს ჩემი ცუდი მაგალითი, მაგალითად, იმაში მაინც გამოგადგება, რომ იმედი არ დაკარგო, ან ყოველ შემთხვევაში ნაადრევად არ დაკარგო. სანამ პროფესორ დიდებულიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საიდუმლო ჭაში ჩაიხედავ, მანამ მოდი კითხვა ასე დავსვათ: რატომაა რომ ჩვენს ღვთივკურთხეულ ქვეყანაში თითქმის ყველაფერია, რასაც კი გამოთქმა „ბუნებრივი სიმდიდრე“ შეიცავს - უღაბნოებიც, მარადიული ყინულებიც, ჭიათურის მაღაროებიც, ალპური ზონაც, სუბალპურიც, როგორც ამბობენ, ურანიც, ჭიუხებიც, ზღვაც... ყველაფერია და მხოლოდ ვულკანი არ არის? ჰა, რატომ? რატომ მაინცდამაინც ვულკანი დაგვაკლო მაღალმა ღმერთმა? ხომ არ იმალება აქ რაიმე წინასწარგანზრახულობა? - მერე, რაკი მე პასუხი დავაგვიანე, ფიქრებში წასულმა ტკბილი ოცნებით განაგრძო, - არადა, რას დაგვამშვენებდა ერთი ვულკანი! პირდაპირ მოგვენათლავდა! უვულკანო საქართველო, დიეგო, ნაკლულოვანი საქართველოა.

- რას ამბობ, ბიძია იო! ჩვენ კიდევ ვულკანი გვინდა, ყოველი ქართველი ისედაც მოთუხთუხე ლავითაა გატენილი! ან რა ისეთი სიმდიდრე ვულკანია, რომ სანატრელი გაგვიხდა? რაში გამოვიყენებთ?

- რაში აღარ გამოვიყენებთ! სხვა თუ არაფერი, მწვადებს მაინც შევწვავთ. მწვადებსაც რომ თავი დავანებოთ - თეორიულად ვამბობ - მარტო ის რად ღირს, გათოშილი მონადირე რომ ღამე ხელ-ფეხს ეროვნულ ვულკანს მიუფიცხებს! არადა, მთავარი არც ეს არის. საზოგადოდ, შენ ვულკანის ფასი არ გესმის და, როგორც ვხედავ, არ გესმის ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ პროფესორ დიდებულიძეს არ იცნობ და მეორე - ვულკანზე საჭირო გულმოდგინებით არასოდეს გიფიქრია. არადა, საკმარისია სულ ერთი წამით - ოღონდ ღრმა და სრული კონცენტრაციით - წარმოიდგინო, რომ რომელიმე მაღალი მთის კარგად ამოკრატერებული წვერიდან გამუდმებით - დღისითაც და ღამითაც - ამოდის მოცისფრო კვამლი, რომელიც შენი ქვეყნის ყველა წერტილიდან მოჩანს, რათა მიხვდე, ურთიერთსიყვარულისა და ეროვნული სიამტკბილობის რა მძლავრ იმპულსს ბადებს ამგვარი საერთო-ეროვნული ბუხრის ცქერა, რომლის კვამლი ყველას, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს პატრიოტული გრძნობა, ერთი მხრივ მშობლიურობის ქრუანტელისმომგვრელი განცდით ავსებს, ხოლო მეორე მხრივ წარღვნითა და სიკვდილით ემუქრება! მარტო ეს კმარა ხომ იმისათვის, რომ კაცმა ვულკანი ინატრო? ახლა სხვა მიზეზებიც ვნახოთ. აბა, მიიხედე უკან... ანდა ნუ მიიხედავ, წინ იყურე და ისე, მიუხედავად წარმოიდგინე, რა მოჩანს ახლა ჩვენს უკან. ჩვენს უკან ახლა მოჩანს მტვერში ამოგანგლული და ნაგვით მოვარაყებული სანაკლიო. და როცა უფალი ღმერთი - ცხადია, ეს ქრისტიანების ღმერთს არ ეხება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მონოთეიზმი გვარიანი მიქარვაა - რაიმე საპატიო მიზეზით, ვთქვათ, იმის გამო, რომ პატრიოტები და დემოკრატები მეტისმეტად მომრავლდნენ, ამ ქალაქის აღგვას გადაწყვეტს პირისაგან მიწისა, რატომ უნდა დასჭირდეს ატომის სადგურის ან ტექნიკის სხვა მსგავსი სახიფათო სიტყვის აფეთქება? ყველაფერს რომ თავი დაანებო, ეს უხეში მატერიალიზმია, რომელსაც ჭეშმარიტ ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი კაცისთვის ობისა და იელოვას სუნი ასდის. ვულკანს რა სჯობს! ჯერ ერთი, ადამიანის ინტელექტუალურ ნაცოდვილართან შედარებით, რაგინდარა მაღალი ხარისხისა იყოს ეს ნაცოდვილარი, პრომეთეოსის ინსპირაცია, პერმანენტული სტიქიონი და დასაბამიერი ჩირაღდანი, გაცილებით ესთეტიურია. დააკვირდი და განსაჯე: განა სანაკლიო - მსგავსად სტაბიუმისა და პომპეუსისა - ლავისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფერფლის სქელი ფენით, ვითარცა უხვად მოსული თოვლით, თანაბრად დაფარული, ათასჯერ უფრო ლამაზი არ იქნება, ვიდრე ეს ნაგავია, უკან რომ - შენ ნუ მიიხედავ, შენ წინ იყურე - მოვიტოვეთ!

- განგებას არ ეკადრება წვრილმანი შურისმაძიებელივით ჩასაფრება და კრიჭაში დგომა, - მივუგე მე, - ზედმეტი ყურადღება ყველა ვითარებაში მავნებელია. შექმენი ადამიანი? ძალიან კარგი. მაშ შენი მისია ამოწურულად ჩათვალე და თავი დაანებე. თვითონ მოძებნოს საკუთარი გზა. მოძებნის კიდეც, ზედმეტი მეურვეობა და უფასო ვექილები არ სჭირდება. ყველაფერს ისე მოაგვარებს, როგორც მოეთხოვება, როგორც იმსახურებს და როგორც ბედისწერის მიერაა განსაზღვრული. ყველაფერს თავისით იზამს, თავისით განვითარდება და, როცა ბოლოში გავა, თავისით მოიკლავს თავს, რათა განგების ფარული ჩანაფიქრი აღსრულოს და საკუთარი ნება ფიქციად გამოაცხადოს. დაე ააგოს ატომის სადგური. იმან ააგოს, ჩვენ კი მისი საქციელი სასწორზე დავდოთ. რა არის ატომის სადგური? ან - არსზე ლაპარაკმა რომ ძალიან არ შეგვიყოლიოს - რა არის ატომისსადგურობა? პასუხი ერთია: რადიაციული აფეთქება. გრძნობად სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, ატომის სადგურის დასასრული რადიაციული აფეთქებაა. ეს მისი ბედია. რამდენიც აშენდება, იმდენი აფეთქდება. ხოლო აშენებით იმდენი აშენდება, რომ აფეთქებათა ჯამმა აუფეთქებელი არაფერი დატოვოს. რადიაციული სიკვდილი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჰექტარ-ჰექტარ მოედება დედამიწას, ბოლოს ჰერმეტულ ქერქად შემოეკვრება და გაგუდავს. ეს ძნელი მისახვედრი არ არის; ასე რომ თქმა იმისა, თითქოსდა ადამიანს, როცა ატომის სადგურს აშენებს, შეგნებული არა აქვს, რომ დედამიწის სისხლში სასიკვდილო შხამი შეჰყავს, სიცრუეა. რა გრძელი მსჯელობა იმას უნდა, რომ გონება, რომელსაც არ შეუძლია ეს გაიგოს, ვერც ატომის სადგურს ააშენებს, და პირიქით, გონება, რომელსაც ატომის სადგურის აშენება შეუძლია, იმასაც მიხვდება, რომ ატომის სადგურის აშენებით სიცოცხლის მოსპობას ემსახურება. უკვე მესმის, ბიძია იო, შენი შემპარავი კითხვა, რომელიც მაღალირონიული ეჭვითაა შეკაზმული: „თუ იცის, მაშ რატომღა აშენებს?“ და წინდაწინ გაძლევ პასუხს: იმიტომ, რომ არ შეუძლია მაღლით მოცემულ ბრძანებას გადავიდეს. ანუ იმიტომ აშენებს, რომ, მისი განვითარების სქემაში თვითმკვლელობის იმპულსია ჩადებული. ანუ იმიტომ აშენებს, რომ სიცოცხლე სპექტაკლია და მას ფინალი სჭირდება. შემეცნების უკანასკნელი და უმწვერვალესი მონაპოვარი - რომ ადამიანის ცნობიერება სასრულია, იზოლირებული, ჩაკეტილი, და სხვა, უფრო მაღალ ცნობიერებასთან დამაკავშირებელი არა არხი არა აქვს - ყირაზე აყენებს მანამდე მოპოვებულ ყველა ცოდნას. აქედან აგრეთვე ზოგი დამატებითი წანამძღვრიდან - გამომდინარე, თვითმკვლელობის იდეა, რომელიც ქაოსში იბადება, გადარჩენის ერთადერთი შანსია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე გაუგებარი რჩება, თუ კერძოდ რის გადარჩენაზე ვლაპარაკობთ. მეორე მხრივ თვითმკვლელობის იმპულსის აღმოჩენა უკვდავებისკენ ბუნებრივ-ფსიქოლოგიურ სწრაფვას წმინდა შემოქმედებად აქცევს. მოვა დრო და ამისთვის მადლს შევწირავთ უფალს, მანამ კი ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გარემოებით აიხსნება ყოფის ორგვაროვნებაცა და იდუმალებაც: ლოგიკა, რომელიც უნებურად, მაგრამ ულმობლად ამტკიცებს ცნობიერების სასრულოვნებას, შეხვეულია შემოქმედების დასაბამიერ ღველფში და - კარგად დაუკვირდი - სწორედ ამ ღველფიდანაა ამოსული ის ნახევრადღმერთერული ალი, მაყვლის ბუჩქს რომ ერთხელ ილუზორულად წაეკიდა... მაგრამ ეს იქით იყოს. მოკლედ, შეიძლება ითქვას, თუმცა ადამიანმა კარგად იცის, რომ იმ ტოტს ჭრის, რომელზედაც ზის, მაინც ჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის, და ის რომ არ ჩამოვარდეს, ცალი ხელით ღმერთს ებღაუჭება, რომელიც მაინცდამაინც არა სწამს. ასეთ ვითარებაში აფეთქება საუკეთესო პარადოქსია... და ვატყობ, ატომის სადგურს მაინც გავცდი და სხვა მორევში გადავვარდი, მაგრამ ისიც იანგარიშე, რა ხანია ამ საკითხზე ჩემი გარდამავალი მოსაზრება არ გამომითქვამს.

- ვიანგარიშე, დიეგო, - მითხრა ბიძაჩემმა, - საერთოდ, ყურადღებით მოგისმინე, კიდევ ერთხელ დავაკვირდი ცენტრალური და პერიფერიული ტვინის შენეულ სისტემას და დავასკვენი, რომ თუმც კი ამოსავალ ცნებათა ლოგიკური მიმართულებანი ადრეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტადიაზევე კვეთენ ერთმანეთს და ამით მიზეზისა და შედეგის შემაერთებელ წრფეს ამრუდებენ, რაც დროდადრო მენტალურ ბარბაცში მჟღავნდება, სხვა მხრივ არა გიშავს რა, ოღონდ ეცადე, თავი მაინც ამოყო ხოლმე ბურუსიდან, რათა ეგ შენი მოსაზრებები შეუიარაღებელმა თვალმაც დაინახოს. რაც შეეხება ვულკანისა და ატომის სადგურის შედარებით დახასიათებას, ატომის სადგური ხელოვნური წარმოშობისაა, ხოლო ვულკანი – ბუნებრივი წარმოშობისაა, მიგიქცევია ყურადღება, რა პრიმიტიულად რთულია ატომის სადგური, რა საწყალობლად ჩახლართული და რა მოუხერხებლად შეკოწიწებული, და რა სადაა ვულკანი, რა ნათელი, რა ლაღი?! ხოლო სილამაზე, ისევე როგორც ჭეშმარიტება – გეცოდინება – მარტივშია საძიებელი და არა რთულში. მრავალი და, შეიძლება ითქვას, ურიცხვი საბუთი შემიძლია მოვიტანო იმის დასამტკიცებლად, რომ ვულკანს არა ერთი და ორი სხვა უპირატესობაცა აქვს ატომის სადგურის, წყალბადის ბომბის, ხელოვნური მიწისძვრისა და სხვა კინეტიკური მოვლენების წინაშე, მაგრამ მათი ჩამოთვლა საჭიროდ არ მიმაჩნია: ეჭვიანი კაცისთვის, რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. ოღონდ ის კი უნდა დავძინო, რომ, როცა ვულკანი ვინატრე საქართველოში, იმიტომ კი არ ვინატრე, რომ ეს დიდებული სტიქიონი სანაკლიოს ლამაზი და დემოკრატიული განადგურებისთვის გამოვიყენო. მე სხვა მიზეზი მაქვს, რომელიც პროფესორ დიდებულიძეს უკავშირდება.

– როგორ?

– მეტი თვითკონტროლი, დიეგო. სულ რამდენიმე წამის წინ გისაყვედურე სულსწრაფობა და სულ რამდენიმე წამს არ გაგყვა კეთილი რჩევა. ელემენტარულ გამოცდას ვერ უძლებ.

– ელემენტურ. ცხადია, მე კვლავაც მშვიდად, აუღელვებლად და კეთილმოსურნედ განვაგრძობ შენს წურთნას; თან გზადაგზა იმ განსხვავებასაც დაგანახვებ, რაც სიბრძნის სფეროში დღესდღეობით მე და შენს შორის არსებობს და იარსებებს მანამ, ვიდრე სულსწრაფობაზე ამაღლდები და მოთმინების მეცნიერებას შეითვისებ. მართალია, თუ დანარჩენი წახნაგებიც არ ალესე და წამახე, ეს მაინცდამაინც დიდი მონაპოვარი არ იქნება, მაგრამ იმას კი იზამს, რომ ბრძენის გარეგნული სახე შეგიქმნას, რასაც – პირდაპირ ვთქვათ – შინაგან სახეზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ქვეყნად ისეთი არაფერი ხდება, რომ აჩქარება გაამართლოს. როცა შენი თვალით ნახავ პროფესორ დიდებულიძეს და ღირსებისამებრ დააფასებ, მერე სალაპარაკოც მეტი გვექნება. პროფესორი დიდებულიძე რომ რომელიმე ეპიზოდური ფიგურა იყოს, თუნდაც პირველხარისხოვანი პერსონაჟი, მერწმუნე, ამ თემას ასე პირწმინდად არ გამოვეკიდებოდი და შენც ასე საფუძვლიანად არ მოგამზადებდი. მაგრამ პროფესორი დიდებულიძე პირველხარისხოვანი პერსონაჟი არ არის – აღარაფერს ვამბობ ეპიზოდურობაზე – პროფესორი დიდებულიძე ერთი ისტორიული კვანძთაგანია, კვინტესენციაა, რომელიც ეპოქად იშლება და პიროვნებად იკეცება იმისდა მიხედვით, თუ საიდან შეხედავ და რა თვალით შეხედავ.

– ვისაც გაშლი, მეტ-ნაკლებად ყველა ეპოქად გაიშლება და, ვისაც დაკეცავ, ყველა პიროვნებად დაიკეცება. ეს სიცოცხლის თვისებაა. განსაკუთრებით – ცნობიერი სიცოცხლის.

– მეც მანდა ვარ. მეც სწორედ მეტ-ნაკლებობაზე გელაპარაკები და არა თვისებაზე. ყველა ერთნაირად არ იკეცება და – მით უმეტეს – არ იშლება. როდესაც დიდი სოკრატე თავისი ინტელექტის უწმინდესი ბადით ფილოსოფიურ მორევში თევზაობდა, იმ დროს საბერძნეთში მეთევზეები ბუზებივით ირეოდნენ, ხოლო მიზეზი იმისა, რომ სოკრატე ორაგულებს იჭერდა, სხვები კი ჭიჭყინებს, სწორედ „მეტ-ნაკლები“ ინტენსივობა იყო. პროფესორი დიდებულიძე ისეთი ღრუბელია, რომელსაც დიდრონი პორები აქვს და ეპოქის იდუმალ წვენში რომ ჩაყოფ, აურაცხელ ინფორმაციას იწოვს (სხვათა შორის – და ეს კარგად დაიხსომე – არა მარტო ფილოსოფიურს), ხოლო როცა ხელს მოუჭერ, შეგიძლია ეს ინფორმაცია უდანაკარგოდ ჩაწურო ჯამში ან სხვა, შენთვის უფრო სასურველ ჭურჭელში.

– გენიოსია? – ვკითხე მე.

– ჯერჯერობით მეტის თქმა მეტი იქნება. ისედაც ბევრი გამოგვივიდა. ეს საკრალური თემაა, დიეგო, და მასზე ფართო და მასშტაბური ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება როცა ობიექტს იხილავ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, როცა სიტუაცია იმდენად მყუდროა

და კამერული, რომ კონცენტრაციის მინიმალურ საშუალებას მაინც იძლევა. აქ, ტრასაზე, სადაც ერთ მხარეს ტყემლებია სიგრძივ ჩამწკრივებული, ხოლო მეორე მხარეს ავტოინსპექტორები, ასეთი თემის დამუშავება მიზანშეწონილი არ არის. აგერ, სოფელი ეწერიც გამოჩნდა.

სოფელი ეწერი, რომელიც თავისი ზვრებით, ხეხილის ბაღებითა და ერთ და ორსართულიანი სახლებით ხევგაღმა, მაღალი მთის ვაკე ფუძეზე იყო გადაშლილი, რაც გამოვიარეთ, იმ სოფლებისგან არაფრით გამოირჩეოდა. სახელწოდებაც კი, როგორც ქართული ენციკლოპედიის მეოთხე ტომის სათანადო ადგილის გასინჯვამ თავის დროზე დაგვარწმუნა, მთლად საკუთარი და ინდივიდუალური არა ჰქონდა. ეს სახელწოდება ათ სოფელზე ნაწილდება და თუ რიქრაჯის დათიკო ერთდროულად ყოველი მათგანის მკვიდრია და, როცა მელაპარაკებოდა, ყველა მათგანის რწმუნება ჰქონდა, მაშინ, რაოდენ უსიამოვნოც უნდა იყოს, სიტყვა „მისტიკის“ ხსენება მომიწევს, ხოლო თუ მხოლოდ ერთი რომელიმე ეწერის შვილი იყო და თავისდაუნებურად ათუცნობიანი განტოლება შემომაჩეჩა ხელში, ისღა დაგვრჩენია, სინანული გამოვთქვათ, რომ სოფელმა ეწერმა ესოდენ პასუხსაგები მისიის აღსასრულებლად თავის წიაღში უფრო გონებაგახსნილი ვერავინ იპოვა.

– მარცხნივ! – მიკარნახა ბიძაჩემმა და მე ტრასიდან გადავუხვიე. ერთხანს გზა აქეთაც მოასფალტებული იყო, მაგრამ მერე, ხიდი რომ გადავიარეთ, ხევს გავედით და სოფელს მივატანეთ, ასფალტი ვიწრო შარაგზამ შეცვალა, რომელსაც ორთავ მხარეს ბაღები და ვენახები მისდევდა.

– თუ ესეც ნაჩქარევი შეკითხვა არ არის, ბიძია იო, და სიბრძნისაკენ მიმავალ გზას ძალიან არ ჩამიხერგავს, მართლა გადამალული გყავს, როგორც ჩვეული პირდაპირობით თქვა ბიცოლა იამ, ის შენი პროფესორი დიდებულიძე?

– გადამალული მყავს, – თავი დამიქნია ბიძაჩემმა.

– ვის უმალავ?

– პროფესორი დიდებულიძე – რაკი რჩევა-დარიგების ყადრი ვერ გაიგე და ყველა სხვა სიამოვნებას სულსწრაფობა გირჩევნია – მრავალ შესადარებელს შეიძლება შევადაროთ და იმის მიხედვით, თუ რომელს შევადარებთ, ერთი და იმავე არსის სხვადასხვა თვისებად წარმოვიდგინოთ. შენს კითხვასაც, შესაბამისად, სხვადასხვა პასუხი გაეცემა. მაგალითად, თუ მარგალიტს შევადარებთ, მაშინ იმას ვუმალავ, ვინც მარგალიტს ღორებს უყრის; თუ ოქროს ზოდს შევადარებთ, მაშინ იმას ვუმალავ, ვინც ოქროს ზოდებს ჭაში ჰყრის, რათა წყლის დონე აამაღლოს, თუ ვაზს შევადარებთ, მაშინ იმას ვუმალავ, ვინც ვაზს ჰყიდის და აღებული ფულით კირსა და შაბიამანს იმარაგებს, რათა ვაზი შეწამლოს. ახლა არ მოესწრება და სხვა დროს, როცა მოცალეობა მეტი გვექნება, თუ გამახსენებ, ამასთან დაკავშირებით ერთ იგავს გიამბობ, იგავს ოთხი ფილოსოფოსი მონისა, რომლებიც რომაელ სენატორს ტახტრევანით დაატარებდნენ. ჭკუისსასწავლებელი იგავია, შენც გამოგადგება. პროფესორმა დიდებულიძემ კი თითქმის შეუძლებელი შეძლო: სანაკლიოს მთელ მოსახლეობას, ყველა სოციალურ ფენას, ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა ასაკს, ყველა რჯულს, ყველა რასას და ყველა კანის ფერს თანაბრად შეაძულა თავი. საუბედუროდ, დრო შეესწრო ცუდი. გაწონასწორებული და წესრიგიანი ქალაქი რომ შეგიძულებს და გაგინაპირებს, იცოცხლე, კარგია და სახალისო, მაგრამ გონებაარეულ ქალაქში, სადაც ყველა ერთიმეორის მოსაკლავად იწევს, მარტო დარჩენა საშიშია. ამიტომაც გადავმალე.

– ეს სოფელი შემთხვევით აირჩიე თუ რაიმე ჩანაფიქრი გაქვს?

ბიძაჩემმა წამით დაფიქრებით შემომხედა და მარცხენა ყური მოიფხანა.

– განგებას თუ რამე უდევს გუნებაში, არ ვიცი, მე თვითონ კი არავითარი განსაკუთრებული ჩანაფიქრი არა მქონია. უბრალოდ, რამდენიმე ვარიანტი გამომიჩნდა, რომელთა შორის ეს ყველაზე ხელსაყრელი მეჩვენა. ჩემი ერთი ძველი პარტნიორი ცხოვრობდა აქ – პოკერს ვთამაშობდით ხოლმე ერთად – მერე მიატოვა და ქალაქში დაფუძნდა, რადგანაც ბანქო და სოფლის მეურნეობა ერთმანეთს ვერ შეუთავსა. მშვენიერი კარგი ადგილია. თანაც სოფლის ბოლოსაა, სულ განაპირებში. საგანგებოდ მოვლენილ აგენტსაც კი დაეზარება იქამდე მისვლა.

მართალს ამბობდა. მაგალითად, მე რომ საგანგებო აგენტი ვყოფილიყავი, ნამდვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა


დამეზარებოდა... თუმცა ეს იმაზეც იქნებოდა დამოკიდებული, რამდენს გადამიხდიდნენ. ასეა თუ ისე და ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, მალე სოფლის ბოლოში გავედით, სადაც შარაგზა მთავრდებოდა. უფრო სწორი იქნება ვთქვა, შარაგზა აქ, აღსასრულის მოახლოებას რა გრძნობდა, მარჯვნივ უხვევდა და ცდილობდა სიკვდილს ვიწრო ორღობედ გადაცმული დამალვოდა, მაგრამ განწირულის ეს უკანასკნელი მეცადინეობაც ვერას შველოდა და ორმოციოდე მეტრს იქით აღარარსებობის დიდსა და ამწვანებულ მინდორში ინთქმებოდა.

ორღობეს, როგორც ორღობის წესია, ორსავ მხარეს ღობე მისდევდა, საიდანაც ორი პატარა სახლი, ორი პატარა ეზო, ორი პატარა კარმიდამო ჭიშკრებით, აივნებითა და სარკმლებით ერთმანეთს შესცქეროდა. ეს სახლები სოფლისგან ოდნავ განცალკევებით იდგნენ, როგორც გახდილი ფეხსაცმელები ჩეროში წამოწოლილი პატრონისგან. სახლებს იქით, როგორც გაკვრით უკვე ვთქვი, ამწვანებული მინდორი იყო (მე მინდორში ლურჯი ყვავილებიც დავინახე), რომელიც თანდათან მაღლდებოდა და ბოლოს მთის კალთაზე შეფენილ ხშირ ტყეს ერთვოდა.

– აქ კარგი ჰაერია, – აღნიშნა ბიძაჩემმა, მანქანა რომ გავაჩერე და გადმოვედით.

ერთი ამ ორ სახლთაგან, კერძოდ ის, რომელიც ხელმარჯვნივ, სოფლის მხარეს იდგა, ბიძაჩემის მოპოკერე პარტნიორს ეკუთვნოდა. ამის მიხვედრას დიდი ჭკუა და გულთმისნობა არ სჭირდებოდა, თვალის ერთი გადავლება კმაროდა, რომ ბანქოსა და სოფლის მეურნეობის შეუთავსებლობაში დავრწმუნებულიყავით. დაბალ ბოძებზე შემდგარი ფიცრული სახლი ცალ მხარეს ისე გადაბრეცილიყო, ერთი წიხლი რომ გეთავაზებინათ, წამსვე ნასახლარად იქცეოდა. სახურავიდან ქარსა და უამინდობას ყავარი სანახევროდ უკვე აეყარა. მოზრდილი აივანი მოაჯირის დამპალი ნაშთით იყო მოვარაყებული და ზედ ასასვლელ ერთადერთ საშუალებას მისადგმელი კიბე წარმოადგენდა. სახლის წინ მთელ ეზოში უხვად აბიბინებული მაღალი და ხასხასა ბალახი ნათლად მოწმობდა მიწის ჩინებულ ხარისხსა და დიდ თეორიულ შესაძლებლობას. სახლის უკან, ნაკვეთის მთავარ ნაწილში, სადაც ერთ დროს ვაზი უნდა ყოფილიყო, ახლა დამცირებული, შეურაცხყოფილი, აბუჩად აგდებული და ჩაწიხლული ნავაზარიღა დარჩენილიყო – გადაზნექილი, გადაღუნული, გადაქცეული, უხარდნო და უჭიგოო, გაუსხლავი და გაუფურჩქნავი, უწამლო და უშაბიამნო, უკვირტო და უნაყოფო, საწყალობელი რამ მცენარე, რომელსაც სარეველა ბალახი ხარბი გააფთრებით შესეოდა, როგორც ჭიანჭველა სისხლისგან დაცლილ მეომარს.

არავინ იფიქროს, რამეს ვაჭარბებდე, ან იმ პატიოსან კაცს ვამტყუნებდე, აქაურობის აზარტულ პატრონს. ღმერთმა დამიფაროს ფარისეველთა ცოდვისგან! პოკერი მეც მითამაშია და კარგად ვიცი, რაოდენ გადაულახავია ფსიქოლოგიური ზღუდეები, რომლებიც ამ დროს წარმოიქმნება ხოლმე. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ბედისწერა ყოველთვის არ ითვალისწინებს ადამიანის შესაძლებლობებს და ხშირად ისეთი არჩევანის წინაშე აყენებს, სადაც შეგნებას ფეხი უცურავს და ბურთი და მოედანი გულისთქმას რჩება, ხოლო ამ სახლის სავალალო შესახედაობას საგანგებოდ (თითქოს გამომწვევადაც) უსვამდა ხაზს მოპირდაპირე სახლ-კარი, რომელსაც ჩემი მაშინდელი (მერმინდელიც) ვარაუდით ყველაზე უკეთ მიესადაგებოდა და ყველაზე კარგად განსაზღვრავდა სიტყვა „კოპწია“.

თუმცა იმ სახლთან ჩვენ არა გვესაქმებოდა რა და ამიტომ ისევ ამ სახლს მივუბრუნდეთ.

ცალფა, ვიწრო ჭიშკარს, რომელსაც მხოლოდ ზედა ანჯამაღა იჭერდა და ამიტომ გვერდულად და მობრეცილად ეკიდა, როგორც გამოუცდელი ჯალათის ხელით ჩამოხრჩვალი ბოროტმოქმედი, ბიძაჩემი მძლავრად მიაწვა. ჭიშკარმა პასუხად წვრილი, მაღალი, გულის გამგმირავი ხმა გამოსცა. მე მოველოდი, რომ პრ. დიდებულიძე – საერთოდ, ნებისმიერი სულიერი, ვინც კი ერთი კილომეტრის რადიუსში იმყოფებოდა – ამ ხმის გაგონებაზე დაფეთებული მოვარდებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და მე და ბიძაჩემი მშვიდობიანად შევედით ეზოში. ბიძაჩემმა ცოტა შეიცადა, მერე კი, რახან არავინ გამოგვეხმაურა, გუნებაში ღმერთი ახსენა და ვერტიკალურად – ყოველ შემთხვევაში, თითქმის ვერტიკალურად მიდგმულ კიბეს შეუყვა. ბევრი კი იკრუსუნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საბოლოოდ აივანზე მაინც ავიდა. აივანი შედარებით იოლად გადაჭრა, დაბალი კარი შეაღო და გაუჩინარდა.

მალე უკანვე გამოვიდა.

– შინ არ დაგვხვდა, – მაქსიმალურად მხნე კილოთი მითხრა, რათა უსაფუძვლო ეჭვებს არ შევეპყარი, – ეტყობა ტყეშია წასული სასეირნოდ. აქ დაველოდოთ და, თუ ფათერაკი არაფერი შეემთხვა, მალე დაბრუნდება.

– სასაფლაო სადაა? – ვკითხე მე ამაზე.

– რა სასაფლაო? – გაუკვირდა ბიძაჩემს.

– ჩვეულებრივი. აფთრებისა და ანთროპოლოგების საყვარელი ადგილი. ხომ ექნება სოფელს სასაფლაო?

– რად გინდა სასაფლაო? – შუბლშეჭმუხვნით გადმომხედა ბიძაჩემმა აივნის არც თუ ისე დიდი სიმაღლიდან, რის გამოც მე წამით – ჩემდაუნებურად, რადა თქმა უნდა – წარმოვიდგინე, თითქოს ეს ღრონჩოღრო აივანი სახალხო თეატრის სცენა იყო და ბიძაჩემი – არ ვიცი კი, რა ძალა ადგა – რომელიღაც სუსტ კომედიაში მეხთამტეხი იუპიტერის როლს ასრულებდა, რაც მისი ამპლუა არ იყო.

– ისე. მაინტერესებს სოფლის სასაფლაოები.

ბიძაჩემი ერთხანს დაჟინებით მიყურებდა და თვალებიდან ეჭვებს აფრქვევდა. მერე თქვა:

– მე მეორედა ვარ ამ სოფელში. ერთხელ მაშინ ჩამოვედი, პროფესორი დიდებულიძე რომ ჩამოვიყვანე; მეორედ ახლა ჩამოვედი, როცა პროფესორი დიდებულიძე უნდა წავიყვანო. აბა რა ვიცი, სად არის სასაფლაო! სადმე ალბათ იქნება – უსასაფლაოდ სოფელი არ ვარგა – მაგრამ, მე თუ მკითხავ, ეს ისეთი პრობლემა არ არის, დროის დაკარგვად ღირდეს.

ბიძაჩემი თან – პარალელურად – კიბეზე ჩამოსვლას შეუდგა, რაც ასვლაზე უფრო რთული და სახიფათო პროცედურა გამოდგა და დროც მეტი დასჭირდა, თუმცა ბოლოს და ბოლოს ყველა დაბრკოლება წარმატებით გადალახა. მე დაველოდე, ვიდრე უკანასკნელ საფეხურსაც ჩამოსცდებოდა, და მერე ვკითხე:

– იმ სახლში ვინ ცხოვრობს?

– არ ვიცი, – უკმაყოფილო კილოთი მიპასუხა მან, – როცა პროფესორი დიდებულიძე ჩამოვიყვანე, არავინ დამინახავს. ახლაც არავინ ჩანს. ეტყობა – თუმც ეს მთლად უნაკლო ინდუქცია არ არის – არავინ ცხოვრობს.

– ძალზე ნაკლულოვანი ინდუქციაა, ბიძია იო, დაფეხვილი და დაცხავებული ინდუქციაა. შეიძლება არავინ ცხოვრობდეს სახლში, რომელიც ასეთი მოვლილია?! შეხედე?

– მართალი ხარ, – მითხრა ბიძაჩემმა, – მაგას ველარ მივაქციე ყურადღება. ვაღიარებ, რომ მართალი ხარ. სხვათა შორის, სიბრძნის ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი ისიცაა, რომ შეცდომის აღიარებისა არ ეშინია. ესეც დაიხსომე. სადმე და ოდესმე უეჭველად გამოგადგება. ეჭვი არაა, მაგ სახლში ვიღაც ცხოვრობს. თუ მუდმივად არა, მცირე წყვეტილებით კი მაინც. გულით მიხარია, რომ დროდადრო სწორ დასკვნებს აკეთებ. – აქ ბიძაჩემი დაიხარა, მცირეოდენი კვნესით მიწაზე დაჯდა და მეც მიმიპატიჟა, – დაჯექი დიეგო. ადამიანი ხშირ-ხშირად უნდა იჯდეს მიწაზე, რათა უკეთ იგრძნოს მიწა. მიწა უპირველესია ელემენტთა შორის. ანთეოსიც რომ არ ვახსენოთ, რომელიც, გაკვრით ვთქვათ, დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა, საამისო საბუთი ისედაც ბევრია. ვინც ამას უარყოფს და წინა პლანზე სხვა რომელიმე ელემენტს წამოსწევს, ვთქვათ ცეცხლს, მწარედ ცდება. მიწაა ადამიანის დედა. დედას კი ვერავინ შეედრება, მათ შორის, ვერც მამა, – აქ ბალახის ღერო მოგლიჯა, ერთხანს უცქირა, მერე კიდევ ერთხანს ხელში ატრიალა, ბოლოს პირში გაირჭო და კიდევ უფრო ღრმააზროვანი კილოთი განაგრძო, – ადამიანი მიწაზეა გაჩენილი და რაც უნდა იყოს მისი გაჩენის მიზეზი – მაიმუნი, ენგელსი თუ კოსმოსიდან შემოტანილი სპეცთიხა – მთავარია, რომ იგი მიწაზეა გაჩენილი. ხოლო მიწა – ეს იცოდე, დიეგო – ნაკლისწყლის პირასაც ის არის, რაც ევფრატის პირას, მიწა ყველგან ერთია. ყველგან მშობლიურია და ყველგან წმინდა.

სწორედ ამ დროს შარაგზაზე ქალი გამოჩნდა, რომელიც სოფლის მხრიდან მოდიოდა.

ქალი ხანშიშესული იყო, ტანმორჩილი, გამხდარი და ჭაღარა. ტანთ ბამბაზიის ხალათი ეცვა, რომელიც სოფლის ზოგად იერსახეს ჰარმონიულად ეხამებოდა, მაგრამ თავზე ლურჯი ბერეტი ეხურა, რომელიც ამ ეფემერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ჰარმონიაში სერიოზულ ბზარს აჩენდა. მაღლით მზე დაჰნათოდა და ფონად მწვანედ გაფოთლილი ვერხვები და ხეხილის ბაღები მოჰყვებოდა. ჩვენ რომ შეგვნიშნა, ნაბიჯს მოუჩქარა და სულ მალე ორღობეში შემოუხვია...

თუმცა უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში (რომ აღარაფერი ვთქვათ სიცოცხლის დანარჩენ ნაწილზე) ერთთავად მყიფე, ნისლოვანი, მოუხელთებელი და სწრაფვამდინარე გარემო მერტყა ირგვლივ, მკაფიოდ და ცნობიერად მხოლოდ ახლა დავუშვი ვარაუდი, რომ ადამიანი, ვინ იცის, მართლა არარეალურ სამყაროში ცხოვრობს.

– ღმერთო, დიდებულო! – აღმომხდა უნებურად, – ეს ხომ მამიდა ნუცაა!

– ვინა? – უნდოდ იკითხა ბიძაჩემმა.

– მამიდა ნუცა, – მივუგე მექანიკურად, თან ქალს ვუყურებდი.

– დიეგო, – მითხრა მაშინ ბიძაჩემმა ძალზე რთული კილოთი, რომელშიც დიდაქტიკური უკმაყოფილება, შემწყნარებლური ყვედრება, საჩვენებელი თანაგრძნობა, კეთილმოსურნე ქირდვა, შემღვრეული ოპტიმიზმი, რბილად აქცენტირებული შეუპოვრობა, დანის პირზე მომუშაითე იმედი და კიდევ რამდენიმე შედარებით ბუნდოვანი შტრიხი ისე მოხერხებულად იყო შეზავებული და ისე ეშმაკურად დალაგებული, რომ საბოლოო ჯამში საკუთარი უპირატესობის მაღალსა და ელვარე გუმბათს ქმნიდა, – ქვეყანა რომ უფლის კონტროლს დაუსხლტება, რაც ჟამიდან ჟამზე გარდუვალია, და ვაგლახად დაიწყებს ბუყბუყს, ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, ბნელში დაბმული ძაღლები ავუშვათ და ფსიქიკის უფსკრულიდან ამოტყორცნილ ცეცხლის ენებს ტვინი მივუშვიროთ. სიბრძნის ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი ისიცაა, რომ კატაკლიზმებში არ მონაწილეობს, ცალკე კონცხზე დგას და, აპოკალიპსის თანამედროვე, აპოკალიპსს მომავლის დაწმენდილი თვალით შეჰყურებს. ეს ბრძენის ვალია. აბა რას ჰგავს, მითხარი ერთი, შენი საქციელი ასეთ ნატიფ ფონზე?! გამოჩნდა თუ არა აპოკალიპსის შორეული ძლივშესამჩნევი, ვინ იცის ჯერ კიდევ ოდენ თეორიული ნიშნები, ხან ბიძია დათიკო გაბოდებს, ხან მამიდა ისა... ვინა?

– ნუცა.

– თუნდაც.

– ჯერ ერთი, დათიკო ბიძია არ არის, ბიძია იო, ბიძია შენც მეყოფი და ისეთ რამეს, რაც არ მითქვამს, ნუ მომაწერ. მეორეც, კატაკლიზმები და აპოკალიპსები აქ არაფერ შუაშია, ეს ქალი მამიდა ნუცაა.

– შენ რომ მამიდა არა გყავს, დიეგო? – ფსიქიატრის შემპარავი კილოთი დამიყვავა ბიძაჩემმა.

– მე თუ არა მყავს, სხვასა ჰყავს.

– ვინ სხვას? სხვას თუ ჰყავს, მაშინ უნდა თქვა არა „ეს ქალი მამიდა ნუცაა“, არამედ „ეს ქალი სხვისი მამიდა ნუცაა“.

– ეს ქალი სხვისი მამიდა ნუცაა, ბიძია იო.

ბიძაჩემმა ამის პასუხად ღრმა და მრისხანე ათვალწუნებით შემომხედა.

ამასობაში ქალი, რომელიც ჩვენი ესოდენ მწვავე კამათის საგანი შეიქნა, ახლო მოვიდა და კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, რომ იგი მამიდა ნუცა იყო: მე კარგად მახსოვდა ორი დანარჩენი მამიდა და ისიც კარგად ვიცი, რომ ასეთი მსგავსება სხვანაირად არ აიხსნება.

როდესაც სულ ახლო მოვიდა და ორ მოპირდაპირე ჭიშკარს შუა აღმოჩნდა, იმის ნაცვლად, რომ იქითა ეზოში შესულიყო (ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იქითა ეზოში შევიდოდა, ვინაიდან ძალზე საეჭვოა ასეთი ასაკისა და გარეგნობის ქალს პოკერის მოთამაშესთან, რომელიც დამატებით ბიძაჩემის ამფსონიც იყო, რამე საერთო ჰქონოდა, სხვა სახლი კი, როგორც გითხარით, ამ ორღობეში არ იდგა), მოულოდნელად ჩვენს ეზოში შემოვიდა, რამაც ბიძაჩემი აიძულა სასწრაფოდ ზეზე წამომდგარიყო და ქუდი მოეხადა.

– თქვენ ალბათ იონა კამკამიძე ბრძანდებით, – უთხრა მამიდა ნუცამ იონა კამკამიძეს.

ხმა დანარჩენ მამიდებს არ უგავდა და – ნუ გაიკვირვებთ – ამან საბოლოოდ დამარწმუნა მის მამიდანუცობაში: საქმე ის გახლავთ, რომ ხმა, რომელიც დანარჩენი მამიდების ხმას არ ჰგავდა, ძალიან ჰგავდა სალომეს ხმას.

მე ბიძაჩემს გავხედე და იგი წამით გაკვეთილიდან გაპარულ მოწაფეს ვამსგავსე, რომელსაც დერეფნის ბოლოში დირექტორის მოადგილე შემოეყარა. ამან სანახაობას ერთბაშად საწამლავის ფერი მისცა,

მაგრამ ბიძაჩემმა, მისდა სასახელოდ, მოწაფის ნაში და მერძნობიარე ტყავი მალევე შემოიფცქვნა და ცოტა ხნის შემდეგ სახეზე დაქლაჯა სიამაყე დაეფინა, რომელიც სწრაფად იკრებდა ძალებს, რათა შემორჩენილი დაბნეულობა სულ მთლად განედევნა და მდგომარეობის განუყოფელი ბატონ-პატრონი გამხდარიყო.

– დიახ, ქალბატონო, – სავსებით მხნედ უპასუხა ბოლოს და ნიშნისმოგებით გადმომხედა, – იონა კამკამიძე. და თუ ასეთ მწირ მსხვერპლს არ იუკადრისებთ, – ბოლომდე გაჰალა გალანტურობის დროშა, – თქვენი ყურხთა მტვერი და მონა-მორჩილი. ხოლო ეს შედარებით ახალგაზრდა ვაჟი – იგი მწერალი და ენათმეცნიერია – ჩემი დისწული გახლავთ. დისწული და, გარკვეული თვალსაზრისით, შეგირდი, რომლის წვრთნა, ნათესაურ მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ, ერთი სიამოვნებაა.

წარდგენის პასუხად მამიდა ნუცამ წამით შემომხედა და ისევ ბიძაჩემს მიუბრუნდა, მაგრამ მერე, ლაპარაკი რომ უნდა გაეგრძელებინა და საამისოდ პირიც კი გააღო, რაღაცამ შეაფერხა. გაღებული პირი ისევ მოკუმა, წარბის თავები ერთმანეთისკენ მიაჩოჩა (საკმაოდაც მიუახლოვა და კიდევ ერთხელ, ამჯერად გამომეტყველებით, დაემსგავსა სალომეს) და ისევ შემომხედა. ახლა უფრო მეტი ყურადღებით დამაცქერდა და თვალებში გაკვირვება ჩაუდგა, თითქოს, ჩემი არ იყოს, მანაც მიცნო და, ჩემი არ იყოს, ეს უცნაური შეხვედრა მანაც იმის ნიშნად მიიჩნია, რომ ადამიანი არარეალურ გარემოში ცხოვრობს.

ყველაფერი ეს ძალიან სწრაფად მოხდა, ალბათ იმის მესაედი დროც არ დასჭირვებია, რაც აღწერას დასჭრიდა. მერე მამიდა ნუცა ისევ ბიძაჩემისაკენ მიტრიალდა.

– და აქ ბატონ პრომეთეოსს ჩამოაკითხეთ.

– დიახ, ქალბატონო, – ძალზე აღელდა ბიძაჩემი, – და ეს თქვენის მხრივ ჭეშმარიტი გულთმისნობაა! განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთი დასკვნის საბაბი, ჯერჯერობით მაინც, არ მოგვეცია.

– საბაბი არაფერ შუაშია, – შენიშნა მამიდან ნუცამ, – ეს წუთია თქვენს მეუღლეს ტელეფონით ველაპარაკე.

ბიძაჩემი სახტად დარჩა. მეც სახტად დავრჩი.

– თქვენ გინდათ თქვათ, ქალბატონო, – დაფიქრებით დაიწყო ბოლოს ბიძაჩემმა, – რომ იმ სახლში ცხოვრობთ, – თითი გადაღმა სახლისკენ გაიშვირა, – და ტელეფონი არა გაქვთ?

– ტელეფონის უქონლობა რა სალაპარაკოა, ჩემო ბატონო, აქ ისეთი მეზობლობა იციან, დარეკვაზე უარს ვინ მეტყვის! მთავარი თქვენი ნომრის გაგება იყო და ბედად იოლად გავიგე. ჩვენებს აღმოაჩნდათ, წარმოგიდგენიათ?! ჩემი საბრალო ღვთაებრივი ნატო!.. გულმაც მიგრძნო და ტანმაც მიაზრა, რომ საქმეს სხვანაირი პირი უჩანდა, მაგრამ რა მექნა! თანაც ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, დროც აღარ დამრჩა გონება მომეკრიბა. წამობრძანდით (აქ ხელი გადაღმა, თავისი სახლისკენ გაიშვირა), ცოტა დაისვენეთ, ხილი მიირთვით, მეც ყველაფერს დალაგებულად გიამბობთ.

ბიძაჩემს სახე თანდათან ელრუბლებოდა და ამ დროისათვის უკვე იმ ზომამდე ჰქონდა მოღრუბლული, პაროლი „ხილი მიირთვით“ რომ არა, ადვილი შესაძლებელია – ენდეთ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას – გალანტურობის ყელმოღერებული დროშა ლექსიკურ წუმპეში ისეთი უწმაწური ტყაპანით ჩავარდნოდა, მის შხეფებს მთელი იდილია მოეთხვარა. ამ თვალსაზრისით, ხილის ხსენება ძალზე დროული კი გამოდგა („ხილში“ ხომ მარტო ხილი არ იგულისხმება) – ბიძაჩემს ნაკვთები ცოტა გაეშალა და გალანტურობაც უცენზურო სიკვდილს გადაურჩა – მაგრამ საქმეც ის არის, რომ ცოტათი გაეშალა; ღრუბლების საბოლოოდ გასაფანტავად ეს არ კმაროდა. მართლაც, სულ მალე ბიძაჩემის ნაკვთების მოძრაობაში უკუპროცესი დაიწყო და ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან მამიდა ნუცას მონათხრობში – ამას ლენჩის მეტი ყველა დაინახავდა და ზოგი, ალბათ, ლენჩიც დაინახავდა – რაღაც დაუკონკრეტებელი და დაუფოკუსებელი, ჯერ უცნობი, მაგრამ უკვე გარდუვალი ხიფათი იდო, რომელსაც, როგორც წითელ ბუშტს, ვიღაც ჩუმად და უხილავად ბერავდა.

მაშინ, ვიდრე ბიძაჩემი დარღვეული წონასწორობის აღდგენას ელოდა, ხოლო მამიდა ნუცა იმ სავალდებულო პაუზის გასვლას, რომლის შემდეგ მიპატიჟების გამეორებას აპირებდა, მე ვთქვი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თქვენ ნუცა ერისთავი ბრძანდებით.

ამ განცხადებას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა, რისი წყალობითაც მე რამდენჯერმე გავიგონე, როგორ გალობდნენ ჩიტები ტყეში. ახლა ბიძაჩემს ღრუბელი მთლიანად გადაეცალა და მის ადგილას ცნობისმოყვარეობა დაეფინა. ასე ცნობისმოყვარეობის სქელ ხსნარში ამოვლებული, იგი ხან მე მიყურებდა, ხან მამიდა ნუცას, და ისეთი რამის პოვნას ლამობდა, რისი პოვნაც შეუძლებელია.

მამიდა ნუცა უძრავად იდგა. ჯერ უძრავად იდგა, მერე მარჯვენა ხელი ხალათის ჯიბეში ჩაიყო და სათვალე ამოიღო. მრგვალშუშიანი და წვრილჩარჩოიანი პატარა, ძველმოდური სათვალე. სათვალე ორივე ხელით გაშალა, გაიკეთა (არ მოუხდა), ყურადღებით დამაცქერდა (და ამ დროს კიდევ ერთხელ – ოღონდ ვერ მივხვდი, ამჯერად რა ნიშნით – დაემსგავსა სალომეს), წამით თითქოს დოინჯის შემოყრაც დააპირა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა და დაბალი და ნელი, შორეული სიღრმიდან მომავალი ხმით მკითხა:

– თქვენ საიდან იცით ჩემი ვინაობა?

– არსაიდან. „ცოდნა“ ის სიტყვა არ არის, რომელიც ამ შემთხვევას მიესადაგება. უბრალოდ, თქვენ ძალიან ჰგავხართ თქვენს დებს. კიდევ უფრო ძალიან – ოღონდ არა გამუდმებით, არამედ ცალკეულ მომენტებში – თქვენს ძმისწულს.

– იმათ საიდანღა იცნობთ? – მამიდა ნუცა თვალებში მიყურებდა და მის მზერაში რაღაც ისეთი მომეჩვენა, მზე რომ გაავდრების წინ კბენას დაიწყებს.

– თქვენი დები ამ დილით ვნახე (ეს დაუვიწყარი დილა იყო), როცა სალომე შინ მივიყვანე (პაპასკირის რვაში). თვითონ სალომე კი გუშინ დილით გავიცანი.

აქ მამიდა ნუცამ კრიტიკულად და ცოტა მწყრალად გახედა ჩემს მანქანას, რომელიც სოფლის მწვანე, წყნარ და ჯერ კიდევ მოიდილიურო ფონზე მზეს მიფიცხებულ პრეისტორიულ ცხოველს ჰგავდა. მერე ბიძაჩემს შეხედა. თვალებში კვლავაც მოუწესრიგებელი გრძნობები ედგა და მე იმის შიშით, რომ ამ გრძნობებისთვის უხეში, მცდარი და საჩოთირო ვერბალური გეზი არ მიეცა (როგორც მოგვიანებით მივხვდი, ეს შიში უსაფუძვლო ყოფილა), ვუთხარი:

– სალომეს მანქანა გაუფუჭდა გზაში და, რაკი მეც სანაკლიოში მოვდიოდი, წამოვიყვანე. ამდენი იმიტომ მოვგვიანდით, რომ რიკოთის გვირაბი ჩაკეტილი დაგვხვდა. მხოლოდ დღეს გაიხსნა გზა, ალიონზე. სამივე და – მეოთხე, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, არ მინახავს – გასაოცრად ჰგავხართ ერთმანეთს. მაგრამ თუ ის ორი თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თქვენ ორივესგან განსხვავდებით. არა გარეგნობით. უფრო... როგორ გითხრათ... რიტმით. თქვენი რიტმი გაცილებით ჩქარია და თქვენი გამოხედვა, თუ ნებას მომცემთ გულწრფელი ვიყო, გაცილებით მკვირცხლი; შესაძლოა, მიზანმიმართულიც.

ამგვარი ბუნდოვანი ქათინაურები ხანშიშესულ მანდილოსნებზე კარგად მოქმედებს, მაგრამ მამიდა ნუცას რაღაც უშლიდა ხელს, რომ შესაბამისი ნდობით მომკიდებოდა. რა მიზეზი იყო, ვერ ვხვდებოდი. მეტიც: იმასაც ვერ ვხვდებოდი, ეს მოუხელთებელი მიზეზი ჩემში იყო თუ მასში.

ერთხანს უხმოდ მიყურა, მერე კი, ჩემი აზრით, უფრო მოახლოებული (და გაუგებარი) დაბნეულობის გასაფანტავად – თქვა:

– წამობრძანდით.

ამაზე ბიძაჩემმა, რომელიც ნიუანსებს სათანადო ყურადღებით არ ეკიდება ხოლმე, უთხრა:

– კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ ქალბატონო (როგორც უკვე დადგინდა – ნუცა), მაგრამ იქნებ ზოგადად მაინც გვამცნოთ ის უბედურება, რომელიც ხილს უნდა შეგვეტანებინოთ. თუ შენი აზრით, დიეგო, – მე მომიბრუნდა ბიძაჩემი, – „უბედურება“ სწორად შერჩეული ტერმინი არ არის?

– ჩემი აზრით, ბიძია იო, – მივუგე მე – ჩვენი ვალია, თანხმობა ვთქვათ ქალბატონი ნუცას თავაზიან მიპატიჟებაზე.

– შენ, დიეგო, ვითარებას არ იცნობ და აქედან გამომდინარე, ვერც ანგარიშს უწევ: მე აქ ფასდაუდებელი განძი დავტოვე და, რომ ჩამოვედი, აღარ დამხვდა.

– გაიტაცეს, – მიამიტურად და ნაღვლიანად შენიშნა მამიდა ნუცამ, – თუ ბატონ პრომეთეოსს გულისხმობთ, ბატონი პრომეთეოსი გაიტაცეს.

– როგორ!.. – უმისამართოდ აუწია ხმას ბიძაჩემმა.

– მანქანით, – მიუგო მამიდა ნუცამ, – არ შეგხვედრიათ გზაში მანქანა?

– მანქანა? მანქანა ბევრი შეგვხვდა, ქალბატონო, ხომ იცით ჩვენი ტექნიკური საუკუნის ამბავი! მაგრამ თქვენ გინდათ თქვათ, რომ ერთ-ერთ მათგანში პროფესორი დიდებულიძე იჯდა და ჯერ დაუდგენელ პირებს იგი გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავდათ?..

– სანაკლიოში მიჰყავდათ.

– აჰა! მაშ თქვენ ფიქრობთ... დიეგო!

– ბატონო!

– ქალბატონო... ხომ ნამდვილად ნუცა?

– დიახ.

– დიეგო!

– ბატონო.

– საომარი მდგომარეობა ნომერი ერთი! ქალბატონო ნუცა!

– ბატონო.

– მანქანის მარკაზე არაფერს გკითხავთ. ეს უტაქტობა იქნება. მით უფრო, რომ ასეთ წვრილმანებში ვერც მე ვერკვევი, მაგრამ იქნებ ფერი მაინც...

– შავი, – თქვა მამიდა ნუცამ.

– ბიძია იო, – მე შემეშინდა, რომ იგი მეტისმეტად გაუტევდა და ამ სათნო ადამიანს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა, – არ არის სამართლიანი საქციელი, მანდილოსანს ასეთ ვითარებაში, როცა, მისივე განცხადებით, იმის დროც აღარ დარჩა, გონება მოეკრიბა, განსაკუთრებული ნიშნების დახსომება მოსთხოვო.

– სიმართლეს ნუ უღალატებ, დიეგო. სიბრძნე პატიოსანიც უნდა იყოს. განსაკუთრებული ნიშნები არც მიხსენებია.

მამიდა ნუცამ ამასობაში თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღო.

– მობრძანდით.

ბიძაჩემი შეყოყმანდა. მერე მისატევებელი მაღალფარდოვნებით თქვა:

– ჭეშმარიტი მამრი ასეთ დროს ჭამაზე არ უნდა მოცდეს, დიეგო.

– ჭეშმარიტი მამრისთვის ჭამა არასოდეს არ არის მოცდენა. ამას დიდი ჰომეროსიც გვასწავლის. თუ არ გჯერა, ოდისეა წაიკითხე. საერთოდაც, სიბრძნის ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელი – ხოლო შენ რომ სიბრძნის აღმსარებელი ხარ, თავს ნებას მივცემ ეს ამბავი ქალბატონ ნუცასაც ვაუწყო – ხომ ისიცაა, რომ სულსწრაფობას არ ემონება და სანამ ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას არ მოიპოვებს, მანამ აქტიურ მოქმედებას არ იწყებს. ჯერ სირბილსა და მერე ფიქრს, ჩემგან არ გესწავლება, ჯერ ფიქრი და მერე სირბილი სჯობს.

– ნახევარი საათი არაფერია, – მხარი დამიჭირა მამიდა ნუცამ, – ნახევარი საათის წინ შეიძლება ყოველი წამი გადამწყვეტი იყო. ახლა არა.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, ვიდრე მე და ბიძაჩემი ხეჭეჭურ მსხალსა და ნიგვზის ჩურჩხელას მსუბუქი კრუტუნით შევექცეოდით და ზედ თუთის არაყს ვაყოლებდით, მამიდა ნუცამ, შეპირებისამებრ, დალაგებით გვიამბო პრ. დიდებულიძის გატაცების ამბავი.

დაახლოებით ერთი საათის წინ სამი – როგორც შემდგომ გამოირკვა, – ბოროტი კაცი მოსულა შავი მანქანით და პრ. დიდებულიძე (მამიდა ნუცა მას „ბატონ პრომეთეოსად" მოიხსენიებდა) უკითხავთ. თავად მამიდა ნუცა უკვე ორი დღეა ეწერში იყო და ამ ორი დღის განმავლობაში პრ. დიდებულიძე კარგად გაიცნო. მანამ მთელი თვე მამიდა ნატოს ადგა თავს. როცა მამიდა ნატომ ტანჯული სული ისეთივე ფაქიზი, უმანკო და წმინდა სახით დაუბრუნა უფალს, როგორიც თავის დროზე მიიღო, მამიდა ნუცა ცოტა ხნით კვლავ ეწერში ჩამოვიდა, სადაც რამდენიმე საშური საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. მეზობელ სახლში რომ უცხო კაცი დაინახა, ერთი გაფიქრება, სულო ცოდვილო, კი გაიფიქრა, ქურდი იქნებაო, მაგრამ ამ უკადრის ვარაუდს პრ. დიდებულიძისა ჯერ მარტო გარეგნობა აქარწყლებდა, მერე და მერე ხომ მამიდა ნუცა მრავალი სხვა საბუთითაც დარწმუნდა, რომ ქურდი კი არა თურმე ერთი უკეთილშობილესი ადამიანი ყოფილა (ეს დასკვნა მამიდა ნუცამ ოდნავ ზეაწეული კილოთი წარმოთქვა. საზოგადოდ პრ. დიდებულიძის დასახასიათებლად საქებარ ეპითეტებს არც ამის შემდეგ იშურებდა და არათუ არ იშურებდა, საჭირო რაოდენობით, მგონი, ვერც პოულობდა. ყოველ შემთხვევაში, მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს, ყველა ეპითეტი რომ ამოწურა, რაზეც კი გონების ხელი მიუწვდა, გული მაინც ვერ იჯერა). ორი დღის განმავლობაში მათ ბევრი იმუსაიფეს და მრავალ საკითხზე გაუზიარეს ერთიმეორეს თავთავიანთი შეხედულებანი. ხან აქ მუსაიფობდნენ, ამ აივანზე, ხან ქვემოთ, ეზოში, ორტოტა კაკლის ძირას, ხანაც გადაღმა, მინდორში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მზის ჩასვლა მეტად ლამაზია. ბოროტმა კაცებმა რომ მანქანა გააჩერეს და მამიდა ნუცას დანახვაზე უქმური სახეებით პრ. დიდებულიძე მოიკითხეს, პრ. დიდებულიძე იმ დროს ტყეში იყო წასული წყლის მოსატანად. განა რამე აუცილებლობა მოითხოვდა ამას - მამიდა ნუცას ეზოში ჰქონდა ჭა - უბრალოდ, ტყეში - აქვე, ახლო - საუცხოო ცივი წყარო ამოჩუხჩუხებდა და პრ. დიდებულიძეს იმ წყლის მოტანა უყვარდა. თავიდან, მიუხედავად სტუმრების უქმური სახეებისა, მამიდა ნუცას საეჭვო არაფერი შეუმჩნევია, ვინაიდან გამოცდილებით იცოდა, რომ უქმური სახე დაეჭვების საკმარისი მიზეზი არ არის. მართალია, მომხდურებმა რომ რაღაც მეტისმეტი გულმოდგინებითა და ისეთი სხაპასხუპით, თითქოს გაკვეთილს ყვებიანო, საჩქაროდ ჩააბარეს ანგარიში - იონა კამკამიძის გამოგზავნილები ვართ, თვითონ გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ვერ წამოვიდა, ამიტომ ჩვენ დაგვავალა ბატონი პროფესორის წაყვანაო, ერთი კი გაიფიქრა მცირეოდენი გაკვირვებით, ნეტა მე რატომ მიყვებიანო, მაგრამ დაეჭვებისთვის სამყოფი მასალა ვერც ამან მისცა, მით უმეტეს, პრ. დიდებულიძეს სწორედ გუშინ საღამოს ეთქვა - ცოტა სინანულით ეთქვა, ვინაიდან აქაურობას ძალიან შეჩვეოდა- ამ დღეებში იონა კამკამიძე ჩამოვა და წამიყვანსო. ამასობაში პრ. დიდებულიძეც გამოჩენილა. დინჯად მოსეირნობდა ტყიდან და წითელი თერმოსით წყაროს ცივი წყალი მოჰქონდა. ბოროტი კაცები მას თავაზიანად შეხვდნენ და, რაც ცოტა ხნის წინ ესოდენ ნაჩქარევად აუწყეს მამიდა ნუცას, ახლა მას აუწყეს. პრ. დიდებულიძეს, როგორც მამიდა ნუცა დაბეჯითებით ვარაუდობდა, აღარ ეთმობოდა აქაურობა. საქციელიც კი თურმე წაუხდა, მის წასაყვანად ჩამოსული ხალხი რომ დაინახა, მაგრამ რას იზამდა? წითელი თერმოსი ორტოტა კაკლის ძირას, პატარა მერხზე დადგა და მამიდა ნუცას გამოეთხოვა. პირველი ეჭვი მამიდა ნუცას სწორედ ამ დროს გაუჩნდა, ვინაიდან ამ დროს ყველა საეჭვო ნიშანმა რაღაც მანქანებით ტვინის ერთსა და იმავე ხვეულზე მოიყარა თავი - იონა კამკამიძის ნაცვლად უცხოები ჩამოვიდნენ; უცხოები, რომლებიც იონა კამკამიძის ნაცვლად ჩამოვიდნენ, მოუსვენრად წრიალებდნენ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ; უცხოები რომლებიც იონა კამკამიძის ნაცვლად ჩამოვიდნენ, მოუსვენრად წრიალებდნენე და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ძალიან ჩქარობდნენ; უცხოები, რომლებიც იონა კამკამიძის ნაცვლად ჩამოვიდნენ, მოუსვენრად წრიალებდნენ, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და ძალიან ჩქარობდნენ, უმთავრესად შავი ფერისანი იყვნენ - და დაინახა, რომ ეჭვისთვის საკმარისი საბაბი მოგროვილიყო. მაშინ ერთ ხერხს მიმართა: ბოროტ კაცებს სთხოვა, მეც სანაკლიოში ვარ წასასვლელი და, თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, ბარემ დაგემგზავრებითო. ბოროტმა კაცებმა უარი უთხრეს, სანაკლიოში არ მივდივართ, ბატონი პროფესორი სულ სხვა მხარეს მიგვყავს, ასე გვაქვს დავალებულიო. ერთი მუგუზალი ხომ ამით მიუმატეს მამიდა ნუცას ეჭვის ცეცხლს, მეორე მუგუზალი იმით მიუმატეს, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო აჩქარდნენ, სასწრაფოდ ჩაისვეს პროფესორი დიდებულიძე მანქანაში და წავიდნენ. აქ კი მამიდა ნუცა, უკვე საბოლოოდ დარწმუნებული თავისი ეჭვის სისწორეში, მეზობელთან გადავიდა დასარეკად (ვინაიდან თვითონ ტელეფონი არ ჰქონდა), და აკი გაარკვია კიდეც ყველაფერი...

– არადა, ხვალ საღამოს, – დაასრულა მამიდა ნუცამ, – პანაშვიდზე აპირებდა მოსვლას.

ბიძაჩემმა შუბლი შეიჭმუხნა.

– თფუ-თფუ-თფუ და ვის პანაშვიდზე, ქალბატონო?

– ნატოსი. ჩემი საბრალო ღვთაებრივი ნატოს პანაშვიდზე.

– ბიძია იო, – სასწრაფოდ ჩავერიე მე, ვინაიდან კარგად ვიცი, როგორ უგდებს ხოლმე ყურს ბიძაჩემი ქალების ლაპარაკს, – ესენი ოთხნი დანი იყვნენ. ერთი ძმაც ჰყავდათ, მაგრამ ის ადრე დაიღუპა. ოთხნი დანი - ქალბატონი ნატო, ქალბატონი მაგდა, ქალბატონი თეკლა და ქალბატონი ნუცა. მათგან ქალბატონი ნატო გუშინწინ... გუშინწინ, არა? – მამიდა ნუცას მივუბრუნდი მე.

– დიახ.

– გუშინწინ გარდაიცვალა. ხვალ საღამოს პანაშვიდია.

ბიძაჩემმა სახეზე მყისვე შესაფერისი გამომეტყველება დაიდო.

– აჰ! მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი, ქალბატონო! ვინ იფიქრებდა! აჰ! – ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თქვა და თავი ვალმოხდილად ჩათვალა, ისევ ისე სწრაფად შეიცვალა გამომეტყველება, – ხოლო თქვენი ქმედება უნაკლოა. განსაკუთრებით ფსიქოლოგიურ ჭრილში. აგერ დიეგოც დამემოწმება, რომელსაც თავისი პროფესიული საქმიანობის გამო ფსიქოლოგიასთან ინტენსიური ურთიერთობა აქვს. მართლაცდა, ისეთ მძიმე ვითარებაში, როდესაც ცალკე უცხო და, როგორც თქვენ მოსწრებულად ბრძანეთ, ბოროტი კაცები გიფორიაქებენ გონებას, ცალკე გამომშვიდობების მოულოდნელი გარდუვალობა და ცალკე საყვარელი დის გარდაცვალება, ის, რაც თქვენ მოიმოქმედეთ, დიაღაც შესაძლებლობის მაქსიმუმია. ამაზე მეტის მოთხოვნა ადამიანისგან უნამუსობაა. ამიტომ, თქვენის ნებართვით, მეც მხოლოდ თეორიულ სინანულს გამოვთქვამ იმის გამო, რომ გარემოებამ საშუალება არ მოგცათ მანქანის ნომერი დაგემახსოვრებინათ და იგი ფსიქოლოგიური კვლევისთვის რეალურ დომკრატად შეგეყენებინათ! თუ დომკრატი არ ქვია, დიეგო, იმას, რასაც ვგულისხმობ? აჰ, ქალბატონო, ქალბატონო! მანქანის ნომრისთვის აბა სად გეცალათ, თორემ მანქანის ნომერი რომ დაგეხსომებინათ!..

მე ჩარევა დავაპირე, რათა ბიძაჩემის ეს უტაქტო ჩაციება აღმეკვეთა, მაგრამ მამიდა ნუცამ დამასწრო:

– ვერ დავიხსომებდი, – მონანიე ღიმილით თქვა მან, – ადრე კარგი მეხსიერება მქონდა, მაგრამ ბოლო ხანებში, რამე თუ მინდა დავიხსომო, – ამ სიტყვებით ხალათის ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და მაგიდაზე დადო – იძულებული ვარ ჩავიწერო ხოლმე.

მე მეტი გაოცებისა და აღტაცებისგან პირი დავაღე, ბიძაჩემს კი მშვენიერი საბაბი მიეცა, მამიდა ნუცას სადღეგრძელო დაელია და მისთვის გენიოსი ეწოდებინა, რაც მამიდა ნუცამ ხელების სავსავით გააპროტესტა და, თავის მხრივ, გენიოსად პრ. დიდებულიძე გამოაცხადა. ამის პასუხად ბიძაჩემმა მომხიბლავი ღიმილით განუმარტა, ერთი მეორეს ხელს არ უშლისო. მაშინ მამიდა ნუცამ ყოყმანით, სინანულით, ცოტაოდენი შიშითა და ფარული იმედით ეჭვი გამოთქვა, შესაძლოა ნომერი, რომელიც მე დიდი ამბით ჩავიწერე, სწორი არც იყოს, ოპერაციის წინ ბოროტმა კაცებმა, ვინ იცის, მანქანას ნამდვილი ნომერი მოხსნეს და ყალბი მიამაგრესო. ბიძაჩემმა ამაზე ყურადღებით შეხედა და თავი კმაყოფილებით დაიქნია.

– თქვენ, ეჭვი არაა, ასე მოიქცეოდით. მეც ასე მოვიქცეოდი. სავარაუდოა, რომ დიეგოც ასე მოიქცეოდა და ყოველი ხერხიანი კაცი, ვისაც კონსპირაცია რამედ უღირს, და მცირეოდენი დეტექტიური განათლებაც აქვს, ასე მოიქცეოდა. თქვენი მომხდურები კი ასე არ მოქცეულან. ამგვარი დასკვნის საბაბს სწორედ ეს ნომერი მაძლევს, რომელიც პირიპირზე ემთხვევა ერთი ნაცნობი მანქანის ნომერს. და თუ ეს ჩემი ვარაუდი სწორია. – ხოლო ჩემი ვარაუდი რომ სწორია, ამას მანქანის ფერიც ადასტურებს – აქედან შეგვიძლია ორი ალტერნატიული დასკვნა გამოვიტანოთ, ბოროტმოქმედებს ან ჭკუა და განსწავლულობა არ ეყოთ, ან რაღაც მიზეზის გამო ფარულ მოქმედებას აშკარა მოქმედება ამჯობინეს. პირადად მე, თუმც კი მათს ჭკუასა და განსწავლულობაზე მაღალი აზრისა არა ვარ, მეორე ვარაუდი უფრო მართებული მგონია. ასეა თუ ისე, თქვენს მიერ ჩაწერილი ნომერი, სამწუხაროდ, სწორი ჩანს.

მამიდა ნუცა სიტყვა „სამწუხარომ" ცოტა არ იყოს დააბნია, მაგრამ მიუხედავად დაბნეულობისა (უფრო კი, ალბათ, იმის შიშით, რომ ამ უადგილო სიტყვის გამოისობით ემანდ ეჭვების ისეთ ჩქარსა და ხიფათიან დინებაში არ მოხვედრილიყო, საიდანაც თავის დაღწევა უკვე ფრიად და ფრიად გაძნელდებოდა) სასწრაფოდ განაცხადა, თუ საჭირო შეიქნება, შემიძლია სამივე ბოროტი კაცი სახეზე ვიცნოო, რის პასუხადაც ბიძაჩემმა ერთი თავისი იმდაგვარი დიდაქტიკური ღიმილით გაუღიმა, რომელიც, ჩვეულებრივ, ცივი წყლის მაგივრობას სწევს ხოლმე. მერე თქვა:

– ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ჩვენ დეტექტივის ჭაობში ესოდენ ღრმად ვერ ჩავეფლობით. აუცილებელი ხარკი გავიღეთ და კმარა. მეტის უფლებას არც პროფილი გვაძლევს ჩვენი და არც რანგი. თანაც მას შემდეგ, რაც თქვენ ერთი დეტექტური გმირობა უკვე ჩაიდინეთ და ეპიზოდს ნათელი მოჰფინეთ, ამის აუცილებლობა აღარცაა. მაგრამ ეს მიბრძანეთ, საიდან დაასკვენით, რომ სანაკლიოში მიდიოდნენ? მათ ხომ გითხრეს, სანაკლიოში არ მივდივართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ეგ რომ მითხრეს, სწორედ მანდედან დავასკვენი. თაღლითმა თუ თქვა, სანაკლიოში მივდივარო, მაშასადამე, სანაკლიოში არ მიდის; თუ თქვა, სანაკლიოში არ მივდივარო, მაშასადამე, სანაკლიოში მიდის. ასე არ არის განა?

- მმმ... - თქვა ბიძაჩემმა, - თუმცა ამ შემთხვევაში მე სავსებით ვიზიარებ თქვენს ვარაუდს და ვფიქრობ, რომ ნამდვილად სანაკლიოში წავიდნენ.

აქ ჩემი მორიგი გამოხდომის ჯერი დადგა.

- ეკლესია თუა, ქალბატონო ნუცა, ამ სოფელში?

მამიდა ნუცამ, რომელიც მთელი წინამავალი საუბრის განმავლობაში დროდადრო წამიერად და თითქოს დაეჭვებით შემავლებდა ხოლმე თვალს (რამაც თანდათან ჩემთვის რაღაც გაუგებარი სისტემის ხასიათი მიიღო), ამჯერად შედარებით ხანგრძლივად მიყურა. ბოლოს მიპასუხა:

- კი არის.

- სასაფლაოს ბოლოში?

აქ ბიძაჩემმაც შემომხედა და მის მზერაში მწყრალი გაკვირვება და ყასიდი თანაგრძნობა მშვიდობიანად შეერია ერთმანეთს.

- დიახ, - თქვა მამიდა ნუცამ.

- ახლაც დგას?

მამიდა ნუცა ცოტა დაიბნა.

- ბატონო?

- შორს არის?

- აქვეა, - ხელი გაიშვირა მამიდა ნუცამ, - ხედავთ, ცაცხვებს ბორცვის გადაღმა?

- თუ ის სამი დიდი ხე ცაცხვებია, ვხედავ.

- ცაცხვებია. მანდ არის სასაფლაო. ეკლესია იქითა ბოლოში დგას. თუ დააკვირდებით, დაინახავთ კიდეც. მანდედან ორ მარჯვენა ცაცხვს შორის უნდა მოჩანდეს.

მე გავიხედე, მაგრამ ვერ დავინახე.

- არა ჩანს.

- თვალი გაქვთ შეუჩვეველი.

- დათიკო სად ცხოვრობს? - ვკითხე მაშინ.

- დიეგო!.. - წარბები შეჰყარა ბიძაჩემმა.

- დათიკო? - დაფიქრებით მომაჩერდა მამიდა ნუცა, - დათიკო... დათიკო არავინაა ამ სოფელში.

- საკვირველია.

- რა არის, დიეგო, საკვირველი?! - ბიძაჩემის მოთმინებას ალაგ-ალაგ უკვე ცეცხლი ეკიდა.

- საკვირველი ის არის, ბიძია იო, რომ გამობრძმედილ სიბრძნეს მოთმინება არ ჰყოფნის, ხოლო ამაზე საკვირველი ის არის, რომ თურმე საქართველოში შეიძლება ამოდენა სოფელი არსებობდეს და იქ ერთი დათიკო არ იყოს.

- ადრე კი იყო, - ჩაერია მამიდა ნუცა - ერთი მოხუცი დათიკო იყო, მაგრამ ის დათიკო შარშან გარდაიცვალა.

მე ერთბაშად, თითქოს ტვინში ელვამ დაკვესაო, მივხვდი იმას, რასაც კარგა ხანია ბუნდოვნად ვგრძნობდი: როცა ეწერელი დათიკო სოფლის უცნაურ გასაჭირს შემომჩიოდა, მე მისი ხმა - თუ გახსოვთ - ვამსგავსე ცივ ქარს, რომელიც თავის ქალაში მიბერავდა. ამგვარი განსაზღვრება - თუმც კი არ გამიმხელია - იმთავითვე არაზუსტი მეჩვენა. და მხოლოდ ახლა შეიქნა ცხადი, რომ მართლაც არაზუსტი ყოფილა; დათიკოს ხმა მაშინ სამარიდან ისმოდა.

- სასაფლაოზე უნდა წავიდე, - გამოვაცხადე მე.

- ყველაფერს თავისი დრო აქვს დიეგო, - მკაცრად თქვა ბიძაჩემმა, - ჩვენ ახლა ომში მივდივართ.

- ეკლესია უნდა ვნახო, - დავიჟინე მე.

- ეკლესია არსად გაგექცევა.

- ეგ შენი კერძო აზრია. ზოგი დათიკოსაც ჰკითხე.

ბიძაჩემმა თვალი თვალში მდუმარედ გამიყარა, რათა მომავალი მკვახე სათქმელი პაუზით სათანადოდ შეემზადებინა, მაგრამ აქ ჩვენს კინკლაობაში კვლავ მამიდა ნუცა ჩაერია.

- აქედან უკეთესად მოჩანს.

მამიდა ნუცა აივნის ქვედა კუთხეში იდგა, ორღობის მხარეს. მე რომ მივედი, ხელი გაიშვირა და მითხრა:

- აქედან ორ მარცხენა ცაცხვს შორის მოჩანს.

მე დავაკვირდი. თავიდან ვერაფერი გავარჩიე, მაგრამ ბოლოს, როცა ის იყო უნდა მეთქვა კიდეც, არაფერი მოჩანს-მეთქი, უეცრად დავინახე. მართლა ერთი წამით დავინახე და თანაც დავინახე მხოლოდ გუმბათი, რომელიც თითქოს ჰაერში ეკიდა, მაგრამ მე - ადრეც მითქვამს - რეალისტი კაცი ვარ და გონების კონსულტაციის გარეშე დასკვნების გამოტანა არ მიყვარს, ამიტომ კარგად ვიცი, რომ გუმბათი არ შეიძლება ჰაერში

ეკიდოს. ლოგიკა და საღი აზრი – ჩვენი ეს ორი სანდო და კეთილსინდისიერი ინსტრუქტორი – გვასწავლის: საცა ეკლესიის გუმბათია, იქ ეკლესიაცაა. მეც, რაკი გუმბათი დავინახე, მთელი ეკლესია ვივარაუდე და იმ უცხო დატიკოს შესახებ ჩემი შეხედულება, რომელიც ამასობაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა, მაგრამ ისეთი იყო, რომ მამიდა ნუცას თანდასწრებით ხმამაღლა გამოთქმა არ ეგებოდა, უხმოდ, მხოლოდ გულში გამოვხატე.

– დაშოშმინდი, დიეგო? – მკითხა ბიძაჩემმა, რომელმაც საფიქრებელია, დაშოშმინება სახეზე შემატყო.

– დავშოშმინდი, ბიძია იო, – მივუგე მე.

– მაშ წავიდეთ.

– სანაკლიოში?

– სანაკლიოში.

– ეგებ ქალბატონ ნუცასაც უნდა წამოსვლა? – კით⁚კის თვალით შევხედე მე მამიდა ნუცას და, ყოჟმანი რა შევატყე, დავძინე, – შიში ნურაფრისა გექნებათ, ჩემმა მანქანამ ერისთავების მომსახურების ერთი გამოცდა უკვე ჩააბარა.

მამიდა ნუცა აწრიალდა. მერე მორიდებით, მაგრამ დასტურის კილოთი თქვა:

– თუ არ შეგაწუხებთ...

– რა ბრძანებაა! – დამასწრო ბიძაჩემმა, – ეგზომ სათნო და ნატიფი მანდილოსნის დამგზავრება ჩვენისთანა ღრჯო და გაუთლელი მოაზროვნეებისთვის უდიდესი პატივია.

– ვიპოვეით? – მოულოდნელად იკითხა მაშინ მამიდა ნუცამ.

– პროფესორ დიდებულიძეს? – კითხვა შეუბრუნა ბიძაჩემმა და მტკიცედ თქვა, – აუცილებლად, ქალბატონო! – მერე, მცირე პაუზის შემდეგ ცოტა შემპარავი კილოთი დაამატა, – თუ მომზადებას ნახევარ საათზე მეტს არ მოუნდებით.

– ხუთ წუთში მზად ვიქნები, – თქვა მამიდა ნუცამ და ხუთ წუთში მართლა მზად იყო.

ხოლო ამ ხუთი წუთის განმავლობაში, ვიდრე მამიდა ნუცა ემზადებოდა, მე და ბიძაჩემს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– ეს არაყი, დიეგო, – ასე დაიწყო ბიძაჩემმა, – ორნახადი კეთილშობილებაა. თუთა ღვთაებრივი მცენარეა, რომელიც აბრეშუმის ჭიას არ უნდა დავანებოთ. იგი ღმერთების საგანგებო გადაწყვეტილებით იქნა გაშენებული და ოდესღაც მისგან – ისევე, როგორც რიგი სხვა, ასევე ღვთაებრივი მცენარისაგან – მაღალკალორიული ნექტარი მზადდებოდა. მაშინ ღმერთები ნაკლებ ბიუროკრატები იყვნენ, ხოლო სტერილური ნექტარი რომ კალორიის გარდა გრადუსოვან სუბსტანციასაც შეიცავს, ამას ღმერთებისავე ქცევა ადასტურებს. მეორე მხრივ, თუ ადამიანი მართლა ღვთის სახედ და ხატად არის შექმნილი, მაშინ მოვალეცაა მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით მიბაძოს თავის შემოქმედსა და ორიგინალს.

– შთამბეჭდავი, მაგრამ უქმი ოდაა, – ვუთხარი მე, – სულ ერთია, ადამიანის ენა თუთის არაყს ისე მაინც ვერ შეაქებს, რამე არ დააკლოს. სხვათა შორის, ასევეა თაფლის არყის საქმეც. და საერთოდ, მაგ ფუჭ მაღალსიტყვაობას სჯობს იმ შენი პროფესორი დიდებულიძისა მითხრა რამე.

– კეთილი, გეტყვი. მე იმედი მქონდა, აქ, ბუნების წიაღში, ერთმანეთს შეგახვედრებდით და უჩემოდაც მიხვდებოდი, რომ დროა მცირე ნადირთა ხოცვას მოეშვა, რადგანაც ბიძაშენმა გრანდიოზული პერსონაჟი გიპოვა, რომელსაც დღეის ამას იქით მთელი შენი ნიჭი – იმედი მაქვს, უფრო დიდი, ვიდრე ზოგ-ზოგი შენი კოლეგისა და თანამოკალმისა – უნდა მოახმარო. რადაი მოწინააღმდეგემ დაგვასწრო და გაცნობის ცერემონიალი დროებით გადაიდო, მგონი მართლა სჯობს იმას, რაც უკვე გითხარი, ცოტაც მივუმატო. ოღონდ ერთი დაიხსომე: შენი მხრივ ქარაფშუტობა იყო პროფესორ დიდებულიძის მოხსენიება ისე, როგორც მოიხსენიე. პროფესორი დიდებულიძე, დიეგო, ჩემი არ არის. ის არც შენია. არც სხვისია. ის არის. ყოველგვარი წინამავალი განსაზღვრის გარეშე. თუ „სუფევს" უნდა – სუფევს, თუ „ჰგიეს" უნდა – ჰგიეს. ამდაგვარი წვრილმანები შენ უკეთ იცი. შემდგომ ამისა, პროფესორი დიდებულიძე არის თვალსაჩინო ნიმუში იდეისა და გარემოების შუღლისა, რომლის მეშვეობით უფალი ცდილობს რაც შეიძლება კონტრასტულად დაგვანახვოს შესაძლებლობა და ხდომილება. მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი მკაფიო და გამოჩენილი ხდომილება, როგორიცაა ფილოსოფოსი კანტი. რადაი კანტი კენიგსბერგში დაიბადა და ფილოსოფოსი გამოვიდა, ახლა ადვილია იმის თქმა, რომ კენიგსბერგში კი არა, კალინინგრადში რომ დაბადებულიყო და ფილოსოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსი კი არა, კოლექტივის მერგოლური გამოსულიყო, მრავალი ინტელექტუალური ბარიერი, რომელიც დღეს გადალახულია, გადაულახავი იქნებოდა. ასეთია რეალური ვარაუდი, რომლებიც იმას ემყარება, რომ კანტი რეალურად კენიგსბერგში დაიბადა, მაგრამ კანტი რომ რეალურად კალინინგრადში დაბადებულიყო და კოლექტივის მერგოლური გამოსულიყო, მაშინ აზრად არავის მოუვიდოდა, კაცობრიობას თუ უმისოდ რამე დააკლდა.

– ანანური შენს საქმეს ბიძია იო, და აი, რატომ: უფალი, რომელიც იმას ცდილობს, შესაძლებლობანი და ხდომილებანი ერთ საწნახელში ჩაყაროს, ღმერთო შეგცოდე და, ჯერ კიდევ ადამიანური აზროვნების არტახებშია ჩაჭედილი. შესაძლებლობა და ხდომილება სხვადასხვა ტიპის სიდიდეებია, სხვადასხვა განზომილებაში მიედინებიან, სხვადასხვა ბუნების კანონებს (და არა ბუნების სხვადასხვა კანონებს) მორჩილებენ და, რომც განაპირობებდნენ ერთმანეთს – ორგზის ანანური შენს საქმეს, ბიძია იო, – ამას ლოგიკის მეშვეობით მაინც ვერ დაამტკიცებ.

– ეგ ფსიქოლოგიური მანკია, დიეგო, რომელიც არც თანდაყოლილია და არც გარდუვალი. სინამდვილეში ვინ იცის, რამდენი კანტი იმის ნაცვლად, რომ კენიგსბერგელი ფილოსოფოსი გამოსულიყო, კალინინგრადელი მერგოლური გამოვიდა ზოგი მათგანი შრომის გმირიც კი გახდა. ეს უსამართლობაა. გონება და ღირსება ასეთ უსამართლობას ვერ ურიგდება და გამოსავალს ეძებს. ჩვენ გამოსავალი უნდა ვეძიოთ. დღეს, მაგალითად, არ ვიცით, თუ რამდენი რამ დაკარგა კაცობრიობამ იმით, რომ პროფესორი დიდებულიძე პირველ ჩანაფიქრის მიხედვით ვერ განხორციელდა და იმის მაგივრად, რომ მოხეტიალე ფილოსოფოსი დამდგარიყო, ის დადგა, რაც დადგა. მე ამაზე ბევრი ვიფიქრე, მრავალი ვარაუდი გავსინჯე და დავასკვენი: პროფესორ დიდებულიძის სულიერი და ინტელექტუალური სასუნთქი ხვრელები რომ ხელოვნურად არ ამოექოლათ და მისი გონებრივი და მორალური შესაძლებლობანი კილკასავით არ დაემწყვდიათ ჰერმეტულ ქილაში, საქართველოში ერთი კარგად გამტკიცული ფილოსოფიური ლავაში გამოცხვებოდა, რომელსაც ობიექტური იდეალიზმი, როგორც ლურჯად მბზინავი მახობელა, განსაკუთრებულ სუნს, გემოსა და სილბოს მისცემდა.

– რას ამბობ, ბიძია იო! ამ გაგანია მატერიალიზმში ობიექტურ იდეალიზმს ვინ გააჭაჭანებდა! ამოიწვერებოდა თუ არა საერთო-სახალხო ყანაში, წამსვე მარქსისტული თოხით აჩეხავდნენ.

– მეც მაგას ვამბობ, დიეგო. რომ არ გააჭაჭანებდნენ, რომ არ გაახარებდნენ, რომ აჩეხავდნენ, რომ აკაფავდნენ, რომ აჩალავდნენ, რომ მოსხიპავდნენ, რომ გათელავდნენ, რომ ჩაწიხლავდნენ და საფურაჟედ რომ გამოიყენებდნენ, მაგიტომაა, რომ კაცობრიობას სამუდამოდ ჩაუქრა კიდევ ერთი ბრდღვიალა კვარი...

– ბდღვრიალა.

– ბდღვრიალა იყოს... რომელსაც შეეძლო ჩვენი სულიერი და შემეცნებითი თამასა რამდენიმე სანტიმეტრით აეწია.

– რა საბუთი გაქვს, რომ ეგ შესაძლებლობა რეალურად არსებობდა? ოღონდ რწმენას, იცოდე, საბუთად ვერ მივიღებ.

– საბუთი ბევრი მაქვს, ხოლო ერთ პატარა დამატებით საბუთს ჭკვიანი კაცი ჩვენი სტუმართმოყვარე დიასახლისის მომხიბლავ ძღურტულშიც შეამჩნევდა.

– ჭკვიანი კაცი, ბიძია იო, სადაა თორემ, იმასაც შეამჩნევდა, რომ მაგ ძღურტულს სუბიექტური ალმური ასდიოდა.

– ცინიზმი, დიეგო, საგანგებო დანიშნულების იარაღია, და სადაგი იუმორის მაგივრად არ უნდა ვიხმაროთ. ხანდაზმულთა გრძნობები სუსტია და სათუთი. თანაც მოსალოდნელია, რომ ყოველი მათგანი გრძნობათა აბლაბუდის უკანასკნელი ძაფი აღმოჩნდეს. უკანასკნელს კი, ძაფი იქნება თუ სხვა რამე, მოფრთხილება უნდა. ეს – რაც შეეხება დიასახლისს. ახლა – რაც შეეხება პროფესორ დიდებულიძეს. ვიდრე შენი თვალით არ გინახავს, პროფესორ დიდებულიძეზე ლაპარაკი – გითხარი, მისი არ იყოს – მხოლოდ შედარებების მეშვეობით თუ იქნება მართებული და გამართლებული. ჩვენც შედარებებით ვილაპარაკოთ, ეს სასარგებლოცაა, რამდენადაც შედარება და, საერთოდ, სახეებით აზროვნება შენი პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ რას შეიძლება შევადაროთ პროფესორი დიდებულიძე? პროფესორი დიდებულიძე შეიძლება შევადაროთ მითო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიურ ხარს, რომელიც იმდენ ხანს იყო დამწყვდეული ბნელ დილეგში, რომ რქებიც დასძვრა და თვალის ჩინიც დაეშრიტა. კიდევ რას შეიძლება შევადაროთ პროფესორი დიდებულიძე? პროფესორი დიდებულიძე კიდევ შეიძლება შევადაროთ ინტელექტუალურ ჯინს, რომელიც ბოთლში იყო დამწყვდეული და თუმცა ტყვეობას, მრავალი ნიშნის მიხედვით, მალე თავს დააღწევს, ის ობიექტი აღარ დახვდება ცოცხალი, რომლისთვისაც ეს ინტელექტი რუდუნებით ხვეწა და ლესა. კიდევ რას შეიძლება შევადაროთ პროფესორი დიდებულიძე? პროფესორი დიდებულიძე კიდევ შეიძლება შევადაროთ ლაბორატორიულ ნივთიერებას, რომლის ადგილი მხოლოდ ლაბორატორიაშია, ვინაიდან ბუნებაში წმინდა სახით არსებობა არ ძალუძს. კიდევ რას შეიძლება შევადაროთ პროფესორი დიდებულიძე? პროფესორი დიდებულიძე კიდევ ბევრ შესადარებელს შეიძლება შევადაროთ, მაგრამ აგერ ჩვენი დიასახლისიც გამოჩნდა შავი კაბითა და სამგზავრო ჩანთით, რაც მის პუნქტუალობასა და მოვალეობის მაღალგანვითარებულ გრძნობაზე მეტყველებს.

ორი წუთის შემდეგ უკვე სანაკლიოს გზას ვადექით, ხოლო ორმოცი წუთის შემდეგ ჩემი „ნივა“ კიდევ ერთხელ დავამუხრუჭე პაპასკირის ქუჩაზე, რვა ნომერი სახლის კიბესთან.

– ქალბატონო! – გამოთქმით და მობილიზებული დიქციით დაიწყო ბიძაჩემმა მას შემდეგ, რაც ერთობ მკვირცხლად გადახტა მანქანიდან, რათა მერე მამიდა ნუცასთვის ხელი შეეშველებინა, – ასეთ ამაღლებულ ვითარებაში, როცა საყვარელ დას გლოვობთ...

– იგლოვეთ, – ჩავილაპარაკე მე, რაზედაც ბიძაჩემმა მწყრალი ათვალწუნებით შემომხედა და ისევ მამიდა ნუცას მიუბრუნდა:

– ასეთ ამაღლებულ ვითარებაში ალკოჰოლიანი თემის შემოტანა, ვიცი, დისონანსია და, ალბათ, არასწორი ტაქტიკაც, მაგრამ რა ვქნა, გული არ მიშვრება და ენაც არ მისვენებს, კიდევ ერთხელ არ ვთქვა თქვენი არყის ქება.

ამ ჭეშმარიტად უადგილო ჰიმნის გამო მის მაგივრად მე შემრცხვა, მაგრამ ჩემი სირცხვილი კიდევ უფრო უადგილო გამოდგა, ვინაიდან მამიდა ნუცამ, მოლოდინის წინააღმდეგ, პასუხად ცისფერ თვალთა რბილი მზერა დანდობილად შეანათა და დამსახურებული შემოქმედის მადლიერი ღიმილით გაიღიმა.

ამ დროს, თითქოს კომპოზიციამ მოითხოვაო, სალომე გამოჩნდა. იგი ქვემოდან მოდიოდა და ხელში მოზრდილი ჩანთა ეჭირა, რომელშიაც კარტოფილი და მწვანილი მოჩანდა. ჩემს დანახვაზე გაკვირვებით შედგა.

– თქვენ?!. – მაგრამ იმავ წამს მამიდა ნუცა შენიშნა და გაკვირვება სიხარულით შეეცვალა, – მამიდა ნუცა!

– ჩემი მზეთუნახავი! – არ დააყოვნა მამიდა ნუცამაც.

მზეთუნახავმა დარჩენილი მანძილი თითქმის სირბილით ამოიარა, ჩანთა მანქანის წინა მარცხენა ბორბალთან დაუდევრად მიაგდო და მამიდა და ძმისწული ერთმანეთს ჩაეკონენ.

ბიძაჩემი ინტერესით ადევნებდა თვალს მოქმედების განვითარებას და ცდილობდა ვითარებაში გარკვეულიყო. მე კი, რაკი გამოცდილებით ვიცოდი პროცედურა ხანგრძლივი იქნებოდა, მანქანის ღია კარს ჩამოვეყრდნე (ან ჩამოვეყრდენი) და გავიფიქრე, ნეტა ცოტა ხნით ცხენად მაქცია, ზეზეურად წავთვლემდი-მეთქი. კიდევ კარგი, ჩვენი ყოველდღიური ნატვრა არ სრულდება ხოლმე, თორემ, მისალმების ცერემონიალი ამჯერად ისე ჩქარა მოთავდა, მართლა რომ ცხენად ვქცეულიყავი, წათვლემას მაინც ვერ მოვასწრებდი და სულ ტყუილად შემრჩებოდა ცხენად ქცევა.

მამიდა რომ გადაკოცნა, სალომემ ისევ მოიცალა ჩემთვის.

– თქვენ... საიდან?.. – ეს კი თქვა, მაგრამ, რაკი გაგრძელება ველარ იპოვა, განცვიფრების დანარჩენი ნაწილი ჟესტიკულაციით (ცოტა მოუქნელი და არც თუ ისე ცხადი ჟესტიკულაციით) გამოხატა.

– ეწერიდან, – მივუგე მე.

– ეწერში რა გინდოდათ? – იგი ჯერ კიდევ, თუმცა უკვე ინერციითღა, ცდილობდა ის უხილავი ძაფი მოეხელთებინა, რომლითაც გზააბნეული შედეგები მიზეზთა პალოზე უნდა ყოფილიყვნენ გამობმული.

– აბა რა გითხრათ! თუ ყველა ნიშანს, რაც ამ ორი დღის მანძილზე მოგვეცა, ერთად მოვუყრით თავს, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ჩემი რომელიმე წინაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი რომელიმე წინაპრის მოურავი იყო.

- დიეგო! - მოსიყვარული ბიძისა და მკაცრი პედაგოგის საჩვენებელი კილოთი მითხრა ბიძაჩემმა, - ტომის ღირსებას ისე არ უნდა მოეპყრა, როგორც შენი პერა...

- ჰო, მართლა! - საჩქაროდ შევაწყვეტინე მე, ვინაიდან საფუძვლიანი ეჭვი მქონდა, რომ „პერანგის ამხანაგის" თქმას აპირებდა, - ეს არის, სალომე, სახელგანთქმული იონა კამკამიძე, ჩემი უსაყვარლესი ბიძა.

სხვა დროს, სიტყვა რომ გამეწყვეტინებინა, ბიძაჩემი საავდრე ღრუბლად აიგორგლებოდა და თავს ჭექა-ქუხილს დამატეხავდა. დაპირებით ახლაც დააპირა, - ის კი არა, პირველი ნაპერწკლები უკვე დააკვესა კიდეც - მაგრამ „სახელგანთქმული" და „უსაყვარლესი" რომ გაიგონა, მყისვე მშვიდობიანად ჩაქრა, როგორც აბოლებული ნავთქურა, რომელსაც მოსალოდნელი აფეთქების თავიდან ასაცილებლად ძველი ტომარა გადააფარეს.

- ო, ნიმფავ, - ჩაიდუდუნა მერე ასე საამოდ მინავლულმა და სახის გამომეტყველებითაც, ჟესტიკულაციითაც და ხმის კილოთიც შეეცადა ჩემს მიერ ჩამოთვლილი ეპითეტები შეეფერებინა.

სალომემ ტუჩები მოკუმა და, უკუქცეულმა ღიმილმა რომ თვალების კუთხეებში გამოჟონა, მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამ თითქოსდა მოეშმაკური ღიმილს, რომელიც ჩვენი გუშინდელი და, როგორც ახლა წამით მომეჩვენა, გვარიანად ხანგრძლივი ერთად მოგზაურობის დროს რამდენჯერმე ვნახე, იწვევდა არა ქცევების პიკანტური შეუსაბამობა საკუთარ იდეათა ბუნებასთან, არამედ ამ შეუსაბამობის აღმძრავი ულრმესი და უადამიანურესი ბიძგები, რის გამოც მასში სითბო, გულითადობა და თანალმობა მეტი იყო, ვიდრე ირონია.

ასეთი ღიმილით გაუწოდა ხელი და უთხრა:

- თქვენს შესახებ ბევრი რამ მსმენია. გეტყოდათ ალბათ... - აქ წამით შეფერხდა, ვერ გადაწყვიტა, ჩემს მრავალ სახელთაგან რომელი უფრო შეეფერებოდა ჩვენი ურთიერთობის ამჟამინდელ დონეს; მერე ერთი ცერად ამომხედა და ყოყმანით დასძინა, - თქვენი დისწული.

- არ უთქვამს, - მიუგო ბიძაჩემმა და გამოწვდილ ხელზე ისე ელეგანტურად აკოცა, ყველაზე კრიტიკულად განწყობილი დისწულიც კი წუნს ვერ დასდებდა, - ეტყობა შურით მოუვიდა. მწერლები შურიანი ხალხია.

ამის შემდეგ მე და ბიძაჩემი მალევე წავედით. ჩვენ პრ. დიდებულიძის დასახსნელად მივეჩქარებოდა, ამიტომ, სალომემ რომ შინ შეგვიპატიჟა, თავაზიანი უარი ვუთხარით.

- პროფესორი დიდებულიძე ის კაცია, - ამჯერად საკუთარი ინიციატივით დაიწყო ბიძაჩემმა, ისე რომ მე არ მიკითხავს, პროფესორი დიდებულიძე რა კაცია-მეთქი, - ვინც ყველაფერს, რასაც საქართველოს ზნეობა წლების მანძილზე ნაწილ-ნაწილ იხდიდა და რიყიდან ყრიდა, ასევე ნაწილ-ნაწილ კრეფდა და კაჭკაჭივით აგროვებდა; იქამდე, რომ, როცა საქართველომ ხალხური სიმღერების გადაყრაც დაიწყო, იმის აკრეფასაც მიჰყო ხელი, თუმცა მუსიკალური სმენა ძლიერ ღალატობდა.

ამასობაში თავდაღმართი ჩავათავეთ და, ცენტრალურ ქუჩაზე რომ გავედით, ვკითხე:

- ახლა საით, ბიძია იო?

- სასაფლაოზე.

მე შევცბი.

- სასაფლაოზე რა გვინდა?

ბიძაჩემმა ტუჩები მოპრუწა და თავი სინანულით გადაიქნია.

- მიკვირს, დიეგო: მთელი დღე სასაფლაოსკენ იწევდი, როგორც მხარნაქცევი კვიცი; ძლივს გაკავებდი, და ახლა, ნებას რომ დაგყევი, ტლინკების ყრა დაიწყე, სასაფლაოზე რა მინდაო...

- ის სხვა სასაფლაო იყო.

- ეს კიდევ უფრო სხვა სასაფლაოა. მივალთ და ნახავ.

რაღა მეთქმოდა! დავადექით სასაფლაოს გზას.

- პროფესორი დიდებულიძე ის კაცია, - კვლავ უკითხავად მიუბრუნდა ბიძაჩემი წეღანდელ თემას, - ვინც, უნივერსიტეტში რომ იურიდიული განათლება მიიღო, მერე ამას თავის მხრივ - უნივერსიტეტის გარეშე - ეკონომიკური, ფილოსოფიური და პოლიტიკური განათლება დაურთო და საბოლოოდ იმ ტიპისა და რანგის სპეციალისტი დადგა, ჩვენში რომ ყასიდად ნატრობენ, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი ეს წყლის ნაყვა გამოდგა, ვინაიდან არც პრაქტიკულად და არც თეორიულად ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი რუდუნებით ნაგროვები ცოდნა არაფერში გამოდგომია.

... თუ გსურთ წალკოტზე და ედემზე თვალსაჩინო და ნამდვილთან ასე თუ ისე მიახლოებული წარმოდგენა შეიქმნათ, სანაკლიოს სასაფლაოს უნდა ეწვიოთ. ეს აზრი მგონი ერთხელ უკვე გამოვთქვი და ახლა მეორედ ვამბობ, მაგრამ ამის გამო ნუ დამძრახავთ; მესამედაც რომ ვთქვა - ვისაც იქაურობა ნანახი აქვს, ვფიქრობ, უყოყმანოდ დამემოწმება - მეტი მაინც არ იქნება. თუმცა ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო სანაკლიელთა ამ ბოლო ნავსაყუდელის არა ესთეტიკურ, არამედ პოლიტიკურ წახნაგს, რომლისთვისაც, სულ ცოტასაც თუ წამახავდით, შეგეძლოთ რევოლუციური წახნაგიც კი გეწოდებინათ: ადმინისტრაციის თეთრად შეთითხნილი, უსახური შენობის წინ ერთი ათი მანქანა დაგვხვდა (მათ შორის ოთხი „ფირმა"), როგორც ბაგაზე დაბმული ბედაურები. მართალია, ჩემი სისულელის (აგრეთვე, ზოგადადამიანური სისულელის) გამო პირველ ყოვლისა ის ვიფიქრე, ეტყობა ვინმე უკვდავთაგანი მოკვდა, რომ ამდენი ხალხი აფუსფუსებულა-მეთქი, მაგრამ მერე, ჩემი „ნივაც" რომ იმ ბედაურებს ამოვუყენე გვერდით და გადმოვედით, უეცრად კიბის ძირას, ზედ შესასვლელთან, ერთი იმისთანა შავი „ვოლგა" დავინახე, თავში ყველაფერი ამერია და ადგილზე გავშეშდი.

- ბიძია იო! - შევძახე აღელვებულმა, - შეხედე! ეს ის ნომერი არ არის, მამიდა ნუცამ რომ დაგვახვედრა?!

- დაწყნარდი, დიეგო, - დამიყვავა ბიძაჩემმა, - დაწყნარდი და მაგ არქიმედობანასაც მოეშვი. ასატროკებელი აქ არაფერია. ეს ის ნომერია, მამიდა ნუცამ რომ დაგვახვედრა, ეს ის მანქანაა, რომლითაც პროფესორი დიდებულიძე გაიტაცეს. ეს კრეონტ წილოსნის საგანგებო საქმეთა რწმუნებულის მანქანაა.

მე მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვინ იყო კრეონტ წილოსანი ან რას ნიშნავდა ეს ბუნდოვანი გამოთქმა - „საგანგებო საქმეთა რწმუნებული". და როცა ბიძაჩემმა ადგილის, დროისა და ვითარების გათვალისწინებით ძალზე მოკლედ ამიხსნა ერთიცა და მეორეც, მივხვდი, რომ მწვავე სათავგადასავლო სიუჟეტში გავბმულვარ, რომელსაც ეროვნული და პოლიტიკური სარჩული კიდევ უფრო სახიფათო შეფერილობას ანიჭებდა.

მაშინ ჩემს სხეულში, როგორც ნავთობის მოულოდნელმა საბადომ, დიდი ძალით ამოხეთქა ახალმა სასიცოცხლო ენერგიამ; დაღლილობა და მოთენთილობა უკვალოდ გაქრა და მე, ვითარცა სიმამაცემორეული ჯარისკაცი, რომლის სურვილი, მოვალეობა და მოწოდება სასწაულებრივად დაემთხვა ერთიმეორეს, მზად ვიყავი უყოყმანოდ გადავშვებულიყავი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

მაგრამ ბრძოლის სიმძიმემ ძირითადად ბიძაჩემის მხრებზე გადაიარა, ხოლო ბრძოლა რომ მძიმე იქნებოდა, იმ წამს დავრწმუნდი, რა წამსაც ვიწრო დერეფნის ბოლოში დოქტორ ხერხეულიძის კაბინეტიდან ვიღაცის (მერე გავიგე, კარლო წუწუნავა ყოფილა) მაღალი, მკივანი ხმა მოგვესმა:

- მერე? ვერ შევძელით საერთო ენის გამონახვა, როცა ისეთი ხორცმეტი შეგვექნა მოსაშორებელი, როგორიც ეს ეგრეთწოდებული დიდებულიძეა, მაგალითად?! თქვენ მონდომება თქვით, თორემ, ეროვნული ინტერესები რომ მოითხოვს, გავერთიანდებით კი არა, ისე შევიკვრებით, წინ ვერაფერი დაგვიდგება. ახლა მთავარია, ამისთანა წურბელები ყველა ვიპოვოთ, ვამხილოთ და გამოვავ...

ამ დროს გადავაბიჯეთ მე და ბიძაჩემმა ზღურბლს. ჩვენს დანახვაზე წუწუნავას სიტყვა წამით გაუწყდა, მერე ნერწყვი გადაყლაპა და უკვე სავსებით მობილიზებულმა ნეიტრალური კილოთი დასძინა:

- ა, იონაც.

ტყუილს ვერ ვიტყვი - ხშირად არ მომცემია შემთხვევა, მაგრამ როცა კი მომცემია, ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, ვისაც კი ყურები ასხია და ეს ყურები შესაბამისი ნერვებით ტვინზე აქვს მიერთებული, ყოველთვის საგანგებოდ ვაფრთხილებდი: არ გინდათ ბიძაჩემთან თამაში, თუ მაინცდამაინც, ცეცხლთან ითამაშეთ, თქვენს ასაკში ეს იმდენად საშიში არ არის, ბიძაჩემს კი მოეშვით, ბიძაჩემი ცბიერია, მზაკვარია, გაიძვერაა და ერთდროულად იმდენ ბადეს ქსოვს, შეუძლებელია რომელიმე მათგანში არ გაებათმეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერავის ვერაფერი შევასმინე.

რას იზამ! ადამიანს - და ეს სხვათა შორის, მარტო სანაკლიელებს არ ეხება -

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლება უყვარს და არა სწავლა.

სანაკლიოს პოლიტელიტა იმ დღეს პირველად ვიხილე. სამაგიეროდ ერთად თავმოყრილი ვიხილე. მარჯვენანი თუ მარცხენანი (შუალანიც), ჩინიანნი თუ უჩინონი, მტერნი თუ მოყვარენი, ამომავალნი თუ ჩამავალნი სულ აქ დაგვხვდნენ, დოქტორ ხერხეულიძის კაბინეტში, რომელიც თავისი ფორმალური მისიით ორი მომიჯნავე განზომილების, ამიერსოფლისა და იმიერსოფლის გამყოფი და დამაკავშირებელი რგოლი იყო; იქნებ რგოლი კი არა, უფრო ერთგვარი შლაგბაუმი, ან საგრიმიორო, ანდა სულაც ცხენების გამოსაცვლელი პუნქტი. თუმცა ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა. ასეა თუ ისე, როგორც ვთქვი, ყველანი აქ დაგვხვდნენ, ყველანი, გარდა თავად კრეონტ წილოსანისა, რაც იდეოლოგიური იერარქიის ძლიერი ინერციის წყალობით ჯერ კიდევ ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა და პროტესტის გრძნობას არ იწვევდა. კრეონტ წილოსანის მაგივრობას მისთა საგანგებო საქმეთა რწმუნებული სწევდა.

ელიტა თამბაქოს კვამლში იყო გახვეული და თამბაქოს კვამლში გახვეული ელიტა უფორმო და ცოტა არამატერიალური ჩანდა, რის გამოც (ან ეგებ სულ სხვა რამ ნიშნით) ისეთ სიმბოლოს ქმნიდა, რომელშიაც, თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, ხვალინდელი დღის ანარეკლს დაინახავდით. ყველაფერს, ცხადია, ვერა - ყველაფრის დანახვა შეუძლებელია - მაგრამ ზოგ მნიშვნელოვან შტრიხს კი (მაგალითად, ამომავალნი რომ თურმე უფრო ჩამავალნი ყოფილან, ვიდრე ჩამავალნი) გამჭრიახი და მოწადინე თვალი, დარწმუნებული ვარ, ამ ეტაპზევე შეამჩნევდა.

შევდგით თუ არა ოთახში ფეხი, მყისვე ჩვენც ადგილობრივ კვამლში ჩავიძირეთ, სადაც მცირე მოთელვის, მცირე მომზადების, მცირე ურთიერთდაზვერვის შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო, რომელიც ბიძაჩემის სრული, მაგრამ ცოტა საჩოთირო გამარჯვებით დამთავრდა.

წვრილმანებით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ აუცილებელს ვიტყვი.

ბრძოლის მიზეზი - იცით უკვე - პრ. დიდებულიძე გახლდათ. პრ. დიდებულიძე, ნესტან-დარეჯანისა არ იყოს, ტყვედ ჰყავდა ქაჯთა კოალიციას, რომელიც ყველა (ან თითქმის ყველა) პოლიტიკურსა და, საერთოდ, ძალას აერთიანებდა, რაც კი იმხანად სანაკლიოში მოქმედებდა. რა შეეძლო დაეპირისპირებინა ასეთი ზვავისთვის ერთ პაწია, უსუსურ ინდივიდს, რომელსაც მე და ბიცოლაჩემის გარდა მხარდამჭერი არავინ ჰყავდა? პასუხი, ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს. ცხადი და სამწუხარო.

მართლაც, გამარჯვების სასწორი თავდაპირველად ისეთი სისწრაფით გადაიხარა მოწინააღმდეგის მხარეს, რომ მე და ბიძაჩემი კინაღამ სულ გადავცვივდით ჩვენი აყირავებული პინიდან. დიახ, ძალები უკიდურესად არათანაბარი იყო და დამხვდურები, ამ არათანაბარი ძალების შეფარდებათა ვრცელ საჩრდილობელში არხეინად წამოგორებულები და მომავალი გამარჯვების ბანგით წინდაწინ დაბანგულები, თითქოს მართლა უკვე წაქცეულებთან და დამარცხებულებთან ჰქონოდათ საქმე, თავს უხამსი, ბრიყვული და გვარიანად უკბილო ხუმრობის ნებასაც აძლევდნენ, რაშიაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დოცენტი მიროტაძე (მაშინ მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ იგი პატარაობიდანვე ოხუნჯობის ღმერთს ყოფილა შეწირული) და კრეონტ წილოსანის საგანგებო საქმეთა რწმუნებული.

მე ყურადღებით ვაკვირდებოდი პოლიტბელადთა ამ საკრებულოს, რომელსაც ვინმე პრ. დიდებულიძე - კაცი სრულიად უდანაშაულო და შესაძლოა სრულიად უმანკოც - დილეგში ჩაემწყვდია და ახლა ბიძაჩემის ირგვლივ ჩაება ველური ფერხული, და მალე შევამჩნიე, რომ მდაბიური იუმორის, უგერგილო ნართაულების, ბლაგვი ირონიის, ხეპრული სიცილის, ბეცი თვითკმაყოფილების, ჯოგური სიმამაცისა და სხვა მოსამზადებელი ქმედებების სქელ ფენებს შეუპოვრად - თავიდან ოდენ არითმეტიკული, მერე და მერე კი უკვე სავსებით გეომეტრიული პროგრესიით - მოარღვევდა აგრესიის ეიდოსი, რომელიც სისხლის მათრობელა სუნში იყო შეხვეული და მისი მოახლოების კვალობაზე დამხვდურთ თანდათან ფერი ეცვლებოდათ, ხოლო რაც უფრო ეცვლებოდათ ფერი დამხვდურთ, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მე და ბიძაჩემი ისეთ ხაფანგში გავბმულვართ, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი ჩანდა. ეს შეშინებული კაცის პესიმიზმი არ გეგონოთ; შიშით არ შემშინებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალოდ რეალური ვითარება იყო ასეთი. განა თქვენ კი - გულზე ხელი დაიდეთ - შეინარჩუნებთ ოპტიმიზმს, თქვენი თვინიერი მეზობლები რომ ერთ მშვენიერ დღეს სულ ვამპირებად იქცნენ და მადიანი ქივილ-ხივილით სახლში შემოგიცვივდნენ? მართალია - და ეს ხაზგასმით უნდა ითქვას - ბიძაჩემი ბიძაჩემია და ნატიფი ქაოსით სავსე მის თავში ყოველთვის შეიძლება დანარჩენ მოკვდავთათვის მიუწვდომელი ანტივამპირული რამ მხამიანი კომბინაცია გამოინასკვოს, მაგრამ ამას შთაგონება სჭირდება - ელექტრომაგნიტური ველის ისეთი უცხო, უმოტივო და უპროგნოზო დაძაბულობა, რომელიც არც ადამიანის ნებას ემორჩილება, არც მათემატიკურ ალბათობას და არც სხვა რამ ლოგიკურსა და სამყაროულ კანონზომიერებას.

საბედნიეროდ, პესიმიზმი უსაფუძვლო გამოდგა. ჩემს მრავალნაცადსა და მრავალნაეშმაკარ ბიძას შთაგონების ეს ჭირვეული თავისუფლებაც გაუთვალისწინებია და საჭირო კომბინაცია წინდაწინ მოუმზადებია; ამიტომ ახლა, ვიდრე სანაკლიოს პოლიტვამპირები ალყას დაგემოვნებით ავიწროებდნენ და პირზე ნერწყვმომდგარები დაუფარავი სიამოვნებით ემზადებოდნენ მის შესახრამუნებლად, გულში იცინოდა.

მოგვიანებით ხმამაღლაც გაიცინა.

ხოლო მე გადავწყვიტე თქვენს მოწყალე სამსჯავროზე უცვლელად და დაუმუშავებლად, რედაქტირებისა და კორექტირების გარეშე გამოვიტანო

### ბიძაჩემის სიტყვა, წარმოთქმული მას ჟამსა შინა ქალაქ სანაკლიოს პოლიტიკური ელიტის წინაშე

- ნეტარ არიან მორწმუნენი, უფრორე ურწმუნონი, - თქვა ბიძაჩემმა. - პროფესორი დიდებულიძე რომ ეგზომ დემონსტრაციულად მოიტაცეთ, რათა მეც თქვენს ბუნაგში შემოგეტყუებინეთ და ამგვარად ორივე თეთრი კურდღელი (sic! - ავტ.) ერთი გასროლით მოგენადირებინათ, თქვენი ჭკუით, ეს ბრწყინვალე ჩანაფიქრი იყო, რომელმაც - რაკი მე მართლა მოვედი - გაჭრა კიდეც. ჰოი, მიამიტნო და უბრყვილონო! რა მწარედ ჭამეთ! როგორ გაგიცუდდათ მოლოდინი! რაოდენ ღრმად ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში! შეგატყუეთ, განა არა, ვითარ გეამათ ჩემი დანახვა, და გული თანაგრძნობით შემეკუმშა. გეგონათ იმიტომ მოვედი, რომ თქვენი წყალ-წყალა ჩანაფიქრი ვერ გავშიფრე. რომ გავშიფრე, სწორედ იმიტომ მოვედი, მოკვდავენო! ნუ იტკიცავთ, ნუ შეფუცხუნდებით და ერთმანეთს წამქეზებლურად ნუ გადახედავთ. გასაკვირი აქ არაფერია. გასაკვირი ის იქნებოდა, პირიქით რომ მომხდარიყო და თქვენს მდაბიურ მახეში გავბმულიყავი. რას იზამთ, დროა თქვენც გაუსწოროთ თვალი სიმართლეს. დროა თქვენც შეურიგდეთ ბედს. დროა თქვენც შეიგნოთ და შეიმეცნოთ, რომ ჩემს მზაკვრობასთან შედარებით თქვენი მზაკვრობა ბალღის ტიტინია. სად თქვენ, ვინც ეპიგონთა ნასუფრალით ხართ დაზრდილი, და სად მე, ვისაც ინტრიგის ისეთ ტიტანთა სკოლა გამივლია, როგორიცაა, მაგალითად, დიდი კაცია გოგია. არა, მეზობლებო, თქვენი თავთხელი და გამჭვირვალე ცბიერება ჩემს ფესვმაგარსა და წმინდადნაქსოვ ცბიერებასთან ვერ მოვა. თქვენ, ამ დღენაკლული შეთქმულების მოთავეებსა და ამ სისხლნაკლული სხდომის მონაწილეებს - კომუნისტებს, პროკომუნისტებს - თუმც გაჭირვების ჟამს სახელდახელო ბლოკი კი კარგად გაგიხაზირებიათ, უკლებლივ ყველას რაიკომის მეორე მდივნის სული გიდგათ. მერედა, რაიკომის მეორე მდივნის პაწაწკინტელა და მოთხვრილი სულით აპირებთ ჩემისთანა კაცი - ვერაგი, გველაძუა, შემოქმედი, მუხანათი, ანალიტიკოსი და ქვეგამხედვარი - გააცუროთ და მშრალზე დატოვოთ?! რამ გაფიქრებინათ! თქვენ თუ მართლა გჯერათ, რომ რაც ზემოთა ხართ, ორი იმდენი ქვემოთა ხართ, ფრიად და ფრიად გაზვიადებული წარმოდგენა გქონიათ საკუთარ თაღლითობაზე და გაიძვერობაზე. სინამდვილეში ეს თავის მოტყუებაა და, საბოლოო ანგარიშით, თავის მტრობაც. რაც ჩანხართ, ისა ხართ. მაგის მეტი არც ზემოთა ხართ რამე და არც ქვემოთ. საერთოდ, ამ ხნის ხალხმა - ქალებს არ გგულისხმობთ - კი უნდა იცოდეთ, რომ გრძნობადი სამყარო რელატური ბუნებისაა და „დიდი“ და „პატარა“ შეფარდებითი ცნებებია. რაც ერთისთვის დიდია, მეორისთვის შეიძლება პატარა იყოს. მართლაც, საცა თქვენი ეშმაკობის ჰოე და აპოგეაა, ჩემი ეშმაკობისა იქ მხოლოდ ანია და პერგეა, და მე, როცა მზაკვრობისა და მამაძაღლობის კლასგარეშე საკითხავ წიგნს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევადგენ - უკვე დაწყებული მაქვს - თქვენს დღევანდელ ოინს საბავშვო ოინებთან ერთად შესავალ კურსში მოვაქცევ. დიახ, დიახ, დიახ: ჩემი მზაკვრობის ორბიტა თქვენი მზაკვრობის ორბიტას მთლიანად მოიცავს, ხოლო თქვენი მზაკვრობის ორბიტა ჩემი მზაკვრობის ორბიტის ერთ პაწაწინა სეგმენტზე ეტევა. აქედან გამომდინარე, თქვენი ურთულესი ჩანაფიქრი ჩემთვის ნათელი და გამჭვირვალეა, როგორც აპრილის ულრუბლო დილა კომუნიზმის პიკზე, მაშინ როცა ჩემი უმარტივესი ჩანაფიქრიც კი თქვენთვის ენიგმა და სფინქსის გამოცანაა. და თქვენ, რაც უნდა ტვინი იჭყლიტოთ და ინტელექტის წელებზე ფეხი დაიდგათ, ვიდრე მე თვითონ არ გეტყვით, ვერ მიხვდებით, აქ რატომ მოვედი. ან მე რატომ მოვედი, ან ეს სახელგანთქმული ქამთაადმწერელი რატომ მოვიყვანე, რომელსაც განზრახული აქვს სანაკლიოს აწინდელი ქამიანობა დაწვრილებით და პირუთვნელად - ყურადღება მიაქციეთ: პირუთვნელად - აღწეროს და შთამომავლობას, მათ შორის თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილიშვილიშვილებსა და ბადიშიშვილებს - „ბადიშიშვილები", მგონი, არასწორად ვიხმარე, დიეგო - შემოუნახოს. ასე და ამრიგად, ბატონებო და შიგადაშიგ ამხანაგებო, გნებავთ ომის გამოცხადებად ჩამითვალეთ ეს აქცია, გნებავთ სამშვიდობო ინიციატივად, ჩემი აქ მოსვლის მთავარი მიზანი ის კი არ არის, სარკედ აგეყუდოთ წინ და თქვენი ნამდვილი და შეულამაზებელი სახე გაჩვენოთ, არამედ ის, რომ თქვენი ესოდენ უმეცრად და მოუქნელად დაწყებული ოინი გავაგრძელო და განვავითარო, გავაღრმავო და გავართულო, გავანატიფო და გავამრავალფეროვნო, და თვალსაჩინოების მეთოდით, ცოცხლად და ნათლად, ცხადად და მკაფიოდ დაგანახვოთ, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მზაკვრობა, რათა ხელოვნების ნართაულ და ოკრობოკრო გზაზე საჭირო კონდიციამდე მიხვიდეთ და ამის მერე მაინც აღარავის ათქმევინოთ, სანაკლიელები მარტივები და მიამიტები, პრიმიტიულები და უფანტაზიოები, ჭკუამოკლეები და ერთუჯრედიანები არიანო, ხოლო თუ შესძლებთ, კარგი იქნება იმასაც მიაღწიოთ, რომ საკუთარ აზრთა სხივებზე ისე იმედიანად შესხდეთ, როგორც ფასკუნჯებზე ანდა ცოცხებზე და იდლიებში შეძლებისდაგვარად გამუდმებით გქონდეთ შეგრძნება ინტელექტუალური ფრთებისა, რომლებიც დროდადრო სულიერი გაფრენისაკენ გიბიძგებენ. მაგრამ მოვეშვათ ამას და მზაკვრობის ხელოვნებას მივუბრუნდეთ. ყოველი კონკრეტული მზაკვრობა თავისი ეპოქის ჩარჩოში დევს. მაგალითისთვის ავიღოთ შანტაჟი, როგორც მზაკვრობის ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დარგი. ამ ტიპის მზაკვრობაში დღეს, გეცოდინებათ, მთავარია კასეტა - აი, ასეთი, შესახედავად სრულიად უბრალო, უწყინარი და უინტერესო ნივთი, რომელზედაც ბანალური სიბინძურეებია აღბეჭდილი, ისეთები, რომ თქვენებრ კეთილშობილ კაცთა უმრავლესობა მის სანახავად, ალბათ, დროს არც დაკარგავს. მაგრამ საუბედუროდ და საბედნიეროდ - ერთი მხრისთვის საუბედუროდ, ხოლო მეორესათვის საბედნიეროდ - ეს გარეგნული უბრალოება ცრუ უბრალოებაა და გარეგნული უწყინარობა - ცრუ უწყინარობა, ვინაიდან ხსენებული უმრავლესობის მიღმა უეჭველად იგულისხებმა ვინმე ერთი - ერთი პიროვნება თუ ერთი ოჯახი, ერთი სანათესაო თუ ერთი საგვარეულო, ერთი ბანდა თუ ერთი კლანი - რომელიც სახლ-კარს გაყიდის, უკანასკნელ პერანგს გაიხდის, ურიის ვალს აიღებს და ამ წყეულ კასეტას კი უსიკვდილოდ იყიდის. რატომ? იმიტომ, რომ ის, რაც ფირზეა, არც მტერს ენახვის და არც მოყვარეს. თვალნათლიობისთვის ვთქვათ, ერთი რომელიმე აქა მბრძანებელი გადაღებულია საცქერლად არ ვიცი ეგებ საამოც, მაგრამ გამოსამზეურებლად კი უხერხულ და საშიშ ისეთ ვითარებაში, როცა მეორე რომელიმე აქა მბრძანებლის მეუღლეს... ერთი სიტყვით კასეტა ფასდაუდებელი განძია, მით უფრო, რომ აქ ძალადობაც - ყველაზე მარტივი და ათადანბაბადან ყველაზე უღალატო საშუალება - უძლურია, ვინაიდან და რადგანაც ის კასეტა, კლიენტის სამსჯავროზე რომ გამოგვაქვს, მხოლოდ ერთი ეგზემპლარია, ნიმუშად წამოღებული ასლი, რომლის საფუძველზე ფასი უნდა დადგინდეს და შეთანხმება გაიჩარხოს, ხოლო კიდევ სამი ეგზემპლარი სამ სხვადასხვა სამალავში ინახება და მხოლოდ მეშანტაჟის უეცარი გაქრობისას ან სხვა რამ მსგავსი გართულებისას გამოვა დღის სინათლეზე. დიახ, ხელოვნება დიადი თავშესაფარია, ხოლო ფირი გამრავლებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვემდებარება და დღეს შანტაჟის ბაზარზე ყველაზე ძვირად კასეტა ფასობს. მაგრამ ასე იყო ყოველთვის? რა თქმა უნდა, არა, ყოველ ეპოქას თავისი იარაღი და თავისი გემოვნება აქვს. ავიღოთ მაგალითად, ასეთი ფაქტი: როგორც ცნობილია, თქვენი ამჟამინდელი ტყვის, პროფესორ დიდებულიძის მამა ოცდაჩვიდმეტის შემოდგომაზე დაიჭირეს. მაშინ, მოგეხსენებათ ყველას იჭერდნენ, განსაკუთრებით იმათ, ვინც უდანაშაულო იყო. მაგრამ ეს დიდებულიძე დაიჭირეს არა იმიტომ, რომ უდანაშაულო იყო - თუმცა, ცხადია, უდანაშაულო იყო, არამედ იმიტომ, რომ ვიღაცას მის სახლ-კარზე თვალი დარჩა და გული შეუვარდა. არა, დიეგო? ახლა ვთქვათ და, დავაპირეთ, გარდასული დროის ეს გვარიანად ბანალური ამბავი, რომელიც ფირზე, მოგეხსენებათ ვერ იქნება ალბეჭდილი და, საერთოდაც, ჩვენამდე მხოლოდ ზეპირსიტყვიერი სახითაა მოღწეული, შანტაჟისთვის გამოვიყენოთ. როგორ უნდა მოვიქცეთ? როგორ მოიქცეოდა ჩვენს ადგილას პროფესიონალი მეშანტაჟე, ჭკვიანი, გამოცდილი და უშიშარი? როგორ და დოკუმენტაციის შედგენას მიჰყოფდა ხელს. პროფესიონალმა მეშანტაჟემ იცის, რომ ცოდნა-ცოდნა ასე ვთქვათ, თავისთავად - თუნდაც საყოველთაოდ აღიარებული და გაზიარებული, ოფიციალური თვალთახედვით ჯერ მაინც მხოლოდ რწმენაა და ნამდვილ ცოდნად რომ იქცეს, საჭიროა ფუნდამენტში, საიმედოდ, როგორც ზურაბი, ათასგზის შემოწმებული და გადამოწმებული, მრგვალი ბეჭდებით დაბეჭდილი და კანონის წყალში განბანილი დოკუმენტების დასტა ჩავუწყოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვალიფიცირებული მეშანტაჟის მიზანია, ზეპირსიტყვიერ, არაკანონიკურ ცოდნას, ნაბიჯ-ნაბიჯ და მისხალ-მისხალ, მიზეზ-მიზეზ და ფაქტ-ფაქტ, საბუთ-საბუთ და ქაღალდ-ქაღალდ ისეთი კანონიკური გალავანი შემოავლოს, რომ მის გადასალახავად სხვა საშუალება, გარდა დაწესებული ჰონორარის გადახდისა, მკაცრად გამოირიცხოს. ჩვენს მაგალითს რომ მივუბრუნდეთ, ჩვენს მაგალითში ჭეშმარიტი და ღირსეული მეშანტაჟე საქმიანობას იმით დაიწყებს, რომ პირველ ყოვლისა დაადგენს, თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად იმ სახლში, რომელშიაც ოცდაჩვიდმეტის შემოდგომამდე დიდებულიძეები ცხოვრობდნენ. მერე, ვითარცა ახალი დროის თეზევსი ვინმე, ამ ძაფს ნელ-ნელა აუყვება ზემოთ და, თუმც სამუშაო, არ დაგიმალავთ, მოსაწყენი და მომქანცველი ექნება, ბოლოს და ბოლოს უეჭველად მიადგება საძიებელ ობიექტს და ისე ჩაამწყვდევს ჩინოვნიკური სტილით შედგენილ მშრალ დოკუმენტებში, როგორც წინასწარი პატიმრობის საკანში. შესაძლოა (სავარაუდოც) რომ თავად ობიექტი ცოცხალი აღარც იყოს, მაგრამ მისი სიცოცხლე არც არავის აინტერესებს. მთავარია - ღმერთმა დიდი დღე მისცეთ და - მემკვიდრეები არიან ცოცხლები. მეტიც: ერთი მათგანი იმ ზომამდე ცოცხალია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძიმე, მაგრამ მოოქროვილ უღელში შებმული, მხნე თავდაჯერებით მიალაჯებს პოლიტიკური კარიერის ციცაბო აღმართში. შანტაჟის ბუნიკიც სწორედ ამ გამორჩეული მემკვიდრისკენაა მიმართული (შანტაჟი, საზოგადოდ, გამორჩეულ ხალხს ეტანება). ვინა თქვა შვილები მამათა ცოდვის გამო პასუხს არ აგებენო?! განა ასეთ პერსპექტიულ, იმედის მომცემსა და ჯანსაღი პატივმოყვარეობით აღსავსე კაცს კარიერის დასაწყის ეტაპზე სუფთა ხელები და სუფთა ბიოგრაფია არ სჭირდება?! ამიტომ თქვენს მიერ - სიტყვაზე ვამბობ, თორემ, ვის მიერ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს - რუდუნებით მოგროვილ დოკუმენტებს იგი აუცილებლად იყიდის. ღმერთმა დაგიფაროთ და, თქვენ რომ იყოთ მის ადგილას, არ იყიდდით? იყიდდით. ადამიანი მოსახვეჭელს ძირითადად ღირსების ფასად იხვეჭს, და თუ შეცდომა დაუშვა, ადვილი შესაძლებელია: ჩუმად გაყიდული ღირსება ჩუმადვე გამოსასყიდი შეექნას და მთელი ამონაგების ამ საქმეში დაბანდება მოუხდეს. ეს პარადოქსი არ გახლავთ. როცა საზოგადოებაში ცხოვრობ, რეპუტაციის ქვეშ ნაღმები გაქვს ჩაწყობილი და ღირსებაც მუდმივი აღებ-მიცემობის საგანია... მაგრამ ამასაც მოვეშვათ და ისევ ჩვენს თემას მივუბრუნდეთ. მზაკვრობის ხელოვნებაში, ისევე, როგორც, კაცმა რომ თქვას, ყოველგვარ ხელოვნებაში პარნასზე ასაფრენად კაცს ოთხი ჯადოსნური ფრთა გჭირდება: ნიჭი, ცოდნა, ენერგია და რეკლამა, ანუ პროფესიონალიზმი ამ ცნების ყველა თანდაყოლილი და შეძენილი ნიშან-თვისებით. თუ იღბალიც გაქვს, ხომ მთლად კარგი, თუ არადა, ამ ოთხი ფრთითაც შეგიძლია გაიტანო ლელო, ესაა მხოლოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცოტა მეტი მობილიზება დაგჭირდება და ცოტა მეტი ენერგია დაგეხარჯება. ცალკე და ხაზგასმით უნდა ითქვას – ეს მომენტი ხშირად გამორჩებათ ხოლმე მხედველობიდან – რომ ჩვენს საქმეში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თემის შერჩევას. გახსოვდეთ: ისეთი მარადიული თემების გვერდით, როგორებიცაა დაქირავებული მკვლელობა, სამშობლოს ღალატი, ფინანსური მაქინაციები, ქრთამი და სხვა, არსებობს კონიუნქტურაზე აღმოცენებული აქტუალური თემებიც. დღეს მაგალითად, ძალზე აქტუალურია და ბაზარზეც, შესაბამისად, ძვირად ფასობს საეჭვო წარმომავლობა (ვთქვათ, რომელიმე წინაპრის წინდაუხედაობით ძარღვებში ფარულად დაგიდით სომხური, ოსური ან რუსული სისხლი); არანაკლებ ძვირად ფასობს უშიშროების სამსახურთან საიდუმლო თანამშრომლობა, არანაკლებ ძვირად ფასობს, თქვენ ჯვარი გწერიათ და (თუმცა, რა ვიცი, გწერიათ?) ჰომოსექსუალიზმი... საზოგადოდ, შანტაჟი მზაკვრობის დიდი და ნაყოფმრავალი ხის მხოლოდ ერთი ტოტია. ასეთი და კიდევ უკეთესი ტოტი მზაკვრობას სხვაც ბევრი აქვს, მაგრამ მგონი სათქმელი ცოტა გამიგრძელდა და, თუმც დარწმუნებული ვარ, ამა ხელოვნების მრავალფეროვან მიმდინარეობათა და მიმართულებათა გაცნობა თქვენთვის საინტერესოც იქნება და სამარგებლოც, სჯობს აქ წერტილი დავსვა, ვინაიდან სავსებით ნათელია, რომ ქურდს უკვე ეწვის ქუდი... მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ კოორდინატები წინდახედულად დამიტოვეთ და თავი საძებარი არ გამიხადეთ და, თუკი პროფესორ დიდებულიძესთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება თქვენთვის მართლა მნიშვნელოვანი საქმეა, მზად ვარ დაუყოვნებლივ წარმოგიდგინოთ ჩემი წინადადება, რომელიც ზომიერად კომპრომისულია და, იმედი მაქვს, ორივე მხარისათვის მისაღები იქნება.

ბიძაჩემი დაჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო. მისი წაბაძვით მეც შემოვიდე ფეხი ფეხზე, მაგრამ დიდხანს ვერ გავძელი ასე და ისევ ჩამოვიღე. ოთახში სამარისებური დუმილი იდგა. თავიდან – ბიძაჩემმა რომ ლაპარაკი დაიწყო – ხმაურმა იმატა და ერთი ხანობა აღმავალ ხაზს მიუყვებოდა, მაგრამ რომელიღაც დანაყოფზე შეჩერდა; ჯერ აღმასვლა შეწყვიტა, მერე ნელ-ნელა დაბლა დაეშვა და ბოლოს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, არათუ ბუზის გაფრენას გაიგონებდით, არამედ რამდენიმე ბუზის გაფრენა პირადად მე რეალურადაც გავიგონე. და რაკი სიტყვა ბუზზე ჩამოვარდა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ერთი ბუზი ბიძაჩემმა შეიპყრო კიდეც. ეს ასე მოხდა: სწორედ მაშინ, როცა რიტორიკული კითხვა დასვა სუფთა ხელებისა და სუფთა ბიოგრაფიის შესახებ, ერთმა გაქსუებულმა ბუზმა გამომწვევი ბზუილით ცხვირწინ ჩამოუქროლა; პასუხად ბიძაჩემმა (რომელსაც, უნდა გითხრათ, ფამილიარობა ძალიან ეჯავრება) იდაყვში მოხრილი მარჯვენა ელვის უსწრაფესად გაიქნია, კადნიერი ბუზი მუჭაში მოიმწყვდია და დოქტორ ხერხეულიძის საწერ მაგიდაზე რომელზედაც ზესთასოფელს მიმავალ სანაკლიელთა ვიზები ფორმდება ხოლმე, მთელი ძალით დაანარცხა, ისე კი, რომ ლაპარაკი არ შეუწყვეტია და ნირი არ შეუცვლია. ბუზი გულაღმა დაეცა და მოსარკევებულ ზედაპირზე ბზრიალი დაიწყო. ერთხანს რომ იბზრიალა, მერე გაჩერდა, გაშეშდა და არავინ იცის როდემდე იქნებოდა ასე, როგორც სხვათა ბრძოლაში დაცემული აბსურდული მსხვერპლი, მაგრამ, საბედნიეროდ, დოქტორი ხერხეულიძე, რომელიც თავიდან ეტყობა ვარაუდობდა, რომ ბუზი უბრალოდ გრძნობადაკარგული იყო და, როგორც კი მოსულიერდებოდა, მაშინვე გაეცლებოდა აქაურობას, ბოლოს და ბოლოს მიხვდა ამ ვარაუდის უსაფუძვლობას და იგი ზიზღიანი წკიპურტით გადააგდო ძირს. ბიძაჩემს კი, მას შემდეგ, რაც ხსენებული მკვლელობა ჩაიდინა, მოკლულისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, მე მგონია მისი არსებობა – ამ შემთხვევაში იქნებ უფრო სწორი იყოს „არარსებობა“ ითქვას – აღარც გახსენებია, მშვიდად, აუღელვებლად, წარბშეუხრელად და ინტონაციის შეუცვლელად განაგრძო ლაპარაკი და ისე გავიდა ბოლოში, სხვა რამ ინციდენტი, გარდა ამ შემთხვევითი მკვლელობისა, აღარაფერი მომხდარა. სამაგიეროდ, ახლა უნდა მომხდარიყო. ახლა, რა რომ გაჩუმდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო რაღაც; ამას ჰაერის დამუხტულობის ხარისხიც მოწმობდა. მაგრამ რა? მე ბიძაჩემს – არ ვიცი, რა ფსიქოანალიტიკურ ფენომენთან გვაქვს საქმე, მაგრამ ერთხელ რომ ვიხმარე, კვლავ ის კულინარული შედარება მომადგა

ენაზე - მოხარშულს ვიცნობ, ამიტომ ჩანაფიქრს თავიდანვე მივუხვდი. და ეს ჩანაფიქრი, მერწმუნეთ, არა მარტო ნატიფი იყო, არამედ უტყუარიც. მაგრამ ერთია თეორია და მეორეა თეორიის პრაქტიკული განხორციელება. ამ თვალსაზრისით კი ჩემი მაშინდელი ვარაუდით (რომელიც, მადლობა ღმერთს, მცდარი გამოდგა) ბიძაჩემი მთლად მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა. მართლაცდა, ფსიქოლოგიური იერიშის ძალა ხომ იმაშია, რომ ერთი მხრივ ოპერაცია მაღალი თავდაჯერებითა და შეუბღალავი ბუნებრიობით ჩაატარო და ოპონენტს მოსალოდნელი უბედურება, რომლის ბერკეტი შენ გიპყრია ხელთ, ისე ჩაუქარაგმო, მუქარასაც მიგიხვდეს და შენს ძალასა და უპირატესობაშიც ეჭვი ვერ შეიტანოს - და ოპერაციის ამ ნაწილში ბიძაჩემის ქმედება დიაღაც უნაკლო იყო - მაგრამ მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე ზედმეტად არ უნდა გააღიზიანო, წონასწორობიდან არ უნდა გამოიყვანო, ისე არ უნდა დაადგა ფეხი ჭრილობაზე, რომ ღმუილი დაიწყოს, გონება აერიოს, კონტროლი დაკარგოს და ცოფმორეულმა ისეთი რამ სისულელე ჩაიდინოს, რომ ყოველგვარი კომპრომისი და შეთანხმება წყალში გადაყაროს. ამ მხრივ კი ბიძაჩემმა თავისი გამომწვევი მჭევრმეტყველებით, ვფიქრობ, ცოტა გადაამლაშა (მოგვიანებით, როცა პრობლემას შედარებით დამშვიდებულ გულზე განვიხილავდით, თვითონაც აღიარა - ობიექტურად ცოტა კი არა მგონი გვარიანადაც გადავამლაშე, მაგრამ ძალიან მინდოდა მენახა, მწარე-მწარე აბებს როგორ ჩაყლაპავდნენ, და ეს სურვილი ისეთი იყო, წინ ვერ აღვუდექიო, - მერე ქარაფშუტული ღიმილით დაუმატა, - სამაგიეროდ, ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ საქმე სანაკლიელებთან მქონდა და, მაშასადამე, ხიფათი მინიმალური იყოო). ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ოთახში დუმილი იდგა და ძალთა ახალი განლაგება - თუკი ძალთა განლაგება ნამდვილად შეიცვალა და გადახალისდა - მანამ არ გამოჩნდებოდა, სანამ ეს დუმილი არ დაირღვეოდა.

ბოლოს და ბოლოს, დიდხანს გაგრძელდა თუ ცოტა ხანს, დუმილი მართლაც დაირღვა. იგი ერთმა ცალხელა კაცმა დაარღვია, რომელსაც ყელზე, ნიკაპქვეშ, გრძელი, ვერტიკალური ნაიარევი დასდევდა და შეშლილის მღვრიე თვალები ჰქონდა, თუმცაღა სინამდვილეში შეშლილი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, იმ ემოციურ ფონზე, რომელიც იმჟამად სანაკლიოში სუფევდა, სხვებისგან არაფრით განირჩეოდა. ამ კაცმა - იგი რომელიღაც მეორეხარისხოვანი და აწ უკვე სამარადჟამოდ დავიწყებული პარტიის ლიდერი გამოდგა - კერძოდ, თქვა:

- ე ქამთააღმწერელი რაღა მოხელე ჩიქვანია?

- ქამთააღმწერელი არა ის, - სწრაფად გამოეპასუხა ცალხელას გვერდით მჯდომი ჩაფსკვნილი, თმახუჭუჭა კაცი, რომელიც ეთიოპელივით შავი იყო და, კაცმა რომ თქვას, პირადად მე არც მაქვს რამე მკაფიო და შეუვალი საბუთი, რითაც მისი პრინციპული ეთიოპიელობის უარყოფა შეიძლებოდეს, - არაფელი ქამთააღმწერელი მაგ არაა. სანაკლიოშია დაბადებული და გაზდილი. მაგის დედ-მამა სანაკლიოში ცხოვრობს და მაგის და-ძმები სანაკლიოში ცხოვრობენ.

ეს, ასე ვთქვათ, მოთელვა იყო. მოთელვის შემდეგ კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

მე, რამდენადაც ამის საშუალებას დაძაბული ვითარება იძლეოდა, შეკრებილთ ვაკვირდებოდი და ვცდილობდი გამომეცნო, რომელი მათგანი შეიძლებოდა ჰომოსექსუალისტი ყოფილიყო, მაგრამ ეს ცდა ამაო გამოდგა და როდესაც დავასკვენი, ან ბიძაჩემმა იბლეფა, ან არადა ჰომოსექსუალისტის ტიპი, როგორც ჩანს, ჩემთვის მთლად ნათელი არ არის-მეთქი, სიჩუმე კვლავ დაირღვა.

- მაგ კასეტაზე რა გაქვს, იონა, ჩაწერილი?

ასეთი იყო პირველი კითხვა. იგი კუტუბიძემ დასვა. კუტუბიძე წარმოსადეგი კაცი იყო, შევერცხლილი თმაც უხდებოდა და, საერთოდ, რომ არა უძრავი და სრულიად ცარიელი, შუშის მსგავსი თვალები, ვიდრე გაიღიმებდა, შეიძლება სიმპათიურიც მოგჩვენებოდათ.

- ამაზე? - ბიძაჩემმა კასეტა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ასე დამაინტრიგებლად დაანახვა შეკრებილთ. ისევ ამოიღო პიჯაკის დიდი ჯიბიდან, ხელში შეატრიალა და ისე დააცქერდა, თითქოს თვითონაც დაეჭვდა, მართლა საინტერესო ხომ არა არის რაო. მერე თავი ღიმილით გაიქნია, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი არაფერი...

- მაინც?

- არაფერი - მეთქი... შემიძლია გაჩვენოთ, თუ, რა თქმა უნდა, ამ წმინდა საბაქოზე საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა მოიძებნება... თუ გინდათ დაგიტოვებთ და მერე ნახეთ. ან სულაც გაჩუქებთ. უნდა ვინმეს? არა ხომ? მაინც ეგდოს აგერ, იქნება მერე მოგინდეთ... - ამ სიტყვებით კასეტა დაუდევრად მოისროლა მაგიდაზე, მაგრამ ამას რომ იდუმალი, გაუგებარი და ავის მაუწყებელი ჩოჩქოლი მოჰყვა, ისევ აიღო, - კარგი, რაკი ესოდენ ავადმყოფური აჟიოტაჟი გამოიწვია, ასე ვიზამ... თეიმურაზ ბატონო, ერთი ეგ საფერფლე მომაწოდე, თუ არ შეწუხდები, - და თეიმურაზად მოხსენიებულმა ოთხკუთხა კაცმა რომ საფერფლე გაუწოდა, თავი გაიქნია, - ეგ არა; მეორე. ის უფრო დიდია.

თეიმურაზმა მეორე საფერფლე მიაწოდა. ბიძაჩემმა საფერფლე წინ დაიდო, კასეტა გახსნა, ფირი შიგნეულივით გადმოყარა საფერფლეზე, ასანთი ამოიღო, გაკრა, მოუკიდა და ყველაფერი ეს ნელა, დინჯად, აუჩქარებლად მოიმოქმედა.

ამჯერად რომ დუმილი ჩამოვარდა, ის დუმილი უფრო საზეიმო იყო და თავისი პათეტიკური უშინაარსობით მშვიდობის ჩიბუხის ჩამოტარებას ჰგავდა. ხოლო როცა ეს დუმილიც მოთავდა, კრეონტ წილოსანის საგანგებო საქმეთა რწმუნებულმა იკითხა:

- შენ ხომ არ გგონია, იონა, რომ მაგ შენი ნამიოკების ვინმეს ეშინია?

რწმუნებული ხმელი კაცი იყო; საშიშრად ფერმიხდილი და უტყვი სახე ჰქონდა, ფართო, მოტიტველებული შუბლი, ჩახლეჩილი ხმა, ნელი, ხაზგასმულად თავდაჯერებული ჟესტიკულაცია და მოღალატის იერი, რასაც კიდევ უფრო უსვამდა ხაზს შავი სათვალე. აი, ამ რწმუნებულმა მომლოდინე დუმილის შემდეგ, რომლის ჩუმი შიშით სავსე სიბნელეში ვინმეს წინამძღოლის თუ არა, მეგზურის როლი მაინც უნდა ეკისრა, ჯერ თავისიანებს მოავლო მზერა, მერე ერთი მე ამხედ-დამხედა აგდებულად და მშვიდობიანი ზიზღით, ბოლოს შავი სათვალე ბიძაჩემის გაცისკროვნებულ სახეს მიაპყრო და მკაცრი კილოთი, რომელშიაც ძალზე ფრთხილად დაცურავდა შემრიგებლური ნახევარტონი, ჰკითხა:

- შენ ხომ არ გგონია, იონა, რომ მაგ შენი ნამიოკების ვინმეს ეშინია?

რაზედაც ბიძაჩემმა უპაუზოდ, თითქოს ნატყორცნი ბურთი აისხლიტაო, შეაგება:

- როგორ გეკადრება!

ამ მცირე, მაგრამ ტევადმა და დიდი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე შესიტყვებამ, თითქოს ადამიანებმა ნაბიჯი ღმერთისკენ გადადგესო, დაძაბულობა მკვეთრად გაანელა. გარდა ამისა, ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ კომუნისტების ავტორიტეტი, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, სანაკლიოშიც ჯერ კიდევ მტკიცე, თითქმის შეუვალი, ვინ იცის, ძველებურად მაგიურიც კი იყო. მიტინგებიდან, დემონსტრაციებიდან და მსგავსი ხალხმრავალი შეკრებებიდან, ცხადია, სულ სხვა შთაბეჭდილება გამოგყვებოდათ, მაგრამ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე პრიორიტეტი წმინდა სიტყვას ეკუთვნოდა, ხოლო როცა წმინდა სიტყვა იდეათა სამყაროდან გამოვიდოდა და საქმედ გარდაისახებოდა, მაშინვე ყველანი კომუნისტებს მიაჩერდებოდნენ და პრობლემის მოგვარებას მათგან ელოდნენ. კრეონტ წილოსნის საგანგებო საქმეთა რწმუნებულიც, ჩანს, მიხვდა, რომ ამ საჩოთირო, მრავალმხრივ-საჩოთირო და იდუმალ-საჩოთირო ვითარებაში გადაწყვეტილება, როგორც კომუნისტების დესპანს, მას უნდა მიეღო, და მიიღო კიდეც იმ თავისი, ფაქიზი, ძლივსშესამჩნევი ნახევარტონით.

დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

ბიძაჩემი არ ჩქარობდა. სიტუაციის სადავეები მტკიცედ ეპყრა ხელთ და იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვებამდე ახლა ყველაზე სწრაფად ლოდინის ტაქტიკა მიიყვანდა.

ხოლო ვიდრე ის ამ ეფექტურ ტაქტიკას ფეხიფეხშემოდებული მშვიდად და, ცოტა არ იყოს, ავი სიამოვნებით ახორციელებს, მე მინდა მცირე ხოტბა აღვავლინო სითამამის მიმართ. „სითამამე“ ამ ადგილას ერთადერთი და უალტერნატივო ტერმინი არ გახლავთ. შემეძლო „თავდაჯერება“ მეხმარა, ან „რწმენა“, ან „სიმამაცე“, ან „გამბედაობა“, ან „გულადობა“, და ა. შ., მაგრამ არჩევანი „სითამამეზე“ შევაჩერე, ვინაიდან იმ თვისების დასახასიათებლად, რომლის დახასიათებასაც ვაპირებ, იგი, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტიცაა და ყველაზე მჟღერიც.

მკითხველთა ნაწილს შესაძლოა ზემოთ

მოტანილი ეპიზოდი ნაკლებ დამაჯერებელი ეჩვენა. ნაწილის ნაწილმა კი - ვინც უფრო უბირია და კითხვის ხელოვნებაშიც არასაკმაოდ გაწაფული - ვინ იცის, გულში ლიტერატურული ძალადობაც დამწამა, მაგრამ მე მტკიცედ ვდგავარ ჩემსაზე და საბუთად იმას მოგახსენებთ, რომ სითამამე - სითამამე, რომელიც თავხედობის ზღვარზე მიაბიჯებს, ოღონდ ამ ზღვარს არ გადადის - დიდი რამ ნიჭია; და თუ ეს ნიჭი გამოგაჩნდათ, ღმერთს მადლი შესწირეთ და გამარჯვების მძიმე გზაზე ნახევარი საქმის გაკეთება მას მიანდეთ. ვისაც ძალუძს ყოველდღიურ ცხოვრებას - თავისსა თუ სხვისას - დაკვირვებით ადევნოს თვალი, ის უჩემოდაც მივა იმ დასკვნამდე, რომ სითამამე არის ნებისმიერი, მათ შორის ინტელექტუალური და შემოქმედებითი წარმატების ერთი უმთავრესი საწინდარი, და მისთვის ამ დებულებას დამატებითი საბუთები არ სჭირდება, სხვებს კი იგავად ერთ ამბავს მოვუყვები. ეს ამბავი ბიძაჩემს შეემთხვა და თავისუფლად შეიძლება ნებისმიერ თქვენგანს შეემთხვეს.

ერთხელ, შორეულ ახალგაზრდობაში, ბიძაჩემი ერთ დაწესებულებაში - რა დაწესებულებაზეა ლაპარაკი, ეთიკურ მოსაზრებათა გამო ვერ გაგიმხელთ - ორ ახალგაზრდა ქალს იცნობდა, ერთი მათგანი დირექტორი იყო, მეორე კი ბოტანიკის მასწავლებელი. ხოლო საერთო ის ჰქონდათ, რომ ორთავეს ლილი ერქვა. ბოტანიკის მასწავლებელ ლილის იმ შემოდგომაზე ბიძაჩემი, რა დაგიმალოთ და, დიაღაც ყვარობდა, ხოლო დირექტორ ლილისა ეშინოდა. უნდა ითქვას, ეს დირექტორი ცალკერძ შეუხედავი იყო, ცალკერძ ავი, ცალკერძ უკარება და ცალკერძ ქალაქის პროკურორის ცოლი, ამიტომ ბიძაჩემს კი არა, ბარე ორ ბიძაჩემზე უკეთეს ვაჟკაცს ეშინოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ მშვენიერ დღეს, ნაშუადღევს, ბიძაჩემმა თავის ბოტანიკოს ლილის სამასწავლებლოში დაურეკა, რათა დღის განმავლობაში მოგროვილი ქათინაურები მიეძღვნა და მორიგი პაემანი დაენიშნა, და შემთხვევით - კონკრეტულ მიზეზს ნუ გამოვეკიდებით, შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ისა ვთქვათ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამგვარი რამ დროდადრო ხდება ხოლმე - ტელეფონზე დირექტორი ლილი შეხვდა. ამით ქვეყანა ჯერ კიდევ არ დაიქცეოდა, მაგრამ საუბედუროდ - მატერიალიზმის უხეშ ენაზე თუ ვილაპარაკებთ, აქ ალბათ კავშირგაბმულობის სამინისტროს ქვეცნობიერი ხელიც უნდა ვივარაუდოთ - ყურმილში ხმა ცუდად ისმოდა და ბიძაჩემი მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, თუ რომელ ლილის ელაპარაკებოდა, რაც რომ ქათინაურების პინგპონგი დასრულდა და პაემანიც დაინიშნა. ჩვენს მიჯნურს პირკატა ეცა - ყველაზე უფრო ზედგამოჭრილი ეს გამოთქმა, მგონი, სწორედ ამ ადგილასაა - მაგრამ რაღას იზამდა?! პაემანი დანიშნული იყო და მანაც სამართლიანად ივარაუდა, რომ მისვლაზე მეტი უბედურება მიუსვლელობას მოჰყვებოდა; და მივიდა. მივიდა ამ მისვლიდან გამომდინარე მრავალი არაერთგვაროვანი შედეგით, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დირექტორის მარწუხები, რომელთაგან თავის დაღწევა დია ძნელი აღმოჩნდა, და ბოტანიკის მასწავლებლის ბრჭყალები, რომლებიც გრძელი იყო, წამახული და სისხლივით წითელი. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა, ჩვენ კი სითამამეზე ვლაპარაკობდით და იმედი მაქვს დაგანახეთ კიდეც, თუ რა შეძლებია ღვთით გაჩენილ ადამიანს, რომელსაც შიშის სამარცხვინო გრძნობა არ ბორკავს! მართლაცდა, რომ არა ბიძაჩემის ეს ლაღი სითამამე, ვინ იცის საბრალო დირექტორი სიკვდილამდე თავისი ჭიანაჭამი პროკურორის შემყურე ყოფილიყო; ზემოთ აღწერილი საბედისწერო ეპიზოდის წყალობით კი სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი სულ სიცილ-კისკისში გალია და იმ პროკურორის გარდა - მხოლოდ ოფიციალურ კონტექსტში რომ ვიტრიალოთ - კიდევ ოთხი ქმარი გამოიცვალა, ხოლო ბიძაჩემის სანიშანსვეტო ზარს, რომელმაც მისი ცხოვრება ასოთხმოცი გრადუსით შემოაბრუნა, მუდამ მადლიერებითა და ტკბილი ქრუანტელით იგონებდა.

მაგრამ მივუბრუნდეთ ჩვენს საქმეს, მით უფრო, რომ ამჯერად ბიძაჩემს დიდხანს აღარ დასჭირვებია ლოდინი.

- ჩვენ სისხლი არ გვწყურია, - უწყინარი კილოთი თქვა კრეონტ წილოსანის საგანგებო საქმეთა რწმუნებულმა და ნერწყვი გადაყლაპა, - აგერ ვარ მე, აგერაა ბატონი კუტუბიძე, აგერაა ბატონი წუწუნავა, აგერ არიან დანარჩენი ბატონები...

– მთავარი იდეური ფორმა, დიეგო, – მითხრა მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით ბიძაჩემმა, – რომელზედაც კომუნისტების მსოფლმხედველობა აღმოცენდა, იერარქია უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია არც ერთი ნამდვილი კომუნისტი – კომუნისტი კი, ნამდვილიც და ცრუც, აურაცხელი რაოდენობით შემხვედრია, – რომელსაც შეეძლოს იერარქიის გრძნობას შეელიოს. იერარქია, ჩემი აზრით, ამ სახეობის არსებობის პირობაა.

ბიძაჩემის ვარაუდი მე დამაჯერებლად ვცანი და უყოყმანოდაც მივიღე. მაგრამ ეს, როგორც ვთქვი, მოგვიანებით მოხდა, მაშინ კი კრეონტ წილოსანის საგანგებო საქმეთა რწმუნებულმა ასე განაგრძო:

– სისხლი რომ გვწყუროდეს, სისხლის დალევაზე ადვილი ახლა არც არაფერია, მაგრამ სისხლი არ გვწყურია. პირიქით: თუკი სადმე გონივრულ კომპრომისს წავაწყდებით, ხელიდან არ ვუშვებთ. მოვედი აგერ, მაგალითად, მე, ოფიციალური ხელისუფლება, და ოპოზიციასთან კონსტრუქციულად ვმუშაობ. დღეს ჯანსაღი ძალების მიზანი ისაა, საქართველოს მატარებელი ინტერნაციონალური რელსებიდან ეროვნულ რელსებზე გადაიყვანოს, და ჩვენ ამ საქმეში ყველას წავახალისებთ, ხელს შევუწყობთ და გზას გავუკვალავთ. იმიტომ, რომ ეს ჩვენი დიდი ხნის ნატვრაა. ადრეც, რამდენადაც იმპერიის კონტროლის ქვეშ ამის საშუალება იყო, ქართველი კომუნისტები ყოველთვის ცდილობდნენ, ეროვნული საქმე ეკეთებიათ, ახლა, როცა ასე ავზვირთდით და მეტი შესაძლებლობა მოგვეცა, თუ ვინმე თავისუფლების გზაზე წინ გადაღგომას დაგვიპირებს, იცოდეს ღანდობა არ ექნება. მტერი და ორგული უნდა განადგურდეს! ასეთია რევოლუციის კანონი. ახალი ქვეყანა მსხვერპლის გარეშე ვერ აშენდება. და ნურავის ეგონება, ჩემო იონა, ვითომ შანტაჟებით შეგვაშინებს და დასახული მიზნიდან გადაგვახვევინებს. ჩვენ არავისი გვეშინია, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი, ჩვენთან არს სიმართლე და ჩვენთან არს, სხვათა შორის, ეკლესია. გონივრულ კომპრომისზე კი, გითხარი მისი არ იყოს, უკან არ დავიხევთ. თუ არადა, აგერ მეგობრები იტყვიან.

ბიძაჩემი ფეხიფეხზეშემოდებული იჯდა. მარჯვენა ფეხი ედო მარცხენაზე და ყავისფერი ფეხსაცმლის სამარცხვინოდ გაცვეთილ ჭვინტს უადგილო ღირსებით აქანავებდა.

ხოლო კრეონტ წილოსანის საგანგებო საქმეთა რწმუნებულის შემდეგ სიტყვით კარლო წუწუნავა გამოვიდა.

– ადამიანს რომ გზა გაყავს, მაგალითად, – კარლო წუწუნავა, თუ გახსოვთ, ჯერ მხატვარი იყო, მერე მწერალი, მერე გაზეთის გამომცემელი, ამიტომ ისე აზროვნებას სახეებით აზროვნება ერჩივნა, – და წინ ლოდი დახვდება, ადამიანი სხვა ადამიანებს დაიხმარიებს და იმ ლოდს ხევში გადააგდებს. მაგ დიდებულიძეა თუ დადებულიძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზაზე დგას. თუ კომპრომისი მისაღები იქნება, ეროვნული მოძრაობა, მე ჩემი პარტიის სახელით ვიტყვი, კომპრომისზე წავა. თუ არადა – საწყენად ნურავის დარჩება – ყველაფერს მოვსპობთ და ამოვძირკვავთ.

– გვითხრას აწი თავისი პირობები, – საქმისკენ უქნა პირი კრებას კუტუბიძემ და ბიძაჩემს მიუბრუნდა – გვითხარი, შენი პირობები, იონა. ოღონდ, თუ კაცი ხარ, მაგ ფშუტე მუქარებს მოეშვი, მაგისი აქ არავის ეშინია. – მერე ისევ შეკრებილთ მიუტრიალდა, – რა იცი, იქნება იმისთანა თქვას, ჭკუაში დაგვიჯდს. აბა ჰე, იონა, მიდი!

ეს წამქეზებლური შეძახილი ზედმეტი იყო. ბიძაჩემს წაქეზება არ უხდება. მან თქვა:

– თუ გვსურს ჩვენი მდგომარეობა გავაცნობიეროთ – ადამიანის განმასხვავებელი ნიშანი კი, გეგეგონებათ, სწორედ თავისი მდგომარეობის გაცნობიერების უნარია – უწინარეს ყოვლისა ის უმარტივესი ჭეშმარიტება უნდა ვაღიაროთ, („ვაღიაროთ“, დიეგო, თუ „აღვიაროთ“?) რომ სანაკლიოს პოლიტიკურ, მორალურ და კრიმინალურ ძალთა ესოდენ განსაცვიფრებელი – ლამის რელიგიური – ერთსულოვნების მამოძრავებელი ბერკეტი არის არა განზრახვა, არამედ გულისთქმა. დაფიქრება რომ არ გეზარებოდეთ, თავადაც მიხვდებით, რომ ვერავითარი განზრახვა, ვერავითარი აზრი, ვერავითარი ლოგიკა ამდენ განსხვავებულ პარტიას, ამდენ დაპირისპირებულ კლანსა და ამდენ გადამტერებულ ხროვას ვერ შეარიგებს და ერთარსად ვერ შეათვისებს. ამისათვის ისეთი რამ არის საჭირო, რაც არ იზომება, არ იწონება და ანალიზს არ ექვემდებარება. მართლაც – ისემც კარგი დაგემართოთ –

ეროვნული ბიბლიოთეკა



თქვენი შემანივთებელი და შემადუღაბებელი ძალა ღვთისმიერი ძალაა, გარდუვალი, მარადარსი, პირველქმნილი, პრიორიტეტული, კვინტესენციური ძალა, რომელიც არაცნობიერ ფენათა მიუწვდომელ სიღრმეში თვლემს, როგორც ვულკანის ცხელი ფესვები. ეს გახლავთ კოლექტიური გულისთქმა, ღვთაებრივი მცველი, ქერუბიმთა მბრუნავი მახვილი, რომლის პერიოდული გააქტიურება ცხადად მოწმობს, რომ ჩვენი არსების გონიერი ნაწილი ჩვენი არსების არაგონიერ ნაწილთან შედარებით ჯერ კიდევ სამარცხვინოდ მცირეა. ამიტომ ამგვარი ნახევრად ეგზალტაციური ერთსულოვნების ჟამს ჩვენ, თიხის შთამომავალნი, თუმც კი გვგონია, თითქოს რომელიღაც მკაფიო, ჩამოყალიბებულ, კარგად გაზეპირებულ იდეას ვემსახურებით, სინამდვილეში ვემსახურებით პირველგულისთქმას, ხოლო მისი მეშვეობით შემოქმედის მიზანს, ვინაიდან შემოქმედი სწორედ გულისთქმის მეშვეობით გვაქეზებს და თავის ღვთაებრივ ბიძგებს გვანიჭებს. გულისთქმა მართავს ადამიანთა კრებულს, რომელსაც, მასა რომ უწოდო ან, მით უმეტეს, ბრბო, შეიძლება ეწყინოს. გულისთქმა უფლის მშვიდობიანი იარაღია და იგი ჭეშმარიტი მიზნისაკენ გვიკაფავს გზას, ხოლო ის იდეა, ჩვენ რომ ჩვენი მსახურების საგანი გვგონია, სინამდვილეში ამ ღვთაებრივი გულისთქმის მცირე ცნობიერი ემანაციაა, საბაბი, რომელიც საწყის ეტაპზე, ვიდრე სათანადოდ გავხელდებით, ბიძგის მაგივრობას გვიწევს. დღევანდელი თქვენი დიადი კონსოლიდაციის საბაბი, კერძოდ, არის პროფესორი დიდებულიძე, რომლის ცხოვრებაში, თუ ყველას არა, უმრავლესობას მაინც, რაღაც კვალი გაქვთ დატოვებული, ხოლო ცნობიერი იდეა, რომელიც, როგორც ცნობიერი იდეის წესია, ფსიქიკის ზედა ფენებში გაჩნდა, და რომელმაც კი არ გაგაერთიანათ, თუმც კი თქვენ ასე გგონიათ, არამედ გამაერთიანებლის როლი შეასრულა, ეყრდნობა ლოგიკურ დებულებას: ვიდრე შენთა სახამუშო საქმეთა მოწმე ცოცხალია, არც სულიერი კვარცხლბეკი გაქვს მტკიცე და არც მატერიალური. მე ამ იდეას, სიმართლე გითხრათ, ვერ შევუერთდებოდი, მაგრამ, როგორც გითხარით, იგი სინამდვილეში მხოლოდ საბაბია, ხოლო ჭეშმარიტი მიზანი, რამაც შინაგან შეგკრათ და შეგადედლათ, არის, მაქსიმალურად მარტივად რომ ვთქვათ, წმინდა ცოდვის აპოლოგია. ღმერთმა - გზანი მისნი, როგორც ვიცით, შეუცნობელია - ადამიანი ცოდვილი შექმნა, და თუ იგი პერიოდულად მაინც ცდილობს ცხოვრება უცოდველად განვლოს, ეს ურჩობა და მკრეხელობაა. ქვეყნიერება - ამას საღვთო წიგნები გვასწავლის - ცოდვაზე დგას, ცოდვაა ქვეყნიერების მარილი, და მარილის გარეშე ქვეყნიერება უმარილო იქნება. ამიტომ, როცა დანაშაულისთვის დაბადებული უდანაშაულობას ცდილობს, უდანაშაულობა დანაშაულია. შესაბამისად, თქვენი გულისთქმის ეს აზვირთებაც ბუნებრივია; ბუნებრივი, გასაგები, მისაღები, გასაზიარებელი. ამას ბრძენი ვულპიუსიც გვიდასტურებს, როდესაც თავისი ცნობილი ნაშრომის „კაცობრიობის უკანასკნელი ნაბიჯი: წინასწარმეტყველება კომენტარებით" მე-7 თავის მე-4 პარაგრაფში წერს: „გრძნობად სამყაროში ვერაფერს ნახავთ იმაზე უფრო არაბუნებრივს, ვიდრე უცოდველი ადამიანია", ხოლო ცოტა ქვემოთ (თავი მეცხრე, პარაგრაფი მეორე): „ვინც არაფერს აშავებს, ის ყველაფერში დამნაშავეა, ანუ, თუ გსურს, უდანაშაულო პეროდები გქონდეს, პერიოდულად დანაშაული უნდა ჩაიდინო". ამ თვალით თუ შევხედავთ (სხვა თვალით შეხედვა არცაა მართებული), თქვენ ღვთის მანდატურები და ჯალათები ხართ და სანაკლიოში ცოდვის ხსნას, ხოლო ამ გზით მთელი ქვეყნიერებისა და, ბოლოს და ბოლოს, თავად პროფესორ დიდებულიძის ხსნას ემსახურებით. აქ კი მე არ ძალმიძს თქვენთან ერთად არ ვიყო. და ჩემი სათქმელიც ესაა: თქვენთან შეერთება მწადია, რათა პროფესორ დიდებულიძის გადარჩენაში ჩემი წვლილი შევიტანო. არსებითად ამისთვის მოვედი, ოღონდ - და ესეც დაუფარავად უნდა გითხრათ - თქვენი გეგმა სერიოზულ შესწორებას საჭიროებს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი გულისთქმის გზაზე - ბატონ წუწუნავას დავესესხები მეტაფორას - ერთი ლოდი დევს, ერთი „მაგრამ", რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად უნდა მოვიშოროთ. სათქმელი რომ უფრო ნათლად გამოვხატო, ისევ ლეგენდარულ ვულპიუსს მოვუხმობ, რომელიც ამბობს (დასახელებული ნაშრომი, თავი მეორე, პარაგრაფი მერვე): „ჯვარს ნუ აცვამთ ადამიანს, თუ მტკიცედ არა ხართ დარწმუნებული, რომ იგი ქრისტეა". ვულპიუსზე დიდი ავტორიტეტი კი ჯვარცმის საკითხში, მოგეხსენებათ, არავინაა. ახლა ვიკითხოთ: არის კია პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესორი დიდებულიძე საკმაოდ უცოდველი საიმისოდ, რომ ამქვეყნიური ტვირთი დავხსნათ და ჯვარს ვაცვათ? პასუხი ერთია: არა. ცხადზე უცხადესია, იგი ძლიერ უცოდველია, მაგრამ არა იმდენად, რომ სიკვდილი მიენიჭოს და მიზიდულობისგან ვადამდე განთავისუფლდეს. მეორე მხრივ - კარგად მესმის თქვენი - ასეთი კაცის სამზეოზე დატოვებაც ფრიად საშიშია, ვინაიდან იმ კრიტიკულ ეპოქაში, დღეს რომ გარს გვარტყია, მეტად დიდია საფრთხე, რომ მისი უცოდველობა ხრწნას დაიწყებს და ეპიდემია იფეთქებს. აკი ძველებს უთქვამთ, ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო. სატუსაღოში ჩასმაც - თუმც კი ჩვენს გრძნეულ კანონებს ეს არ გაუჭირდება - გამოსავალი არ არის, ვინაიდან პრინციპულად სატუსაღოც ხომ სამზეოზეა! მაშ, რა ვქნათ? სად შეიძლება ჩასვა კაცი, რომელსაც სატუსაღოში ვერ ჩასვამ? სად არის უცოდველთა კლუბი? მოგეხსენებათ - ყოველ შემთხვევაში, ბატონ რწმუნებულს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, არ შეიძლება არ მოეხსენებოდეს - რომ ნაკლისწყლის ხეობაში, მდინარე ნაკლულას შესართავთან არის ერთი განმარტოებით მდგარი თეთრი სახლი, რომელშიც მეორე და მესამე კატეგორიის ანგელოზები ბინადრობენ...

აქ კი მიღალატა მოთმინებამ. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე იცით, ბიძაჩემს ორგზის მოხარშულს ვიცნობ, თეთრი სახლის ხსენებაზე და იმის წარმოდგენაზე, რომ კაცს, რომლის ქებითაც ტვინი ამომიღო, ამ სახლში მოსათავსებლად იმეტებდა, თავი ვერ შევიკავე და სულით ხორცამდე აღშფოთებულმა ავი სისინით წავჩურჩულე:

- ბიძია იო!..

თუ მისალმებასა და გამოთხოვებას არ ჩავთვლით, ამ ორი უაზრო სიტყვის მეტი მე იმ კრებაზე სხვა არაფერი მითქვამს.

მაგრამ ბიძაჩემს ჩემი დარღვეული წონასწორობისთვის ყურადღება არ მიუქცევია. პაუზაც კი არ გაუზრდია სიტყვასა და სიტყვას შორის, რათა ჩემი აღშფოთება ფორმალურად მაინც დაეფიქსირებინა.

- სისხლი, - განაგრძო მან, - ბატონი რწმუნებულისა არ იყოს, არც ჩვენ გვწყურია. ადრეც რქაწითელი გვერჩივნა და ახლაც რქაწითელი გვირჩევნია. ამავე დროს, როგორც ხედავთ, ჩვენი მხრივ კომპრომისი დიდია. წინადადება, იმედი მაქვს, გასაგებია. მხოლოდ ერთს დავუმატებ: ხვალ, საღამოს შვიდი საათისთვის პროფესორი დიდებულიძე პანაშვიდზეა მისასვლელი პაპასკირის ქუჩაზე, სადაც ერთი უმწიკვლო მანდილოსანი მიიცვალა. და თუ ხვალ პროფესორი დიდებულიძე პანაშვიდზე მივიდა - შეგიძლიათ მეთვალყურეები გააყოლოთ - ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ ჩემი წინადადება მიღებულია და პრაქტიკული საკითხებიღა დაგვრჩება შესათანხმებელი. ახლა კი დაგტოვებთ, რათა სხვა საქმეებს მიხედოთ და თქვენც საშუალება მოგცეთ ჩემი წინადადება შინაურ წრეში თავისუფლად და გულახდილად აწონ-დაწონოთ. ხვალ, საღამოს შვიდ საათზე ხსენებულ პანაშვიდზე პროფესორ დიდებულიძის მისვლა თქვენი „ჰო" იქნება, მიუსვლელობა თქვენი „არა". ასე რომ პასუხს უეჭველად მივიღებ და ჩემს შემდგომ მოქმედებასაც, ბუნებრივია, მას შევუწონი.

ბოლო ეპიზოდი, უნდა ვაღიარო, ბიძაჩემმა ჩინებულად ჩაატარა, ხოლო საფინალო სცენა, ანუ დოქტორ ხერხეულიძის კაბინეტიდან ჩვენი საზეიმო გასვლა შეკრების მონაწილეთა მძაფრ დუმილში მართლაც რომ მაღალეფექტური დამაგვირგვინებელი აკორდი იყო, მაგრამ მე თავში დომხალი მედგა, ხოლო გულში რისხვა და ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მალე გავცლოდით აქაურობას, რათა ეს რისხვა, რომელიც ტექსტუალური თვალსაზრისით ძირითადად უცენზურო ტრაფარეტებისაგან შედგებოდა, დროულად დამეტეხა ბიძაჩემის უკუღმართი იდეებითა და ცრუ გეგმებით გატენილ თავზე იმ ვითომდა კომპრომისის გამო, რომელიც, ეტყობოდა - და ყველაზე მეტად სწორეს ეს მაცოფებდა - თვითონ მართლა კომპრომისი ეგონა. თავად ბიძაჩემი გაბღენძილი მიაბიჯებდა, გარს ტკბილმათრობელა ბურუსის სქელი, შავი გარსი ეკრა და, ჩემი არ იყოს, მასაც ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გავცლოდით აქაურობას, რათა ყელში მობჯენილი თვითკმაყოფილება სიტყვებად დაენაწევრებინა და ის საამო, მაგრამ სულისშემხუთავი ბურუსი ცოტათი მაინც გაეუხშოებინა. ასე მივედით მანქანამდე. და თუმცა მე სანიმუშოდ მობილიზებული ვიყავი, მაინც დამასწრო და, მანქანაში რომ ჩავსხედით და დავიძარით, პირველმა დაიწყო:

- ესეც ასე! დღევანდელი დღის ამოცანა შესრულებულია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხვალინდელი დღე განაღდებული გვაქვს.

რომც არ დაჰყაბულდნენ ჩემს წინადადებას, მაინც, ვიდრე არ შეამოწმებენ, მართლა რამე რეალური კოზირი მიჭირავს ხელში თუ ყველაფერი ეს ბლეფია, მანამ აშკარა ომის დაწყებას ვერ გაბედავენ. შემოწმებას კი დრო უნდა. და ეს დრო რომ მოიგონ, პროფესორ დიდებულიძეს ხვალ პანაშვიდზე აუცილებლად გამოუშვებენ.

– ცალთვალა კაცისათვის ცალ მხარეს ყველაფერი დღესავით ნათელია, – მკვახედ ვუთხარი მე და ისე გავხედე, თვითონ რომ გამომხედავდა ხოლმე დროდადრო, – მაგრამ ერთიც ვნახოთ და დაგყაბულდნენ? მაშინ?

ბიძაჩემი ჩემმა ტონმა ცოტა გააკვირვა.

– მაშინ საზეიმო ბანკეტს შევუკვეთავთ იმათ ხარჯზე, რა თქმა უნდა. – აქ უცებ შეკრთა, თავი მკვეთრი მოძრაობით მოატრიალა და იჭვნეულად დამაცქერდა, – ა?.. დიეგო!.. დიეგო, დიეგო, დიეგო! ნუთუ ისე წახდი, რომ ნაამაგარ ბიძას უხამსი ეჭვი გინდა წასცხო პატიოსან სახეზე და ამით შენი სრული უმწიფრობა აღიარო? მმდაა... არადა, თითქოს ყელაფერი ადვილი გასაგებია: მაგათ ცოფი აქვთ ნაჭამი და უკან ახლა არაფერზე დაიხევენ. თანაც საუცხოო მეძებრები არიან. საცა დავმალე, ყვლგან მიაგნეს. ასეთ ვითარებაში სხვა რა დამრჩენია გარდა იმისა, რომ თვითონვე დავამალვინო? თავიანთ დამალულს ხომ აღარ დაუწყებენ ძებნას?! გულსატკენია. ძალიან გულსატკენია... შენ უკვე... რამდენი წლისა ხარ?.. მდაა... მაგრამ ჩანს შენმა სიბრძნემ, მთელი შენი საგვარეულოს თავმოსაჭრელად, ფეხი ვერ აუწყო ასაკს და სიბრძნენაკლული ასაკი ძველი შაბლონებისა და ტრაფარეტების ტყვეობაში დარჩა. ბრძენის ერთი განმასხვავებელი ნიშანი კი ისიცაა, რომ ტერმინების ყულფში თავს არ გაჰყოფს. ბრძენმა, დიეგო, იცის, რომ „შეშლილთა სახლი“ და „ ნორმალურთა ქალაქი“ შინაარსობრივად სხვა არაფერია, თუ არა „უმცირესობა“ და „უმრავლესობა“, რაც – მაგხელა კაცმა, სიბრძნე სულ არაა ამისთვის აუცილებელი, ისეც უნდა იცოდე – არც გონებრივი მახასიათებელია და არც მორალური. ხოლო პატიოსანი კაცი, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად შერისხულიცაა, ნაკლულას პირას რომ თეთრი სახლი დგას, იმაზე უკეთეს თავშესაფარს დღეს სხვაგან ვერსად იპოვის. ამაში სულ მალე დარწმუნდები. ჩვენ ახლა სწორედ.. აქ მარცხნივ... მაგ სახლის დირექტორთან მივდივართ. იგი ჩ; ჰი ძველი ნაცნობია.

„თეთრი სახლის“ დირექტორი, როგორც პრაქტიკოსი ფსიქიატრის წესია, მთლად დალაგებული არ იყო, მაგრამ სხვაფრივ უაღრესად საინტერესო კაცი გამოდგა – განათლებული, კომუნიკაბელური, კეთილი, ყბედი. იმ სისხლისა და შხამის წვიმაში, რომლის პირველი წვეთები უკვე გამოჩნდა სანაკლიოს გახურებულ ცაზე, პრ. დიდებულიძეს, ეჭვი არ იყო, მისი სახით მართლაც რომ საიმედო პატრონი ეყოლებოდა; გარდა ამისა, ღვინო ჰქონდა ისეთი, ბარე ორ ფსიქიატრს არ ექნება. ჩვენ იმ ღვინოს გვიანობამდე ვუსხედით რბილად განათებულ ვერანდაზე, რომლის გადაღმა. სიბნელეში, მსხმოიარე ბაღი ილანდებოდა, და, ახლადშობილმა ეოსმა რომ ვარდისფერი თითები გამოაჩინა, უკვე დეტალური გეგმაც შედგენილი გვქონდა იმ შემთხვევისათვის, თუ ქალაქის პოლიტიკური კოალიცია ბიძაჩემის წინადადებას დასთანხმდებოდა, ხოლო მეორე დღეს, საღამოს შვიდ საათსა და ოც წუთზე – დავიცვათ სიზუსტე, კაცმა არ იცის, როდის გამოგვადგება – პაპასკირის ქუჩაზე, რვა ნომერი სახლის წინ, პრ. დიდებულიძეს შევხვდი. იგი, მე და ბიძაჩემი რომ მივედით (დავარცხნილები ვიყავით, ჰალსტუხები გვეკიდა და საზეიმო სახეები გვქონდა), სწორედ იმ დროს გამოვიდა მამიდების სახლიდან.

კიბესთან ბლომად ხალხი ირეოდა და ეს, ცოტა არ იყოს, საკვირველი მეჩვენა – არ მოველოდი, მამიდა ნატოს პანაშვიდს თუ ამდენი მოაწყდებოდა – მაგრამ ჩემი გაკვირვება საფუძველსმოკლებული გამოდგა, ვინაიდან სულ მალე გამოირკვა, რომ ამ ხალხის უმეტესობა პრ. დიდებულიძის სამეთვალყურეოდ ყოფილიყო მოსული და არა სამძიმრის სათქმელად.

– აი, დიეგო, პროფესორი დიდებულიძე, – მითხრა ბიძაჩემმა.

მე გავიხედე და – თუმცა ბიძაჩემის ზეშთაგონებული და ამომწურავი მჭევრმეტყველების გამოისობით ახალს აღარაფერს მოველოდი – პრ. დიდებულიძე რომ სახლიდან გამოვიდა და, თითქოს საკუთარი თავის დაფიქსირება განუზრახავსო, ზღურბლზე, კარის ჩარჩოში, წამით შედგა, მონუსხულივით მივაჩერდი.

(დასასრული იქნება)

# შაბურა არაბული



* * *

მიუვალ მთებში
ჩაჩეხილს
მალტობს დელგმა
და ჩანჩქერი...
ხოლო საამოდ
საცქერი
ფერდობზე ყანა
ჩანს ქერის –
ამ სილამაზის
მხილველმა
ვინ არ შეახო
ჩანგს ხელი!..

* * *

გარიჟრაჟდება თუ არა,
ლურჯას დავადგამ უნაგირს,
უნდა წავიდე, მოვძებნო
მსუნაგი დათვის ბუნაგი.

* * *

ვიღაცები ჩემზე უკეთ
უბერავენ თავის ბუკებს...
პოეტი ვარ, – სიბერეშიც
ვინარჩუნებ სიჭაბუკეს.

* * *

სულ ორიოდე „სტაქანი“
დავლიე წინწარაქარი...
თვალწინ დამიდგა ნათია
ო, რა გოგოა! რა ქალი!

და გავიფიქრე: ნეტავი
ტყეში რას დავიბღუნძები,
როდესაც მჟავე ხუნწებიც
არიან ჩემთვის ძუნწები...

## ნოშრევანს

არაყს ვსვამთ არაბულები,
ისმის ჯუთური ბჟუტური...
კარგია, არა, ბუნება
და გაბოლება თუთუნის?

ყელმოხატული დოქიდან
ერთნახადს ასხამს გოგიტა...

მოჰკიდებიათ სასმელი
გაგას, გვიადს და გელიმხანს...
წყლისპირად ვსხედვართ ბალახზე,
დაგვთენებია, ერიჰა!

ეროვნული ბიბლიოთეკა


* * *

თუმც მხარეა მშობლიური,
როგორც სხვაგან,
ცივა აქაც,
აქაც წვიმამ
მომისწრო და
აქაც ჩამა –
ლაპორწაკა...

* * *

გულის სისხლით ვწერ და იმედია,
არ დამიწუნებს ამ ლექსს ცენზორი...
ორი სართული გვაშორებს, მაგრამ
თითქოს ორი მთა არის ჩვენს შორის...

კოპლებიანი გაცვია კაბა,
სხვა მხარეს – ჩემკენ არ იხედები...
მე ან ცას როგორ მივუდგა კიბე,
ან ზღვაზე როგორ გავდო ხიდები?

* * *

დეკიანში ყვავის ქოლო,
ცივი ქარი ქარაფს უტევს...
ქალებს ჭკუა ავაყოლო –
ქათმებივით ქარაფშუტებს?

/ამინდები ისევ ქუფრობს,
მთაში ვთიბე, ბარში ვთოხნე/,
ამათ რაზე ვესაუბრო
თმაგრძელებს და ჭკუამოკლეთ?..

* * *

კბილებით ვაძრობ პალოებს,
წინათ კი ვკრეფდი მე ვარდებს...
ცოფიანებთან ბრძოლაში
შიშველ ხელებით შევვარდე?

არვის მსურს გული ვატკინო,
რა ცხოვრებაა ძაღლური...
ამ ცისქვეშ აღარ ხმატკბილობს
არც შაშვი, არც მოლაღური.

ველარ ბალახობს შვლის ნუკრი,
ქვეყანა დარჩათ მტაცებლებს...
და პოეტებიც /ვის უკვირს?/
კალამს კვლავ სისხლში აწებენ.

* * *

ვიღაც ცხენივით ჭიხვინებს,
ვიღაც ვირივით ყვირის...
ბევრ რეგვენს მოვახვნევინე
მე წინათ მიწა ცხვირით.

არვინ მიგზავნის წერილებს,
არც მაქვს ცხოვრება ტკბილი...
ბარე ორს დავაჭერინე
ხელში თავისი კბილი.

* * *

ამღვრეულია რაღაცა წმინდა
ქუჩურ ჟარგონით და· უცხოეთით...
პოეტი კი ვარ, მაგრამ მე მინდა,
რომ ვიყო უფრო კარგი პოეტი.

მთებს ახვევიათ ნისლის მერდინი,
ჩემო არაგვო, ჩემო იორო,
ჩემ დარდებს ვწერ და ზოგიერთივით
არ ვთამაშობ და არ ვჟონგლიორობ.

* * *

რამაც გული გაგლიჯა,
რა ვქნა, არ დავწერო?
ჩემი დედაქალაქის
მზერავ ალმაცერო,
შენ ან კიბოს გამიჩენ,
ან ჭლექს, ანდა ციროზს.

* * *

ჩემზე იცინის ჩემზე საწყალი
და ამ ქვეყანამ ბევრი მიყეფა...
რა უნდათ, გული რას გააწყალეს
თავქარიანმა კუდაბზიკებმა?

ზურგი მაჩვენა ყველა ნაცნობმა,
ცას ვით დავკიდო დარდი ექვნებად.
ვერ გამიგია, რამ გაგაცოფათ,
შემთხვევით, რამე ხომ არ გეშლებათ?

კვლავ წვიმა ნემსავს
და კემსავს მთა-ბარს
და მიქსოვს ყვავილებიან ფარდაგს.
ნისლის ნაბადი მოუსხამს დაბას,
ყველაფერი ჩანს მყინვარის გარდა.

მეტსაც ვეტყოდი, მაგრამ არა ღირს,
რა ვიშაირო, რა ვიარაკო...
ჩამოვირეცხო ბარის ტალახი,
მასხურე შენი შხეფი, არაგვო!

გადაუპენტავს ია-ენძელას
სათიბები და სანადირონი...
გამილამაზეთ ისევ ხელწერა,
მომნათლეთ, მთებო, თქვენი მირონით.



## ირმა მებურიშვილი

* * *



იცის კი ვინმემ, როგორ ჯობია,
რა მოვუხერხო მტრობას გუშინდელს,
ტკივილსაც, გულზე რომ დამჭდობია,
როგორ არ მინდა, რომ შევუშინდე.

ქედის მოდრეკა არ სურს ამაყ სულს,
თქვი, უღირსებო სიცოცხლე რაა?!
და როგორი ვარ, თუ ვინმეს ახსოვს
საშველად მოვა, თუ მართლა ძმაა,

იქნება, როგორც ღმერთი ინებებს,
არც როს მქონია იმედი სხვისი,
ვიცი, აჯობებს სხვა გამარჯვებებს,
ეს დამარცხება პოეტის ღირსი.

* * *

მწადდა სიტყვა უკორძოდ
მეჩარხა და მერანდა,
ვინატრე და კორისწყლის
ჩუხჩუხიც მომელანდა,
მოგონებით აივსო
ოთახიც და ვერანდაც,
სტრიქონი თუ გაჭენდა,
თუ მართლა გამერანდა,
ვერაფერი ვერ გამტეხს,
ვერ მაჯობებს, ვერ, ანდა
ლექსი ხომ გადარჩება,
თუ ხორცი გავერანდა.

### ნინო ანანიაშვილს

თითქოსდა არც კი ეხება ცერით
სცენას ეს ქალი, იმგვარად როკავს,
რას შთამაგონებს ამ სხეულწერით,
რა უნდა მითხრას, ანდა რას მოჰგავს,

სიყვარულია ის ფრთაშესხმული
და სევდიანი პოეზიაა,
ორკესტრის აუზს ირეკლავს სული,
ჰაეროვნებას რომ ეზიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რეკვიემი

იდუმალად მოცარტს დაუკვეთეს წირვა,
თითქოს გამოსცადეს მისი თავგანწირვა,
თავს იგლოვდა, თხზავდა გამოსათხოვ
მესას,
მელოდია მოსკდა ფიქრზე უსწრაფესად,
ფიქრშიც ვერ იტირებ უგრძნობ-
უგრიმასოდ,
ქვითინებდა, როცა წერდა ლაკრიმოზოს,
ძლიერ თუ არ იტკენ, როგორ შეთხზავ
ან კი.
ცას წვდებოდა მისი სევდიანი ჰანგი,
სასიკვდილო წერამ ისე აიტანა,
ცად აასწრო ასვლა იმავ სულთათანას,
აი, განსვენება ასე შესაშური,
აი, „რეკვიემი“ - უკვდავება სულის.

## მეფეთ-მეფე იყო თამარ

იჯდა ტახტსა სამეუფოს,
ხრმალი ერტყა სარტყლის ბალთას,
მეფეთ-მეფე იყო თამარ,
დედოფალიც დედოფალთა.

თვით უფალმა ჩაიფიქრა
საქართველოს მეფე ქალად,
მან აქცია რუსთაველი
ქართულ ლექსის ჯადოქარად.

უამრავ ღვაწლთა შორის,
ჩაეთვლება ესეც წვლილად,
შოთას თამარ დაუხატავს
პოემაში სახეცვლილად.

ვინც კი იყვნენ მელექსენი,
ქების შესხმა სწადდა ყოველს,
მეებნენი, მეჩანგენი
უგალობდნენ საგალობელს.

ადიდებდნენ ესრეთ შემკულს,
აღმერთებდნენ ღირს არს ვითარ,
მისთვის, რომ ერს აცხოვნებდა
სიბრძნითა და სიმართლითა.

ზნეკეთილი ერის დედა
ყველა სურვილს იოკებდა,
ხელით საქმარს თვისას ყიდდა,
საფასს გლახაკთ ურიგებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მას არ ეკუთვნოდა
უმდიდრესი საბრძანისი,
თითქოს იყო მქონებელი
არაფრის და არარისი.

ვერცა სპათა სიმრავლემან,
ვერც გვირგვინმა და ვერც სკიპტრამ,
ვერც საცდურმა სოფლისამან,
მისი სული ვერ დაიპყრა.

სულმნათ თამარს ვერ აკრთობდა
ვერც სულთანის ავი როშვა,
ბრძოლის წინად ავედრებდა
ქართულ სპას და ქართულ დროშას:

„დედა ღვთისავ, საქართველოს -
შენს წილხვდომილს - ემეოხე",
თან მხედრობას ამხნევებდა
„არ შეუდრკეთ ღუშმანს ოხერს".

მის დალოცვილ სპას და დროშას
დამარცხება არ ეწერა,
მოლაშქრენი სპარსთა მძორით
ახარებდნენ ყვავს და ძერას.

სამშვენისი კი არა და,
ხრმალი ერტყა სარტყლის ბალთას,
როგორც მეფეს შეშვენოდა
და დედოფალს დედოფალთა.

## დავით მეფეს

გაავებით შლიდი ერში,
უსჯულოთა ნაადათარს,
ლომის ხმით რო იზახოდი
ტანში აჟრჟოლებდა თათარს.

გრიგალივით მიმოჰქროდი,
მტრის სისხლი არ მოიშიე,
შეთქმულებას, ანდა ზაკვას
სპობდი ფიქრის საშოშივე.

ხმლის პირს ცეცხლი ასდიოდა,
სვეს ვერაფრით დაუზავდი,
მოლაშქრეთა თვალწინ ჯაბანს
ქალის კაბით შემოსავდი.

იხელოვნე უგრძნეულად -
ერწუხს, თრიალეთს და დიდგორს,
სძლიე ძლევით საკვირველით
თურქს - დიდი სპა გყავდა თითქოს.

ჯორ-აქლემით იახლებდი
წიგნებს ნადირობისასაც,
სულს ალევდი ყველა საქმეს,
ერი იჭირვებდა რასაც.

მოძღვრად სწავლულებისა და
ქართველთ სულის გასაწვრთნელად,
მოიწვიე, შემოკრიბე
ყვლა მოაზროვნე გელათს.

„ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა",
რატომ წასცდა მაგ შენს ებანს,
არვის ეთქმის შენზე ძვირი,
არ იცოდი დაოკება,

მეფის ტვირთი შენოდენი,
არ ჰქონია არც ერთ მეფეს,
წმინდანად გრაცხს, შენი ხალხი,
საუკუნოდ სახსენებელს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯარჯი ფხოველი

## ფურცლები

დამიჯერე: სიკვდილის შემდეგ რომ მოდის, ის სახელი ძირეულად განსხვავდება იმისაგან, რაც სიცოცხლეში ატარე: ის უკვე დაწმენდილია, კამკამაა, დროგამძლეა...

ადამიანის მიღმურ მხარეს და სამყაროთა უსასრულობას ერთი რამ ანათესავებს: აუხსნელობა...

ორი ბუღალტერი: ტომას ელიოტი და ნიკო სამადაშვილი...

აზრი განივრცობა შიგნით, არაცნობიერის უკიდეო სივრცეში და იქა ქრება, ილექება, იქ არის მანამდე, სანამ უხილავი ქარი კვლავ არ წამოშლის, კვლავ არ განფენს უფრო შორს, შორს...

ასეა ნათქვამი: უსაყრდენო, უსაფუძვლო, პატივმოყვარეობა, ნაპირებმორღვეული ამბიციურობა ფუჭია და დღემოკლე. გულჩახვეულო მეამბოხევ, მერწმუნე: თუ გინდა რომ უფლისაკენ მიმავალ გზას დაადგე, მაშინ ზურგი აქციე გაუკუღმართებულ ყოყლოჩინობას, უსაშველო ბრექს...

ხმამაღალი ფიქრი: სხვებსაც რომ ესმის, სხვებსაც რომ აღვიძებს... ხმამაღალი ფიქრი: სხვის მოღობილში რომ მიძვრება, უზურპატორი, უგნეო...

სიტყვის მოულოდნელი ფერისცვალება, სიტყვის დათბობა, სიტყვის მარადიული სიმწვანე და ტროპიკული ეგზოტიკა... ამგვარი სახით გვეცხადება ქამიქამ წყობილსიტყვა, ლექსი...

ამგვარი რამ: სათავეშივე ეტყობა, კოჭლი ლექსი რომ გამოვა, გლახად შესახედავი, მაგრამ შენ მაინც ერთგულად მიჰყვები, ბოლომდე ჩასდევ და შიგადაშიგ იმასაც ფიქრობ, ეგებ სხვა რამ საშველი დავაყენოო... ხოლო ის არაფერს არ იკარებს, თავისი თავი ურჩევნია, იმგვარი ყოფა ურჩევნია, იმგვარი ცხვირ-პირი და იმგვარივე ჯუბასამოსელი... არაფერი შენი არ უნდა და გიბღვერს, გამუნათებს, თავი დამანებეო, გეუბნება.

აირია მონასტერიო, რომ ამბობენ, გადატანით ეს გულისხმობს ამბოხს, უწესრიგობას... დღეს ამ ორმა სიტყვამ პირდაპირი მნიშვნელობა შეიძინა... აირია მონასტერი! - ჭეშმარიტად ასეა.

მეუბნება: პოეტმა ძალიან ჭკვიანური ნიღაბი უნდა აიფაროს, გენიოსობა რომ აპატიონ... გალაკტიონმა სცადა ეს, მაგრამ ვერ შესძლო...

პოეზია: მსუბუქად საკითხავი და პოეზია: მძიმე, სულის შემძრავი, შემზარავი...

ფრივოლური სურათებით ნაზავი რამ ქმნილება: უსირცხვო ზმანებათა მონაწილე სიტყვების გროვები, სიშიშვლის ვერდამფარავი წინადადებები, ავტორის უხამსი ნების აღმსრულებელი სიტყვათქმნადობანი... ამგვარი წიგნების მოძალება რაღაც სავალალოს ხომ არ მიგვანიშნებს, ვთქვათ, ამდაგვარ რამეს: კაცთა ყოველმხრივ იმპოტენციას, უძლურებას, ჭლექს...

პირქუში, გაუხსნელი ხატი, სიტყვათა მაგიური ერთობით ხელფეხშეკრული... ჯვარსაც

რომ ეცვა, აქ ვერაფერს გახდები: ეს სალი კლდე არ მიგიკარებს... ჩამოყარე ხელები: შენ კიდევ ერთხელ დამარცხდი, კიდევ ერთხელ ზურგი შეგაქცია პოეზიის შავმა დემონმა.

გეტყვი: ამ გაწამაწიიდან, ამ გულისმჯიდვიდან, ამ გაბმული კვნესიდან, უსაშველო წამიერობიდან მხოლოდ ერთი ობოლი სიტყვა თუ რჩება: ესაა და ეს... ამის გამოც მადლობა უთხარი იმას, ვინც ძუნწია, ვინც ერთ ღერ სტრიქონსაც კი ძნელად იმეტებს...

სიბერეში, გონების დაუძლურების ჟამს, შესაძლოა, სმენამაც გიღალატოს და ციით წამოსული ხმა, ეგებ, კარგად ვერც გაიგონო და, იმის ნაცვლად, ჭეშმარიტი სტრიქონი რომ გაგეთავისა, შესაძლოა, სხვა რამ მრუდი ხმა აღბეჭდო, სხვა რამ ყალბი ნახმევი გადმოიღო და შენს ცოდვებს კიდევ ერთი ამაზრზენი ცოდვაც მიუსართო...

მეუბნება: ახალ წიგნს სანამ გადავშლი, ჯერ ვინატრებ, ღმერთო, ნეტავი კარგი იყოსო... და მერე კითხვას ვიწყებ და, საბედნიეროდ, ნატვრა ხანდახან კიდეც ამიხდება ხოლმე...

ლიტერატურას ჰყავს თავისი ბიუროკრატია, ფუნქციონერთა დიდი ჯგუფი: ის საერთო, სახელმწიფო ბიუროკრატიის ძმადნაფიცია და იმის კვალდაკვალ მიდის: მისივ სენით სნეული და წყეული, წყეული...

დამიჯერე: სანამ ქვეყანა საბოლოოდ ფეხზე არ დადგება და ბოლომდე წელში არ გაიმართება, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ისტორიის აჩრდილების გაფეტიშებას: მათი სახელები დღეს ისეა, როგორც უტყუარი, საიმედო თავდაცვითი არსენალი.

გეუბნები: ენა არის ის ღვთაებრივი ბირთვი, რომლის გარშემოც იწვნება და იქსოვება ეროვნული სხეული. ბევრი რამ ამაგრებს მას: ძარღვებად ეხლართება, ეშატება... მაგრამ აქ უმთავრესია ღვთაებრივი ბირთვი, მიზიდულობის ცენტრი, საიდუმლო წიაღწერტილი, შემკვრივებული რამ გულისგული...

სიტყვა თავის თავს აღგენს, ამკვიდრებს: თავის სამოქმედო არეალს შემოხაზავს, წრეს შემოავლებს და მერმე, რამდენიც გინდა ეჯაჯგურე: იქიდან ძვრასაც ვერ უზამ, ნირს ვერ შეაცვლევინებ, ვერ გადაიყვან...

გეკითხები: თუ გადარჩება ვინმე, ვინც წარღვნის მძვინვარე ცეცხლსა და მეხთატეხას აღწერს?

მეცნიერული გათვლები, წინასწარმეტყველთა და ნათელმხილველთა ჩვენებები ჩვენს საწყალ სამყაროს გადარჩენის არავითარ შანსს არ უტოვებენ... მოდი, ხელს ნუ ჩავიქნევთ: დაველოდოთ და შევამოწმოთ ამ უნუგეშო პროგნოზების უტყუარობა...

გიგლა სარიშვილის მიერ ქართულად ამეტყველებული სალონი ასე აღწერს კაცის ცხოვრებას: „ღუღუნა ბალღი, უზრუნველი და უასაკო, სიცოცხლის პირველ შვიდწლეულში მოიცვლის კბილებს, და თუ მეორე შვიდწლეულიც უბოძა ღმერთმა, დაინიშნება ასაკით იგი. უკვე მესამე შვიდწლეულში ტანს განიმტკიცებს, შეიღინღლება, ეცვლება ნირი... დიდ ძალას იძენს ვაჟი-კაცი მეოთხე შვიდწელს, ოდეს საერო უჩანს პირი, საკეთილდღეო. კაცის მეხუთე შვიდწლეული ქორწილის დროა, რათა ქალ-ვაჟი აბოქირდეს, აყვავდეს მოდგმა. მეექვსე შვიდწელს უდინჯდება ვაჟკაცს გონება და არ ესწრაფვის უგუნურ საქმეთ. ხოლო მეშვიდე შვიდწლეულში, მერვესთან ერთად - თოთხმეტწლეულში - ერთად ჰყავის აზრი და სიტყვა. მხოლოდრე მეცხრე შვიდწლეულში, თუმცა ჭარმაგობს ადამიანი, ითიშება სიტყვა და აზრი... და თუ მეათე შვიდწლეულიც უბოძა ღმერთმა, დროა, კაცს ბოლო დაუდგინოს არსთა გამრიგემ..."

დაწყევლილი გონება: ბევრ რამეს წინასწარ რომ განჭვრეტს, მაგრამ ვერაფერს წინ ვერ აღუდგება... ბედისწერის თამაშს ბრმასავით რომ მისდევს...

აჰა: სიტყვა რამ, ჯადოთი ცხებული, დღეგრძელი, ლექსის ხერხემალი, უკვდავი საყრდენი... უამსიტყვოდ ლექსი მტვერიაო, მეუბნები შენ... დასტურ, ასეა ეს!

მერწმუნე: დღეს პოეზია მარტომგზავრია. მისი მკითხველი, მისი აღმქმელი, სამწუხაროდ, უკვე აღარ არის!.. სავარაუდოა ამგვარი რამ: მომავლის მესიტყვე პოეზიას დაახა-

სიათებს, როგორც წარსულ დროთა საქმიანობას, აწ უკვე დრომოჭმულს, უსარგებლოს, გამქრალს...

ძველისძველი და უკვდავი სიყვარული, დღეს ანომალურ მოვლენად რომ იქცა... ახლა უცხოპლანეტელები უფრო ხშირად სტუმრობენ კაცთა გულებს, ვიდრე ალალი და სათნო სიყვარული, რაც არავითარ „უკუგებას" არ გულისხმობს, გარდა იმისა, ადამიანი თავის ძირძველ ადამიანურობას რომ ამტკიცებს, იმ სიქველეების. ერთგულებას რომ ამტკიცებს, რაც კაცად ყოფნას ესაძირკვლება...

კიდევ ერთი კარგი თარგმანი: ხიმენესის „პლატერო და მე". ხიმენესი ქართულად ამეტყველდა. პლატერო ამ ჰაერს სუნთქავს... ჩვენი უსერდალო ლიტერატურა კიდევ ერთხელ, გადასხვაფერდა, ზეაიწია...

ლექსი წვალობს, იქმნება, იხაზება, თავის თავს გამოსცემს, გამოასხივებს და მერმე კვლავ უკან ბრუნდება ხელახალი დაწყების წყურვილით და იწყება კვლავ თავიდან: წვალობს, იქმნება, იხაზება, თავის თავს გამოსცემს, გამოასხივებს...

ბითაო: ხალხის წარმოდგენით, ციხესიმაგრედ ჩამოსხმული, ძალოვანი მამრი. წელსზევით მას რბილობი არა აქვს, სულ ძვლითაა შემოგარსული, რაც ხმლისა და ტყვიისაგან იცავს... გორგასლანი ბითაო იყოო, გაიგონებთ ხალხში...

სიტყვის თავისთავადი აღქმა, სიტყვასთან მისვლის სარიტუალო განწყობა, ცის კარგახსნილობის შეგრძნება, სიტყვაში მოგვური ჩაწიაღება და მისით ლოცვა უსასრულო - ეს ყოველივე შოთა ჩანტლაძისაგან „მივიღე", მისგან „ვისწავლე"...

პოეტური ატმოსფერო: ერთი მხრივ, პრიმიტივიზმის გაფურჩქვნის, ხოლო მეორე მხრივ, ურთულესი ტექსტების ხანა... რაიმეთი გამორჩეულიაო, ვერ იტყვი: მეცხრამეტე საუკუნიდან ინერციადებული პოლიტიკური ლექსი თანდათან ჩლუნგდება და ჟურნალიზმს ერწყმის... მის ალაგას მკვიდრდება ახალი ლექსი, წმინდა წყობილსიტყვა, პოეზია...

ძალზე იოლია უარყო, წყალს შეურიო, დაივიწყების ჭვარტლით შემურო ის, რასაც ვერ მისწვდი, რაც შენთვის შორეული და მიუწვდენელი დარჩა, რაც, აღმოჩენის სიხარულის ნაცვლად, უკმარობის მოუხელთებლობის შეგრძნებას გიტოვებს და შენს გზაზე ხელისმოცარვის გულისამრევ კვალს აყენებს... ახლა რას მოიმოქმედებ: ამ იოლ გზას დაადგები თუ სხვა რამ ღირსეულ გამოსავალს მოძებნი, რაც შენი თავის რწმენასაც დაგიბრუნებს და იმედითაც აგავსებს: უამიმედოდ ხომ ნაცარტუტა ხარ და მეტი არაფერი.

ასე ჩანს: მზე მხოლოდ დღეებს გამოასხივებს. აბა, ღამე საიდანღა მოდისო, მეკითხები შენ. ღამეს ეშმაკის თვალები მოიწურავენ, აფრქვევენ, ამკვიდრებენ ამქვეყანაზე.

ამაზრზენი რამ: თბილისური პროვინციალიზმი, დაუნდობლად რომ ამხილა ოტია პაჭკორიამ...

მოუხელთებელი ბუნება: ის თითქოს შენ გეკუთვნის, თითქოს შენშია, თითქოს შენს გამოა: შენში მუსაიფობს ეს მცდარი აზრი, ეს გულუბრყვილო რამ ნახმევი, ეს ნასხვისარი ფიქრი და თავგზას გიბნევს, ჭეშმარიტების ძაფებს გაკარგვინებს...

ლიტერატურული გავლენა. ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა რაფიელ ერისთავის ხალხურ კილოზე შექმნილმა ლექსებმაო, წერს ვაჟა-ფშაველა. საკითხი ამ აღიარებით არ ამოიწურება... გავლენის ფესვები კიდევ უფრო შორს მიდის და მოიცავს მთელ მსოფლიო ლიტერატურას. შეიძლება ამგვარად ჩავეძიოთ: მოვნახოთ ის, ვინც რაფიელ ერისთავზე მოახდინა გავლენა: ჩვენი უკვდავი ფოლკლორი, რომლის კილოზეც ის წერდა... რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი... ალბათ, კიდევ მსოფლიოს რომელიმე დიდი მწერალიც (ან მწერლებიც) და ასე... გავლენის ძირები ძალზე შორს წაგვიყვანს... ის, ვინც რაფიელ ერისთავზე მოახდინა გავლენა, ცხადია, არაპირდაპირ, ვაჟა-ფშაველაზეც გავლენას ახდენდა... აი, ჩვენი თანამედროვე, დიდი კოლუმბიელი მარკესი: ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა ხუან რულფომო, გულწრფელად აღიარებს ის... ახლა ვნახოთ, რულფო ვისი გავლენითა წერდა თავის შედევრებს: ეს იყო მექსიკის სოფლის ზღაპრები და ლეგენდები, ეს იყო იმ დროს უკვე ფეხადგმული მაგიური რეალიზმის სკოლა, ეს იყო ესპანურენოვანი დიდი ლიტერატურა უკვდავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერვანტესიდან მოყოლებული დღემდე... გავლენის ფესვები ძალზე დიდია. შესაძლოა თვალითაც ვერ მიუწვდე, ვერც მოიხელთო, მაგრამ იცი, რომ უამგავლენოდ არაფერი ღირებული არ შეიქმნება... მავანი ვინმე ამაოდ დაიწყებს უშუალო მსგავსების ძებნას, რაღაც საერთო შეხების წერტილების ძიებას. ამგვარი რამ, შეიძლება, სულაც არ ჩანდეს, მაგრამ სიღრმისეული, იდუმალი გავლენა უდავოდ იქნება. ამ მოვლენას ამაოდ დასძრახავს მავანი კრიტიკოსი: ეს არის ლიტერატურის ძირისძირი, მსოფლიო ლიტერატურის ერთიანობის საძირკველი... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის პირველი პოეტი, ვინც თავის ღვთაებრივ სტრიქონებს მღვიმის კედლებზე კაწრავდა, ჩვენი ლიტერატურის პირველმამაა, ხოლო მომდევნონი უკვე იმის გავლენით წერდნენ... გავლენა მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესს არ ეხება. გავლენა მუდმივია, ის თანასდევს მწერლობის ხასიათს, იმის სულს... აქვე იმასაც ვიტყვი, რომ კრიტიკა ზოგჯერ ერთიმეორეში ურევს გავლენას და პლაგიატს და ერთნაირად მიუღებლად აცხადებს მათ. ეს არასწორია... გავლენა ის ძაფია, რითაც ეპოქები ერთიანდებიან, საუკუნეები და სკოლები ნათესაობენ: ერთი-მეორეს ავსებენ, ამდიდრებენ, აძლიერებენ...

დღეს ომის საფუძველი აღარ არის: კაცობრიობამ ისწავლა სიტყვით მორიგება, ერთიმეორის დარწმუნება, შერიგება... სამყაროს ჯუნგლებში თუ კიდევ ვინმე დარჩა, ვინც კვლავ მახვილსა ლესავს და საბრძოლო ჰიმნებს იზეპირებს (სამწუხაროდ, ასეთები არიან!), ის უდავოდ განწირულია: მომავალ დროთა ღვარი მას უეჭველად გადარეცხს, გარიყავს...

სამშობლოს გზებზე ცხრაპირტყავგადამძვრალმა, ნაპატიმრალნაგულაგარმა, ხანმოთეულმა მაშინ ეგრე დაიბარა: თავისუფლებას თუ ეღირსეთ, ძვლებს იქ მაინც ჩამოგვძახეთ, იქ მაინც გაგვაგებინეთო... ნეტავ, ვინმემ თუ ჩასძახა?

მტკიცედ და გადაჭრითა ვთქვათ, რომ პოეზიის გაგება შეუძლებელია: ჩვენ ის გვატყვევებს ლეგენდური ბურუსითა და იდუმალებით... და მივყავართ უპირობო სიზმრების მხარეში, სადაც გადარჩენაზე ფიქრი სრულიად ამაოა...

კაცთა მოდგმას გონებას აკარგვინებს და სულს უმღვრევს სისხლის წყურვილით ატანილთა საქმეები: სისხლის მსმელთა და კანიბალთა შემზარავი ქმედებანი... აი, დასტურიც: ახლახან ათასწლეულის ადამიანად გამოაცხადეს კაცობრიობის სისხლიანი კალოს გამლეწავი ჩინგიზყაენი:

ოცდამეერთე საუკუნეში პოეზია ხელახლა და საბოლოოდ აღმოაჩენს გულს...

ტიტველი, თვალით ხილული გრძნობები, ჩვენ რომ გვატყვევებს, პოეზიის შემზარავი უფსკრულის თავზე რომ გვატრიალებს, როგორც ქარით ატაცებულ ფოთლებს ანდა როგორც ნისლის კოტორა ფთილებს... უამისოდ პოეზია მკვდარია. მკვდრადშობილი წყობილსიტყვა კი სულაც არ ეხმიანება იმ მარადისს, რასაც პოეზია კვებავს: კაცად ყოფნის უმთავრეს მარცვალს - სულს.

დაფიქრდი: რაც იოლად მოდის, რაც იოლად გემორჩილება, რაც კალმის იოლი მოსმით ეშხეფება ფურცელზე, ნასხვისარი ხომ არ არის, სადღაც ყურმოკრული ხომ არ არის. პლაგიატის ავბედითი დემონის ჩურჩული ხომ არ არის!

სიმღერა ბრმაა: ის არის ინტიმური წამივით თვალდახუჭული!

გეუბნები: დასძლიე ინერცია!

გეტყვი: ვინც პირშავ ყოველდღიურობას პოეზიად აქცევს, ის არის წყობილსიტყვის კაცი, ღმერთის ხელდანაკარები... ის არის უცხო გზების კეთილად გამლორღავი, მწიკვლის ოქროდ გადამდნობელი: პოეზიის ღვთაებრივი ნაკადით რომ გაამშვენებს ძაღლურ ყოფიერებას, კაცად ყოფნას კიდევ ერთ გამართლებას რომ მოუძებნის...

აჰა: იწყება ის, რისი გაგრძელებაც შეუძლებელია... ჩანაფიქრი უიმედოა: ის უეცრად გაჩნდა და ქრება უმალვე... ესაა ბედისწერის უალტერნატივობა: მას ვერ შეცვლი, ვერ შეაჩერებ... ვერ შემოაბრუნებ...

მეუბნება: ის ჩამოვა, როგორც ნათქვამია, ის უდავოდ ჩამოვა, მაგრამ ყოველივემ, რასაც იხილავს, შესაძლოა, გული საბოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ გაუტეხოს და ასევე შესაძლოა უნუგეშოდ და საბოლოოდ მიგვატოვოს აქ ნანახით გულგასენილმა... აი, მაშინ კი მართლაც ჯოჯოხეთად იქცევა დედამიწა: გაუსაძლის ჯოჯოხეთად და კუპრის მორევად...

ეს არის ქაოსი. ეს არის ენის სპონტანური დინება. ეს არის საღვთო მასალა... და არ არის არც ერთი სიტყვა, შენ რომ ვერ შეელევი... ყურდახშული სიტყვა, ერთიან ხმას რომ ვერ ეწყობა, გამოარჩიე, ცალკე დააყენე. ის მხოლოდ თავის მსგავსებთან იმეგობრებს. მხოლოდ ამგვარ კავშირს შეურიგდება...

ტიტველი სიტყვა. მაგან დაჰკარგა გრძნობა სირცხვილისა... და რაღას არ გვიხატავს, როგორ სურათს აღარ წარმოგვიდგენს, რა სახით აღარ გვეცხადება!..

აი, რას გეტყვი: ადამიანის სიყვარულის ხანა დამთავრდა მაშინ, როცა ის სამოთხიდან გააძევეს... ამის შემდგომ სიძულვილმა ერთიან საპყრობილედ აქცია დედამიწა: სიკვდილმისჯილთა დროებით საცხოვრისად, სადაც მძვინვარებს სკეპსისი, გაუცხოება და შიში, შიში...

ასე მგონია: ჩვენ, პოეტები, ცოტა-ცოტა, უფლის ნაკრძალში ვიჭრებით, უფლის კარმიდამოში გადაბიჯებას ვლამობთ... ამიტომა ვართ ცოდვილები, დაწყევლილები...

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის პოეზია ბარდებმა დაიპყრეს. ლექსის ვექტორი ესტრადისაკენ გადაიხარა. გაბატონდა მარტივი, მელოდიური წყობილსიტყვა: ლიბრეტო... დღეს უკვე ბევრი რამ მიანიშნებს იმას, რომ მესამე ათასწლეულის დასაწყისში პოეზია კვლავ ნაცად, ძველისძველ გზას დაუბრუნდება: მას გაკვალავს ძირეული ექსპერიმენტებისა და გულის ხელახალი აღმოჩენის მეოხებით...

დამიჯერე: ხელმოცარული პოეტები პოეზიის მკითხველები ვერ გახდებიან, რადგან მათ სულებსა ღრენის ანტაგონიზმის, მეტოქეობის, ვერჯობნების შავი ბაცილა და, ამის გამოა, ისინი ლექსით ტკბობას, ლექსის აღქმა-გათავისებას რომ არ დაეძებენ... ისინი ნიჰილისტური ქირქილით ახშობენ პოეზიის ღვთიურ ნათებას...

შეხედე: ეს სიტყვა ქარის საკუთრებაა. ის უნდა თქვა ქარში. ის უნდა მოისმინო ქარში. ის მიაქვს ქარს. მას მღერის ქარი. მასში ქვითინებს ქარი. მასში იბადება ქარი... ის აგრძელებს ქარის ხმას. მასში მთავრდება რაღაც, რაც ქარმა დაიწყო... ეს არის სიტყვა ქარისა...

სიბრტყეები, რომლებზეც ღმერთი და ადამიანი დგანან, სივრცეში ერთიმეორეს სცილდება. შემეცნების ძალმოსილებას მათი დაახლოება არ შეუძლია... ამგვარი სასწაულის მოხდენა მხოლოდ რწმენას ძალუძს და მრავალ ჩვენგანს უგრძვნია კიდევაც მისი გამაოგნებელი შედეგი...

კეთილაღნაგი ლექსი: მისი კითხვისას წამიერ გაკრთება სათნო, მიმნდობი სინათლე, თითქოს ზეციერს თვალი მოვკარით...

სამყაროთა შემზარავი უსასრულობის დახატვა მხოლოდ სიტყვით შეიძლება... შთაგონების ძალმოსილებასაც მხოლოდ სიტყვა აცხადებს... სიტყვა: ღვთაებრივი მასალა, იარაღი, საშუალება...

იღუპებიან სამყაროები, გარდაისახებიან; სახეცვლილნი კვლავ მოიქცევიან და ასე: კიდევ და კიდევ... მარადიულია მხოლოდ ის, რაც ამ სახეცვლილებასა და მიქცევა-მოქცევას ესაძირკვლება: მარადისობა, ღმერთი... სამყაროთა ამ ფერისცვალებაში დედამიწის არსებობა წამიერი სჩანს... როდის აღესრულება დედამიწა, როგორ აღესრულება ან რა იქნება იმის შემდეგ... ვარაუდები სხვადასხვაა... დედამიწის ყველაზე შემზარავ აღსასრულს ლეოპარდი უწინასწარმეტყველებს: დედამიწა ჯერ გაბრტყელდება, გადაიქცევა გიგანტურ დისკოდ, ხოლო შემდგომ ეს დისკო გაიხვრიტება და თანდათან რგოლად გარდაიქმნება... რგოლი თანდათან გაწვრილდება, დაწყდება, დაიშლება... მისი ნაწილები კომეტების ცეცხლოვან წვიმად მოევლინება მზეს და პლანეტებს... ამ უნუგეშო სურათს ერთი პესიმისტური ბოლოკულიც ჩვენ მივამატოთ: ცივილიზაციის ნაშთები ამ წვიმასთან ერთად ცეცხლში დაინთქმება და უკვალოდ განქარდება...

მავან ვინმესა სურს, რომ დემაგოგიური ჭიხვინით ჩაახშოს სამართლიანობის უკვდავი ძახილი: ეს ეხება პოლიტიკას, მწერლობას, მეცნიერებას, ჟურნალიზმს... ცხადია, საბოლოოდ სამართლიანობა გაიმარჯვებსო, მეტყვი შენ... მაგრამ ეს მთლად ასე როდია: მე და შენ ხომ უსამართლობაც მრავალჯერ გვინახავს აღზევებული, მოზეიმე...

კომუნისტური იდეოლოგიიდან ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი აბსურდის თეორიამდე: ეს ნაბიჯიც დაუყოვნებლივ გადაიდგა... კომუნისტმა კამიუმ ყოფიერების აბსურდულობის აღიარებით ურწმუნოთა იდეოლოგია გამოუვალ ჩიხში შეიყვანა, რასაც სრულიად კანონზომიერად მოჰყვა ამ იდეოლოგიის ანულირება, გაქრობა...

პოეზიას ვერ იხსნის მტკიცება, დაშლა... მისი მარცვალი, მისი ხიბლი მხოლოდ მგრძნობელობით აღქმაშია: მხოლოდ აქა დევს მისი გახსნისა და ავ-კარგის გაგების უეჭველი შესაძლებლობა...

სულის გარეოვლენის აღმქმელობისა და განსჯის პრეტენზია თითქმის ყველასა აქვს: ამ მიზნით სუყველას თავისი გემოვნება აქვს მომარჯვებული, თავისი გემოვნების მეშვეობით ჭრის და კერავს. ამ დროს ის არა სცნობს გემოვნების საზომსა და ვარგისიანობის კრიტერიუმს. ალბათ, ის არც არის უნივერსალური და საყოველთაო. ვერავის ეტყვი, კოჭლი რატომა ხარო, მაშინაც კი, როცა ეს უეჭველია; მით უმეტეს, აბა, მავანს როგორ ეტყვი, გემოვნება არა გაქვსო... ეს თითქოს განსჯისთვის აკრძალული ზონაა. აქედან მოდის მენტორომანია; აქედან იღებს სათავეს უგემოვნობის სავალალო ლუღლუღი და სხვა...

კარგად წერის უფლება ყველასა აქვს. კარგად წერის სურვილი ყველასა აქვს. კარგად წერის უნარი ყველას არა აქვს... როგორ მოვიპოვოთ ეს უნარი, ვინ უნდა გვიბოძოს ან რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ამ უნარს ვეწიოთ?.. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას შეიძლება მოვიშველიოთ განყენებული სიტყვები: ბედისწერა, იღბალი, ღმერთი... კითხვა კი მაინც უპასუხო დარჩება...

დამიჯერე: პოეზიისათვის საშიშია გარითმული პროზა, შაბლონი, უღიმღამო სტერეოტიპი... ეს არის ქანგი, რაღაც მთავარს რომ ანადგურებს...

შეცნობა, გონითი წვდომა რწმენის საძირკველს არყევს: ეს იგულისხმებოდა ცნობადის ხის ნაყოფის ღვთაებრივ აკრძალვაში... ამ ნაყოფის მიღებამ დაუძლეველი ეჭვით აღავსო მოკვდავის გული და გონება... ხოლო ეჭვით ცხებული, ნდობადაკარგული ადამიანი აღარაა ის მარცვალი, საიდანაც რწმენის საღვთო მცენარენი აღმოცენდებიან...

შემოქმედება, როგორც მისტიკური პირამიდა: მას აქვს საყრდენი ფართო და მძლავრი, შემდეგ ის თანდათან ვიწროვდება და აბოლოებს რაღაც ქმნილება: საჩინო და რჩეული... მის წიაღში მრავალი საიდუმლო რამ არის დამარხული და, როგორც ყოველი პირამიდა, ისიც ამოუხსნელია...

ამოხაპული, ამოცლილი, ამოწურული შინაგანობა: თითქოს ზეაღმავალი გზა დაკარგე; თითქოს უხილავისაკენ ვეღარ გგზავს შენი წყურვილი; თითქოს წაგივიდა ის, რაც გავსებდა; თითქოს უფლის ნაბოძები სიტყვა წაგართვეს...

მაშინ იყო: ვერლიბრმა, პირქუში გზების ამ შარლატანმა, კონვენციურ ლექსს პირდაპირ ტერაქტი რომ მოუწყო: ააფეთქა...

გეუბნები: სინდისის ჩაქოლვის უფლება არავის არა აქვს, ვინც უნდა იყოს... ხოლო ერის სინდისს ვინც ამ მიზნით ეპოტინება, ის მთლად გადარეული და ცნობამიხდილი ვინმეა...

შეცდომები მოწმობენ, რომ ადამიანი ადამიანია და არა ანგელოზი... ერთი შეცდომის თავიდან არიდებას იმდენი ჯახირი უნდა, რომ ამ ვაი-ვაგლახში იქვე მეორე შეცდომასაც სჩადი და ასე: ყოველდღე და ყოველწამიერ... შეცდომებს უნდა შეეგუო ისევე, როგორც ეგუები კაცად ყოფნას...

დამიჯერე: შემოქმედებითი წამის შედეგს წინასწარ ვერ გათვლი... შეუძლებელია ბედისწერის, იღბლის, მოულოდნელობათა წინასწარ წვდომა, მათი ნაადრევი გაცხადება... აქ მხოლოდ ვარაუდია მისაღები, რაც ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთის მიახლოებითი, პირობითი რამ არის.

გეუბნები: ტანჯვის მიზეზია იმედი, კაცი ბოლომდე რომ ებღაუჭება, თავს რომ იტყუებს...

რა არის ერის ღირსების საწყაო? წმინდა სინდისით გამორჩეული, ნიჭით ცხებული მოღვაწეების სიმრავლე?..

აბსურდი კაცად ყოფნის უმთავრესი ახსნაა, ურწმუნო ადამიანის წარმოდგენას მთლიანად რომ პასუხობს.

პოეტი: აბსურდის თეატრის მსახიობივით შტერად ტუჩპირმორღვეული. სიტყვებით თამაში. აბსურდული გადაადგილებანი. სტრიქონები. რითმები. უზუსტო. ულოგიკო. ირიბი... თითქოს ბნელში სიარული, ხელისცეცებით. ლანდური ბორიალი. ლანდური გარემო. ცრიატი. იმქვეყნიური... აქ მხოლოდ ღმერთს მოინაკლისებ...

გეტყვი: მომავალი აქვს იმას, რასაც მე მეტაპოეზიას ვუწოდებ. ეს არის ტოტალური ლექსის სახეობა. მისი არსი რომელიმე ფორმით არაა განპირობებული: ის შეიძლება გაცხადდეს როგორც ვერლიბრით და პროზაული ლექსით, ისევე კონვენციური ფორმებითაც... ეს არის შინაგანობით ახალი პოეზია: კომპიუტერული ეპოქის პირმშო...

ასეა: ურაპატრიოტიზმს თითქმის ყოველთვის მოსდევს უფრო საშინელი რამ: უკიდურესი ნიჰილიზმი... ისა სწვდება სულიერი ქმედების ყველა სფეროს და ძირს უთხრის, აჩერებს, აჩიავებს მას.

გეუბნები: მუშტაწეული, პოლიტიზირებული პოეზიის დრო მიილია, დამთავრდა... იწყება სხვა რამ: ნაღდი ლიტერატურის ხანა, როცა უმთავრესია აღმოჩენა, გაცხადება, გული...

მონოლოგების პოეტი: ცალსახოვანი, როგორც ერთი მსახიობის თეატრი...

მრავალცოლგამონაცვალმა, ქალების ავანჩავანის კარგმა მცოდნემ, ეგრე თქვა: ცოლის შერთვას თვალის დახუჭვა უნდა... თვალის დახუჭვა და მეტი არაფერიო...

ნუ ჩაეძიებით იმას, რა არის აბსურდი და რა არ არის ასეთი: ყველაფერი აბსურდია იქ, სადაც რწმენა არ არის...

მომოსის სევდა. მომოსი დაცინვის ღვთაება იყო. მან თავისი მიმდევრები, ბილწსიტყვაობის გურმანები, კაცთა შორის მრავლად დატოვა: იმათ ანგარიშზეა ზოგთა გამრუდებული ბედი, დანგრეული ცხოვრება, მრავალთა სიკვდილი და მრავალთა მწუხარება გაუსაძლისი... მომოსის მიმდევრებს უსაზღვრო სევდა აიტანთ, თუ ვინმე ამოჩემებულს გასაკილსა და დასაცინს ვერ უპოვნიან. თვით მომოსიც ამ სევდამ მოაკვდინა: მან აფროდიტეს ნაკლი ვერ უპოვა და ამის გამო მოძალებულმა ბოღმამ მუცელზე გახეთქა თურმე.

დამიჯერე: ვინც ამბობს სამყარო მომაკვდავიაო, თუ იმ ტვინოსნებს ვერწმუნებით, მაშინ ამგვარი ერეტიკული აზრიც დაიბადება: წარმავალი სამყაროს შემოქმედი აბსურდის ღმერთია; ის არის ურწმუნოთა უფალი...

შეფასებისას მთავარია შემფასებლის გემოვნება, ხედვა, ყნოსვა, მგრძნობელობა... მდარე შემფასებლის ხელში შედევრიც კი უფასურია...

პატივმოყვარე, ცუდმედიდი, უკიდეგანო ამბიციით სნეული: თავის ყოფნას რომ გამადლის... თანამდებობის მძებნელი, უზრუნველი ცხოვრების ტრფიალი. განდიდების მანიაკი... ბოლოს იმის ყოფას უკიდურესი გაბოროტება ამღვრევს, რადგან ირკვევა, რომ მისი ამბიციური წყვეტება ყოვლად უნიადაგო და უსაფუძვლო ყოფილა... ეს უსამანო გაბოროტება აბითურებს და ამიწებს კიდეც...

ლევ ტოლსტოი ზიზღით იხსენებს შექსპირსა და გოეთეს... და იქვე ცრემლსა ღვრის რომელიმე რიგითი მწერლის წიგნზე, დღეს რომ აღარავის ახსოვს, დავიწყების ლიბრმა რომ დაფარა...

შეხედე: ტექსტიდან თვალმოწკურული ღმაგოგი იყურება... ამგვარ „ლიტერატურას" თუ ენდობი, თუ მიიღებ, თუ გაითავისებ, წასულია შენი საქმე: გაუდაბურებულხარ და ეგ არი!

მეუბნები: მან ღმერთი ვერ შეიცნო, მაგრამ ძალზე კარგად და ღირსეულად შეიცნო ღვთიური საქმეები. ახლა მითხარი, განა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველივე ღმერთის შეცნობა არ არის?

კაცი გონების ტყვეობაში: ეს არის მტკიცედ მოღობილი სივრცე, საიდანაც თავს ძნელად თუ ვინმე დააღწევს. ადამიანის კომფორტული ყოფიერება ამ მოღობილში მიედინება. ეს არის გალავნით საზღვრული სამოქმედო არე: აქ განთავსებულია გონისეული სისტემები, რელიგიური წარმოდგენები, ეთიკის მტკიცე კანონები... ამ ტყვეობის სამანია სიკვდილი, რომლის შემდეგ ამგვარი ყოფის საფუძველი ქრება და იწყება სრულიად სხვა რამ...

სიტყვების პრეისტორიული მეხსიერების ამოხსნა, შეჯამება...

გეუბნები: პროვინციალიზმის ჭაობი ყნოსვით ამოიცნობა.

თავის თავში უფლისეულის, თავის თავის უფლისმიერის, თავის თავის შემოქმედის „ერთსახედ“ განცდა: ესაა მწერლის კმაყოფილების ის ნატამალი, რასაც ქმნადობის ჟამსა გრძნობს, რასაც ღვთიური ჩაძახილის მოსმენისა და აღვსების ჟამს განიცდის...

შესაძლებლობანი: საგნების პოეზია, აზრის პოეზია, ბგერების პოეზია, შუქ-ჩრდილების პოეზია, კონკრეტული პოეზია და...

გამიგონია: სიყვარული წელიწადის მეხუთე დრო არისო... დასტურ, ეს ასეა და, რადგან ასეა, მაშინ კიდევ ერთი პირშავი დროც უნდა მოვინიშნოთ: წელიწადის მეექვსე დრო: სიძულვილისა...

ლიტერატურული პროვინციალიზმი: მას პროვინციაში ამაოდ დაეძებ... ის არის დიდი ქალაქის მკვიდრი, დიდი ქალაქის პირმშო, დიდი ქალაქის მდგმური...

ძველისძველი მეხსიერება, ენის უდაბურ წიაღში გაფანტული: იქიდან რომ მოგვდევს, გვეგზავს, გვაფხიზლებს...

ტექსტის ორი ან რამდენიმე განსხვავებული წაკითხვა: განსხვავებული გემოვნება, განსხვავებული ესთეტიკა, განსხვავებული ყნოსვა, განსხვავებული თვალი... გემოვნების სხვადასხვაობა... გამორჩეულობა... ერთადერთობა... სიმყარე...

სიტყვა როცა განყენებული აზროვნების ქიმერებს ზურგს შეაქცევს და გრძნობითი ელემენტებით აკინძულ წყობილსიტყვაობაში განივთდება, განსხეულდება, მაშინ აელვარდება პოეზია და თვალს იტაცებს და გულს ათრთოლებს და...

არის კარგი, საშუალო და ცუდი ლიტერატურა... არის ფსევდოლიტერატურა, რასაც დიდი გასავალი აქვს ჩვენში და ზოგჯერ კლასიკადაც კი მოგვევლინება ხოლმე: ჩვენს გაცურებასა ცდილობს, ჩვენს დაყაბულებას მიელმის...

ყოფნის აბსურდულობა: როცა კაცის ნახელავი უკვალოდ ქრება, როცა თვით კაციც უკვალოდ ქრება, როცა ამქვეყნად მარადიული არაფერი არაა... და კიდევ უფრო დიდი, გლობალური აბსურდულობა: როცა, სავარაუდოდ, თვით სამყაროც გაქრობადი და წარმავალია... იყო და აღარ არის!.. რას დაეძებ, რა დაგკარგვია!

ემოციის შესატყვისი ფორმების ძიებისას ჩვენ ან წინ მივდივართ, ან უკან ვბრუნდებით: წინ არაფერი არაა: აქ მხოლოდ ახლის შექმნის შესაძლებლობებია, ხოლო უკან უკვე მიგნებული ფორმების მრავალსახეობაა და მათი გამოყენების შესაძლებლობაც ისახება პაროდირების ან სხვა რამ ახლებური გარდასახვის გზით... ორივე ეს გზა მისაღები და სვეკეთილია: მათ ჩვენი ხასიათის, ტემპერამენტის, გემოვნების მიხედვით ვირჩევთ და გამარჯვებულიც ისაა, ვინც გზის არჩევაში არ შეცდება...

მოდერნი, როგორც გემოვნების განვითარების კვალდაკვალ მავალი სტილი, მარად ცვალებადი და მრავალსახა: დიდი, უკვდავი რეალიზმის ავანგარდი...

დუმილის ესთეტიკა. დუმილის ლექსი. როცა პოეზია არაფერს ამბობს: მიწრეტილია ხმა. დაშლილია ემოცია. დაწყვეტილია სტრიქონი. გაუცხოებულია სიტყვა... ლექსი, როგორც დუმილის ტბორი: ჩახვეული, პირგაკერილი...

ლიტერატურული პროცესების წინამსწრობელი გემოვნება, ავანგარდიზმი, ნიჭით ცხებული თამაშობანი, ენობრივი აზარტი, ყნოსვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებითი, ნება მძლავრი, გამორჩეული...

ასე გეტყვი: სექსის გარეშე დარჩენილი ადამიანი ყმუილს იწყებს: მასში იღვიძებს მგელი მარტოხელა...

სიკვდილი თანდათანობით მოდის: ის უნდა გამოიმზოგო, ის ცხოვრებად უნდა აქციო, ნაწილ-ნაწილ უნდა გახარჯო...

ლიტერატურას განსაზღვრავს არა სკოლები და მიმდინარეობანი, არამედ გემოვნება: მხოლოდ გემოვნების მოულოდნელ ზიგზაგებზეა დამყარებული ლიტერატურის წინსვლა და ფერისცვალება განუწყვეტელი...

უკვდავი თავისმკვლელები...

შენ გჭირდება სასწორი, კრიტერიუმი, საწყაო: სიტყვების ასაწონად, სტრიქონების და გრძნობების სიმძიმის გამოსაცნობად...

ტექსტის წნულიდან მოძვრება მისი მზერა, როგორც ლობეძრომია ჩიტი და რაღაცას მაძალებს, სადღაც მეგზავს, სადღაც მექაჩება... ეს არის სიტყვებს მიღმა დამალული მიზანი, ეს არის ნება: სიტყვით ცხადი, სიტყვით მყოფელი...

გეუბნები: ჩვენ უნდა ვძლიოთ დროის შემზარავ ღვარცოფს. უნდა დავძლიოთ სამწუხარო, მაგრამ უეჭველი სიმართლე, რაც იმას გვეუბნება, რომ მწერალი დღეს აღარავის სჭირდება... სულის ეს შეჭირვება, ეგებ, უფრო უკეთესი და უკვდავი წიგნების შექმნის მიზეზიც კი გახდეს!.. და ჩვენც სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ წინ ვიაროთ ამ ბნელ ლაბირინთში, სადაც არავის უნდა ჩვენი დანახვა და სადაც სინათლის ნატამალიც კი არ მოჩანს...

ის, ვინც სამოთხის საღვთო წესრიგს აუჯანყდა, ვერც ტანჯულ მიწაზე ჰპოვებს სიმშვიდეს. თავის ზნეს არც აქა ღალატობს: მხოლოდ მეამბოხის როლში გრძნობს თავის თავს სრულფასოვან ადამიანად, კაცად,.. და ჩვენს წინ გადაშლილი ნანგრევები და გაუდაბურებული მიწამყარი სწორედ მისი აქყოფნის შედეგია...

პოეზია ენის მყაყიდან და სიბინძურიდან აღმოცენებული იშვიათი ყვავილივით მოფრთხილებას მოითხოვს, კინტოების ჰანგებზე ამჩატებული ლიბრეტოების მღვრიე სისხლით რომ არ გაიჟღინთოს, რაც უეჭველად ჩვენი წმინდა ლიტერატურული ტრადიციის ხელყოფაც იქნება...

დამპყრობლური სული მონღოლეთისა: თვით მონღოლმა ის სადღაც დაკარგა, შუა აზიის ქვიშრობებში თუ რუსეთის უკიდეო ტრამალებში, დაკარგა სამუდამოდ, საბოლოოდ... ხოლო რასაც ერთი კარგავს, იმას მეორე შეიძენს, იპოვის: ის სული დაკარგა მონღოლმა და შეიძინა რუსმა, შეითვისა: თავისი არსებობის საზრისად აქცია, თავის ყოფას მიუსადაგა...

კამიუ: „შეურაცხმყოფელი სიდიადე...“ ალბათ, ეს ის სიდიადეა, შენ რომ არ გეკუთვნის, რომ მიითვისე რაღაც ხრიკებით, დაიჩემე და შენადა თვლი, თუმც მისი ტარება გიმძიმს, გეხამუშება... შეურაცხმყოფილი და გაბითურებული ხარ... ეს არის, მართლაც, გაუსაძლისი და აუტანელი ტვირთი...

სიზარმაცე ერთგვარი: გრძნობითი სიძლუნგე, გონის სტაგნაცია, ღმერთის გაუცხოება...

და ესეც ხდება: შეგზარავს ცივსისხლიანი პოეზია...

მონობა ჰუმანიზმს ამსხვრევს, სულს აუდაბურებს და სიძულვილს აღაზევებს, რაც, ხშირად, მთელი რასის, ენისა და კონტინენტის სიძულვილში გამოიხატება. ამგვარ სიძულვილს მოსდევს ველური სიშმაგე და ბოროტების ძახილი... დაპყრობილსა და დამონებულს, ბოლოს და ბოლოს, არა მარტო დამპყრობი, არამედ მისი ენაც, მისი ჩვეულებებიც და ჯილაგიც ჭირივით შესძულდება... და დგება წუთი, როცა ორივე, დამპყრობელიც და დაპყრობილიც, ერთურთს გასაგლეჯად დაეძებს... სწორედ ამგვარი რამ მოხდა რუსულ-საბჭოური იმპერიის არსებობის ბოლო წლებში...

გახსოვდეს ის, ვისაც თავის მთავარ საყრდენად ქართული პოეტური ტრადიცია მიაჩნია, და არც ის დაივიწყო, ვისაც თავის თავი მსოფლიო პოეზიის მემკვიდრე ჰგონია... ორივენი მართლები არიან, ორივე მხარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაო ჭეშმარიტებაა... პირველი სულაც არ არის პროვინციული ჭაობის ბინადარი, ხოლო მეორე კოსმოპოლიტთა კასტას არა და არ მიეკუთვნება... მათ მხოლოდ გემოვნება და თვალსაწიერი ყოფთ: ეს კი საკმაოდ დიდი და პირქუში უფსკრულია...

ცასრული კაცი. გზასრული კაცი. გულსრული კაცი...

მარადისობა თვალუწიერია: ის მხოლოდ სიტყვითა ცხადდება, როგორც ყოველი საღვთო დანაპირები. მარადისობა სიტყვის გარეშე წარმოუდგენელია: მარადისობა და სიტყვა ერთურთს გადაეწვნის: ორივე ერთსახეა, ერთარსია, ერთსიტყვაა.

„მზის შვილები: პოეტები“. ეს კოტე მარჯანიშვილია. ამას ვეღარაფერს დაამატებ... ოღონდ აზრის სავსეობისთვის მისი მეორე მხარეც უნდა გადმოვწეროთ. ის ასე გაიჟღერებს: „ღამის შვილები: პოეტები“...

მწერალი, ვინც ქმნადობის ღვთაებრივ წამებს ზურგი აქცია და შეერია გაძრომა-გამოძრომის მოყვარულ მეღროვეთა ჯოგს, რათა პატრონის თანალმობა მოიპოვოს თანამდებობის, ჩინის, ნაჩალიჩარი პრემიის თუ სხვა რამ მატერიალური გამორჩენის სახით... გებრალებოდეს თავი შენი, რადგან სულ მალე, ცხოვრების უკუღმართობათა წყალობით, შენც შეიძლება ამ გზას დაადგე!..

საკმაოდ იოლია ყოფიერების განსჯა. აქედან: განსჯითი ლექსის სიმრავლე. გონითი ქატო, თავის პოეტურ პრეტენზიას რომ ავლენს გულცივად, მტკიცედ...

ლიტერატურული ტოპონიმები... ამგვარი ლექსიკონიც ოდესმე დაიწერება.

პოეზიის დილეტანტი ენთუზიასტების ლაშქრობანი. მაღალფარდოვანების ზეიმი უსაშველო. სიტყვების რახარუხი, რასაც ყოველთვის აბოლოებს ჯიუტად აღერილი ძახილის ნიშანი!..

ამბობენ: ლიტერატურული სტილი მწერლის ხასიათის სურათიაო... სოსო პაიჭაძის უმანერო, გათვლილი, მძიმედ ნაჭედი სტილი მისსავე ხასიათს მიესადაგება: გრძელი წინადადებების გრეხილები, კლდოვანი გადასასვლელები, ძნელად შესაბედი ნაპრალები. შეიძლება ასეც ვთქვა: მისი სტილი არაპირდაპირ მოქნეულ ხმალსა ჰგავს, მოძრაობისას ურთულეს ზიგზაგებს რომ აკეთებს, ძნელად მოსაგერიებელი რომ არის... დეტალების კრისტალები აქ ქმნიან ერთგვარ გროვებს, სხვა წესრიგს, რაც ენობრივი ქაოსის წრეგადასულობას წინ ეღობება, ამშვიდებს... სოსო პაიჭაძის პროზის ნაღვლიანი ქვეტექსტები ერთვიან გაბმულ მოთქმას, იერემიადას, ქვითინს გაუცხოებული და დაშლილი სულის გამო... სოსო პაიჭაძე იყო გულდაუნჯებული მოყურიადე: დისტანციიდან მჭვრეტელი, ვინც დროის გასვლას კი არ ელოდება, რომ შორიდან შეხედოს მის წიაღს, არამედ თვით შორდება დროს, რომ იქიდან შეხედოს, აწონ-დაწონოს, გაისიგრძეგანოს... სიღატაკის მსახვრალი ხელი მასაც შეეხო. გამკლავებაც სცადა: სურდა, ისეთი რამ დაეწერა, იოლად რომ გაიყიდებოდა, გაჭირვებისაგან იხსნიდა. მაშინ თარგმნა კაზანოვას ბულვარული წიგნი. სამწუხაროდ, ამ კომპრომისმაც ვერ გაამართლა... ჩუმად იცხოვრა: ჩაღრმავებით, იდუმალებით. სკანდალური სახელ-დიდება არ უძებნია... მისი სიკვდილიც ჩუმი იყო, მაგრამ საზარელი... გემოვნების ცვალებადობის კვალდაკვალ შემოქმედებითი სიტყვის შხეფები ელფერსა კარგავენ: დგება ლიტერატურული სიბერე, რასაც დავიწყებაც მოსდევს... ასეთია მწერლის ბედისწერა... თუ ეს აქსიომური ვითარება სოსო პაიჭაძის შემოქმედებასაც შეეხო: ეს, ალბათ, ძალზე შორეულ მომავალში მოხდება... მანამდე კი მისი ხმა ჩვენთან არის: მძლავრი, მოზომილი მართალი სიტყვა...

სამყაროს ღვთიური სიშიშვლე ყველაზე უფრო მძაფრად ენაში ცხადდება და ყოფიერების დრამატიზმის სათავეც აქაა: ამ სიშიშვლეში ვლინდება და აისახება...

წარსულიდან გამოტყორცნილი სხივი აწმყოს ცას უფრო ამშვენიერებს: ეს არის ზნეობის, სიყვარულის, ადამიანურობის გამოცდილება... ჩვენი ცხოვრება გარდასული ყოფიერების კეთილისმყოფელ ველშია მოქცეული და აქ, ამ გარემოში მას ემატება ახალი გამოცდილება: ღრმავდება, კრისტალდება, იშორებს, იძენს და წინ მიდის, მიდის, მიდის...

შეხედე: ადამიანი დაყრუვდა. მას უკვე აღარ ესმის ზეციერის სიტყვა. ის უსმენს მხოლოდ

თავის თავს და თავისივე მსგავსთ. მას უკვე აღარ სჯერა ცითმოვლენილი სიტყვის სასწაულისა: ის უკვე დიდი ურწმუნოა და, აქედან, ურწმუნობის ამ ჭაობიდან იღებს სათავეს ბიწის, მწიკვლის მღვრიე მდინარე, ადამიანის გულს რომ გაივლის: იქ რომ ტოვებს შლამსა და ქვიშას...

ბერწი დღეები, უნაყოფო დღეები. ამგვარი დღეები ძალზე ბევრია. დამიჯერე: ნაძალადევი, უსიცოცხლო სტრიქონი სწორედ ამგვარი დღეების პირმშოა!

მოვუსმინოთ ილია ჭავჭავაძეს: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა... რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა!...“ ახლა, მოვუსმინოთ რაბინდრანათ თაგორის: „მე ვფიქრობ, რომ პოეზია არ უნდა ეყრდნობოდეს გარეგნულ ელვარებას. ლექსისთვის სამკაული მთავარი არაა...“

გეუბნები: პოეზიის უმთავრესი, თავდაპირველი და საბოლოო მიზანი თითქმის მიუწვდომელი რამ არის: მარტოარსი, საწყისი, ღმერთი...

წარმოუდგენელი რამ: მწერლობის ბიუროკრატია...

აი, ვაჟა-ფშაველა, ჩვენს დღეებზე რომ ფიქრობს, ჩვენს ტკივილებს რომ ხატავს, ჩვენს საფიქრალს რომ ფიქრობს: „რა გააწყოს აქ ნიჭიერმა კალამმა, როდესაც ლექსი რითმიანობით ფასდება, პროზა კიდევ იმით, რა საგანზე სწერ და როგორი სიტყვებით... ჩვენებურის მკითხველების (უმრავლესობისა, რასაკვირველია) გულში ნიჭიერის კალმის ნაფქვავი და უნიჭოს ნაროხ-ნაროში ერთად იზილება, ერთ კვერადა ცხვება...“

გეუბნები: პოეზია პირველქმნილი სიშიშვლეა, ვერდამალვაა, გულის ამოსროლაა ბედისწერული...

უკვდავი რიგი: ღმერთის შემდეგ: სიტყვა... მერმე სხვა დანარჩენი...

ასე მეტყოდა: ჩვენ რაღა ხალხი ვართ, ვირუღელში თავგაყოფილები; ვსხედვართ, გულს ჩავძახით ჩვენს ვაებასა, ვარამსა. გულსა ვქოლავთ შავის გოროხითა; ვქოლავთ, ვაბიაბურებთ. ისიცა: კვნესას ამოგვძახის რეტდასხმული. აბა, ვინღა ვართ, რანიღა ვართ, როგორებიღა ვართ... ეჰ!..

მეუბნება: იქ, სადაც უჰაერო სივრცეა, სიტყვა უნუგეშოდ იღუპება, ქრება... აი, სრულიად მარტივი გაცამტვერება იმისა, რაც შენ ღვთაებრივად და უმთავრესად მიგაჩნია!

რემინისცენცია. უნებლიე გავლენა. ეს არც კარგია და არც მაინცდამაინც ცუდი. ის იქნება მანამ, სანამ პოეტები და პოეზია არსებობს. იქნება მანამ, სანამ ლექსის წერის პროცესში კომპიუტერული სისტემები არ ჩაერევა... მანამდე კი ხელთა გვაქვს რემინისცენციის ცნობილი მაგალითები... ამ რკალში ერთიანდებიან როგორც პოეზიის გრანდები, ასევე პოეზიის წვრილფეხობაც... მთავარია, რემინისცენცია პლაგიატში არ ავურიოთ და არ შევხედოთ მას ისე, როგორც მომაკვდინებელ ცოდვას.

მეუბნება: ბედნიერების პოვნასაც ერთგვარი ხელოვნება უნდა... ზოგი ვინმე მარტო მწუხარების აღქმაშია გაწაფული, ხოლო მისი წილი ბედნიერება აღმოუჩენელი, გაუთავისებელი რჩება... აი, კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზი უბედურებისა.

შენი საქციელი როცა სიტყვაში გადავა, როცა სიტყვით გაცხადდება, მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი შეფასება, აწონვა-გაზომვა... სრულიად მხოლოდ მაშინ გამოჩნდება გმირობა, სირცხვილი, ცოდვა-მადლი...

აი, კიდევ ერთი კასტა: ლიტერატურის ტერორისტები...

დამიჯერე: ყოველი ლიტერატურული სიცრუე ცოდვათა რიგს მიემატება...

ეკლიანი გზა. გალაკტიონი წერს: „ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი, მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი...“ სამწუხაროდ, ვერც ის გადარჩა: ეკლიან გზაზე ისიც დაეცა. მისი იმედი მხოლოდ წამიერი იყო... ვერც სხვები გადარჩნენ... ეკლიან გზაზე ვერავინ ვერ გადარჩა, ღმერთო ჩემო, ვერავინ, ვერავინ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოვიდგინოთ ამგვარი რამ: ზეკოსმიური კომუნიკაცია: აზრების გადაცემა უსიტყვოდ... დიდ მანძილზე... ვთქვათ ისიც, რომ ეს ყოველივე რეალობაა და დავამატოთ ეს მკრეხელური აზრიც: სიტყვა სამყაროს გლობალური მოვლენა არაა!

ღმერთთან მიღწევის, ღმერთის საბოლოო წვდომის შეუძლებლობა ქმნის ყოფიერების აბსურდულობის, უაზრობის შეგრძნებას... აქედან თავდახსნის მარტივი და ბარბაროსული გზაა შემეცნების იმ შრის ჩაკვლა, რომელიც გზას უხსნის აზროვნებას, ფილოსოფოსობას, წვდომას... ამ გზის ანტითეზა უეჭველად არსებობს სადღაც, მომავლის შორეთში, იქ, სადაც ჯერჯერობით ადამიანის თვალი ვერ სწვდება...

სიცოცხლის დროებითობა და სიმოკლე: იმედგაცრუების უმთავრესი მიზეზი. მისი სკეპსისის საფუძველი, მისი გულისგული ასეთია: რატომ უნდა სრულვყოფდე იმას, რის ნაყოფსაც ვერ მოვესწრები? რატომ უნდა გავიმრავლო სატანჯველი, ისედაც სევდავსილმა და ტანჯულმა, როცა დღეები უკვე დათვლილი მაქვს, როცა, აგერ-აგერ, უკვე გაისმის დასასრულის ზარების რეკვა?

მარტოობის ჯილდოა ყველა შედევრი, რაც კი ჩვენს ბებერ დედამიწაზე შექმნილა დღემდე...

სამყაროს რომელიღაც კუნჭულში დგას და, თავისი უსასოობისა და კნინი ყოფის შემცნობელი, თავისივე გულს ჩასცქერს და ჩურჩულებს არავისთვის გასაგონად: „მე ვარ არავინ. მე ვარ უპიროვნო. მე ვარ ლანდი უსახელო. მე ვარ მარტო. მე ვარ არარა..." და, თავისივე არარაობის მოყურიადე, ლამობს, რომ აქ ყოფნა დაასაბუთოს რაიმეთი, თუნდაც ამ ლუღლუღით, თუნდაც ულტრათანამედროვე რეაქტორის აგებით, თუნდაც კოსმოსში გაფრენით, თუნდაც მამრული ძალოვანებით, თუნდაც სხვა რამ ქმედებით, რასაც აქვე, სამყაროს ამავე კუნჭულშიც ძლივს ამჩნევენ... და ის თვითონ არის აქტიორიც და მაყურებელიც და, სამყაროთა სიმრავლისა და უსასრულობის მიუხედავად, ის ჯერჯერობით მარტოა, სრულიად მარტო, მარტო...

გეუბნები: მწერალი მკითხველის გარეშე არ დარჩება, მას ვიღაც უდავოდ კითხულობს, ოღონდ მწერლისთვის უმჯობესია, თუკი თავის თავს მკითხველის გარეშე წარმოიდგენს: ამით მოიცილებს ბარიერებს, თვითცენზურას და სხვა ამისთანა რამეებს... და უფრო თავაწეული ივლის... დამიჯერე: ასე სჯობია!

შემაძრწუნებელი რამ: სიღრმის მოხილვა, სიბრძნე...

საკვირველია: სიცოცხლეს აკლია ის, რაც სიკვდილს ჭარბადა აქვს: სიცხადე. ენაში ცხოვრება...

სიტყვა: თითიდან გამოწოვილი, ხელოვნური, ბუნებითი კალაპოტი რომ დავიწყნია, კალმოსნის ხელში ქატოდ რომ ქცეულა... სიტყვა: აჭიაბაჭია ფიქრების მტვირთველი, უბადრუკი სულის ამსხლეტი, სიყალბის მზიდავი, რიოში...

არა უარყოფა, არამედ დაძლევა, იმ მიჯნების გადალახვა, რაც წინამავალმა თაობებმა აღმართეს, იმ საზღვრების გადალახვა, რაც უდავოა და აუცილებელია, ჩვენი კულტურა, ჩვენი მწერლობა გამოუვალ ჩიხში რომ არ შევიდეს... ვთქვათ გარკვევით: დაძლევა უარყოფას არ ნიშნავს... და ვთქვათ ესეც: დაძლევაში თვით წინამავალი თაობების ნააზრევის სრული შეცნობა-გათავისება დაგვეხმარება. დაძლევის გზით შეიძლება წინსვლა განუწყვეტელი: უნდა მიაღწიო იმას, მუდამ ვიღაცის მძლავრ ზურგს რომ არ უყურებდე; წინ წაიწიე, იქაა თავისუფალი სივრცე, იქაა არჩევანის სხვადასხვაობა, იქ იჭედება სიახლე...



# ნოდარ შამანაძე



## ღმერთმა მიშველა

როს არ მიმაჩნდა ცა ქუდად
და დედამიწა ქალამნად,
საწუთროს ბონდი აბრუნდა,
ამიქან-დამიქანავდა.
ყორანმა თავზე დამჩხავლა,
სიხარულს ველარ ფარავდა,
ის იყო ბოლოვდებოდა
ჩემი სიცოცხლის ბალადა,
ღმერთმა მიშველა, სხვა ვინმე
მე როგორ დამიფარავდა!

## ლიოლია

დიდი აკაკი თავის პირმშოს
ლიოლიას ეძახდა.

ჰეი, სად ხარ ლიოლია,
მამა გიხმობს ღვთიურ ლექსით,
მისთვის განა იოლია,
შვილს ქართული რომ არ ესმის?
გული რაღამ აგიძგეროს,
რაღამ უნდა გაგაკვირვოს,
„განთიადის" ვერ გრძნობ ჟღერას
და „სულიკოს" ციურ კილოს.
ჩიხურაა შენთვის კამა,
ენისეი იორია...
ლიოლია, სად გყავს მამა
და შენ სად ხარ, ლიოლია?
არ ინატრებ ერთხელაცა
ქართულ ზეცას მირონიანს,
დედულეთში ხნავ და ფარცხავ,
მამულს არ ცნობ, ლიოლია!
ლიოლია, მამა გელის,
დიდი მამა, ერის მამა,
მყინვარწვერმა თეთრი წვერი
შენზე დარდით შეინამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მეოცე საუკუნე

მწიფობს საუკუნე,
უკვე თავთავდება,
მალე ბოლო წლისას შეღმართს შეუყვება,
მაგრამ ტკივილები არა, არ თავდება,
მას რომ იმთავითვე დაჰყვა სნეულებად.

## შევხარი

ტანჯვისთვის გავჩნდით, ტანჯვისთვის,
თან მსდევს ეს ფიქრი არჯალი,
გულზე მაწვება ნაღველი,
როგორც პირბასრი ხანჯალი.
თუმცა რაც გარდუვალია,
ის სადარდელი არც არი,
ყოველ დღის გათენებასა
შევხარი გულის ფანცქალით.

## საირმეში

თითქოს აყირავდა ცა და მიწა,
სიზმარმა უეცრად გამაღვიძა,
გამოველ გარეთ და გამოვცოცხლდი,
საამო სურათი ვნახე:
მთაზე ბადრი მთვარე ამოცოცდა, -
თამარ დედოფალის სახე.

## საოცარი წიგნი

ბუნება წიგნია მარადისი,
გვირისტით ფურცლებაკინძული,
ლურჯი ცა ხავერდის ყდაა მისი,
ვარსკვლავებზჩახატულ-ჩაწინწკლული.
ბუნება წიგნია საოცარი,
უფლის ნაჩუქარ-ნაბოძვარი.
ღმერთო, მომხედე, განმიკთხე,
არ მინდა, ისე მივდიოდე,
ამ წიგნში რომ არ წავიკითხო
ფურცელი კიდევ შვიდიოდე.

## მამის გახსენება

ტოტლებენი ეჯდა გულში მარწუხებად,
ტოტლებენი იყო მწარე სევდა მისთვის,
მე რა მეშველება,
რა უნდა ვქნა ეხლა,
როცა ტოტლებენობს ყველა რუსი თითქმის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვერ დავუძვერი

ეს საწუხარი მაწუხებს,
დღე მაღგას შავზე შავი, -
ჩემი სხეულის მარწუხებს
ვერ დავაღწიე თავი.
ნაძალადევად თავს მახვევს
ათას წადილს და სურვილს,
ვერ დავუძვერი ამ ოხერს,
ვერ ვაზეიმე სული.

## პოეტი

შიგ შუა ბაზარში აყუყულა,
ყაფანზე წიგნები უწყვია საკუთარი,
ზლვა ხალხშია და თავსა გრძნობს
გარიყულად,
თითქოსდა ვაჭრობდეს ნაქურდალით.
წიგნების ყდებივით ჭრელია ხალხიცა,
ბევრს უჭირს,
ბევრს უმძიმს,
ბევრს შია,
ზოგს სახე შეშლია, რაღა ქნას, არ იცის,
ზოგი სადარდელით მხოლოდდა ლეშია.
პოეტი ზეცაში მზის ხვითოს ეძებდა, -
დღეს ლუკმას დაეძებს,
დრო დადგა რა მურდალი!
საწყლად აყუყულა ბეტონის ბოძებთან,
თითქოსდა ვაჭრობდეს ნაქურდალით.

## ფიქრი ფიქრებზე

ვფიქრობ, ფიქრის ყორეს ვაგებ,
ჟამი ფიქრად გარდავქმენი,
დღეს ფიქრია ჩემი საქმე,
დავივიწყე სხვა საქმენი.
ფიქრის სიტკბოს ვინაწილებ,
სხვა რაღა მაქვს, ფიქრის გარდა, -
გამეპარა სიყმაწვილე,
რომ ყვაოდა ია-ვარდად.
ფიქრი, ფიქრი, ფიქრი, ფიქრი,
ფიქრი შინ და ფიქრი გზაში,
ფიქრით წარსულისკენ მივქრი,
ვმოგზაურობ ფიქრის რაშით.
დილაა თუ საღამოა,
ფიქრთან ძმაკაცურად ვრჩები,
ფიქრი გულის მალამოა
და სიბერის ყავარჯენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბადრი სულაძე



## ბეღურები

დათრთვილული
თრიმლის ტოტი
დილის მადლს რომ
ავანებს,
ციცქნა ჩიტებს
რხევა-რხევით,
ფრთხილად
შეაქანავებს;
ნამცეცობენ ბეღურები
თვით ნამცეცა ნისკარტით;
ღმერთს მადლობას ვეუბნები
მათი გაჩენისათვის;
ყაყაჩოსფრად სულ ღვიოდეს
ცვრიდან ცვარზე მანძილი,
მზის ამოსვლას უღიმოდეს
ბედი გამოკვანძილი.
უფლისაგან ფრთაშესხმული
საოცრების ვიწამე,
პაწაწინა ნაფეხურით
ჯვრებს ტოვებენ მიწაზე...

## ღამის დედოფლები

ალვის შეფოთლებით
უცებ ეჩვევიან
კვირტთა გაგიჟების
ხანას,
ღამის დედოფლები
ქუჩებს შესევიან,
ვითარ კალიები
ყანას;

მწველად ატეხილა
მათი შთაგონება,
მოძლერად უძლებია
ვნება;
ცისფერ სარეცელზე
ცა რომ აბოლდება,
მთვარეც როსკიპივით
წვება...

ალვის შეფოთლებით
უცებ ეჩვევიან
კვირტთა გაგიჟების
ხანას,
ღამის დედოფლები
ქუჩებს შესევიან
ვითარ კალიები
ყანას...

## წვიმის წვეთი

ისე ამძიმებს
წვიმის წვეთი
შენს ფანჯრის მინას,
როგორც ჭორფლი
ქერა გოგოს
შეფაკლულ ლოყებს...

## მუმიისფერი უბედობა

ცივ ხელისგულზე
მოსაგონარ
დღეების მარცვლა,
სულის ტალღებში
მარტოობის
მეჯლისზე მიხმობს;
წვიმა ფრჩხილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის მოსარკულ
კამარას კაწრავს
და მებრალები
ლურჯ ლარნაკზე
მიმხმარო სისხლო...

მუმიისფერი
უბედობის
მონაგარია,
სევდიან წიგნად
აკინძული
ეტიუდები;
ქარში მოისმის
მინორული,
რტოთა არია...
საოცარია
შენ კი ისევ
მედიდგულები...

## ნურვინ მაფხიზლებთ!..

როცა ვუყურებ ვარსკვლავის ვარდნას,
მიწაზე ცისფერ ფიფქების ბარდნას,
ან გულზვიადი კვირტების ქარგვად,
მზე როგორ ჩითავს ბალახის ფარდაგს,

ასე მგონია, მეც ფიფქად ვიქეც,
ანდა ვარსკვლავად, ანდა ყვავილად...
ნურვინ მაფხიზლებთ!
მე ამ სამყაროს
ვერ შეველევი ასე ადვილად!

## ნატვრა

ჯადოსნური მთვარე,
სხივს ჩამოჰგავს მზისა,
ღმერთო, დამიფარე
ფერით ამ ზეცისა;
შუქი მორთავს ატმებს,
გაალაღებს სივრცეს,
თეთრად მოფარფატე
ნეტავ ფიფქად ვიქცე...

## ნათლისღება

ნათლობა განთიადის –
საოცნებო მიწვევა...
სხივი თვალმადლიანი
ცის აკვანში ირწევა;
მზეს მირონის ფერი ადევს,
სათნოებით დამლოცი;
ამ ზეცის სადღეგრძელოდ
ჩემს გულისთქმას გამოვცლი;
მიწის შვებად ანთილან
ლურჯი ია-იანი,
ნაზი ათინათია
და სიტურფე მზიანი;
ნატვრისფერში ღიმილობს
მთის ბალახი რძიანი,
როგორც ლაღი ღიღილო
ანგელოზის ფრთიანი;
წვიმის წვეთის ღიღინო,
დამიკოცნე ეს თბობა,
სილამაზის სიმი ხომ
თვითონ ღმერთად მეცნობა;
სიყვარულით ულევით
ცის კიდეზე შევდგები,
წყვდიადის დამთრგუნველი
და სიწმინდის შემგრძნები...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ჯავახიშვილი

## აკრობატული ეტიუდი

როგორც ყოველ ჩვეულებრივ ბავშვს, ცირკი პატარაობისას მეც ძალიან მიყვარდა. ბევრისაგან განსხვავებით, ეს გრძნობა დღემდე გამომყვა და ჩემს გულში მას თავისი განსაკუთრებული კუნჭული უჭირავს ისე, რომ სხვა გრძნობებს არც არაფერს უშლის და არც არაფერში ეცილება. ხშირად მსმენია, რომ საცირკო ხელოვნება, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი, იაფფასიანი ხელოვნებაა და რომ ის ძირითადად მდარე გემოვნების მქონე, პრიმიტიულად მოაზროვნე საზოგადოების გასართობია. ნაწილობრივ, შესაძლოა, ეს ასეც არის, მით უფრო ლიტერატურასთან, თეატრთან თუ კინოსთან შედარებით, მაგრამ განა შედარება მუდამ საჭიროა?! ან რა აუცილებელია ყველაფრის განზოგადება და გაერთმნიშვნელიანება? გადამწყვეტი სიტყვა პროფესიონალიზმს ეკუთვნის და, თუ ის ვირტუოზულ დონეს აღწევს, აქ უკვე სულ სხვა განზომილებები ჩნდება. შედევრი, ანუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მწვერვალი, ისევე არსებობს, როგორც იმავე დარგის რომელიმე უნიჭო, უგემოვნო, უსუსური და, თანაც, ბრიყვული თვითკმაყოფილებით აღსავსე ნიმუში. თუკი ვინმეს შედარება მაინც საჭიროდ მიაჩნია, მაშინ, მოდით, მოვეშვათ ზოგად მსჯელობას და შევადაროთ რომელიმე კერძო შედევრი რომელიმე კერძო უნიჭობას. აი, მაგალითად, გამოდის ცირკის არენაზე კვერნის უძვირფასესი ქურქით შემოსილი ოქროსფერთმიანი რუსი მზეთუნახავი და გაწვრთნილი ცხოველების ამალისა და პომპეზური მარშის თანხლებით არენაზე რამდენიმე წრეს შემოივლის. ამალა შედგება ქათმებისგან, ბატებისგან, მელიებისგან, მგლებისგან, ცხვრებისგან, თხებისგან და ა.შ., რომლებსაც საოცრად მშვიდად და დარბაისლურად უჭირავთ თავი; მოულოდნელად გაისმის სროლის გამაყრუებელი ხმა (ეს ცირკის სტილშია!) და... ქურქი უეცრად ცოცხლდება, იშლება უამრავ პატარა ნაწილად და მკვირცხლად გარბის კულისებისაკენ, ნახევრად გაშიშვლებული მზეთუნახავი კი თავისი უზადო სხეულის სითეთრითა და მშვენიერებით აბრმავებს ისედაც გაოგნებულ მაყურებელს; ცირკის გუმბათი ლამისაა ჩამოიქცეს აპლოდისმენტების ქუხილისაგან... მოგეხსენებათ, ძვირფასი ბეწვის მქონე კვერნა მეტად მცირე ზომის მტაცებელი ცხოველია, რის გამოც ასეთი ცოცხალი ქურქის „ასაწყობად“, ალბათ, ასამდე ეგზემპლარის გაწვრთნა მაინცაა საჭირო, ხოლო რა მაღალ დონეზე უნდა იდგეს ასეთი წვრთნის ოსტატობა, ეს ადვილი მისახვედრია. არის თუ არა ეს ნომერი საცირკო ხელოვნების თავისებური შედევრი? სჯობს თუ არა ის რომელიმე უნიჭო მოთხრობას, კინოფილმს, ვოდევილს ან თუნდაც მდარე ხარისხის დრამას ან ტრაგედიას? პასუხი, მგონია, ერთია. ბარემ აქვე გავიხსენებ სანდრო დადეშქელიანის ხელოვნებასაც, რომელსაც ხუმრობით შეგვიძლია „ფეხოვნება“ ვუწოდოთ: ეს უნიკალური არტისტი ფეხებით მარჯვედ აკეთებდა აბსოლუტურად ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი ხელებით შეუძლია ადამიანს: ნემსში ძაფს უყრიდა, ხატავდა, წერდა და, რაც ყველაზე გასაკვირი იყო, ცერზე შუათითის ჩამოკვრით ისეთ ხმამაღალ ტკაცუნს გამოსცემდა, როგორსაც ზოგი ხელის თითებითაც კი ვერ ახერხებს.

არ ვიცი, დავარწმუნე თუ არა მკითხველი ცირკისადმი ჩემი სიყვარულის „კანონიერებაში“, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამას არა აქვს მნიშვნელობა; ვინც რა უნდა თქვას, მე დღესაც მიყვარს ცირკი, მორჩა და გათავდა. გასაგებია, ალბათ, რომ კარგ ცირკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგულისხმობ და არა ცუდს. ამ მხრივ, საერთოდ, ერთობ ახირებული ხასიათი მაქვს: ყველაფერი კარგი მიყვარს, ცუდი კი არა. კერძოდ ცირკის სიყვარულში კი, სხვათა შორის, მარტო არა ვარ: ცირკი უყვარდა ტულუზ-ლოტრეკს, უყვარდა გუდიაშვილს, კუპრინს და კიდევ არაერთ გამოჩენილ პიროვნებას. განსაკუთრებით კულისებია ცირკში მიმზიდველი და საინტერესო ისევე, როგორც, საერთოდ, ყველა ხელოვნებისა თუ ოსტატობის „სამზარეულო“. ეს სრულიად განუმეორებელი სამყაროა, თავისი დაუწერელი კანონებით, თავისი მძაფრი სურნელებით, არანაკლებ მძაფრი ვნებებითა და ურთიერთობებით, თავისი თითქოსდა სუპერმენებით, სინამდვილეში კი ჩვეულებრივი კეთილსინდისიერი პროფესიონალებითა და ცხოველებით. „სამზარეულოს“ გაცნობა, მასში შეღწევა ხშირად უარყოფითად მოქმედებს მაყურებელზე შემდგომში მის მიერ სცენის, ეკრანისა თუ არენის აღქმის თვალსაზრისით, აკნინებს მის თვალში შემოქმედებითი პროცესის შემაჯამებელ შედეგს, ამცირებს ან ზოგჯერ სულაც სპობს ხოლმე მათემატიკური სიზუსტით გათვლილი წარმატების სასურველ ეფექტს. მაგრამ როდესაც ხელოვნების ხარისხი მაღალია, რასაც მხოლოდ ნამდვილი პროფესიონალიზმი აღწევს, მაშინ „სამზარეულოში“ შეხედვაც აღარაა საშიში, რადგან ამით მის საბოლოო „ნაწარმს“ მაყურებლის თვალში არაფერი ემუქრება. ეს საკმაოდ საინტერესო საკითხია, მაგრამ ამაზე - სხვა დროს, ახლა კი მთელი ჩვენი ყურადღება მრგვალ არენას უნდა დავუთმოთ, რადგან კარგ ცირკში შეუძლებელია წარმოდგენისათვის თვალყურის მიდევნება ცალი თვალით ან ცალი ყურით.

ასეთ შეხედულებათა მქონე ქართველი კაცი, იანვრის ცივი მზით განათებულ ერთ მოსაწყენ დღეს გულგრილად რომ ვერ ჩავუვლიდი აფიშას - „ქართული ცირკის ოსტატები“, ხომ გასაგებია, მით უმეტეს, რომ ეს დასი ძირითადად გასტროლებზე დაიარება და მშობლიური ქვეყნის ქალაქებისათვის ძალიან იშვიათად თუ იცლის.

წარმოდგენის დაწყებამდე ორმოციოდე წუთიღა რჩებოდა, სალაროებთან კი რიგიც არ იდგა და ბილეთები თავისუფლად იყიდებოდა, რაც, ალბათ, ცუდი ამინდის ბრალი იყო - ცირკის უზარმაზარი ფართობის გათბობა ზამთრობით, სხვა ათას სიძნელეთა შორის, უძნელესია. ჩემთვის ეს უამინდობა არამცთუ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა, პირიქით, ხელსაყრელიც იყო, რადგან, ჯერ ერთი, თითქმის სავსებით დაზღვეული ვიყავი ნაცნობებთან შეხვედრისაგან, და მეორეც, რომც შემხვედროდა ვინმე, ვერავინ დამცინებდა, ცირკში უშვილიშვილებოდ დადისო, - ასეთ სიცივეში ბავშვებს თუ ვინმე საცირკედ გაიმეტებდა, დასაცინი ის უფრო იქნებოდა. ამ თავისგასამართლებელ ფიქრებში გართულმა სვენებ-სვენებით ავიარე ცირკის უთვალავსაფეხურიანი კიბე, რომელზეც ბავშვობაში სულმოუთქმელად ავრბოდი ხოლმე, კარგად გავხურდი და გაყინულ ვესტიბიულში შესულს უკვე ბავშვობისდროინდელი სიხარულისმაგვარი განცდა დამეუფლა, წამით გაიფანცქალა აფრიალებულ გულში და გაქრა... ჩემს დანარჩენ განცდებს ცნობისმოყვარეობის ინერციაღა თუ დაერქმეოდა. დრო თითქოს ნელა გადიოდა, ხალხიც თითქოს ცოტა იყო და ზანტად მოძრაობდა, მაგრამ დადგა თუ არა, ბოლოს და ბოლოს, წარმოდგენის დაწყების საათი, ცირკი თითქმის მთლიანად გაივსო, უმაყურებლოდ მხოლოდ სულ ზევითა, უკანა რიგებიღა დარჩა. არც ბავშვების ნაკლებობა იყო მაინცადამაინც შესამჩნევი და ამ სიცივეში ეს ფაქტი ცირკის ერთ-ერთ სასწაულადაც კი შეიძლებოდა აღქმულიყო. გაისმა პირველი ზარი. მკვეთრად იმატა მაყურებელთა პირიდან გამოსული ორთქლის რაოდენობამ და სქელი ნისლივით გარსშემოაწვა ჯერ კიდევ მკრთალად განათებულ არენას. მეორე და მესამე ზარი ზედიზედ, ნაჩქარევად დაირეკა და წარმოდგენაც დაიწყო. წითელი ხავერდის ფარდით დაფარული მთავარი გამოსასვლელლის თავზე განლაგებულმა ორკესტრმა საცირკო მარში დასცხო. მკრთალი განათება ანაზდად ძლიერმა შეცვალა, გაბრწყინდა, გაჩახჩახდა ცირკის მაღალი გუმბათი, მერე შუქი კვლავ ჩაქრა და ყველაფერი წამით სრულ წყვდიადში ჩაიძირა, მარშის ტაქტს მაყურებელმა ტაშიააყოლა, პროჟექტორების ძლიერმა ფერადმა სხივებმა დაშნებივით გადაკვეთეს ერთიმეორე და მთელი სივრცე თვალისმომჭრელი კორიანტელით აავსეს. მერე ეს ყველაფერი კვლავ უეცრად გაქრა და ერთადერთი პროჟექტორის თეთრმა სხივმა მთავარი გამოსასვლელის ხავერდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდაზე მკაფიო წრე მოხაზა; ამ თეთრ, კაშკაშა წრეში გამოჩნდა შავ ფრაკში გამოწყობილი დიდკბილება კონფერანსიე ხელში მიკროფონითა და სახეზე ისეთი ხელოვნური, ძალიან მონდომებული, ყურებამდე გადახსნილი ღიმილით, როგორსაც წინათ ჩვენს უბანში 9X12-ზეს ვეძახდით, სადაც 9-ში სიგრძე იგულისხმებოდა, 12-ში კი სიგანე. ორკესტრმა მარში, ჩვეულებისამებრ, შუა ნოტზე შეწყვიტა და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– ძვირფასო თბილისელებო! პატარებო და დიდებო! ვიწყებთ დიდ საცირკო წარმოდგენას ქართული ეროვნული ცირკის ოსტატების მონაწილეობით! – ძალიან ხმამაღლა, პათეტიკურად გამოაცხადა კონფერანსიემ, რასაც ბავშვების აღტაცებული ჭყივილი და მქუხარე ტაში მოჰყვა. – პირველ ნომრად თქვენ წინაშე წარდგება ყველაზე მოქნილი ადამიანი მთელ დედამიწის ზურგზე, „გოგონა-კაუჩუკი“, ქართული და არამარტო ქართული ცირკის მშვენება, ბერლინის, კრაკოვის, მოსკოვისა და სხვა პრესტიჟული საცირკო ფესტივალების ლაურეატი... – ამას მოჰყვა სათანადო გრძელი პაუზა და, იტალიური მახვილით ბგერა „ე“-ზე – ... ლილი მინდელიიი!

ორკესტრი ლირიკულ მელოდიას უკრავს, ინთება კაშკაშა შუქი, იხსნება წითელი ხავერდის ფარდა და ცირკის ვრცელი კულისების ბნელი სიღრმიდან მსუბუქი, ჰაეროვანზამბაროვანი ნაბიჯით არენაზე გამოდის ზღაპრულ ფერიასავით მშვენიერი, ქერათმიანი და ცისფერთვალება ცქრიალა გოგონა, მინიმალურად შემოსილი ბრჭყვიალა სამოსით...

აქ დროებით უნდა შევწყვიტო დაწვრილებითი თხრობა და წარმოდგენის ზოგად აღწერას მივყო ხელი, რათა ცირკისმოძულე მკითხველი საბოლოოდ არ „გავაქციო“, ის კი, ვისაც ცირკი ჩემსავით უყვარს, ყველაფერს გამიგებს, შემოკლებებსაც მაპატიებს, სიტყვამრავლობასაც და, დარწმუნებულიც კი ვარ, ბოლომდე გამომყვება.

ამის შემდგომ წარმოდგენა ჩვეული რიტმით წარიმართა, სხვადასხვა ჟანრის ნომრები ერთიმეორეს ცვლიდა და, მართალია, ძალიან ახალი და ორიგინალური მთელ ორგანყოფილებიან პროგრამაში ვერაფერი ვნახე, მაგრამ ჩვენი ეროვნული ცირკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესრულების საერთო დონე საკმაოზე მაღალი გახლდათ. მაყურებელიც მადლიერი ჩანდა და მსახიობებს ოვაციები არ მოჰკლებიათ. ეს თუ აძლებინებდათ ამ სიცივეში ნახევრად შიშველ ქართველ ლამაზმანებს, თორემ სხვანაირად მათი ასეთი ყინვაგამძლეობა ძნელად ასახსნელი იქნებოდა. გული მოვიოხე მონატრებული ნომრების ცქერით, პროგრამაში თითქმის ყველაფერი იყო წარმოდგენილი, ცირკის კლასიკა რასაც ჰქვია: ჟონგლიორებიც ვიხილეთ, ილუზიონისტებიც, ტაკიმასხარებიც, გაწვრთნილი ცხოველებიც, მოჯირითენიც, მუსიკალური ექსცენტრიკოსებიც, ძალოსნებიც, ეკვილიბრისტებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფანდურიანი მოშაირენიც კი თავიანთი აქტუალურ-სატირული, ვითომდაც გულუბრყვილო, ნამდვილად კი ფრიად სუსხიანი შაირებით, და, რა თქმა უნდა, ვიხილეთ ყოველნაირი პროფილის აკრობატებიც: თოკზე მოსიარულენი, ჰაერში მფრინავენი თუ უშუალოდ ნახერხით მოფენილ არენაზე მომუშავენი. ეს უკანასკნელი ჟანრი ყველაზე მეტად მიყვარს, თუ რატომ, ცოტა მოგვიანებით შეიტყობთ.

წარმოდგენა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც კონფერანსიემ ჩემი საყვარელი ნომერი გამოაცხადა:

– აკრობატული ეტიუდი! – დასჭექა საზეიმო ხმით, – ასრულებენ... – და მოაყოლა სათანადო განმარტებანი, რომლებსაც მე მას დროებით შევაწყვეტინებ და ჯერ ჩემს საკუთარ განმარტებებს შემოგთავაზებთ, რადგან თხრობის ასეთი თანმიმდევრობა საჭიროდ მეჩვენება.

ჩემი მოწაფეობის წლებში სპორტი ძალიან მოდაში იყო, იმდენად, რომ სირცხვილადაც კი ითვლებოდა, რომელიმე სპორტულ სექციაში თუ არ დადიოდი. პირადად მე არაერთ სახეობაში მოვსინჯე ძალა: ვცურავდი, ვფარიკაობდი, ჩოგბურთს ვთამაშობდი, ტანვარჯიში მიყვარდა, მთაშიც დავდიოდი, იპოდრომზეც, ველოტრეკზეც, ფეხბურთს ხომ ყოველდღე ვთამაშობდით და, ბურთი თუ არ გვქონდა, ხანდახან ე. წ. ოყნაბოლსაც არ ვთაკილობდით, რაც შესანიშნავი ვარჯიში იყო, რადგან რეზინის დიდი ოყნა სრულიად თვითნებური და გამოუცნობი ტრაექტორიებით დახტოდა მიწაზე... მოკლედ, ჩემს მიერ მოსინჯულ სახეობათა სრული სია ძალიან

დიდი იქნება და აღარ გავაგრძელებ; მე რომ სპორტს უფრო სერიოზულად მოვკიდებოდი, ჩემგან, ალბათ, კარგი ხუთ - ან ათჭიდელიც კი დადგებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც მთავარი მაკლდა, სპორტული ჟინი თუ, არ ვიცი, რა ჰქვია, რის გამოც ბოლომდე არცერთ სახეობას არ გავყოლივარ; ვერ ვიტყვი, რომ ამას ძალიან ვნანობდე, მაგრამ რაღაც სინანულისმაგვარი განცდა ზოგჯერ კი შემაწუხებს ხოლმე; და აი, ამჯერადაც, ცირკში ყოფნისას, სწორედ ეს განცდა დამეუფლა. საქმე იმაშია, რომ მე, რა თქმა უნდა, აკრობატიკაც მოსინჯული მქონდა და ძალიან მიყვარდა; არც ისე დიდი ხნის წინათ ჯერ კიდევ შემეძლო სალტოების კეთება და ყირების აჭიმვა, შემეძლო ორ ან სამ კაცსაც კი შევდგომოდი ქვეშ და თავი საიმედო საყრდენად გამომეჩინა. ამ სახეობას დიდად ვაფასებდი, რადგან მისთვის არაფერია საჭირო საკუთარი სხეულისა და უნარის გარდა; ამ გარემოებას მცდარად აფასებენ ხოლმე და აკრობატიკის ეს სახეობა იოლი ჰგონიათ ისევე, როგორც მწერლობას თვლის ზოგი ყველაზე იოლ შემოქმედებით „ხელობად“, რაკიღა მას ქაღალდისა და ფანქრის გარდა თურმე სხვა არაფერი სჭირია; არადა, მართლა ასეც რომ იყოს, რა, ქაღალდი და ფანქარი ხეზე ხომ არ იზრდება?! ასე რომ იყოს, ხალხური პოეზია ყველაზე „იოლი საქმე“ იქნებოდა: მას ხომ არც ქაღალდი და ფანქარი სჭირია?!.. ვატყობ, ძალიან „გავერეკე“, სად აკრობატიკა და სად პოეზია!? თუმც არც მთლად ასეა, პოეზია ისეთი რამ არის, ყველაფერში შეუძლია მონაწილეობა... მაგრამ დროა, ალბათ, ისევ ცირკსა და აკრობატიკას დავუბრუნდეთ.

– ... ასრულებენ... – განაგრძობს კონფერანსიე საზეიმო ხმით, – ... ძმები მჭედლურებიიიი!

აქ გულმა, რომ იტყვიან, რეჩხი მიყო: გვარი მეცნაურა. აკრობატიკის სექციაში რომ დავდიოდი, ამ გვარის მქონე ერთი ფშაველი ბიჭი ვარჯიშობდა იქ ჩემთან ერთად, სახელად ლექსო; ფენომენალური მონაცემების პატრონი იყო აკრობატიკაშიც და ნებისმიერ სხვა სახეობაშიც, მაგრამ, როგორც თავად დარწმუნდებით, ბოლომდე აკრობატიკის ერთგული დარჩენილა; საშუალო სიმაღლის, ჰარმონიულად განვითარებულ, მაგრამ არცთუ ისე დაკუნთულ მის ლამაზ სხეულში რაღაც ფანტასტიკური, არაადამიანური ჯანი ბუდობდა: სრულიად ძალდაუტანებლად ამტვრევდა მუშტით აგურებს, სქელ ფიცრებში არჭობდა ლურსმნებს, თითებით ღუნავდა და კეცავდა ნებისმიერი ლითონის მონეტას, ორფუთიან გირებს ვაშლებივით ათამაშებდა; ამავე დროს, გასაოცრად მოქნილი იყო, ტაიჭზეც კი – ამ ურთულეს იარაღზე – ტანვარჯიშის ოსტატებს ტოლს არ უდებდა, ე. წ. „ჯვრებზე“, „თარაზოებზე“, ყირებზე და სალტოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ბადალი არ ჰყავდა; ვინ არ დასდევდა მწვრთნელთა ამქრიდან თავ-თავის სახეობებში გადასაბირებლად, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამაოდ: დარჩა და დარჩა ლექსო წმინდა წყლის აკრობატად; ხან წყვილებში გამოდიოდა, ხან ოთხეულებში, ხან უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფებში და ყველგან შეუცვლელი იყო; ნებისმიერ „სართულზე მუშაობდა“, საჭიროებისდამიხედვით, ხან სულ ზევით მინახავს, ხან შუაში, უფრო ხშირად კი მაინც ქვევით იდგა მოკრძალებით და ყველაზე ნაკლებად ეფექტურ, „შავ სამუშაოს“ ხარკამეჩივით თვინიერად, უდრტვინველად და ულაპარაკოდ ასრულებდა; ყველას ძალიან გვიყვარდა ის ჩვენი ლექსო და დიდხანს ვხარობდით მერე მისი დიდი სპორტული წარმატებებით; არც ტიტული დარჩენილა და არც მედალი თუ პრიზი, მას რომ აკრობატიკაში არ მოეპოვებინა, მაგრამ, როგორც თვით ეს სპორტი, ისევე ლექსოც ჩვენში მაინცადამაინც პოპულარული არ იყო, უცხოეთში უფრო იცნობდნენ და აფასებდნენ; ერთადერთხელ მოუწია მხოლოდ ჩვენი დიდი აუდიტორიის წინაშე გაელვება, როდესაც ქართული სპორტის რომელიღაც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფეხბურთის სტადიონზე გრანდიოზული სანახაობა გაიმართა (იმხანად ასეთი „ღონისძიებებიც“ მოდაში იყო); ტარდებოდა საჩვენებელი გამოსვლები სხვადასხვა სახეობებში: ფეხბურთსა და მძლეოსნობაში – ხომ თავისთავად, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, კრივში, ჭიდაობაში, მოკლედ – ყველაფერში, გარდა ცურვისა, რადგან აუზს ვერაფერი მოუხერხეს, დანარჩენს ყველაფერს „უმასპინძლა“ ფეხბურთის მოედანმა: რინგსაც, საჭიდაო ხალიჩასაც, საძალოსნო ფიცარნაგსაც, ჩოგბურთის კორტსაც, საცხენოსნო დაბრკოლებებსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭადრაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავასაც კი; ვინმეს, შესაძლოა, ეს ჩემი ხუმრობა ან გამონაგონი ეგონოს, მაგრამ სულ ერთი აბზაცი მეყოფა, ამ ეჭვის გასაფანტად. ორად ორი ნომერი დამახსომდა დაწვრილებით იმ ზეიმიდან და ერთ-ერთი სწორედ ეს საჭადრაკო ნომერი იყო (მეორეში ლექსო მონაწილეობდა და ამაზე - შემდგომ).

ფეხბურთის მოედანზე ვეებერთელა ხალიჩა დააფინეს, რომელზეც ჭადრაკის 64 შავთეთრი უჯრა აჭრელებულიყო. ფიგურებად შავ-თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი 32 ცოცხალი ადამიანი განალაგეს და პარტიაც დაიწყო; მეტოქეებად „დაფის" აქეთ-იქით, საგანგებო ფიცრულ შემაღლებებზე, საგანგებოდ მოწვეული ცნობილი დიდოსტატები წამოსკუპებულიყვნენ და საგანგებო შიკრიკებს, რიგრიგობით, თავ-თავიანთ სვლებს კარნახობდნენ; შიკრიკებიც რიგრიგობით აკითხავდნენ ამა თუ იმ ფიგურას და ხელჩაკიდებული გადაჰყავდათ იგი დიდოსტატის ნაკარნახევ ახალ უჯრაზე; დიდოსტატების გვარები და პარტიის შედეგი არ დამახსომდა, მაგრამ ერთი ეპიზოდი კი ვერა და ვერ დავივიწყე: პაიკებად ლამაზი გოგონები იდგნენ, სულ ერთიმეორეზე უკეთესნი, ჰაეროვან შავთეთრ მოსასხამებში გახვეულნი; ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა, დიდოსტატები ოფლად იღვრებოდნენ, მაგრამ არ დრკებოდნენ, პროფესიულ ჩვევებს არ ღალატობდნენ და თითოეულ სვლაზე ჩვეულებრივ მოკვდავთათვის წარმოუდგენლად დიდხანს ფიქრობდნენ; და უცებ, სადღაც მიტელშპილის „მიდამოებში", დაფაზე დიდი ალიაქოთი ატყდა: ერთ-ერთ შავ პაიკს სიცხისგან გული შეუღონდა და, იმ მომენტისთვის ცენტრალურ თეთრ უჯრაზე მდგარი, იქვე უგონოდ ჩაიკეცა; შიკრიკებმა სასწრაფოდ გააქანეს საბრალო პაიკი სამედიცინო პუნქტისკენ, პარტია კი დროებით შეწყდა სათადარიგო პაიკის გამოსვლამდე...

მეორე, ასევე დაუვიწყარი, თუმც კი ყოველგვარი კურიოზების გარეშე შესრულებული ნომერი, როგორც უკვე ითქვა, ლექსოსი გახლდათ; მოედანზე გამოლაგდა, რომ არ მოგატყუოთ (ზუსტად არ მახსოვს და) თხუთმეტი თუ უფრო მეტი აკრობატი წითელი ტრუსებითა და მაისურებით; აკრობატული ეტიუდიო, რადიომ გამოაცხადა, მაგრამ, რაც იქ ვიხილეთ, „ეტიუდი" კი არა, მუსიკალური ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებ, მთელი „სიმფონია" იყო. ისე, რომ იცოდეთ, ტერმინი „ეტიუდი" სპორტულ აკრობატიკაში არ იხმარება, მხოლოდ ესტრადაზე და ცირკში იხსენიებენ ხოლმე ასე ორ-სამკაციან მცირე აკრობატულ კომპოზიციებს /უფრორე ამ უცხო სიტყვის ვითომდა ეფექტური ჟღერადობის ეშხით, ვიდრე აუცილებელი საჭიროების გამო/. ასეა თუ ისე, ლექსომ კი მართლაც ეტიუდურად დაიწყო თავისი იმდღევანდელი გამოსვლა: სანამ მოედნის ცენტრს მიაღწევდა, გზადაგზა ჯერ წყვილში წაიმუშავა, მსუბუქად, თითქოსდა ირონიულად, მერე სამეულში, მერე კი „შეუბერა", მაგრამ რა „შეუბერა"! მოედნის ცენტრში რვახელა ბუდასავით ხელებ და ფეხებგაჩაჩხული დადგა; სხვებისგან ის არაფრით გამოირჩეოდა, არც ზომით, არც კუნთებით, ის კი არადა, მგონია, სხვები უფრო ჯანიანებად გამოიყურებოდნენ; ჯერ ორნი შეადგნენ მუხლებზე და აქეთ-იქით, სიმეტრიულად, უზადო „თარაზოები" გაჭიმეს; მერე იმ ორს კიდევ ოთხი დაემატა ზემოდან, იმ ოთხს - კიდევ ექვსი და... როგორც ყველას, მეც სათვალავი ამერია; სადღაც ცაში კიდევ ერთმაც რომ აჭიმა ყირა, ტაშმაც იგრიალა, მაგრამ როდესაც ლექსომ, მითიური ატლანტივით, ვითომდაც აქ არაფერიაო, ფარშევანგის მარაოსებრ გაშლილი კუდივით სივრცეში წასული მთელი ეს უზარმაზარი, ცოცხალი ნაგებობა, საოცარი სიმსუბუქით დაძრა ადგილიდან და დასავლეთის ტრიბუნისაკენ ნება-ნება „გამოასეირნა", ტაში ოვაციებად იქცა და მთელი სტადიონი თავის მიმდებარე უბნებიანა მიწისძვრისებურად შეაზანზარა...

აი, ეს ყველაფერი გონებამ სულ იმ ათიოდე წამში გაიხსენა, კონფერანსიეს ბოლო სიტყვებიდან - ძმები მჭედლურებიო, რომ გამოაცხადა, - არენაზე მათ გამოჩენას რაც დასჭირდა. კი მაგრამ, ლექსო აქ რა შუაშიამეთქი, ჩემს თავს დავეკითხე, ლექსო ხომ დედისერთა იყო, ეს კარგად მახსოვდა, აქ კი ვიღაც ძმები გამოაცხადეს; გვარი, ალბათ, უბრალო დამთხვევა უნდა ყოფილიყო და არაფერი სხვა. მერედა გავიხსენე, რომ ცირკში ასეთი „დანათესავება" ჩვეულებრივ ამბად ითვლება, იმიტომაცაა ხოლმე აფიშები „ძმებით", „დებით", „და-ძმითა" თუ „მამაშვილ-დედა-შვილებით" გადაჭრელებული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე კი, არცთუ იშვიათად, მსახიობთა ნათესაობა და ერთი ოჯახისადმი კუთვნილება სიმართლესაც შეესაბამება. ასე იყო თუ ისე, ამასობაში „ძმები მჭედლურები“ არენის შუაგულში გამოლაგდნენ და მაყურებელს სინქრონულად მიესალმნენ; იმდენნი იყვნენ, მათი ზუსტი რაოდენობა ამჯერადაც ძნელი დასადგენი გახდა, მაგრამ ერთ მათგანში დანამდვილებით ლექსო შევიცანი; შევიცანი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი უეფექტო გარეგნობითა და მოკრძალებული, თვინიერი მიხრა-მოხრით, და მერე უკვე - მიუხედავად სქელი გრიმისა და (ჰოი, საოცრებავ!) ტუჩებზე ასევე სქლად წასმული პომადისა - მისი ყვრიმალებგამოკვეთილი შავგვრემანი სახითა და, რაც მთავარია, უკეთილესი, განუმეორებელი ღიმილით. ჰო, ეს ლექსო იყო, ამას წყალი არ გაუვიდოდა, ხოლო იმ ათი თუ თხუთმეტი თუ, რა ვიცი, რამდენი ბანჯგვლიანი და ზორბა აკრობატიდან რომ არც ერთი მისი ძმა არ იყო, არც ამას გაუვიდოდა წყალი, მაგრამ ეს სულაც აღარ მადარდებდა, რადგან მთელი ჩემი ყურადღება ლექსოსკენ იყო მიმართული. ასაკი, ჩემი არ იყოს, მასაც დასტყობოდა, ოღონდ - ნაკლებად: თმა მხოლოდ საფეთქლებზე შევერცხლოდა, სახის ნაოჭებიდან კი მხოლოდ შუბლზე დამჩნეოდა სულ ორიოდე; მოკლედ, კარგ ფორმაში ჩანდა და, გავიხარე, აბა, შენ იცი, ბიჭო, ერთხელაც ისახელე-მეთქი თავი, ასე ვაქეზებდი და ვამხნევებდი უხმოდ, უფრო კი იმისთვის, რომ რაღაც სიბრალულისმაგვარი საზიზღარი გრძნობა, გულის სიღრმეში რომ გამიფართხალდა, დამეთრგუნა და, თუკი შევძლებდი, სულაც იქ ჩამეკლა; ვერ შევძელი და ამან გამაოცა; მე თუ ვერ შევძელი ეს, მე, ცირკის მოყვარულმა, სხვას რაღა მოეთხოვო?! ამ უსიამოვნო განცდისგან დაძაბული, უნებლიეთ, სკამის სახელურებს ჩავჭიდებოდი და ასე ვადევნებდი თვალს გამოცხადებულ „აკრობატულ ეტიუდს“...

მისალმების შემდეგ ლექსომ თავის „ძმებთან“ ერთად ერთი მოხდენილი უკუ-სალტო „დაარტყა“ და არენის შუაგულში რვახელა ბუდას ქანდაკებასავით გაქვავდა; და დაიწყო და დაიწყო... ჯერ ორი „ძმა“ შეადგა მუხლებზე, მერე - კიდევ ოთხი, მერე კიდევ, აღარ ვიცი, უკვე რამდენი და გაიშალა ჰაერში „ძმებისგან“ ნაგები არნახული სიგანისა და სიმაღლის „ფარშევანგის კუდი“... გეყოფა-მეთქი, ბიჭო, გეყოფა-მეთქი, ტელეპატიურად ვცდილობდი ჩამეგონებინა მისთვის, მაგრამ, ცხადია, არაფერი გამომდიოდა და სულ უფრო და უფრო ვიძაბებოდი; აი, ბოლო, ყველაზე მჩატე „ძმაც“ კატასავით სწრაფად მოექცა ამ მრავალსართულიან ნაგებობას თავში და იქ იდეალური ყირა აჭიმა; ლამის დაინგრა ცირკი მქუხარე ტაშისგან, ვიღას ახსოვდა ან სიცივე, ან სახლამდე გასავლელი გზის კიდევ არაერთი სხვა გასაჭირი!? ის იყო, შვებით უნდა ამომესუნთქა, ასე მარჯვედ აწყობილი კომპოზიცია სადაცაა ასევე მარჯვედ უნდა დაშლილიყო, რომ ლექსოს სახეს მოვკარი თვალი... არ მესიამოვნა: გრიმის გამო სახის ნამდვილ ფერს რომ ვერ გავარჩევდი, ეს ცხადი იყო, მაგრამ ღიმილი ხომ ვერ მომატყუებდა? ღიმილი არ უვარგოდა, თავისი არ იყო, რაღაც ნაწვალევად და არაბუნებრივად მოღრეცოდა პომადაწასმული ტუჩები, კრიჭა შეკვროდა, ყვრიმალები გასკდომამდე დაძაბვოდა და... თავისას მაინც არ იშლიდა: აი, ჯერ მარჯვენა ფეხი გადმოდგა წინ, მერე მარცხენა უკან გადადგა, მერე - კიდევ და კიდევ, ასე დაიწყო ადგილზე შემობრუნება მხრებზე აკიდებული ამოდენა ტვირთით, ერთი მთელი ბრუნი შეასრულა და არ გაჩერდა, მეორე დაიწყო; ეს უკვე მეტისმეტი იყო, კინაღამ ვიყვირე, გაჩერდი-მეთქი, მაგრამ... თურმე ვეღარც მოვასწრებდი: ჯერ მარცხენა ფეხი ჩაეკეცა უცებ, მერე მარჯვენაც და მთელი „ნაგებობა“ მართლაც, სახლის ნანგრევებივით ჩამოექცა თავზე; ბოლმისგან გულგახეთქილს, მომეჩვენა, თითქოს ძალიან დიდხანს და ნელა ცვიოდნენ ზემოდან პანტაპუნტით ლექსოს „ცირკისმიერი“ ძმები; დაწყებული ოვაციები, ამასობაში, უკვე სტვენასა და სიცილ-ხარხარში გადაზრდილიყო. არ ვიცი, ესეც მეჩვენებოდა თუ არა, თითქოს ბოროტი აღტაცებით იჭაჭებოდნენ დიდებიცა და პატარებიც. არენაზე კი ყველაფერი ჩვეულებისამებრ სწრაფად დალაგდა, ყველანი უმალვე ფეხზე იდგნენ და, ვითომდაც არაფერი მომხდარაო, რევერანსებით ცდილობდნენ მწარე მარცხის მიფუჩეჩებას, ყველანი... ლექსოს გარდა. დაჭრილი ხარივით ჩაჩოქილი ლექსო წამოდგომას ლამობდა და ვერ დგებოდა, მაგრამ ეს, მგონია, მხოლოდ მე დავინახე, სხვამ ვერავინ შეამჩნია, რადგან „ძმებმა“ სწრაფად მიაშურეს მას, ორნი

მხრებში ამოუდგნენ, დანარჩენები თეჯირივით გარსშემოერტყნენ და ასე ციმციმ გააქანეს კულისებში. წითელი ხავერდის ფარდიდან წამსვე შავფრაკა და დიდკბილება კონფერანსიე გამოფრიალდა და იხტიბარგაუტეხავად გააგრძელა წარმოდგენა.

მე იქ რაღა გამაჩერებდა, გულდათუთქული გავქანდი კულისებისკენ, იქნებ ჩემმა ნახვამ მარცხის სიმწარე ოდნავ მაინც გაუნელოს-მეთქი; არ მიშვებდნენ და, ვიდრე მაინც შევაღწიე, ლექსო უკვე გარდაცვლილიყო; რაღაც ხავერდებზე ესვენა და თავზე დასტიროდნენ დაობლებული „ძმები“; როგორც ერთმა მათგანმა მოგვიანებით მამცნო, საბრალოს თურმე არენაზევე დაულევია სული და კულისებში უკვე უსიცოცხლო გამოუყვანიათ; ეს ცირკის ექიმმაც დამიდასტურა. „ყველაზე მოქნილი ადამიანი მთელ დედამიწის ზურგზე, გოგონა-კაუჩუკი“ ლილი მინდელი, უკვე ჩვეულებრივად ჩაცმული, მაგრამ რატომღაც - სულ შავებში, სხვებთან ერთად იდგა აქვე და მწუხარედ დასცქეროდა მიცვალებულს თავისი მშვენიერი, ცრემლით სავსე ცისფერი თვალებით. ახლოდან ეს „გოგონა“ უკვე ჭკნობაშეპარული ქალი გამოდგა, საუკეთესო ჩინური ფაიფურივით ლამის გამჭვირვალობამდე სიფრიფანა, სუსტი და ფერმკრთალი; ვერც კი დაიჯერებდა კაცი, რომ სულ ახლახან, არენაზე, ისე ნორჩად და მომხიბლავად გამოიყურებოდა. თუმც, რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ითქვას, რომ მისი ხიბლი მოჩვენებითი არ აღმოჩნდა და ახლოდანაც გულისამაჩქროლებლად მოქმედებდა. იდგა ერთხანს ლილი ასე ჩუმად, მწარედ და გულწრფელად დაღონებული, მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა თავისთვის ბედნიერებაა ასეთი სიკვდილიო, ნელა გატრიალდა, შავი გედივით შეცურდა კულისების ბინდბუნდში და, კვლავ ზღაპრულ ფერიად ქცეული, უხმაუროდ გაუჩინარდა. უნებურად გავაყოლე თვალი, მერე კვლავ ლექსოს დავხედე და... არ მომჩვენებია: ყვრიმალებგამოკვეთილ, ვაჟკაცურ სახეზე საოცრად მშვიდი და კეთილი ღიმილი ეფინა; ამჯერად ეს ღიმილი ნამდვილად მისი იყო; და მომეჩვენა, რომ ლილის ნათქვამი თითქოს ლექსოსაც ჩაესმა, თითქოს ისიც იზიარებდა ამ აზრს და, ალბათ ამიტომაც, თავისი ამ უკანასკნელი „ეტიუდით“ ასეთი კმაყოფილი ჩანდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკა ჯორჯანელი



## ოთხი კედელი

გულის გადაშლას არ დავიწყებ მე ბოროტ ხალხთან!
ჩუმი ტირილი ბნელში ყველას გვინდა რომ მოვრთოთ,
რადგან ცხოვრება არის თალხი ფარდების ახდა
და ერთმანეთის სულებს ვაგნებთ უმისამართოდ.
ai სიბნელის გვირგვინები, გული ნუ მოგდის,
კეთილი საქმე ხშირად მაინც არის ნაგავი,
რადგან არ არის, რაც გულიდან უგულოდ მოდის,
სათნოებათა საგანძურში შესანახავი.
აღარც ხალისი, აღარც მზე და სიზმრების მღელო...
ფარდას გამოვწევ და სინათლეს დავემალები.
უფრო შემიპყრობს და შემბოჭავს ოთხი კედელი
და ჩაქრებიან სიბნელეში მგლების თვალები.
მერე მთელ ჩემს შუქს, რაც დამრჩება, შენში გადავღვრი,
წუხილის ტილოს ამოვქარგავ ნაჯიჯგნ ნერვებით,
იგრძნობს ქაღალდი თვისთვის უცნობ შანთით დაღაღვას...
ჩვენ, პოეზიავ, რისთვის, რითი ან რას შევებით?..
ჩემო ძვირფასო, ამ შემზარავ სიბნელეს შენი
ერთი ცრემლიც კი ეყოფოდა, რომ შეეწოვე...
ნელა ეცემა დაბლა ლექსი, მსოფლიოს მშვენი,
ფოთლებთან ერთად დილით დაწვავს მას მეეზოვე.

* * *

სიცივე მცივა, ჩემი სიცივე,
მე არ მინდოდა ეს შენთვის მეთქვა,
უბრალოდ, ცრემლო, ჩვენი სიცილი
არის გულების შუქფრქვევით ფეთქვა.

ამ თითებმა კი, ჩემმა თითებმა
შენს თმებში ჩემი ყოფა აღწერეს!
და მოდებული ჩემს სისხლზე ცეცხლი
დაე, ჩააქროთ შენს ქალურ ცრემლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


* * *

სხვაა სიცოცხლე...
და არა ის, რომ ციოდა - დაცხა
და არა ის, რომ წყალი კლავს წყურვილს...
სიცოცხლე სხვაა.
სხვაა ფულების უაზროდ ფანტვა,
წიგნების წერა, დიდების ნატვრა...
ცხოვრება სხვაა.
არა მოშავო ნატყვიარები
აღმოჩენილი ყრუ ექსპერტებით;
არა საფლავი, ჩამდგარი ზღვარად;
არა ცრემლები და ტკივილები...
სიკვდილი სხვაა.

* * *

არსებობს სითბო, გაყინულ დროის
გალხობისათვის გამოსადეგი.
მე სუყველა დღე მაქვს დასვენების,
პოეზიისთვის - ყველა სადაგი.

მფარველობს სიტყვა და ათას ნატვრას
კვლავ ის მისრულებს - ჩემი ამინი.
ლექსია ჩემი დღე თვითეული,
პოემებია ჩემი ღამენი.

თუკი თქვენ შეგხვდნენ ფუჭი წუთები,
წამსვე - გაწყვიტეთ, მოსპეთ, გასრისეთ!
უპოეზიო წუთს თითოეულს
ვგმობ, ვდევნი, ვიპყრობ. ვსჯი უმკაცრესად.

## შენი თვალების ღამე

შენი თვალების ღამე
ჩრდილავს ყველაფერს ირგვლივ,
როგორც მთა-ველის ხავერდს
მოღრუბლულობა შავი.
როგორც სასტიკი შავი
და მაგიური წიგნი

ღუპავს ყველაფერს ირგვლივ.
ფოთლებზე რჩება ქვავი
და ნაპირებზე - შლამი...
სდევნის მთვარეს და ვარსკვლავს
შენი თვალების ღამე.

* * *

სძინავს სოფელს გადაკარგულს
მთის ფერდობებს შორის,
გრძნობა მკრთალი, უხალისო
სახელს ვერ იშოვის.

...თითქოს სული ნაავდრალი
თეთრ მუხლებზე დგება,
რომ როგორმე შეასუსტოს
სისხლის შიშით თქვეფა.

მორევია ირგვლივ ყოველს
მძიმე, მთვრალი რული,
ცაში მთვარე დადის სწორად,
როგორც მთვარეული.

ყველაფერი ნათქვამია,
ყველაფერი არის,
მაინც სახე პირვანდელი
შერჩენია არეს.



*ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ ნოდარ ხუნდაძეს დაბადებიდან 70-ე წლისთავს და მკითხველს სთავაზობს მწერლის ერთ მოთხრობას.*



# ნოდარ ხუნდაძე

## ნუთუ?!

### ციკლიდან „სისხლიანი მოზაიკა"

ციცინომ კარი გააღო და ოთახში ფრთხილად შეიპარა, თითქოს შიგ მძინარე შვილი ან ქმარი ეგულებოდა, და ეშინოდა, ძილი არ დავუფრთხოო. კაცმა რომ თქვას, შვილის ძილის დაფრთხობა ისე არასოდეს აკრთობდა, როგორც ქმრისა. მისმა ბიჭმა ისეთი ღრმა ძილი იცოდა, ოთახში შესულს ქვეყანა რომ დაგექცია, მაინც არ გაეღვიძებოდა, მაგრამ, თუ მართლა ქვეყანას დააქცევდი ხმაურით, თვალს გაახელდა, თავს წამოსწევდა და ისევ ყინწმოწყვეტილივით მიეგდებოდა ბალიშზე. ლერი კი სხვა იყო. მისთვის სულ მცირე ჩქამიც კმაროდა, რომ მთელი კვირის უძილოსაც წამსვე გაღვიძებოდა.

თუმცა ციცინო ახლა ტყუილუბრალოდ ფრთხილობდა - შვილი სკოლაში ეგულებოდა, ქმარი კი...

ის დრო გახლდათ, სატანამ რომ იმძლავრა და ბოროტებამ სიკეთეს საგულდაგულოდ ნაკეთები სანგრები დაატოვებინა და კუდით ქვა ასროლინა. ადამიანთა საკეთილდღეოდ გადებული ხიდები ცეცხლმა რომ შთანთქა, კაენის ნაშიერმა უამრავი აბელი რომ შეიწირა... რასაც სულ მალე ხალხის გათიშვა და ერთმანეთზე გადაკიდება მოჰყვა.

შესასვლელში ლერის ქურქი რომ არ ეკიდა, ქალი მიხვდა - მისი ქმარი წასულიყო.

არადა, როგორ არ უნდოდა ციცინოს მისი გაშვება!

კარგა ხანი იყო, გული უგრძნობდა, ისედაც გაუკუღმართებული ცხოვრება, უფრო გაუკუღმართდებოდა, რადგან ამძვინვარებული ქარიშხალი არა და არ ცხრებოდა. პირიქით, თანდათანობით იკრეფდა ძალას, ქარბორბალის მიერ აბობოქრებული ხანძარივით ედებოდა ქვეყანას.

და ძნელი იყო, ძალიან ძნელი - კაცს, განსაკუთრებით ისეთს, როგორიც ლერი გახლდათ, - პრეზიდენტთან ადრიდანვე დაახლოებულს, თავი პრეზიდენტის გუნდის წევრად თუ არა, მის ერთგულ თანამებრძოლად მაინც რომ მიაჩნდა, გულგრილი დარჩენილიყო ყოველივე იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდებოდა.

ციცინო კარგად ხედავდა, რომ მას შემდეგ, რაც დაპირისპირებულთა ბრძოლამ აშკარად დაუნდობელი ხასიათი მიიღო, ლერიმ სიმშვიდე დაკარგა. მისთვის არც ჭამა იყო ადამიანური, არც სმა, არც ძილი და მოსვენება. უსიტყვოდ იტანჯებოდა. პირველ ყოვლისა იმის შეგნება სტანჯავდა, რომ განზე იდგა და მოვლენათა მსვლელობას უმოქმედოდ, მოსეირესავით უცქეროდა შორიდან. თითქოს მას სულაც არ ეხებოდა, რაც ქვეყანაში ხდებოდა. დარწმუნებული იყო, ბევრს, როგორც ნაცნობებს, ისე უცნობებსაც, იმ კაცად მიაჩნდათ, პრეზიდენტისთვის, იქნებ უფრო იმ რწმენისთვის, პრეზიდენტისგან რომ ჰქონდა ჩანერგილი, თავს დაუფიქრებლად გასწირავდა. ჯანდაბას, რას ფიქრობდნენ ნაცნობ-უცნობები, თვითონ ლერი თავისი სიცოცხლის აზრს ხომ იმაში ხედავდა, რომ თავისი შეძლება იმ დიდი საქმისთვის შეეწირა, უკანასკნელ ხანს მთელი ერის ოცნებად რომ ქცეულიყო. მისთვის პრეზიდენტის წინააღმდეგ ნებისმიერი გაბრძოლება, მისი აზრის საწინააღმდეგო შეხედულებების გამოთქმაც კი სწორედ იმ დიდი საქმის მტრობის, ერის ღალატის ტოლფას ქმედებად აღიქმებოდა.

ციცინო კარგად იცნობდა თავის ქმარს: უმთავრესი ღირსება, რითაც ლერი ადამიანთა პატივისცემას იმსახურებდა, იყო ერთგულება. ციცინომ ისიც კარგად იცოდა, რომ პრეზიდენტი სწორედ ამ ღირსების გამო

აფასებდა მის ქმარს. სხვა მხრივ ლერი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო - ალალმართალი და პატიოსანი, კაცთმოყვარე და პირიანი. საშუალო დონის ნაკითხი კაცი იყო, სხვა არაფერი.

და ქალი ხანდახან გაოცებული რჩებოდა, რომ პრეზიდენტი /და მანამდეც, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა - მათს ოჯახში სტუმრობისას/ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ლერის აზრს ანგარიშს უწევდა, ისე ელაპარაკებოდა, როგორც ტოლს, რჩევასაც ეკითხებოდა, თითქოს ლერი ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთული და პოლიტიკაში ღრმად ჩახედული კაცი ყოფილიყო.

- მებრალება ეს კაცი! - უთხრა ერთხელ ქმარს, სტუმარი რომ გააცილეს.

- რატომ? - გაუკვირდა ლერის.

- ეტყობა, რომ მარტოა... - ციცინო ჩაფიქრდა. შეეცადა, აზრი უფრო გარკვევით გამოეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

- მარტო ნამდვილად არ არის! - ღიმილით უთხრა ლერიმ და ქალმა იგრძნო, ეს პასუხი მის ქმარს იმ წუთს არ მოუფიქრებია, ეს იყო მისი ღრმა რწმენა, რაც ერთგვარი სიამაყით ავსებდა.

- ვითომ? - ორჭოფულად გაეღიმა ქალს. როგორღაც სახიფათოდ ეჩვენა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება. თუნდაც იმიტომ, რომ თავისი აზრის დამადასტურებელ მთავარ საბუთად სწორედ ის ეგულებოდა, ეროვნული მოძრაობის ლიდერს ლერი და მისი დონის ადამიანები თავის დასაყრდენად რომ მიაჩნდა. აქ რომ თავი არ შეეკავებინა და უფრო შორს წასულიყო, ქმრისთვის პირდაპირ უნდა ეთქვა, რამაც დაარწმუნა ეროვნული მოღვაწის მარტოობაში, ამით კი ქმარს გულს ატკენდა. ლერის თვითონაც კარგად მოეხსენებოდა თავისი ფასი ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ, რაკი ამ მოძრაობის ტალღებმა გაიტაცეს, როგორც ნაფოტი, ცდილობდა, ბოლომდე შერჩენოდა მას და კი არ ყოყოჩობდა, ესა და ეს ვარო, თავისთვის, ჩუმად, უთქმელად ზეიმობდა და, როგორც ყოველი ჩვენთაგანი, მწვავე ტკივილს განიცდიდა, თუ ვინმე ბზერაზე დაადგამდა ფეხს. ციცინომ ეს კარგად იცოდა და ქმართან ზედმეტ შეხლა-შემოხლას მუდამ თავს არიდებდა.

თუმცა სწორედ იმ დღეს, არჩევნების საბოლოო შედეგები რომ გამოქვეყნდა, თავი ვეღარ შეიკავა და ქმარს გულისტკივილით უთხრა:

- პარლამენტში ისეთი ხალხი მოხვედრილა, არა მგონია, მათგან სიკეთე იყოს მოსალოდნელი.

მართალია, ლერი ახლადარჩეულ დეპუტატთაგან ბევრს იცნობდა, მაგრამ პარლამენტის შემადგენლობაზე განსჯის უფლებას თავს ვერ მისცემდა. თუმცა ცოლის ნათქვამით გულნატკენი დარჩა.

- მაინც ვის გულისხმობ?

- თუნდაც ბათუ ჭოლოკავას.

ამაში ციცინო ცამდე მართალი იყო. მთელმა ახალდაბამ კარგად იცოდა, რომ ჭოლოკავა, რომელიც ჩადენილი რაღაც აფიორული ქმედებისთვის დიდი ხნით გახლდათ გადასახლებული, ბოლო დროს ეროვნულ მოძრაობას მიეტმასნა და იმდენი მოახერხა, დისიდენტის მანტიაც მოირგო. ვინ ვინ და ციგანაშვილმა კარგად იცოდა, რომ ჭოლოკავა საპყრობილედან თავის დროს დისიდენტმა გამსახურდიამ დაიხსნა, პარლამენტში კი პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერით აირჩიეს.

ჭოლოკავაზე თვითონ ლერიც უარყოფითი აზრისა იყო, მაგრამ ცოლთან ამაზე საუბრის გაგრძელება არ სურდა. არ სურდა ისევ და ისევ იმის გამო, რომ ნებსით თუ უნებლიედ პრეზიდენტის საწინააღმდეგო რამ არ ეთქვა.

ციცინომ კი უკვე რამდენჯერმე თქმული კიდევ ერთხელ გაიმეორა:

- მებრალება... ბოლოს მარტოკა დარჩება...

ამას გულისტკივილითა და თანაგრძნობითაც კი ამბობდა, რადგან თვითონაც პრეზიდენტის თაყვანისმცემელი იყო, პირადად იცნობდა და პატივიც არაერთხელ უცია, როცა დისიდენტად ითვლებოდა და სუკი ფხიზლად დარაჯობდა.

ლერის ცოლი ძალიან უყვარდა და ხშირად იქ მიდიოდა მასთან კამათისას დათმობაზე, სხვათა წინაშე არასოდეს რომ არ დაიხევდა უკან. მაგრამ ყველა იმ საკითხზე კამათისას, რაც პრეზიდენტს რაიმე კუთხით შეეხებოდა, ავადმყოფურად უკომპრომისო ხდებოდა.

- შენ ბევრი იცი... - ნაძალადევად ჩაიცინა ლერიმ. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი განაგრძო: - რამდენჯერ მითქვამს, ასეთ რამეს ნუ იტყვი, კვიმატი ენა გაქვს-მეთქი!..

- ენა რა შუაშია, - უკან არ დაიხია ციცინომ, - მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული მეუბნება...

- გული!.. - უკმაყოფილოდ მოიბუზა ლერი და ცოლს ზურგი შეაქცია.

მერმე და მერმე, დრო რომ გავიდა, ლერი თვალნათლივ ხედავდა, პრეზიდენტის საწინააღმდეგო ქმედებებს სწორედ ისინი სჩადიოდნენ, ვინც მას ყველაზე საიმედოდ მიაჩნდა და ვინც სწორედ მისი აქტიური მხარდაჭერით პარლამენტში მოხვდა ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწე გახდა. ცხადია, ციგანაშვილს გულს უკლავდა ადამიანთა ამნაირი უმადურობა, მაგრამ რას გახდებოდა.

ხოლო როცა მდგომარეობა განსაკუთრებულად დაიძაბა და ტელევიზორის ეკრანიდან თვითონ პრეზიდენტმა მოუწოდა ხალხს, ქვეყანა იღუპება და მხომეშველეთ, ერთად ვიხსნათო, ლერიმ თავის მოვალეობად ჩათვალა, პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების გვერდით დამდგარიყო.

და დადგა კიდეც.

თუმცა თავისი გადაწყვეტილების შესახებ ცოლისთვის წინასწარ არაფერი უთქვამს, ციცინო მაინც გრძნობდა, რომ ლერი აუცილებლად გაემგზავრებოდა. მართალია, ქალს არ უნდოდა ლერის გაშვება და იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმარი ამის გამო სიტყვას ჩამოუგდებდა, მიუკიბ-მოუკიბავად ეტყოდა, შენს წასვლა-წაუსვლელობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და თავს ნუ გამოიდებო. ვერა, ქმარს ვერ გაამტყუნებდა, მაგრამ წასვლას მაინც დაუშლიდა. ეტყობა, ლერი კარგად გრძნობდა, რა პასუხსაც მიიღებდა ცოლისგან, და მასთან ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს...

ოთახში შესულმა მაგიდაზე ორად გაკეცილი თაბახის ფურცელი შენიშნა.

აიღო, გაშალა.

„მივდივარ. დამერწმუნე, ჩემი წაუსვლელობა არ იქნება.

ღმერთმა ჰქნას, ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

ლერი".

უკან დაიხია და დივანზე მოწყვეტით დაეშვა.

ლერი ადრეც არაერთხელ გამგზავრებულა დედაქალაქში - ხან თავისით, ხან საქმეზე გამოძახებული, მაგრამ ასე მძაფრად ციცინოს არასოდეს განუცდია მისი წასვლა. თბილისში და მთელ საქართველოში ახლა დიდი არეულობაა, ერთმანეთს გადაკიდებული პარტიები თუ ცალკეული ჯგუფები ქვეყანასა და ხალხს არად დაგიდევენ, ლამის დაჭამონ ერთურთი. პრეზიდენტი კი უძლური გამოდგა, ისეთი პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა, ის მოჩვენებითი, ილუზორული დამოუკიდებლობა შენარჩუნებოდა საქართველოს, ამდენი სისხლის ფასად რომ მოიპოვა. ქვეყანა აღელვებულ ოკეანეში უკომპასოდ დარჩენილ ხომალდსა ჰგავს, ხომალდს, რომელსაც საცაა შთანთქავს სტიქია.

ისევ და ისევ გაისმის მოწოდებები: „მოგვეშველეთ!" „იხსენით საქართველო!" „გადაარჩინეთ თქვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი!"

და დაიძრნენ აქედანაც, ამ ზღვისპირა ქალაქიდანაც, ქვეყნის საშველად და პრეზიდენტის გადასარჩენად.

ამ ფონზე რაღა გასაკვირი იყო, სხვების ფეხისხმას ლერიც აჰყოლოდა /იქნებ სხვები აჰყვნენ ლერის ფეხისხმას?/.

ამიტომ ციცინოს გრძნობები უნდა მოეთოკა და გულისთქმას არ აჰყოლოდა - ქმარზე არ უნდა განაწყენებულიყო.

ამის შეგნებამ თითქოს გონს მოიყვანა. თაბახის ფურცელი დაკეცა და რატომღაც ჯიბეში ჩაიდო. მერმე წამოდგა, პალტო გაიხადა და წინკარისკენ გაემართა. პალტო საკიდზე რომ დაჰკიდა, უცებ გულის სიღრმეში ჭვალივით გაჰკრა რაღაცამ.

„ნეტა არ წასულიყო, - გაიფიქრა ადგილზე გაშეშებულმა. - გული ცუდად მიკვნესის... ვაითუ..."

შინდარჩენილმა ახალდაბელებმა, რომლებიც პრეზიდენტის გულშემატკივრები იყვნენ, თანაგრძნობა იმით გამოუცხადეს, რომ ყოველდღე ქალაქის სტადიონზე იყრიდნენ თავს და ხალხმრავალ მიტინგებს მართავდნენ. ეგზალტირებული ადამიანები, უფრო ქალები, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ პუტჩისტთა საწინააღმდეგო ლოზუნგებს. თათხავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ იმათ, ვინც ამ საერთო ღრიანცელს თავს არიდებდნენ. მართალია, ისინი სტადიონზე კი მოდიოდნენ, მაგრამ თავიანთ აზრს არ ააშკარავებდნენ. თავს იკავებდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში უკან დასახევი გზა მოჭრილი არ ჰქონოდათ. ერთი სიტყვით, თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროს ელოდნენ. დროს, რომელიც მალე დაუდგათ კიდეც. და, როცა რუსთაველის პროსპექტი დაინგრა და გაცამტვერდა, როცა პრეზიდენტმა და მისმა მცირე ამალამ თავს გაქცევით უშველა, იმ მედროვეებმაც სწორედ მაშინ აღიმაღლეს ხმა, დაეპატრონენ უპატრონო ქვეყანას და ისედაც გაწამებული და მიწასთან გასწორებული, ვაის გაყრილი ხალხი უის შეჰყარეს.

მანამდე კი...

მანამდე ციცინოს ბათუ ჭოლოკავა ესტუმრა შინ.

ციცინოს არ უყვარდა ეს კაცი. არ უყვარდა თუნდაც იმიტომ, რომ იცოდა – ერთი ავცენილი, უპირო და უხიაკი ვინმე იყო. ორმოცდახუთი წლის კაცს სამი ოჯახის შექმნა და დანგრევა მოესწრო. სამ ცოლთან რვა შვილი შესძენოდა და არც ერთის აღზრდაში მონაწილეობა არ მიეღო. უფრო მეტიც, მათი ადგილსამყოფელიც არ იცოდა. ახლა ვიღაც გათახსირებულ დედაკაცს შეჰკედლებოდა. ციცინო იმ დედაკაცს შორიახლო იცნობდა, რომელიც მთელი თავისი დღე და მოსწრება გარყვნილების წუმპეში ცურავდა. სიმა ერქვა, რომელიღაც რესტორანში მიმტანად თუ ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა.

ციცინო ჭოლოკავას განსაკუთრებით მას შემდეგ ვერ იტანდა, პარლამენტის წევრი რომ გახდა. გაიფუყა, გაფხორილ ინდაურივით დაიარებოდა.

არადა, ქალმა კარგად იცოდა ამ ვაიდეპუტატის სიგრძე და განი.

კარზე დააკაკუნა და ზღურბლზე მანამ გადაალაჯა, სანამ ციცინოსგან შესვლის ნებართვას მიიღებდა.

– გამარჯობა, ქალბატონო! – სახეზე ნაძალადევი ღიმილი ნიღაბივით აეფარებინა, ჭროღა თვალებშიაც ცივი, გულგრილობისა და ყველაფრისადმი განურჩეველი დამოკიდებულების გამომხატველი ღიმილი ედგა. გვიანი შემოდგომის ფოთოლივით მოყვითალო ფერის თმაზე ხელი თავმომწონედ გადაისვა და მაგიდასთან მიდგმულ სკამს მისწვდა. ხრიგნით გამოსწია და დაჯდა.

„თავხედი!“ – ქალის მრისხანედ შეჭმუხნილ შუბლსა და კუშტ გამოხედვას რომ დაჰკვირვებოდა, ჭოლოკავა იმ უთქმელ სიტყვას, ალბათ, ხმამაღლა ნათქვამივით აღიქვამდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის ცხოვრებაში, ახლაც არავინ და არაფერი აინტერესებდა, გარდა საკუთარი თავისა და გულისთქმისა.

– ლერი არ ჩამოსულა? – ისე იკითხა, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ იცოდა, ციგანაშვილი ჯერაც არ ჩამოსულიყო თბილისიდან. და ბათუმ იმავე კილოთი და იმავე გამომეტყველებით, სხვებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას რომ გამოხატავს, განაგრძო: – არ ვიცი, რას ელოდება. პრეზიდენტმა უკვე მოუსვა ბაყაყური. საქართველოში ვეღარ დაბრუნდება, როგორც მზე ვერ ჩაესვენება აღმოსავლეთში...

ციცინოს ახლა ამ კაცის ყველაფერი აღიზიანებდა: ნიღბად აფარებული ყალბი ღიმილიც, ყვითლად შეღებილი აბურძგნილი თმაც, საუბრის კილოცა და პრეზიდენტის ასე აგდებულად მოხსენიებაც. ცოტაღა უკლდა, რომ კარისკენ უხეშად მიეთითებინა. მაგრამ თავს ჯოჯოხეთური ძალისხმევით იკავებდა. რაც უნდა იყოს, სტუმარია და სტუმარ-მასპინძლობის ქართული წესი მავალებს, გრძნობებს არ ავყვეო.

– ასე რატომ დაგიკარგავთ იმედი... – ძლივს გახსნა კრიჭა ციცინომ. – ვინ იცის, იქნებ... ხალხმა ისურვოს მისი დაბრუნება... ის ხომ ჩვენი არჩეულია...

– განწირულია... – ხელი ჩაიქნია ბათუმ. – ჯერ კიდევ მაშინ იყო განწირული, ჭკვიან ხალხს რომ არ დაუჯერა – სიგუასა და კიტოვან-იოსელიანის ბანდები გაანადგურეო... არ დაიჯერა.... ჰოდა, გადააყირავეს...

ყოველივე ეს ციცინომაც დაწვრილებით იცოდა და სასტიკად განიცდიდა კიდეც, მაგრამ ჭოლოკავას მიერ აგდებულად და პრეზიდენტის პიროვნების დამამცირებელი კილოთი წარმოთქმული ეს სიტყვები თითქოს კიდევ უფრო ამწვავებდა და აუტანელს ხდიდა იმ სინამდვილეს, მთელი საქართველო მძიმე შოკში რომ ჩაეგდო.

– სამაგიეროს ღმერთი მიუზღავთ, – უფრო საკუთარი თავის სანუგეშებლად წარმოსთქვა ციცინომ, სკამი თვითონაც გამოსწია და მაგიდას მიუჯდა. ჭოლოკავას პირისპირ ჯდომა სულაც არ ეპიტნავებოდა, მაგრამ მუხლები უეცრად აუცახცახდა და ამიტომ დაჯდა. – ღმერთს არ ეჩქარება... როცა იქნება, სამართალს გააჩენს.

ციცინომ შენიშნა: მისი სიტყვების გაგონებაზე ბათუ ჭოლოკავა უცებ შეკრთა, ნიღაბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სახეზე მორგებული ღიმილი წამსვე წაეშალა და ქალს ოდნავ თვალმოჭუტული მიაჩერდა.

- კი მაგრამ... - გამოზოგებით დაიწყო მცირე ხნის შემდეგ. - დაქცეული საქართველოსთვის და გაუბედურებული ქართველებისთვის ეს რა ნუგეშია! - თქვა და ისევ აიკრა ნიღაბი - კვლავ ნაძალადევად გაიღიმა. - ამიტომ კაცი იმოდენა ტვირთს არ უნდა მოეჭიდოს, რასაც ვერ ასწევს...

ამჯერად ჭოლოკავა მართალს ამბობდა - ღვთის მიერ ავაზაკთა დასჯა ქვეყნისა და ხალხისთვის დიდი შეღავათი ვერ იქნებოდა, მაგრამ ნუთუ ბოროტების დათრგუნვა თავისთავად არაფერს ნიშნავდა?

- მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია... - ჩაილაპარაკა ქალმა.

თუმცა ჭოლოკავამ მისი სიტყვები ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაატარა - არავითარი რეაქცია არ მოუხდენია, თითქოს არც გაეგონოს ციცინოს ნათქვამი.

- ნუგზარი ჩამოვიდა და ლერის ნახვა უნდა... - თითქოს სხვათა შორის განუცხადა ბათუმ.

- მოლოდინაშვილი? - გაუკვირდა ციცინოს. ქალს ნუგზარის ჩამოსვლა კი არ გაჰკვირვებია - იგი ადრეც არაერთხელ იყო ნამყოფი ახალდაბაში, დარწმუნებული გახლდათ, რომ ამ გაჭირვების ჟამს პრეზიდენტს არ მიატოვებდა.

- ჰო... - ამოიოხრასავით ბათუმ და პაუზის შემდეგ განაგრძო: - ახლა დაიწყება პრეზიდენტის მომხრეებზე ნადირობა. ქვეყანაში გაუგონარი ქაოსი გაბატონდება. კანონიერებას უკანონობა დაჩრდილავს, პატიოსნებას - ძალა, უძლური ძლიერს წამოაჩოქებს, რადგან, ალბათ, შენც გაგიგონია, ფარა რომ მობრუნდება, კოჭლი ცხვარი თავში მოექცევაო. ისე, რომ იცოდე, ფარის სათავეში მოქცეული კოჭლი ცხვარი ბოროტია და დაუნდობელი, შურისძიების გრძნობით დაბრმავებული. ჰოდა, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. გუშინ რომ სწამდა ქრისტეს შეგონება - არა კაც კლა, ერთ ყბაში რომ გაგილაწუნებენ, მეორეც მიუშვირეო... დღეს ფეხებზე დაიკიდებს რწმენასაც და ქრისტესაც, სიმართლესაც და სიკეთესაც. თავის დროშას ააჭრელებს ლოზუნგებით: „თვალი თვალის წილ!“ „კბილი კბილის წილ!“.. აი, ასე იქნება და მე, ვისაც არც ღმერთი მწამდა როდისმე, არც სათნოება და სული ცოდვებითა მაქვს დამძიმებული, აქ, ამ სიტუაციაში, არავითარ შემთხვევაში არ მეცხოვრება. უნდა წავიდე, გავერიდო აქაურობას!.. და დაველოდო... - სიტყვა გაწყვიტა და შუბლშეჭმუხნილ, სადღაც მის თავს მიღმა ერთ წერტილს მიშტერებულ ქალს სრულიად დაუფიქრებლად ჰკითხა: - ნეტა რას უნდა დაველოდო?.. - ეტყობა, მაშინვე იგრძნო ამ კითხვის უადგილობა თუ უაზრობა, ციცინოს თვალი აარიდა და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა: - ჩემთვის სასიკეთო დრო აღარ დაბრუნდება. ეტყობა, ისეთ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ჩემი საშველი არ უნდა ყოფილიყო. არჩევნებში რომ გავიმარჯვე, რამაც, დარწმუნებული ვარ, ყველანი გააოგნათ, - ვიწამე, ბედს მთლად განწირული არ ვყოლივარ-მეთქი, მაგრამ... ხანდახან ისიც კი მგონია, მე რომ დეპუტატი არ გავმხდარიყავი, შეიძლება ეს პარლამენტი ასე დღემოკლე არ ყოფილიყო-მეთქი. მაგრამ, ეტყობა, ღმერთს თავისი კანონები აქვს, თავისებურად ჭრის და კერავს... თუმცა ფარხმლის დაყრას არ ვაპირებ... წავალ, თავს ვუშველი...

- სად? - ბათუმ შენიშნა, ქალი ისევ შორს იცქირებოდა, თითქოს მას ვერც კი ხედავდა და ეს ერთადერთი სიტყვაც, ამდენი დუმილის შემდეგ ძლივს რომ გამოსცრა კბილებშორის, დაუფიქრებლად, უანგარიშოდ წარმოსთქვა.

- ქვეყანა დიდია... - იგრძნო, რომ ქალის იმ შეკითხვამ იხტიბარი გაუტეხა, ჩუბინის მიერ შორიდან ნატყორცნი ისარივით ჩაერჭო გულში და სუნთქვა შეუხუთა. „სად?“ „სად?“ „სად?“ - ზარივით რეკდა ყურებში ეს თითქოსდა თავისთავად უწყინარი სიტყვა და წამიერი, ტყვიასავით მძიმე დუმილი რომ დაერღვია, უანგარიშოდ გაიმეორა: - ჰო, დიდია... დიდია ქვეყანა...

„საკუთარ სინდისს ვერსად დაემალები!“ - გაიფიქრა ქალმა, ბათუს თავს მიღმა ისევ იმ ერთ წერტილს რომ მიშტერებოდა. ბათუს კი უთხრა:

- გაქცევა ადვილია... საქმე ის არის, გაუძლო წინააღმდეგობას, არ დაგაჩოქოს...

ბათუმ ჩაიცინა. ერთხანს იყუჩა, მერმე იმავე კილოთი განაგრძო:

- კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ ამქვეყნად სიცოცხლეზე და საკუთარ კეთილდღეობაზე ძვირფასი არაფერია. კაცმა არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჯერო მყვირალა ცნებები: „სამშობლო“, „ერი“, „პატრიოტიზმი“... ყველა და ყველაფერი მაშინაა ძვირფასი, როცა თვითონ გრძნობ თავს კარგად. თუ მათხოვარი ხარ, თუ ჯანგატეხილს ფეხზე დგომის ძალაც გამოგლევია, ყოველივე უფასურდება. ასეა ეს. მავანი და მავანი არ დამეთანხმება. ეს წინასწარ ვიცი. ისევ და ისევ იმ ძველისძველ, ხანგრძლივი ხმარებისგან შაგრენის ტყავივით დალეულ და გაცვეთილ მაგალითებს დაასახელებს, რომელთა გახსენებისას თვალები შეიძლება ცრემლით აგევსოს, მაგრამ გულს არც ათრთოლებს და არც აკრთობს. იმასაც დაუკვირდი, ყველა მათგანი, ვიმეორებ, ძველისძველია. ასე რომ, კაციშვილმა არ იცის, ნამდვილად ისე მოხდა თუ არა, როგორც მემატიანე მოგვითხრობს. მე ამ ეჭვის საბაბს ის მაძლევს, რომ ცოტნესა და თევდორეს შემდეგ საუკუნეებმა განვლეს, მაგრამ ისევ მათს სულებს ვაწუხებთ, როცა გმირობისა და თავგანწირვის მაგალითები გვჭირდება. გვჭირდება იმისათვის, რომ თანამედროვეები შევაგულიანოთ და წავაქეზოთ. მაგრამ, ნურას უკაცრავად, შემდგომმა თაობებმა რატომღაც ვერ შვეს ახალი ცოტნეები, თევდორეები თუ ძმები ხერხეულიძეები...

ციცინო პირმოკუმული, ისევ მრისხანედ შუბლშეკრული უსმენდა ბათუს. ის კი განაგრძობდა ლაპარაკს. დაბეჯითებით, თვალის დაუხამხამებლად ამტკიცებდა თავისას. მიერეკებოდა და მიერეკებოდა. ციცინოს ცალკე მისი მკრეხელური აზრები უწეწავდა სულსა და გულს, ცალკე იმის შეგნება, რომ ეს თავდაჯერებული ვიგინდარა ისეთი კილოთი ელაპარაკებოდა, თითქოს მის წინაშე არარაობა იჯდა, რომელსაც ქვეყნის არა გაეგებოდა რა, და შეეძლო თამამად, მოურიდებლად ემტკიცებინა, რაც მოეგუნებებოდა, რაც მისნაირთა ცხოვრებისეულ კრედოდ გადაქცეულიყო.

ბათუს ადგილას სხვა რომ მჯდარიყო, ციცინო, ალბათ, ვერ შესძლებდა თავის შეკავებას. აქამდე სწვდებოდა ყელში, ენას ჩააწყვეტინებდა. ახლა კი მხოლოდ ისღა მოეხერხებინა, რომ სტუმარს ორჭოფულად გაღიმებული მისჩერებოდა და პირზე მომდგარ სიტყვას ენის წვერით აოკებდა.

მართალია, ბათუსნაირებს ცხოვრებაში იშვიათად შეხვედროდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი ცნობა, მათი ხასიათის, ჩვევებისა და შეხედულებების უბნელეს ლაბირინთებში გარკვევა მაინც არ უჭირდა. თვითონაც არ უწყოდა, როგორ, რა ჯადოქრული უნარის წყალობით ახერხებდა ამას, მაგრამ რომ ახერხებდა, ეს ნაღდი იყო. ციცინოს არ ესწავლებოდა, რომ ბათუსნაირებმა არ იციან, რა არის სამშობლო. არ იციან მისი ჭეშმარიტი ფასი. მათთვის მთავარია ფუფუნება, საკუთარი კეთილდღეობა. მაშასადამე, სამშობლოდ მიიჩნევენ დედამიწის ნებისმიერ კუთხეს, სადაც განცხრომით ცხოვრება შეეძლებათ. „განცხრომით ცხოვრება“ კი მათთვის ამოყორილი მუცელი და ყოველდღიური საზრუნავისგან თავდაღწევაა. ეს ციცინომ კარგად იცოდა. აკი ნახვისთანავე უგრძნო გულმა, ვინც ბრძანდებოდა ბათუ ჭოლოკავა? აკი მაშინვე უთხრა ქმარს, რომ ბათუ ფიტული იყო, ფიტულივით დაცლილი სულისა და გულისაგან? მაშინ ლერიმ არ დაუჯერა და რა სამწუხაროა, რომ ახლა ბათუს აღსარებას არ ისმენს. არადა, რა აშკარად ჩანს, რომ ამისთანა ხალხთან სულიერებასა და ამგვარ ადამიანურ ფასეულობებზე დავაკამათი წყლის ნაყვაა, სხვა არაფერი.

ჰოდა, ყოველივე ეს ასე კარგად რომ იცოდა, რატომ უჭირდა მისი შემზარავი ტირადის სმენა? რატომ დასჭირდა იობის მოთმინება, რომ ბოლომდე მოესმინა მისი ნალაყბევი?

ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და, როცა მორიგი მკრეხელური აზრი კვლავინდებური სითამამითა და ღრმა რწმენით წარმოსთქვა, ციცინომ მორიდებულად შეახსენა:

– გია აბესაძე... თუნდაც ექიმი ჟორდანია... ნუთუ თქვენთვის ეს სახელები არაფერს ნიშნავს...

– ნუ მეტყვი!.. ნუ მეტყვი!.. – ხელები გაასავსავა ბათუმ, თვალები ისე გადაატრიალა და ყბა განზე გაექცა, ციცინოს ეჭვმა გაჰკრა – ბნედამ ხომ არ წამოუარაო. თუმცა უმალ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო და წინანდელი სიდინჯე და თავდაჯერება დაიბრუნა: – აქ ორი რამ შეიძლება იყოს... დიახ, ორი რამ: ან წამიერი აფეთქების შედეგად ჩადენილი გმირობის ტოლფასი გაუაზრებელი აქტი, ან საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად გადადგმული წინდაუხედავი ნაბიჯი, რომელიც, ალბათ, თავისთავად მაინც დასაფასებელია, თუმცა არა უანგარო...

ციცინო ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდა, მერმე ნელა წამოდგა, კართან მივიდა და ხელი ჰკრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გთხოვთ, მიბრძანდით! – მრისხანე, მოგუდული ხმით უთხრა ქალმა. ჯოჯოხეთური ძალისხმევა დასჭირდა, რომ ისტერიკული ყვირილი არ აეტეხა. – და დაივიწყეთ ამ სახლისკენ მომავალი გზა!..

* * *

მერმე ის იყო, ლერი ციგანაშვილი დაბრუნდა შინ.

საოცრად გამოცვლილიყო – წვერი მოეშვა, თვალები ჩასცვივნოდა, გამხდარი და როგორღაც შეუხედავი ჩანდა.

– მადლობა ღმერთს! – შესძახა ციცინომ, შინ შემოსული ლერი რომ დაინახა, მოეხვია, გულში ჩაიკრა.

ლერიმ ქურქი გაიხადა, სავარძელზე მიაგდო. დივანზე დაჯდა და ამოიხრიალა:

– ბეწვზე გადარჩა...

ციცინო გვერდით მიუჯდა.

ლერის მხრები აუცახცახდა, ტუჩები აუთრთოლდა.

– გული ლამის გამისკდეს, როცა წარმოვიდგენ, როგორი თვალებით მიცქეროდა გამომშვიდობებისას...

– დამშვიდდი... – უთხრა თვითონაც გულამომჯდარმა ქალმა. – მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალმა გააღწია...

– უსამშობლოდ მის სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს!..

ციცინოც ამავე აზრისა იყო. ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი იმისი რწმენა, პრეზიდენტისთვის თავისი ხალხი და ქვეყანა საფიცარი ხატი იყო. დიდ კონსტანტინეს თავისი ვაჟი სწორედ იმ გრძნობით აღეზარდა, მამულისა და მშობელი ხალხისათვის თვალდახუჭული რომ გასწირავდა თავს. დიახ, ამაში ციცინოს ეჭვი ოდნავაც არ ეპარებოდა. თუმცა არც ის ითქმის, პრეზიდენტისა ყველაფერი ბრმად სჯეროდაო. არა, ასე არ ყოფილა. გული ეტკინა და წინდაუხედაობაში ჩამოართვა, რუსეთს რომ ჯიქურად დაეძგერა. მისი აზრით, ეს იყო ნახტომი უჰაერო სივრცეში, როცა მაღლა ამხტარს დაბლა დასახტომი ადგილი არსად გეგულება. ან ის რას ნიშნავდა, ისე ხელაღებით, ქვეყნის გასაგონად რომ ლოზუნგივით წამოისროლა – „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის!“ – განა არ უწყოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვა ერის შვილებიც მრავლად ჰყავდა?! კარგად უწყოდა, თუმცა... საერთოდ ციცინოს ხშირად მოსჩვენებია, რომ პრეზიდენტი ხის სწორედ იმ ტოტს სჭრიდა, რომელზედაც მოკალათებულიყო... თუმცა ამის თაობაზე კაციშვილთან კრინტიც არასოდეს დაუძრავს, რადგან დარწმუნებული იყო, მისი ხმა დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა“... თვით ლერისთანაც კი ვერ მისცემდა თავს სიმართლის თქმის უფლებას, თუ რატომ, თავშივე მოგახსენეთ.

– ზვიადი მორწმუნე კაცია, – თქვა მცირეხნის შემდეგ ციცინომ. – ღმერთი მოუმართავს ხელს.

ლერის ესიამოვნა ცოლის სიტყვები, თუმცა ხმა არ დაუძრავს – სამზარეულოსკენ მიმავალ ქალს მადლიერებისა თუ სიმხნევის გამომხატველი მზერა გააყოლა.

მოგვიანებით, ლერი ჭამას რომ მორჩა, ციცინომ ამცნო: ამ დღეებში ბათუ ჭოლოკავამ მოგაკითხაო.

– რა უნდოდა? – უკმაყოფილოდ მოიბუზა ლერი. – გარეწარია, ნამდვილი გარეწარი.

ციცინო აღარ ჩაეძია, რატომ არის გარეწარიო, მხოლოდ ძველი ამბავი შეახსენა – აკი ადრევე გითხარი, ვინც იყოო?..

– რა ვიცოდი, თუ ასეთი პირძაღლი იყო, – უთხრა ლერიმ. – პირველმა მიატოვა პრეზიდენტი... ლაჩარივით მოიქცა... არ გითხრა, რა უნდოდა?

– მოლოდინაშვილი ჩამოვიდა და ლერის ნახვა უნდაო.

ლერი ჩაფიქრდა.

– წავალ, იქნებ ნუგზარი სადმე ვიპოვნო. ვინ იცის, რა საქმე აქვს ჩემთან.

ციცინოს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ლერი წავიდა.

შინ გვიან დაბრუნდა. ნუგზარი მოსკოვს გაფრენილაო, უთხრა ცოლს.

* * *

ის-ის იყო, ცოლი სამსახურში გაისტუმრა, შვილი – სკოლაში, რომ ეზოში ხუთი ახალგაზრდა შემოვიდა. ყველას ავტომატი ეკიდა მხარიღლივ. რომელიღაცამ შორიდანვე დაიძახა, მასპინძელოო.

ლერიმ გარეთ გამოიხედა. ბიჭებს დაუკვირდა.

პიროვნულად არც ერთ მათგანს არ იცნობდა, თუმცა ყველანი ნანახი ჰყავდა.

ამას წინათ /მას შემდეგ სულ რაღაც ერთი კვირა გავიდა/, საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა, როგორ ჩამოვიდა ლესელიძეში ქართველი შეიარაღებული ახალგაზრდების

მცირე ჯგუფი ერთი ცნობილი გენერლის მეთაურობით. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდგომმა ეგზალტირებულმა ბიჭებმა ფსოუს წყლით ქართული ჯარის უძლეველობის სადღეგრძელო მიირთვეს. ახალგაზრდა გენერალმა კი აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა თავის მებრძოლებს. ყველა მათგანი ტელევიზიის ოპერატორმა ეგრეთ წოდებული „მსხვილი პლანით“ აჩვენა და ლერიმ დაიმახსოვრა ისინი.

ამიტომ ციგანაშვილმა ეზოში შემოსულნი იცნო, მაგრამ მათი გვარ-სახელები, ცხადია, არ იცოდა.

ბიჭები საზღვარზე დიდხანს არ დაყოვნებულან - იმავე დღეს ახალდაბაში ჩამოვიდნენ და რომელიღაც სანატორიუმში დაიდეს ბინა. მალე ხმა გავარდა, ძალზე თავაშვებულად იქცევიანო. ერთ დღეს სტადიონზე პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგი დაარბიეს, ვიღაცას შინ მიუხტნენ და გაძარცვეს, სხვას მსუბუქი მანქანა წაართვეს...

- გვითხრეს, რომ თქვენთან მოლოდინაშვილი იმალება! - ტყვიასავით ესროლა კოკობულეაშიანმა ახალგაზრდამ, სხვებზე წინ რომ წამომდგარიყო.

- ჩემთან არავინ არ იმალება! - მართალი კაცის სიკერპით უთხრა ლერიმ. უცებ გაუარა იმ უნებურმა შიშმა, მოულოდნელად თავს წამომდგარი შეიარაღებული ახალგაზრდების დანახვამ რომ მოჰგვარა. - მოლოდინაშვილი აქ ყოფილა ჩამოსული, მაგრამ უკვე გამგზავრებულა.

- სტყუი, შენი!.. - შეაგინა ყველაზე მაღალმა, შავგვრემანმა ახალგაზრდამ და ავტომატი გადმოიღო. მას სხვებმაც მიჰბაძეს და ავტომატები იმათაც გადმოიღეს, თითქოს საომრად მოემზადნენო.

ლერი არ შერხეულა, მხოლოდ თავი გაიქნია უარის ნიშნად და ავყიას ზიზღით ესროლა:

- მე არასოდეს არ ვტყუი!..

- ბიჭებო, ეს ის არ არის, ბუნკერში ახალ წელს ლეკურს რომ ცეკვავდა? - შესძახა ერთმა და ლერისკენ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა.

დავიწროებულ, საშინლად ამღვრეულ თვალებში რაღაცნაირი ზიზღი ჩაბუდებოდა. მისი დაღრეჯილი სახეცა და უცნაურად დაღმეჭილი ტუჩებიც ენით გამოუთქმელ ზიზღს გამოხატავდა.

ლერი შეზარა მისმა გამომეტყველებამ და იგრძნო, რომ ეს ბიჭი ნამდვილი ნაძირალა იყო, რომლისგანაც მოულოდნელი არავითარი საზიზღრობა არ იქნებოდა.

„რა კარგია, რომ ციცინო და ვასიკო შინ არ არიან!“ - გაუელვა ფიქრმა ლერის და „ნაძირალას“ დაძაბულად მიაჩერდა.

- მოცეკვავე არასოდეს ვყოფილვარ. - ზიზღს ზიზღითვე უპასუხა ციგანაშვილმა. - თუნდაც ვიცეკვე, შენ ვისი ტიკი-ტომარა...

სიტყვა ავტომატის ჯერმა გააწყვეტინა.

*მინაწერი:*

სდექ!

აქ შევწყვიტოთ თხრობა.

მხოლოდ ის აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ლერი ციგანაშვილი მტერს არ მოუკლავს. გაბრიყვებულ აფსუებს ჯერ კიდევ არ წამოეწყოთ ბინძური ომი ქართველების წინააღმდეგ. იგი მოკლა „მოყვარემ“ - ქართველმა კაცმა /უფრო უპრიანია - არაკაცმა!/.

მას შემდეგ ხუთი წელი მიიწურა და ამის გამო ჯერ კაციშვილისთვის ბუზიც არ აუფრენიათ.

ჭეშმარიტად, ბრძენი ყოფილა, ვინც პირველად ბრძანა - ომი ყველაფერს ჩამოსწერსო.

ნუთუ ომი ამ შემზარავ მკვლელობასაც ჩამოსწერს?!

ნუთუ?!

*1997 წლის მარტი.*



# რადიარდ კიპლინგი

## სწორედ ასეთი მოთხრობები

### წინათქმა

*საღამურ ბინდში საწოლთან ჩამომჯდარა მწერალი და ბალიშზე თავმიდებულ თავის პატარა გოგონას, ეფის ძილისპირულს უყვება. ოღონდ სწორედ ისე უნდა უამბოს, თავდაპირველად რომ მოუყვა. როგორც კი რაიმეს გამოტოვებს ან სხვა სიტყვას იტყვის, ეფი იმწამს იღვიძებს და მამიკოს უსწორებს, თან ებუზღუნება - სწორედ ისე მომიყევიო...*

*„სწორედ ასეთი მოთხრობების“ წიგნი სულ თორმეტ ძილისპირულ ზღაპარს შეიცავს. მათგან ერთ-ერთს კიპლინგისავე ილუსტრაციით ვთავაზობთ „ცისკრის“ მკითხველს.*

## როგორ შეიძინა აქლემმა კუზი

ეს უკვე მომდევნო ამბავია, რომელიც მოგვითხრობს თუ რატომ აქვს აქლემს ასეთი დიდი კუზი.

შორეულ წლებში, როცა სამყარო იყო ნორჩი-და-მთლიანი და როცა ცხოველები ეს-ესაა იწყებდნენ ადამიანისათვის შრომას, იყო ერთი აქლემი, რომელიც პირქუშ უდაბნოში ცხოვრობდა, რადგან მუშაობა არ სურდა. ამას გარდა, თავადაც პირქუში, ერთობ მოზუზუნე და სახეჩამომტირალი იყო. ჰოდა, იგი შეექცეოდა ტოტებს და ეკლებს და მარადმწვანე ტამარისკებს, ნაირ-ნაირ რძიანებს და ჩხვლეტია ბუჩქებს. მეტად უქნარას თუკი ვინმე გამოელაპარაკებოდა, „კუზი!“ - უპასუხებდა; სწორედ ასე - „კუზი!“ და მორჩა, მეტი არაფერი.

მალე, ორშაბათს დილით პირში ლაგამამოდებულმა და ოთხთვალაში შებმულმა ცხენმა მიაკითხა და უთხრა:

- აქლემო, ო, აქლემო, გამომყევი და შენც ჩემსავით იარე ჩორთით!

- კუზი! - თქვა აქლემმა და ცხენიც გაეცალა და ადამიანს მოახსენა.

მალე ძაღლი გამოეცხადა, პირში ჯოხი ეჭირა და უთხრა:

- აქლემო, ო, აქლემო, წამოდი და შენც ჩემსავით მოხერხებულად ატარე ჯოხები აქეთ-იქით.

- კუზი! - თქვა აქლემმა და ძაღლიც გაეცალა და ადამიანს მოახსენა.

მალე კისერზე უღელდადგმულმა ხარმა შემოუარა და უთხრა:

- აქლემო, ო, აქლემო, წამოდი და შენც ჩემსავით ზიდე გუთანი.

- კუზი! - თქვა აქლემმა და ხარიც გაეცალა და ადამიანს მოახსენა.

და დღის მიწურულს ადამიანმა დაუძახა ცხენს და ძაღლს და ხარს ერთად, და ასე უთხრა:

- სამეულო, ო, სამეულო, ძალიან მეცოდებით /ნორჩ-და-მთლიან სამყაროსთან ერთად/, მაგრამ რადგან იმ პირქუშ არსებას, პირქუშ უდაბნოში რომ ბინადრობს, არ უნდა შრომა და იმიტომაც, რომ ჩვენთან არ ცხოვრობს, თავს დავანებებ; აი, თქვენ კი ორმაგად მოგიწევთ მუშაობა, რათა უმისობა არ დაეტყოს საქმეს.

ამ ამბავმა ძალიან გაანაწყენა სამივენი /ნორჩ-და-მთლიან სამყაროსთან ერთად/ და დაიწყეს ბჭობა, თავყრილობა, კონფერენცია, ინდიელთა წესით კრების გამართვა თუ ინდოელების ჩვეულებით ერთიმეორის აზრთა კითხვა-მიგება. მაშინ რძიანას ცოხნით მოიზლაზნა უქნარა აქლემი, შეკრებილებზე გაიცინა, კუზიო! - თქვა და ისევ გაეცალა იქაურობას.

მალე ჯინიც მივიდა. იგი მტვრის ღრუბელზე იჯდა და უდაბნოსაკენ მიაჭენებდა /ჯინები, ჩვეულებრივ, ასე მგზავრობენ; იმიტომ, რომ ჯადოქრები არიან/ და შეჩერდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა სამეულის ბჭობაში ჩარეულიყო.

– სრულიად უდაბნოთა ჯინო, – მიმართა ცხენმა, – განა დასაშვებია, რომ ამ ნორჩ-და-მთლიან სამყაროში ვინმე უქნარა იყოს?

– რასაკვირველია, არა! – მიუგო ჯინმა;

– კეთილი, – თქვა ცხენმა, – აქ ერთ სახე-ჩამომტირალ და უქნარა არსებაზე ვფიქრობთ, შენს პირქუშ უდაბნოში რომ ცხოვრობს თავისი გრძელი ფეხებითა და გრძელი კისრით; ორშაბათ დილიდან მოყოლებული არაფერი გაუკეთებია და არც ამის შემდეგ აპირებს ჩორთით სიარულს.

– ვაუ და ვაუ! – ამოისტვინა ჯინმა, – მთელი არაბეთის ოქროს ვფიცავარ, ეს ჩემი აქლემია! თავად რას ამბობს?

– კუზიო! გაიძახის, – მოახსენა ძაღლმა, – და არც ჩემსავით მოხერხებული დამტარებელია.

– სხვას არაფერს ამბობს?

– მეტს არაფერს, – ამოიოხრა ხარმა, – არც გუთნის ზიდვა უნდა.

– ძალიან კარგი, – თქვა ჯინმა, – თუ სიკეთეს გამოიჩენთ და ერთ წუთს მომიცდით, მე მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა უქნარობა!

ჯინი კვლავ მტვრის ღრუბელზე შემოჯდა, პირდაპირ უდაბნოსკენ აიღო გეზი და სახეჩამომტირალი აქლემი იპოვნა, რომელიც წყლით სავსე გუბეში მთელი გულისყურით აკვირდებოდა საკუთარ ანარეკლს.

– ჩემო გრძელო და ბუყბუყა მეგობარო, – მიმართა ჯინმა, – აბა, ერთი მითხარი, ამ ნორჩ-და-მთლიან სამყაროში ეს რა გავიგონე შენს უქნარობაზე?



– კუზი! – თქვა აქლემმა.

ჯინი ძირს ჩამოვიდა და ნიკაპი ხელებში ჩარგო, თან დიად ჯადოქრობაზე ფიქრობდა, ვიდრე აქლემი წყლით სავსე გუბეში საკუთარ გამოსახულებას მისჩერებოდა.

– ორშაბათ დილიდან იმ სამეულს კიდევ მოუმატე სამუშაო. ყველაფერი შენი უქნარობის ბრალია, – თქვა ჯინმა და დიად ჯადოქრობაზე განაგრძო ფიქრი, თანაც ნიკაპი ისევ ხელებში ჰქონდა ჩარგული.

– კუზი! – თქვა აქლემმა.

– მე შენს ადგილზე მაგას აღარ გავიმეორებდი, – უთხრა ჯინმა, – მოვა დრო და ინანებ, ეს რამ მათქმევინაო! ჰეი, ბუყბუყავ, მე მინდა, რომ შენ იმუშაო!

და აქლემმა ისევ თქვა:

– კუზი!

მაგრამ როგორც კი ეს თქვა, დაინახა, თავისი ზურგი, რომლითაც ასე ამაყობდა, როგორ იწევდა და იწევდა ზემოთ-ზემოთ, მაღლა-მაღლა და დიდ, მოქანავე კუზად გარდაიქმნებოდა.

– ამას ხომ ხედავ? – ჰკითხა ჯინმა, – საკუთრად შენი კუზია, უქნარობით რომ დაიმსახურე. დღეს ხუთშაბათია, შენ კი ორშაბათიდან მოყოლებული არაფერი გაგიკეთებია. ორშაბათიდან, როცა მუშაობა დაიწყო სამყაროში!.. აი, ახლა კი იშრომებ!

– მაგას როგორ შევძლებ ამხელა კუზით? – დაიჩივლა აქლემმა.

– მაგ კუზს თავისი დანიშნულება აქვს, – უთხრა ჯინმა, – სამი დღე ხომ უჭმად გაატარე, ახლა შეძლებ სამი დღე უჭმელად შრომას, ეგ კუზი გაცხოვრებს და არასოდეს გაბედო იმის თქმა, რომ არაფერი გამიკეთებია შენთვის. ახლა წადი ამ უდაბნოდან და სამეულს შეუერთდი, წესიერად მოიქეცი, თავდაჭერა და საკუთარ თავზე სიცილი ისწავლე!

და აქლემიც საკუთარი თავის დაცინვა-დაცინვით გაცილდა უდაბნოს და სამეულს შეუერთდა. იმ დღიდან მოყოლებული ყველა აქლემი ატარებს კუზს /„კუზს“ იმიტომ ვუწოდებთ, რომ არ დავამციროთ აქლემი -აკი თვითონაც ამას გაიძახოდა!/, თუმცა ჯერაც ვერ დაეწია სამეულს, რადგან სამი დღე გამოტოვებული აქვს; ესეც არ იყოს, ვერც თავდაჭერა ისწავლა აქამდე, კვლავაც პირქუში და სახეჩამომტირალია.

შენც ნახავდი ზოოპარკში,
აქლემს ზურგზე როგორ უზის
ერთობ შავი, ერთობ ლურჯი,
ალბათ, რა ძალიან ურჩი,
მოთანთალე, უშნო კუზი.

თუკი ყოფნა არის უქმი,
დიდებსაც და პატარებსაც,
მახინჯებს და ლამაზებსაც,
ყვავებსა და კაჭკაჭებსაც,
თევზებსა და ბაყაყებსაც -
ისე, როგორც კარტში ტუზი,
ფერად შავი, ფერად ლურჯი,
აბეზარი, როგორც ბუზი,
აქლემს ზურგზე როგორც უზის,
ყველასა აქვს მეტად ურჩი,
მოთანთალე, უშნო კუზი!

არავის რომ აღარ უცდი,
წამოხტები საწოლიდან
დედის ურჩი, მამის ურჩი,
იღუშები და ღრიალებ -
რა იქნაო სათამაშო,
ჩემი კარვი, მჭრელი ცული!
ისე, როგორც კარტში ტუზი,
ერთობ შავი, ერთობ ლურჯი,
აბეზარი, როგორც ბუზი,
ეგებ, რა ძალიან ურჩი,
როგორც აქლემს ზურგზე უზის,
ამოგივა უშნო კუზი!

ბუხრის ცეცხლის მაქებარი
ვერ გიშველის ჯდომა უქმი,
საქმე არ გაქვს საძებარი,
თოხს და ბარს დაუდე გული,
მიწა ბელტე მარჩენალი.

მერე იქნებ მიხვდე კიდეც,
ამ მზესაც და ამ ქარებსაც
/ღრუბლის დაუფარავთ რიდე/,
მთვარესაც და ვარსკვლავებსაც
და ამ ჩვენი ბაღის ჯინებს,
საქმე არ აქვთ ვასაკებსაც.
ჰოდა, როგორც კარტში ტუზი,
ერთობ შავი, ერთობ ლურჯი,
აბეზარი, როგორც ბუზი,
ეგებ, რა ძალიან ურჩი,
როგორც აქლემს ზურგზე უზის,
ამათაც აქვთ უშნო კუზი!

თუ ვიქენით საქმის ურჩი,
როგორც მე და ისე შენ,
ჩიტო, ნუ მოგივა გული,
დედიკომ თქვა და ინებე:
როცა ყოფნა არის უქმი, -
ისე, როგორც კარტში ტუზი,
ფერად შავი, ფერად ლურჯი,
აბეზარი, როგორც ბუზი,
ალბათ, რა ძალიან ურჩი,
როგორც აქლემს ზურგზე უზის,
მოთანთალე, მეტად უშნო,
მეც და შენც გვექნება კუზი!

1897 წელი.

ინგლისურიდან თარგმნა

ანი მოსულიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენო კალანდია

## ფერმწერიც, პოეტიც...

პოეტების თვალით ვიცნობ აჭარას. გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის მშვენიერი ლექსებით გავუშინაურდი ზღვის ზურმუხტისფერ ამორძალს. ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის მჭვირი სახელებიც მშველის ამ ურთიერთობაში.

მხატვარი ზურაბ ხაბაძე გვიან





გავიცანი. პირველად მის სახელოსნოში შევხვდით ერთმანეთს. შემდეგ ზურაბ გორგილაძის ბრწყინვალედ გამოცემული წიგნი-ალბომის ფურცლებიდან შემომანათა. მე უკვე ხიზანი ვიყავი და ჩემი მეგობარი პოეტის ბედი შემშურდა.

არ მეგონა, ვერც ვიფიქრებდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი ჩუქურთმებით წიგნის გამოცემას, მაგრამ სიკეთემ საზღვრები არ იცის - ზურაბ ხაბაძის მიერ გემოვნებით დასურათხატებული წიგნი-ალბომი უკვე კარგა ხანია მაგიდაზე მიდევს. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემი წიგნის ამბავი რა მოსატანია, როცა ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების ზურაბ ხაბაძისეული ილუსტრაციები მოსწონს ჩვენს





თანამედროვე მკითხველს.

მე ერთიღა მრჩება სათქმელად: ახალ-ახალი პოეტური და ფერწერული ხილვები ვუსურვო თვალმშვენიერი აჭარის ღირსეულ შვილსა და შემოქმედს, - ბატონ ზურაბ ხაბაძეს.

ცისკრის ნამი და ქრუანტელი ნუ მოშლოდეს შენს ფუნჯსა და ტილოს, ჩემო ზურაბ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

*იყო კარგი ტრადიცია: ახალი, საინტერესო, ეროვნული წიგნის გამოჩენა არამარტო კრიტიკის, შეიძლება თამამად ითქვას, საყოველთაო-საჯარო განხილვის საგანი ხდებოდა. სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის! დღეს მკითხველს არც წიგნის შეძენა ძალუძს და, უფრო უარესი, არც მის წასაკითხად იცლის. ჩვენ, ცისკრელები ტრადიციას არ ვღალატობთ და რამდენიმე ცნობილი პიროვნების მოსაზრებას ვბეჭდავთ ბატონ ჯანსუღ ღვინჯილიას ახლახან დასტამბულ ისტორიულ რომანზე – „ქართლოსის საფლავი“, რომელიც ქართველი საზოგადოების ერთ დიდ, მართალ და ძვირფას შენაძენად მივავჩნია.*

# ერთი წიგნის გამო

## ქართლოსი ერის „თანამდევი“ სულია

მიმდინარე წელს ქართველ წიგნისტრფიალთა თარო კიდევ ერთი წიგნით გამდიდრდა; მკითხველმა მიიღო ჩვენი სახელოვანი მწერლისა და პუბლიცისტის ჯანსუღ ღვინჯილიას რომანი „ქართლოსის საფლავი“.

ბატონი ჯანსუღი ერთ-ერთი იმ ღირსეულთაგანია, რომლის მარადი ფიქრის სფეროა მისი ქვეყნის წარსული და მომავალი. მისი ერთ-ერთი დიდი ღირსება ისაა, რომ იგი მთლიანი პიროვნებაა და, რა პრინციპებსაც აყალიბებს თავის ნაწერებში, თვითონაც იმ პრინციპებით ცხოვრობს. ამიტომაც მისი ყოველი სიტყვა სარწმუნო და მისანდობია.

ბატონ ჯანსუღ ღვინჯილიას ყოველი წერილი დატვირთულია ეროვნული ცნობიერების შესწავლითა და ძიებით. ეროვნული ხასიათის ყოველი ასპექტი ჩვენი მწერლისა საგანგებო ფიქრისა და კვლევის საგანია. ერის სახელოვანი ისტორიის, გამორჩეული შემოქმედებითი უნარის წარმოჩენასთან ერთად იშვიათი სიღრმისეული ანალიზით იძლევა ჩვენი მწერლების იმ ასპექტების მხილებას, რომელთაც განაპირობებს ჩვენი მძიმე ტკივილები არა მარტო წარსულში, არამედ ახლაც, დღევანდელობაში. მისი ფხიზელი ჭვრეტა და უკომპრომისო პრინციპები სააშკარაოს ხდის ყველა იმ მანკიერებას, რომლის მომსწრენი და განმცდელნი ვართ. მრავალ სადღეისო მტკივნეულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმწვავესია აფხაზეთის პრობლემა და სწორედ ამ პრობლემის დაძლევის, ჩვენი მანკიერების მხილების შესანიშნავი დადასტურებაა მისი გახმაურებული წერილი „როდის შევალთ აფხაზეთში“ (ჟურნ. „რანი ვართ ქართველნი“, 1997 №41). ასევე, ჩვენი ეროვნული ცნობიერების ასპექტია გაანალიზებული მის მთელ რიგ წერილებში, ეს იქნება „ქართული ხასიათის მოძრაობა“ თუ „საქართველოს განთავისუფლება“, სადაც სწორედ ჩვენი ეროვნული ტკივილის სიმწვავეა განცდილი და გამოვლენილი. სწორედ ეს ეროვნული თვითშეცნების ძიებაა კალმის მომარჯვებისთვის იმპულსის მომცემი და ამ პრობლემებით არის დამუხტული ბატონ ჯანსუღის არა მარტო პუბლიცისტური წერილები, არამედ სწორედ ეს თემაა განვითარებული მის მხატვრულ ქმნილებებში, მის სქელტანიან რომანებში: ეს იქნება თხრობა გიორგი სააკაძისა თუ დავით აღმაშენებლის, ღვთისმშობლისა თუ ქართლოსის შესახებ.

მის მრავალმხრივ საყურადღებო რომანებს, პერსონაჟთა და ეპოქის ნაირსახეობის მიუხედავად, აერთიანებს ერთი გამჭოლი იდეა – ქართული ფენომენის შეცნობა და გამოვლენა მთელი თავისი მომხიბლავი ღირსებებითა და მომაკვდინებელი ნაკლოვანებებით.

ავტორის ეროვნული კონცეფციის გასაღებს იძლევა მისი მრავალმხრივ საყურადღებო წიგნი „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“. ეს წიგნი არაა გარკვეული სიუჟეტის განვითარების გადმომცემი თხრობა. ეს არ არის პერსონაჟთა ურთიერთმიმართების წარმომსახველი ტილო, არა, ეს არის საქართველოზე ფიქრისა და მისი ურთულესი ისტორიის ანალიზის, ღრმა ანალიზის დიდი და დამაფიქრებელი სამყარო; ეს არ არის ჩვენი ერის ისტორიის რომელიმე მონაკვეთის წარმომჩენი თხრობა, არამედ ეს არის მთელი ისტორიის მეტად ღრმა და გულის პრიზმაში გარდატეხილი ანალიზი. ამიტომ ამ ნაწარმოებს ისტორიის სახელდებით ვერ აღვიქვამთ; ეს არის ჩვენი დიდი ტკივილებით დამუხტული *ისტორიის ფილოსოფია*. ეს ნაწარმოები არის ქართული ცნობიერების გამომკვეთი მეტად სერიოზული ფილოსოფიური ტრაქტატი, რომელშიც სიღრმისეულად და ყოველგვარი მიკერძოების გარეშეა წარმოჩენილი ქართული ფენომენი. ამ წიგნის არსი თვით ავტორის მიერ რეზიუმირებულად არის ჩამოყალიბებული: „ქვეყნის მდიდარი წარსული უთუოდ შობს ისტორიულ აზროვნებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოვლენების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ისტორიულ ფაქტებში სრულად ვლინდება ქართველთა ეროვნული ხასიათი.

საქართველოს ისტორია ამავე დროს არის „ეროვნული ხასიათის ბიოგრაფია“ და სწორედ ქართული ხასიათის ანალიზის შესანიშნავი, მეტად დამაფიქრებელი და შემამეცნებელი ასპექტებია წარმოჩენილი აღნიშნულ წიგნში, ამავე დროს ხაზგასმული სწორედ ისაა, რომ წარსულის ანალიზს წარმოგვისახავს არა მარტო გარდასულ დღეთა გასაცნობიერებლად, არამედ უპირველეს ყოვლისა ამ გაცნობიერების საფუძველზე მომავალი შესაძლებლობის წარმოსაჩენად და ერის პერსპექტიული ასპექტების გამოსაკვეთად. სავსებით მართებულად წერს ბატონი ჯანსუღი, რომ „საქართველოს ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ურთულესი კანონზომიერების შესწავლის გარეშე მომავლისკენ გონივრულ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ“.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ჯანსუღ ღვინჯილიას „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“ წარმოადგენს ჩვენი ავტორის ყველა ისტორიული თხზულების დიდ პროლოგს, რომელშიც დაუნჯებული ანალიზითა და ფართო მასშტაბის განზოგადებით ჩამოყალიბებულია ეროვნული ცნობიერების არსი. დამაჯერებლადაა გაანალიზებული ქართველი კაცის შინაგანი ბუნება მშობლიური ერის სახელოვანი ისტორიის განვითარების ასპექტში. კვლავ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაწარმოები არის არა მარტო ჩვენი ისტორიის მხატვრულ ფორმებში წარმოსახული თხრობა, არამედ, უპირველესად, ის არის ღრმა ფილოსოფიური ნააზრევი, რომელშიც გამოკვეთილია ჩვენი ეროვნული ხასიათის ძირითადი ნიშნები: ჩვენს ხელთაა წიგნი, რომელშიც ჩვენი ისტორია გაანალიზებულია აღმსარებლობითი, სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი ფაქტორებისა და პრინციპების გაცნობიერებით.

ამ ზოგადი პრობლემების ჩამოყალიბებისა და გაანალიზების საფუძველზე შექმნილია კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ამსახველი რომანები. ეს იქნება დავით აღმაშენებლის თუ გიორგი სააკაძის ცხოვრების გზა. ამ ზოგად ქარგაში ორგანულად ჯდება ბევრი ფიქრის აღმძვრელი ახალი რომანი – „ქართლოსის საფლავი“. ამ რომანშიც გამოსჭვივის ავტორის მოვლენებისადმი დამოკიდებულების ნიშანდობლივი სპეციფიკა, ისტორიულ მოვლენათა ლოკალიზაციის ფონზე ზოგად ეროვნული ხასიათის ძიების გამოვლენა.

„ქართლოსის საფლავი“ მოგვითხრობს მონღოლთა შემოსევის უმძიმესი ეპოქის შესახებ და ამ ისტორიული ძნელბედობის ჟამს ერთი მხრივ გვაზიარებს მამულიშვილურ განცდებს და მეორე მხრივ ამის საპირისპირო ტკივილებს განგვაცდევინებს, ტკივილებს, რომელსაც იწვევს არა მარტო უცხო მტრის ძალა, არამედ თანამემამულეთა ზნედაცემულობა, ქვეყნის ღალატის სამარცხვინო ქმედებები. თითქოსდა ისტორიულ პირთა სახეებში გამოკვეთილია ზოგადი, ყველა დროისათვის ნიშანდობლივი სახეები. სავსებით მართებულად წერს ბატონი ჯანსუღი: „ქართლოსის საფლავი“ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მიჯნაზე შეგვახვედრებს ყველა დროის ქართველებს ერთმანეთს“.

რომანის ყოველ სტრიქონში და ყოველ პასაჟში იკვეთება ქართლოსის სიდიადე, მისი ფიზიკური ახოვნება და ზეადამიანური ძალა, რაც ერთი შეხედვითაც განიცდება და ამიტომ იყო, რომ სრულიად ჭაბუკი ქართლოსის პირველი ხილვისთანავე გაოცებით აღმოხდა მთავარსარდალ ამირეჯიბს: „მადლობა ღმერთს და ბარაქალა ქართულ მიწას, ეს რა გაუჩენიხარ, შვილო! ვინ ხარ და საიდან?“ ქართლოსის მოღვაწეობის, მისი ზეადამიანური ბრძოლისუნარიანობის, სტრატეგიული ნიჭის, ეროვნული ცნობიერების სიძლიერითა და ქვეყნისადმი თავგანწირული სიყვარულის გამოვლენით დამარწმუნებლად ჟღერს ავტორის სიტყვები: „ქართლოსი ერის გენეტიკური კოდის ხარისხიც გახლავთ“. ქართლოსი სიყმაწვილიდანვე იყო დამუხტული ქვეყნის ხსნის იდეით და ამიტომაც ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი განიცდის: „ოცდაერთი წლის ვაჟკაცს არაფერი გამიკეთებია ქვეყნისათვის“. ეს ფიქრი აწუხებდა ქვეყნის ხსნის მისიით მოვლენილ მამულიშვილს“.

რომანში წარმოდგენილი ქართლოსის სახის დახასიათება მცირე წერილში შეუძლებელია, იგი საგანგებო გამოკვლევას იმსახურებს, მაგრამ ამჯერად ზოგადად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის მხატვრულად მეტად დამარწმუნებლად გამოკვეთილი დიდი სიმბოლური სახე მამულიშვილისა, რომელიც ავბედობის ჟამს მხსნელად მოევლინა ქვეყანას. მკითხველს ატყვევებს და ხიბლავს მისი არა მარტო სიბრძნე და ნიჭიერება, მოვლენების შეცნობისა და ანალიზის იშვიათი უნარი, ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში გარკვევის ღვთითმომადლებული ალღო, არამედ ყოველივე ამასთან ერთად ქვეყნის ფანატიკური სიყვარული, თანამემამულეთა ტკივილების განცდის უნარი და ამ ტკივილების მოშუშების შინაგანი სასიცოცხლო მოთხოვნილება. ყველა ამ თვისებას შარავანდედად ადგას გულწრფელი და თავგანწირული განცდა სახელმწიფოებრივ-ეროვნული შეგნებისა. იგი ყველას და ყველაფერს ერთ ფოკუსში გაერთიანებულად ჭვრეტს – ეს არის ერთიანი საქართველოს სიდიადის სასიცოცხლო მოთხოვნილება. ქართლოსის სახეში მკითხველი ჭვრეტს არა მარტო ჩვენი ისტორიული დღეების ყველა დიდ მოჭირნახულეს, არამედ ამავე დროს იმ მომავალ დიდ მამულიშვილსაც, რომელმაც უნდა უერთგულოს და ემსახუროს ფარნავაზისა და დავით აღმაშენებლის, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის საქართველოს ხვალინდელ დღეს. ქართლოსი – ეს არის დიდი განზოგადების ტევადობის ეროვნული ნათელი და ვაჟკაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური სახე, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა იმ სიკეთესა და მადლს, რომლის ძალითაც ქართველმა კაცმა მოიყვანა თავისი ღვთითკურთხეული ქვეყანა და რომელმაც ამჯერადაც უნდა იფხიზლოს, რათა ეს ღირსებები არ გაქარწყლდეს და შექმნას მყარი საფუძველი, რომ კვლავ დავდგეთ „ერად სხვა ერთა შორის“. ქართლოსის სახე ღაღადებს და მარად შეგვამეცნებს „ვისი გორისანი ვართ“.

რომანის გამორჩეულად დიდი შემამეცნებელი დატვირთულობა ვლინდება არა მარტო ქართლოსის სახის გამოკვეთაში, არამედ, ამასთანავე, ჩვენი ეროვნული მანკიერებისა და ცოდვილობის ასევე ზოგადი სახის – არელმანელის დახატვით.

ისე როგორც ქართლოსი, არც არელმანელია კონკრეტული ისტორიული პიროვნება; იგი ერთი შეხედვით თითქოს შადიმან ბარათაშვილს შეგვახსენებს, მაგრამ შადიმანისგან განსხვავებით ეს სახეც დროში ლოკალიზებული მოვლენა არ არის. ეს არის ზოგადი ტიპური სახე მედროვისა და ერის გამყიდველისა. არელმანელის სახეში გაერთიანებულია ყველა ის ცოდვილობა და მანკიერება, რაც კი ქართველ კაცს გამოუვლენია და რასაც ახლაც ავლენს ჩვენი ქვეყნის დასაკნინებლად. მონღოლთა სისასტიკის ფონზე კარგად არის ნაჩვენები თუ როგორ ახერხებენ მონღოლები არელმანელისა და მის თანამდგომთა საშუალებით ქართველთა აოხრებას, გაღატაკებას. არელმანელის დევიზია „ქვეყანა არ უნდა დაწყნარდეს“ და სწორედ ეს არასტაბილურობა, მეფის უმოქმედობა და ცენტრალური ხელისუფლების ატროფირება აძლევს არელმანელებს შემოსავლის დიდ წყაროს. არელმანელი ყველა ღონეს ხმარობს, რათა მეფეს ჩამოაცილოს ერთგული და საქმიანი ხალხი, არ დაუშვას ქვეყნის გაერთიანება, რადგან სწორედ ეს ქაოსური მდგომარეობაა მისი გამდიდრების წყარო. კარგადაა რომანში ჩამოყალიბებული ქვეყნის მოღალატეთა კრედო, რომელსაც იგი შემზარავ მონოლოგში ავლენს: „ქვეყანა დაწყნარდეს, რაღას შვრები მაშინ. დაწყნარებულ ქვეყანაში მეფე გონს მოვა, გაიხედ-გამოიხედავს, შიდა საქმეებისთვისაც მოიცლის და თვალნათლივ დაინახავს რაც ხდება. დაწყნარებულ ქვეყანაში სპასაც გაიმრავლებს, პირად დაცვასაც; ისე გარყვნილი არ არის, მე ამყვეს“. გამდიდრების ფსიქოზით შეპყრობილ არელმანელს „სისასტიკე და კაცურობა ზედმეტსიტყვაობად მიაჩნდა“, ამიტომ ვითომდა სიკეთით მიშვებულობას ამჯობინებდა. ზნეობრიობის და კანონის პოზიციიდან სიმკაცრეა ქვეყნის ძალისა და ღონის მიმცემი. ამიტომ არელმანელები ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ, არ დაუშვან მკაცრი დისციპლინირებული სიტუაცია, რათა მეტი პარპაშისა და ძარცვის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ასევე ენერგიულად იღვწიან, რათა მეფისა და, საერთოდ, თავკაცის გარშემო არ იყვნენ საქმიანი, მკაცრი ადამიანები: „დიდ კაცს არელმანელი ვერ ითმენდა. დიდი კაცი ქვეყნის სხვაგვარად მოწყობაზე ფიქრობს ხოლმე,“ ხოლო ეს „სხვაგვარად მოწყობა“ ხომ არელმანელთა ალაგმვას ნიშნავს. დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ არელმანელის სახეში დაინახო ყველა დროის სალახანა, რომელმაც დაუზოგავად გასწირა თანამემამულეები და ქვეყნის მთლიანობა, ძალა, ლაზათი და ერი არარაობამდე მიიყვანა და მიჰყავს.

„ქართლოსის საფლავი“ მრავალ მომხიბვლელ ასპექტს მოიცავს და მასზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ არსებითია ორი ძირითადი სახე: ქართლოსი და არელმანელი, რომელთაც დღეისათვის დიდი შემამეცნებელი დატვირთულობა აქვთ. ქართლოსი ნერგავს მკითხველში ქვეყნისადმი ერთგულების, აღორძინებისა და გაერთიანება-გაძლიერების იმპულსებს, ხოლო არელმანელი გვაფხიზლებს, რათა დავაღწიოთ თავი გონებაშეზღუდულ მიმკერძოებლობას და ქვეყანა, ერი არ შევწიროთ გამდიდრების ჟინიანობას, რაც საბოლოოდ ამ გზით მავალთაც სასტიკად აუბედურებს.

ქართლოსი მხოლოდ დადებითი სახე კი არ არის, არამედ ის სიმბოლოა ყოველივე ქართული სიკეთისა, სამშობლოს ერთგულებისა და მასზე ზრუნვისა, მასში გაერთიანებულია ყველა ის სიკეთე და ნიჭიერება, რაც ქართულ ხასიათშია კოდირებული, ხოლო არელმანელიც თავის მხრივ მარტო უარყოფითი ისტორიული პირი კი არ არის, არამედ ისიც ზოგადი სიმბოლოა ყველა იმ მანკიერებისა და სივერაგისა, რომელიც კი ქართველ კაცს გამოუვლენია და ავლენს ჩვენი ისტორიის მთელ მანძილზე.

ასე რომ „ქართლოსის საფლავი“ კიდევ ერთხელ წარმოგვიჩენს მონღოლთა ბატონობის შემზარავ სურათს და მაღალი ზნეობრივ-ეროვნული შეგნების გაცნობიერებით გზას გვიხსნის დღევანდელობის უზნეობისაგან გადარჩენისაკენ. ეს რომანი უნდა გავიაზროთ არა მარტო გარდასულ დღეთა მწარე ტკივილად, არამედ აგრეთვე ჩვენი დღევანდელობის დიდ სარკედ.

*რევაზ ბარამიძე*

## თეზა და ანტითეზა

ჯანსუღ ღვინჯილიამ საქართველოს დრამატული ყოფის ამსახველი ვრცელი ტილო შექმნა, ნაწარმოები, რომელიც ყოველი ქართველი მკითხველის გულისკენ იპოვის თავის გზას.

„ქართლოსის საფლავი“ ატარებს ყველა იმ ნიშან-თვისებას, რომელსაც იცნობს ჟანრმონაცვლებული მწერლის შემოქმედებითი გამოცდილება. ეს მკაფიოდ ჩანს წიგნისადმი დამოკიდებულებაშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სხვა არის ამ რომანისადმი ემოციური მიმართება წაკითხვის პირველ დღეებში და სულ სხვა - თვეების შემდეგ. კითხვის პროცესში ან მისი დამთავრებისთანავე, უთუოდ გიშლის ხელს ვრცელი ავტორისეული მსჯელობანი, უხვსიტყვიანობა, ამა თუ იმ ფაქტისადმი ავტორის ემოციური დამოკიდებულების ხშირი დაფიქსირება.

გამოხდა ხანი. გავიდა ლამის შვიდი თვე რომანის წაკითხვიდან და დროის დისტანციიდან უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ნაწარმოები. მეხსიერების დაფაზე აღიბეჭდა რომანის მთლიანი ქარგა, რომლის შესაშური თავები ქმნიან კავშირს მკითხველსა და წიგნს შორის. სწორედ ამ ცენტრალური მნიშვნელობის თავებიდან „გადიხარ" რომანის პერიპეტიებში. ის მნიშვნელოვანი პასაჟები ექცევიან ე. წ. საკვანძო ეპიზოდებად, პერსონაჟები - ცენტრალურ ფიგურებად და სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებენ სხვა, ნაკლები მნიშვნელობის მქონე ეპიზოდებს თუ პერსონაჟებს.

ჯანსუღ ღვინჯილია-რომანისტი არ არის მსაჯული, იგი მხატვარი უფროა - იქ იმარჯვებს, სადაც განსჯას კი არ ცდილობს, თხრობას, ამბის გადმოცემას ეტანება და ამ ხერხით გვაჩვენებს ქართველი ხალხის ყოფას.

კი, რომანში ნაჩვენებია მამულიშვილის ფიზიკური ძალოვანებაც, სულიერი მხნეობაც, რაინდული რომანის გამოცდილებით დაწერილი სიყვარული თამთასი და ქართლოსისა, პოლიტიკოსის მზაკვრული სვლებიც ლამის (ფარსმან სპარსის დონეზეა დაწერილი არელმანელის სახე), მაგრამ მე ამ რომანში ყველაზე მეტად ბექას პიროვნება, მისი ხაზი მეჩვენება საინტერესოდ, როგორც არელმანელის ანტითეზა.

საქართველოში არელმანელთა და ბექათა ბრძოლები ულევია (ალბათ, ისევე, როგორც ყოველ სამეფო კარზე), მაგრამ ბექას - სამცხის მთავრის - ხაზი, მისი პიროვნება ერთობ ნიშანდობლივად და რომანისტის მიღწევად მეჩვენება. ხომ ესოდენ სისხლსავსედ არის დახატული არელმანელი, ხელშესახებად, რომანის ინტრიგასაც ბევრს მატებს, შემოქმედებით მიღწევად მაინც სამცხის მთავრის სახე მიმაჩნია; არელმანელნი ბევრნი არიან (ამიტომაც არის საქართველოს ყოფა ასეთი?), ბექანი კი ერთეულები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არელმანელთ დიდი დასაყრდენი და სარბიელი აქვთ, საქართველოს ისტორია მაინც ბექათა გონისმიერი ჯაფის გამარჯვებაა, მაინც ბექანი სჯაბნიდნენ და სჯაბნიან. ამ ორი პიროვნების - თეზისა და ანტითეზის, გნებავთ, ზნეობრიობის და უზნეობის შეპირისპირებით დღევანდელობაზე გვესაუბრება ჯანსუღ ღვინჯილია. ჩვენს დღევანდელობაშიაც ასეა, ბექანი ცოტანი არიან, არელმანელნი...

რატომ არის მიმზიდველი ბექას პიროვნება? იგი გონისმიერი, ღვთის გზით მავალი კაცია, პიროვნება, რომლისთვისაც ორი რამ არსებობს: ღმერთი და სამშობლო, ეს უკანასკნელი უფრო მეტად გამხდარა მისი ზრუნვის საგანი.

ბევრ ფიქრს წამოჭრის ქართლოსის სახე, მისი გააზრება, მიმართება ქვეყანასთან, თამთასთან. ამ პიროვნების ბიოგრაფიაში მაინც ზღვარს გავავლებდი. ასე მეჩვენება, რომ მეფის კარიდან ექსორიამდე სულ სხვა ქართლოსია, ექსორიაქმნილი ქართლოსი ათასგზის უფრო რაციონალური, ქვეყნისთვის გააზრებულად მებრძოლი, ასე მგონია, რომ მწერალმა კარგად გაავლო ეს მიჯნა - სულიერი ტანჯვა კიდევ უფრო ამძაფრებს ზნეობრივ ადამიანთა დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. ქართლოსისთვის თამთასგან მოწყვეტა კი სწორედ სულიერი ტანჯვის აღმძვრელია.

ჯანსუღ ღვინჯილია - ჩინებული ქართველი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რომლის ღრმად გააზრებული, მძაფრი სიტყვა არაერთგზის გვსმენია, პირველად მოგვევლინა რომანისტად. ამიტომ უფრო იწვევს პატივისცემას „ქართლოსის საფლავის" არაერთი ეპიზოდი, ხოლო ერთ-ერთ მათგანს - მეორე თავს - ღრმა დაფიქრება და გაანალიზება სჭირდება. მწერალმა მონღოლთა შემოსევის ეპიზოდში ისე შესანიშნავად (შემაზრზენად!) დაგვიხატა დამპყრობელი, რომ ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, გარდა ერთისა: დღემუდამ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ერთმანეთთან, როგორი უნდა იყოს ჩვენი მიმართება სამშობლოსთან, რომ მის საზღვარს დამპყრობელმა ფეხი ვერ დაადგას.

*გურამ ბათიაშვილი*

# ორიოდე სიტყვა „ქართლოსის საფლავზე"

დაიწერა ახალი ისტორიული რომანი, მრავალი ფიქრის, განსჯის, თუ გნებავთ, განცდის შედეგად, რადგან ჯანსუღ ღვინჯილია მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან.

მეჩვენება, რომ ეს თემა მისთვის მარტოოდენ ლიტერატურული შემოქმედების წყარო როდია, არამედ მისი ადამიანური ცხოვრების მთავარი შინაარსიც არის და ჩვენი ისტორიული წარსულის კვლევა, ფაქტებისა და მოვლენების ახლებური კუთხით გააზრება-წარმოჩენა თავის მამულიშვილურ და მწერლურ მოვალეობად დაუსახავს.

„გიორგი სააკაძის პიროვნების" და „სული აღმ-

აშენებლის" ავტორისაგან პირადად ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა რომანის შექმნა, თანაც ეს უსათუოდ ისტორიული რომანი უნდა ყოფილიყო, არა ოდენ მხატვრული, არამედ შემეცნებითი ღირსებებით გამორჩეული, იმავე მიზანდასახულების შემცველი, რაც ჯანსუღ ღვინჯილიას სხვა ნაწარმოებებში, სხვა წიგნებშია თვალსაჩინო.

„ქართლოსის საფლავი" ჩვენი ისტორიის ერთი უმძიმესი პერიოდის ამსახველი წიგნია, ნგრევის, დაცემის, განადგურების, ეროვნული შეურაცხყოფის, ადამიანური ღირსების დამცირების თავზარდამცემი მატიანე. აზიის შორეული უდაბნოებიდან მოვარდნილ მონღოლთა ურდოს შეურყვნია ქართველთა ქვეყნის სულიერი და მატერიალური ყოფა, შებღალულა ყოველივე წმინდა და დიადი. რომანში არის ასეთი ეპიზოდი: მონღოლები ქართული სოფლიდან სალაღობოდ წაგვრილ, პატივახდილ, ფეხმძიმედქმნილ გოგონებს ისევ სოფელში აბრუნებენ; უხმოდ მიდიან ნამუსახდილი, დარცხვენილი, დამცირებული ასულები. სხეულით მიაქვთ უცხო თესლის ნაყოფი, რომელიც მოძალადეთა განზრახვით უნდა შეერიოს ქართულ სისხლს და გენს, გადააგვაროს, ანუ მათს ჯიშზე მოაქციოს ქართული გენი და ჯიში, ის ეროვნული მომენტი, რომელსაც ემყარება თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა და შემართება.

ამ ბრძოლისა და შემართების განმასახიერებელია რომანის მთავარი გმირი ქართლოსი, ყოველმხრივი ღირსებით შემკული, უებრო მეომარი, სიყვარულით გულანთებული ჭაბუკი.

მას გაცნობიერებული აქვს თავისი დროის ტრაგედია, იცის თავისი თაობის მძიმე ხვედრი, რაც მას და მის თანამებრძოლებს არგუნა ბედმა, და ამ ცნობიერებით იბრძვის, უყვარს, იმარჯვებს; იგი ქართველთა დიდი წინაპრის ღირსეული მოსახელე და მემკვიდრეა, ლეგენდარული ქართლოსის საფლავის ერთგული მცველი...

ერთ-ერთი მთავარი ღირსება „ქართლოსის საფლავისა" ის არის, რომ ავტორი აქაც ერთგული რჩება იდეისა, რომ ჩვენს ერს გააჩნია დიდი შინაგანი ენერგია, ღირსების გრძნობა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის ის ხარისხი, რომლის დათრგუნვა არ ძალუძს არავითარ მოძალადეს, არავითარ ძნელბედობას; რომ იქნებიან ღირსეული პიროვნებანი, ეროვნული ცნობიერების, გონის, სიმამაცის მქონე ადამიანები, რომელნიც ყოველ კრიტიკულ მომენტში გააღვივებენ ერის უშრეტ შინაგან ძალას.

ეს სადღეისოდ ნათქვამი და გასაგონი აზრია. მე ვიტყოდი, რომ „ქართლოსის საფლავი" ისტორიული რომანის ერთგვარად ახალი ტიპია, სადაც ერთმანეთთან არის შერწყმული ისტორიული სინამდვილე, მწერლური გამონაგონი და ანალიტიკური განსჯა.

„ქართლოსის საფლავი" არ მიეკუთვნება მსუბუქად საკითხავ წიგნებს, იგი მკითხველს მძიმე განცდებითა და ფიქრებით აღავსებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თავისი ქვეყნის მარადიულობისა და შინაგანი ძალმოსილების რწმენით აღავსებს.

*დავით მჭედლური*

# ჯანსუღ ღვინჯილიას „ქართლოსის საფლავი"

ჩემთვის, როგორც ერთი ქართველისთვის, ძალიან ბევრს ნიშნავს მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია და მისი შემოქმედება. მწერლის ბოლო წიგნი, მისი პირველი რომანი „ქართლოსის საფლავი", ვფიქრობ, ყველა ოჯახში უნდა იდოს და ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს. „ქართლოსის საფლავი" 13-14 საუკუნის მიჯნაზე ერთმანეთს ახვედრებს ყველა დროის ქართველებს და მეყსეულად ამოიზიდება ქართული არსის მარადიული ტკივილი და პრობლემა - ნატანჯი და წამებული სამშობლოს ფიზიკური და სულიერი გადარჩენა.

მიყვარს რომანში გაცოცხლებული ჩემი სამშობლო - მისი ველ-მინდვრები, მთა-გორები, ციხე ქალაქები და საყდარ-მონასტრები, რომლის საზღვრები ქართლოსმა და მისმა მეგობრებმა ცხენდაცხენ შემოიარეს. მეამაყება მუხლზე ლოცვად დაცემული ჩემი წინაპარი, ომში წასული ლაშქრის გამარჯვებას რომ შეავედრებს უფალს. მენატრება, უფლისადმი მათეული რწმენა დამკვიდრდეს საქართველოში, რადგან მწამს - ქვეყანას ღვთისადმი ნამდვილი რწმენა გადაარჩენს. მიყვარს უტკბილესი „ალერსის ციხე" და მისი ბინადარი, მისი საუცხოო დიასახლისი მარიხი, ალაყაფის კართან მოთმინებით რომ ელოდება შვილს. მხიბლავს უმშვენიერესი თამთა - სიყვარულის სასწაულით სიცოცხლეს რომ დაუბრუნებს განწირულ ქართლოსს.

მტკივა არელმანელი - ნიჭიერი ქართველი, რომელმაც ცხოვრება ბოროტებაში გალია და სიკვდილის წინ მეფეს შეჰღაღადა - შენებრი მეფე რომ მყოლოდა, სხვაგვარად გაელევდი ცხოვრების გზასო. ვნატრობ დიდი მეფის წინ მუხლზე დაცემული სამცხის მთავარს ბექა ჯაყელს, რომ საქართველოს სარწმუნოების მფლობელი, ქვეშევრდომთათვის სამართლიანი, ქრისტიანთა განმადიდებელი, ბრძენი და დაუცხრომელი მებრძოლი, მეფე გიორგი ბრწყინვალე გაუზარდოს.

*თამილა ლახიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაია ჯალიაშვილი



# „ტანჯვაში პირგაბადრული ღმერთი დიონისო“

დიონისოს მითში ასახული მისტერია არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა ხელოვანის ინტერესის საგანი. დიონისოს სახის მრავალშრიანობა განაპირობებს მხატვრულ ლიტერატურაში მის უამრავ ვარიაციას. ბევრმა ახსნა დიონისოს კულტის რაგვარობა, მასში დაუნჯებული იდუმალების გამოვლენის გზით კი სამყაროს კანონზომიერებათა შემეცნებას შეეცადა. ელადაში დაბადებულმა „მხიარულმა“ და „ტანჯულმა“ დიონისომ მრავალი ქვეყანა დიდებით „შემოიარა“, მათ შორის, არც საქართველო „დავიწყებია“. ქართულ ლიტერატურაში მძაფრად ირეკლება „თრობის“ ღმერთის კვალი, განსაკუთრებით, ქართულ მოდერნისტულ რომანში („დიონისოს ღიმილი“, „სანავარდო“, „გველის პერანგი“). დიონისომ, როგორც ძლიერმა და მრავლისმეტყველმა არქეტიპმა, საინტერესო მხატვრული მეტამორფოზა განიცადა ქართულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია „დიონისოს ღიმილი“. ამ რომანზე ბევრი საინტერესო გამოკვლევაა დაწერილი.

რომანში დიონისოს სახის ორიგინალური მხატვრული ინტერპრეტაციაა შემოთავაზებული. მწერალი ცნობილ მითს იყენებს ადამიანის არსების წარმოჩენისთვის. რომანის გმირი სავარსამიძე ერთგან ამბობს: „ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, როცა მას გარე სამყაროს მზერა მოსწყინდება და მხოლოდ საკუთარი სულის დაკვირვება და მარტოობა მოენატრება“. სულში ჩაბრუნებული მზერა კი წამოშლის იმგვარ სანახებს, რაც სიტყვიერ სამოსელში წარმოდგინდება, როგორც გამოუთქმელის სიმბოლური ხატებანი.

დიონისოს მითში მოთხრობილი ამბავი, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „მიგვითითებს ადამიანის სულში ღვთაებრივის დაბადებასა და მის შემდგომ ბედზე“. დიონისო, იგივე ღვთაებრივი საწყისი, რომელიც ჩნდება ადამიანში, იდევნება ჩვეულებრივი ცნობიერების (ქალღმერთ ჰერას) მიერ, რომელიც შეუსევს მას ქვენა ბუნებას (ტიტანებს) და დააგლეჯინებს. ამგვარად, ადამიანში ღვთაებრივი რჩება დაფლეთილ-დანაწევრებული, როგორც გრძნობად-განსჯითი ცოდნა, მაგრამ თუ დამხმარედ მოევლინება უმაღლესი, ქმედითი სიბრძნე (ზევსი), მაშინ დიონისო კვლავ აღორძინდება ადამიანში. ასე იბადება დანაწევრებული ღვთაებრივი ძალისაგან სიბრძნე-მთლიანი და განუყოფელი, იგივე ლოგოსი - რომელიც ძეა ღვთისა და მოკვდავი დედისა-წარმავლობისა (რომელიც არაცნობიერად ილტვის ღვთაებრივისაკენ). ასე რომ, ამ მითის განცდით ადამიანში მეორდება სამყაროში მიმდინარე პროცესი ღვთაებრივის წარმოშობისა, დევნისა და აღორძინებისა ( რომანში ფარვიზს ვერ „იგუებს“ ქვენა ინსტინქტებით გაქლენთილი „სივრცე“ - როგორც „გარეთ“, ასევე - ინდივიდუალურად, სავარსამისძის არსებაში). ამ მითის განცდით ადამიანი გაიაზრებს საკუთარ არსებას და შეიმეცნებს იდუმალებას, სწვდება დაფარულს.

რომანის გმირი - კონსტანტინე სავარსამიძე - გაივლის გრძელ გზას, როგორც ჰორიზონტალზე (სივრცეში გადაადგილება), ასევე ვერტიკალზე (სულში ჩაღრმავება). ეს გზა რთულია, წინააღმდეგობებით აღსავსე, მრავალფეროვანი. ღვთაებრივის ქვეცნობიერი წყურვილი (მარტოობის დაძლევა, ჭეშმარიტი სამშობლოს პოვნა, სიყვარულის თანაზიარობა) მას „შეახვედრებს“ დიონისოსთან - მასშივე დაბადებულ ღვთაებრივ ნაპერწკალთან. გმირი იწყებს საკუთარი თავის შემეცნებას, თავისი ადგილის ძიებას როგორც საზოგადოებაში, ასევე ზოგადად, სამყაროში. ღვთაებრივის წყურვილს მასში ეწინააღმდეგება ჩვეულებრივი ცნობიერება - მიწიერი სურვილებით გაქლენთილი. ღვთაებრივსა და მიწერს შორის კონფლიქტი წარმოდგენილია იმ მრავალსახოვან ვნებებში, რომელთა ტყვეობაშიც მრვალგზის ვარდება სავარსამიძე.

დიონისო გაიაზრება, აგრეთვე, როგორც ადამიანის უმაღლესი „მე“, რომელიც ადამიანის ქვენა ბუნებაშია დამკვიდრებული და იღვიძებს სულში. ღვინოსიმბოლო სულიერი ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა, ბანგავს და აუძლურებს ქვენა ბუნებას. სავარსამისძეც ეტანება ღვინოსა და თრობას. მისთვის ღვინით, სიყვარულით და სიტყვით ლოთობა ერთ სიბრტყეში გაიაზრება. „უფსკრულებს აბარია ჩვენი სულის ბნელი ხვაშიადი. ადამიანური ცხოვრებისთვის ზედმეტნი ვართ და ღმერთობისთვის საკმაოდ ადამიანნი“.

დიონისო - ზევსის მიერ გადარჩენილი და ნისას გამოქვაბულში აღზრდილი - (ე. ი. სულის არაცნობიერ სიღრმეში) არის მისტიკური დიონიისო, რომელიც გააზრებულია, როგორც სიმბოლო არქეტიპული კაცისა (სავარსამიძემ ვერ შეინარჩუნა დიონისო სულში - ფარვიზის დაღუპვა მისი ბრალია). ეჭვი ხშირად იპყრობს კონსტანტინეს: „ცხოვრებაში ხომ ყველაფერი წამიერი ხილვაა, სხვა დანარჩენი: მოგონებაა და სიზმარი“.

სავარსამიძე საკუთარ თავში დიონისოს, ე. ი. უმაღლესი „მეს“ აღმოჩენით მიუახლოვდება „არქეტიპულ“ კაცს, რომელიც შეესაბამება ქრისტიანობის პირველქმნილ ზეციურ ადამს და კაბალის ადამ კადმონს. რომანში ღვთაებრივის წვდომის გზაა შეფარულად გაცხადებული და ამიტომაც „ბრძოლა“ იესო ქრისტესა და დიონისოს შორის ავლენს გმირის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ ლტოლვებს ღვთაებრივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ. ვხედავთ, რომ ისეო ქრისტესაც და დიონისოსაც იგი გაიაზრებს, როგორც ერთი, ღვთაებრივი არსის სხვადასხვაგვარ გამოვლენას. ამიტომაც არის, რომ ისინი მის ცნობიერებაში ხან ხვდებიან ერთმანეთს, ერწყმიან, ხან ერთი ამარცხებს მეორეს და დევნის. ამ დროს მჟღავნდება გმირის გაორება. სინამდვილეში კი დიონისო იქცევა ძალად, რომელიც ღვთაებრივს შეამეცნებინებს.

ევროპაში მოგზაურობა (შემდგომ სიზმარში ტრანსფორმირდა, როგორც ჯოჯოხეთში შთასვლით მიღებული გამოცდილება), ეს იგივე გამოქვაბული იყო, სადაც აღიზარდა იგი, გამოიცადა უამრავ ადამიანთან შეხვედრითა და სხვადასხვა მოვლენებში თანამონაწილეობით. სახლში დაბრუნება მას დიონისოს მსხვერპლშეწირვის ფასად უჯდება. რაღაცას კარგავს, მაგრამ რაღაცას იძენს. იგი ერთგვარად განწმენდილია და მზად მყოფი იმისთვის, რომ მის სულში აღორძინდეს ღვთაებრივი.

სავარსამიძე მრავალგზის ცდება, ივნებს და ამ ტანჯვაში იგზნებს ცხოვრების საზრისს. მისი ლტოლვა თანაბარ ვლინდება ქრისტიანულისა თუ წარმართულისადმი. ერთი მხრივ, დიონისოს „ასდევნებია“, მეორეს მხრივ, წმინდა გიორგის. საფიქრებელია, რომ მის ქვეცნობიერში ეს ლტოლვები იბადებიან ერთი ძირიდან, წიაღიდან, საფუძვლიდან. ეს არის მარადიული – წყურვილი უკან, შინ დაბრუნებისა. შინ-ზეციურ სამყოფელში, მარადიულობაში, სულთა საუფლოში.

მართალია, სავარსამიძის „ტრფიალების“ საგანი ხშირად იცვლება – წმინდა გიორგი, ქრისტე, დიონისე... მაგრამ ეს, არსებითად, ერთის, ღვთაებრივის წყურვილია. დიონისე ხომ გაიაზრება, როგორც ქრისტეს ძმა (ჰოლდერლინი), წმინდა გიორგი კი როგორც დიონისეს „ნათესავი“ (ქართულ წარმართულ წარმოდგენებში).

სიკვდილსა და სიცოცხლეზე გამუდმებული ფიქრი სავარსამიძეს „შეახვედრებს“ როგორც დიონისესთან, ასევე ქრისტესთან. „ორივემ მიიღო სიკვდილი – სრული ტანჯვა და ორივე აღდგა. ორივესთვის ღვინო არის საკრალური სასმელი“.

გრიგოლ რობაქიძემ, როგორც თვითონ აღნიშნავს, მონახა თორმეტი ნათესაური მუხლი დიონისოსა და თეთრ გიორგის შორის. „როგორ? – წერს იგი. – თეთრი გიორგი – ძმა – ნაშიერი მზეოსანი ლაშარის და მთვარის თუ მთვარული დიონისოს კულტი? ამ უცნაურობის ახსნა არც ისე ძნელია... მოვიგონოთ, რომ ლაშარი მითიური რეალობაა ანუ შინაგანი სინამდვილე ქართველთა ტომისა. შესაძლოა, ამ ტომის „წვამ“ ლაშარით იკლო ერთხელ, მაშინ უკანასკნელის მზეობაც დაიკლებდა. იგი როგორც „ხატი“, სისხლნაკლულად გამოჩნდებოდა, სხივმკრთალად, ანუ „მთვარედ“. რაც შეეხება თეთრი გიორგის დიონისურ მუხლს, ამის შესახებ ითქმის შემდეგი: დიონისოს ბუნება ცვალებადია. დიდი მითოს-მკვლევარის ბახოფენის მოწმობით, დიონისო ვლინდება: ხან როგორც ხტონური არსი, ხან როგორც მთვარის თანაზიარი, ხან კი როგორც ნათელმდგენი, აპოლონს შეძმობილებული. საფიქრელია, რომ თეთრი გიორგი დიონისოს მეორე ვარიანტია. ამ ვარიანტს ბახოფენი ნათლავს ასე: „ვნებული მზე“. არსად ისე არ „ვნებულა“ მზე, როგორც საქართველოში და სახელდება „ვნებული“ მზე პირდაპირ თეთრ გიორგიზეა გამოჭრილი“.

კონსტანტინე გამსახურდია ნიცშეს თაყვანისმცემელი იყო. სავარსამიძის სახეში გამოკრთის ის შტრიხები, რომელიც ამ „ანტიქრისტეს მოციქულ“ ფილოსოფოსს ახასიათებდა. „მართალია, ნიცშე მოციქულია ანტიქრისტესი, მაგრამ მაინც ყველაზე გულწრფელად ამბობდა, რომ „ქრისტე ჯვარზე – უზენაესი და უმშვენიერესი სიმბოლოა“, ამიტომ მის ჰიბრიდულ ბუნებაში ჩვენ გვაინტერესებს მისი „ჰოს“ მთქმელი, მისი ღვთიური ნახევარი. ნიცშე – ქადაგი ახალი ღმერთშემოსილობის, ნიცშე – აპოსტოლი ახალი კულტურის რელიგიისა. ამიტომაც დიონისო – ღმერთი თრობის და შვებისა ქრისტიან ნიცშეს სხვანაირად ვერ წარმოედგინა, თუ ჯვარზედ. „ჯვარცმული დიონისოს“ – ეს ერთი უკანასკნელი წინადადებათაგანია მომაკვდავ ნიცშესი. მას ისე ღრმად ჰქონდა ჯვარზე გაკრული იესოს ვიზიონერული სახე გულში აღბეჭდილი, რომ თვით ელადური შვების მახარობელი ღმერთიც ჯვარს აცვა თავის ჰიბრიდულ წარმოდგენაში“.

ასეთივე „ჰიბრიდული“ წარმოდგენები აქვს სავარსამიძეს. მის წარმოსახვაში ქრისტე და დიონისო – ხშირად განუყოფელ ერთიანობაში წარმოდგინდება. სავარსამიძის არსების რომელი ნაწილი „ებრძვის“ ქრისტეს? ალბათ, ის, უმზგავსეს ადამიანს რომ უწოდებს ნიცშე „ესე იტყოდა ზარატუსტრაში“: „ხოლო ის, უნდა მომკვდარიყო: ის იხედებოდა თვალებით, რომელნი ყოველს ხედვიდნენ, ის ხედავდა ადამიანთა სიღრმეთ და უფსკრულთ, ყოველ მათ ფარულ სირცხვილს და უმზგავსობას. მისმა სიბრალულმა სირცხვილი არ იცოდა: ის ჩემს უბილწეს კუთხეებში მოძვრებოდა. ეს ზე ცნობისმოყვარე, ზე აბეზარი, ზე შემწყნარებელი უნდა მომკვდარიყო.

ის მარად მე მხედავდა: ამ მოწმის წინააღმდეგ უნდა შური მეძია – ან თვით ცოცხალი აღარ ვყოფილიყავი.

ღმერთი, რომელი ყოველს ხედვიდა, ადამიანსაც: ეს ღმერთი უნდა მომკვდარიყო! ადამიანი ვერ აიტანს ამგვარი მოწმის სიცოცხლეს“.

სავარსამიძის არსებაში მოქმედი უმზგავსესი ადამიანიც კლავს ღმერთს, მაგრამ, იმავდროულად, იმასაც, რასაც ელტვის და ესწრაფვის – დიონისოსაც. ამ ლტოლვებში იხატება ადამიანის თვითშემეცნების წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ამ გზაზე ადამიანი ხშირად ებრძვის იმასაც, რაც მისი სათაყვანოა და საყვარელი, რადგან სწორედ ამგვარად უნდა გამოიწრთოს მისი ნება. ადამიანი, როგორც ზარატუსტრა ამბობს: „მარად თავის თავს უნდა სძლევდეს“. „ჰხამს ჩემდა ბრძოლა ვყო, და ყოფადობა და მიზანი, და მიზნის წინააღმდეგობა. ჰე, ვინც ჩემს ნებას ამოიცნობს, გამოიცნობს, აგრეთვე, თუ როგორ უსწორმასწორო გზებით უნდა ვლიდეს იგი!

რასაც უნდა ვქმნიდე და რანაირადაც უნდა მიყვარდეს იგი – მალე მოწინააღმდეგე უნდა შევიქმნე მისი და ჩემი სიყვარულისა: ესე ჰსურს ჩემს ნებას“.

სავარსამიძეც ამგვარად იწრთობს თავის ნებას, მიდის დინების წინააღმდეგ, დაბრკოლებად საკუთარ თავსვე სახავს – თავისი იდეალებითა და ზნეობით.

ზარატუსტრას ელაპარაკება მისივე ჩრდილი: „მაქვს კვლავ – მიზანი? ნავთსაყუდი, საით ჩემი აფრა რბის?“ „რაღა შთენილა ჩემთვის? გული მოქანცული და უტიფარი, მოუსვენარი ნება, ფართხუნა ფრთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატეხილი ხერხემალი. ესე ძიება ჩემი სახლისა: ჰე ზარატუსტრა, შენც უწყი, ესე ძიება ჩემი სასჯელი იყო, იგი მღრღნის. სად არის ჩემი სახლი? ამას ვკითხულობ და ვეძიებ და ვეძიებდი, ესე ვერა ვპოვე. ჰე მარადო ყველგან, ჰე მარადო არსად, ჰე მარადო ამაოდ".

სავარსამიძემ ვენახი აჭრა, სამშობლოდან გაიქცა, მამა დაივიწყა და, მაინც, სამშობლოს ძიებაშია, რომელიც არსად არ ეგულება. ამაოება ვერ „იტევს" ამ სამშობლოს, მარადისობა კი არ „უჩენს" გზას, პირიქით, „უმალავს", რადგან ეს გზა ტანჯვით უნდა „შეიძინოს". ერისა თუ კაცობრიობის წარსულის სურათები ხშირად „იჩხრიკება" მის გონებაში, გამუდმებით განსჯის, წონის, აფასებს, მაგრამ ცდუნებას აყოლილი ვერ უძლებს ცხოვრების გამოცდას, იღლება და ისჯება ჩადენილი შეცდომებისთვის. ამ ძიებისას მან დაივიწყა „რწმენა სიტყვათა და ფასეულობათა და დიდ სახელთა". „არ არის ჭეშმარიტება, ყველაფერი ნებადართულია" - ზარატუსტრას ამ პრინციპმა „დალუპა" იგი. სოსო სიგუას აზრით, სავრსამიძის ცხოვრებაში „ირეკლება დიონისური მოდელი". „კ. გამსახურდიამ ნიცშეს კონცეფცია დიონისოსა და ქრისტეზე, ზეკაცზე ქართულ სინამდვილეში შეიტანა".

სავარსამიძე მაძიებელი ადამიანია. იგი ცდილობს ინდივიდუალობის დაძლევას და ზეინდივიდუალურის წვდომას. აქ იგი ხვდება ნიცშეს ზეკაცს (ნაპოლეონისადმი სიყვარულიც ამასვე ამჟღავნებს). სავარსამიძის ერთ-ერთ რეალურ პროტოტიპად ზარატუსტრაც ირეკლება. კ. გამსახურდია წერდა: „ზარატუსტრა წინასწარმეტყველური გამიშვლებაა პიროვნების და მისივე ემპედოკლესებური გადასვლა ზეინდივიდუალურში, აქ იხატება დიონისოს თავი სმარაგდის მშვენების მთიებით მოსილი. ამ მომენტში გოეთეს აპოლონური თვალი ძლევამოსილი პიროვნების ღმერთში უკუქცევას ჰხედავდა".

ახალი კულტურა ნიცშეს თანახმად, „თანამედროვე ადამიანი ამ, დიონისურისაგან დაცლილ, ცალმხრივად განვითარებულ კულტურაში ცხოვრობს".

სავარსამიძის დიონისოსთან პირველ შეხვედრას (ხალილ-ბეის სურათი „დიონისეს მეორედ მოსვლა") წინ უძღვის ჯენეტის სალონში საუბარი დასავლეთის სულიერ კრიზისზე. „მთელი მსოფლიო ისტორია დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთშორის ბრძოლა იყო. ყოველ საუკუნეში აღმოსავლეთიდან სესხულობდა იდეებს დასავლეთი. ევროპული კრიზისიც მაშინ გადაწყდება, როცა რაციონალური ევროპის ინტელექტუალური ცხოვრება გრძნობა-მოჭარბებული აღმოსავლეთის იდეებით გადახალისდება". ხალილ-ბეი ეუბნება სავარსამიძეს: „ჩვენ ყველას (კავკასიის ხალხებს) ისტორიამ დაგვაკისრა წინა აზიის განახლება". თავის სურათშიც ამის წინასწარმეტყველება აქვს გადმოცემული: „ხომ იცით, დიონისოც აზიიდან მოვიდა".

სავარსამიძეც, გაევროპელებული ქართველი, განიცდის სულიერ კრიზისს, ამიტომ დიონისოს მიიღებს, როგორც გადამახალისებელს. შეიყვარებს ფარვიზს და სიყვარულში ცდილობს, „ჩაკლას" ყოფის ამაოების მტანჯველი განცდა.

სავარსამიძის თანადროული სამყარო სიყვარულს მოკლებულია. „უდაბნო! უდაბნო! დიდი ქალაქის დიდი ქუჩაა ჩემი უდაბნო. ჩირადაც არავინ მაგდებს. არავინ მერიდება. არავინ მიცქერის", ამ „უდაბნოდან" თავდაღწევისთვის კი მას სჭირდება მადლი, რომელიც ქაოსს მოაწესრიგებს. იგი გრძნობს, რომ შიგნიდან წამოსული უბედურება გადასწონის გარეგანს. ამიტომაც ებღაუჭება სიყვარულს, თავდავიწყებას, რომ როგორმე დაძლიოს მარტოობა, შეერწყას სამყაროს, როგორც ნაწილი მთელს. იგი იფლითება ყოველდღიური ვნებებისაგან, მაგრამ ყოფნის ძალა კვლავ აღდგენისთვის, თუმცა გამუდმებულ ბრძოლაში იღლება კიდეც. სავარსამიძე ხშირად ირგებს სხვადასხვა ნიღბებს, რათა სხვადყოფნის მისტერიით სწვდეს საკუთარ არსებას. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „იმ კულტებში, სადა „ცვლა" ყოფის საიდუმლოდ იყო გამოცხადებული, „ქცევა" მასკით ხდებოდა. მაგალითად, დიონისოს კულტში. „მე" უნდა გაიხსნას, უნდა გაირღვეს. არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ემიაროს ზეპიროვნულს. ეს არის დიონისოს ფენომენი. და მერე როგორი იყო რიტუალი ამ ფენომენის? მასკის აფარება, მასკის, რომელიც დიონისოს სახავდა". სავარსამიძეც ცდილობს, რომ ემიაროს ზეპიროვნულს დიონისოს ნიღბით.

როცა ჯენეტი ეკითხება, „რა გინდათ, რომ იყვეთ", სავარსამიძე პასუხობს: „ის, რაც არა ვარ" (ღმერთი ამბობს: მე ვარ ის, ვინც ვარ), ის რაც არა ვარ - დიონისოს მისტერიის შუაგულს ასახავს. თვითონ დიონისოც ხომ ნიღბებით ევლინებოდა ადამიანებს. ასეა ამ რომანშიც.

სავარსამიძე გარდაცვლილი ვიტენშონის პასპორტს იღებს. როცა შიგ ჩაწერილ გარეგნულ ნიშნებს ამოიკითხავს, მიამსგავსებს თავისას და გაიფიქრებს: „ვხედავ, უნებლიედ მე გავხდი მისი სიკვდილის მიზეზი. ეგებ, მე გავუღე მას სიკვდილის კარები. ჰოი, ადამიანობის კომედიავ, მართლაც ბილიარდის ბურთები ვართ, უსაზღვრო მიწის სიბრტყეზე უსაზღვროდ გაქანებული, ვიღაცას გრძელი ჭოლოკი უკავია, თამაშობს, იცინის, ჩვენ კი ერთმანეთს ვეხლებით. ასე იქმნება ცხოვრების ფატალური არსი. ასე მგონია, სხვისი სული ჩამედგა. ბავშვსავით მახარებს და მაინტერესებს ეს წამიერი „სხვად ქცევა".

ცხოვრების შუაგზა" ის წერტილია, რომელში ჩაღრმავება ცხადყოფს არჩევანის შეუმცდარობას. ეს წერტილი იგივე გზაჯვარედინია, ერთხელ კიდევ რომ შეაგრძნობინებს კაცს ნებისმიერი მიმართულებით წასვლის უგუნურებას. ყველგან სინანულია. „ვისთვის ან რისთვის იყო საჭირო ეს გაუგონარი ველად გაჭრა და მარტვილობა?" - კითხულობს სავარსამიძე. მან, როგორც იტყოდა ზარატუსტრა, ცხოვრების შუაგზაზე შეჩერება მოინდომა იმისთვის, რომ, სანამ ისურვებდა, ჯერ შეემეცნებინა თვითონ სურვილი.

„ღმერთების მიჯნური" ფარვიზი იღუპება. სავარსამიძე დაისაჯა ღმერთებთან კადნიერი გატოლებისთვის. მან ვერ მიაღწია თავის განვითარებაში იმ ღვთაებრივ გულუბრყვილობას, ჭეშმარიტების ჭვრეტა რომ შესძლებოდა. ცივილიზებულმა ადამიანმა ჩაკლა ღვთაებრივი (საგულისხმოა, რომ ფარვიზის ცხენი დააფრთხო ავტომობილმა).

„აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი", - ამბობს დაღლილი სავარსამიძე, მაგრამ სურათი „დიონისოს მეორედ მოსვლა" ისევ აღორძინებას ჰპირდება.

სავარსამიძის ბედში ირეკლება კაცობრიობის მუდმივად ჩაუმქრალი წყურვილი თვითშემეცნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ ახვლედიანი



## აკაკის მხატვრული სამყაროს მოდელი

ჩვენ გვინდა, მკითხველთან ერთად კვლავ გავიაროთ ის გზა, რომლითაც შევძელით აკაკი წერეთლის, როგორც პოეტის და ადამიანის შეცნობა. ეს ჩვენთვისაც თითქმის პიროვნულად, ინტიმურად განცდილი პროცესი იყო.

მუშაობა ინტუიციურად მიმდინარეობდა და ხდებოდა არა მარტო აკაკის შესწავლა, არამედ ჩვენი კვლევის მეთოდების, გზების და ხერხების ჩამოყალიბება.

აკაკისთან სიყვარულით და ნდობით არ მივსულვართ, ის უტილიტარული და უბრალო გვეჩვენებოდა, მსუბუქი, ოდნავ ზერელეც. დასაწყისში ვთვლიდით, რომ მისი ხალხურობის მიზეზი სიმარტივეშია. ლირიკამ თავიდან არ მიგვიზიდა. მაგრამ რახან აკაკის პატრიოტული ლირიკის შესწავლას მოვკიდეთ ხელი, შევეცადეთ, თავი მოგვეყარა აქ გამოთქმული მისი შეხედულებებისთვის ეროვნულ საკითხზე, ამისათვის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა წაგვეკითხა მისი ლექსები და მოხდა უცნაური რამ: ერთი, რომ აკაკი ძალიან საინტერესო, მთლიანი და ინდივიდუალური ეროვნული მოძღვრების ავტორი აღმოჩნდა და თან კითხვის პროცესში ვგრძნობდით, რაც უფრო მეტს ვკითხულობდით, აკაკის ჭეშმარიტი ტკივილები უფრო ცხადი ხდებოდა, გრძნობის სიმსუბუქეს თანდათანობით დრამატიზმი ცვლიდა და, რაც უფრო მწიფდებოდა მისი შემოქმედება, ლექსი უფრო გამჭვირვალე ხდებოდა და თითქოს ლამპრიდან გადმოღვრილ ნათელში და სითბოში ვეხვეოდით. ლექსებიდან სიცოცხლის წარმავლობის გამო ისეთი ტკივილი და მზიური, გულისმომწურავი სევდა მოდიოდა, უკანასკნელ სიყვარულთან გამოთხოვება და შემოქმედებითი პროცესის ღვთიური განცდა, მისით ღმერთთან ზიარება, რომ ჭეშმარიტი აკაკი გაიხსნა ჩვენთვის - კლასიკურად სრულყოფილი, ნათელი, გამჭვირვალე, თვითონ სივრცე და ხმოვანი.

აკაკის პიროვნულ თავისებურებებში, გრძნობის გვარობაშიც გავერკვიეთ. აკი, ვლ. ნორაკიძეც აკაკის პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ჰარმონიულ ადამიანად თვლიდა. მივხვდით, რომ აკაკის „ზერელობა“, „სიმსუბუქე“ მისი ხასიათის თავისებურება იყო. ადვილად გადანაცვლებადი, ცხოვრებასთან შეგუებული, ყველა პირობებში სიცოცხლის მოყვარული, ალტრუისტი, ზომიერი, პლასტიკური და მაინც უსაზღვრო სითბოთი სავსე.

როგორ არის წარმოდგენილი ღმერთი, ისეთი დიდი პოეტის შემოქმედებაში, როგორიც აკაკია, არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.

აკაკის შემოქმედებაში ნათელი ძალიან ცხადად იგრძნობა. ზესკნელი და ღმერთი ნათლის ოკეანეა, ეს ქვეყანა კი ბნელი, სადაც იწვის ადამიანი - სანთელი, რომლის ნათლად ქცეული სული შეერთვის ღმერთს. ვეცადეთ, გვეკვლია, რა არის აკაკისთან ნათელი. და აღმოჩნდა, რომ ნათელი, რაც იდეალურს ყოველთვის ახლდა და რაც წარმოადგენდა მშვენიერს, იყო სიყვარული, რომელიც აქ წვით იღვრებოდა, ცაში აღიოდა და უერთდებოდა ნათლის ოკეანეს, ღმერთს. ჩვენთვის საინტერესო იყო, რატომ იყო სიყვარული მაინცდამაინც ნათელი. ჩანს, აკაკი ამას ტრადიციით ითვისებდა. აკი, მთელი შუასაუკუნეები და ძველი ქართული მწერლობა ნათლის მეტაფიზიკაზეა აგებული. საერთოდ, თანამედროვე შემოქმედებიც რატომ საუბრობენ ადამიანიდან მომავალ შუქზე და ფერებზე? და 1981 წლის № 1 „ცისკარში“ ვიპოვეთ მორის მიშველაძის წერილი „ცოტათი გადაწეული ფარდა“ (ბიოველის საიდუმლოების ახსნისათვის), სადაც ზოგი რამ იყო ნათქვამი ადამიანური აურის შესახებ. ნათელი იყო სულის, სიყვარულის მატერიალური გამოხატულება, ჭეშმარიტი ხილვის შედეგი და არა შეთხზული. ჩანს, აკაკი თვითონ გრძნობდა ადამიანიდან მომავალ ამ ნათელს.

წავიკითხეთ რუდოლფ შტაინერის „თეოსოფიაც“, სადაც ეწერა, რომ ადამიანს ირგვლივ აქვს აურა, რომელიც სამმაგია, ფერადი, სხვადასხვა, მარტივი, თუნდა რთული გრძნობები სხვადასხვა ფერია, სიყვარული კი არის ნათელი. ასევე, ვგრძნობდით, რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყო ღმერთსა და აკაკის სამშობლო-სატრფოს ამქვეყნიურ ქორწინებას შორის. აკაკის სამშობლო - სატრფო დაქორწინებული იყო უცხოელზე, რომელსაც ის დაბანგული ჰყავდა, ლეჩაქს ხდიდა, რყვნიდა და ცდილობდა, მონად ექცია. მის გამოფხიზლებას ცდილობდა მამაკაცი მგოსანი, რომელსაც სურდა, რომ სამშობლო მას დაბრუნებოდა. ქალისა და მამაკაცის ჰარმონიული მთელი იყო ღმერთი. ამ ქვეყნის ამბავიც ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ამბავი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენად, მათ შორის კავშირი უნდა ყოფილიყო.

ბერდიაევის „შემოქმედების საზრისში“ აღმოვაჩინეთ ზუსტად აკაკის მოდელი: ღმერთი ანდროგინი, ეს ქვეყანა კი ღვთის ქალური ნაწილიდან, სიბრძნის ქალწულიდან ემანაციის შედეგად ამქვეყნად დაცემული და ოთხი ელემენტით შემოსილი ევა, ოთხელემენტოვანი სიყვარულის სახე, რომლის ღმერთთან დაბრუნება, მოქცევა და კვლავ სიბრძნის ქალწულად ქცევა უნდა ღმერთის მიერ გამოგზავნილ მამაკაცურ საწყისს, სულიწმიდას. ეს ზუსტად აკაკის მოდელი იყო და აკი იგი აიგო კიდეც. ეს მოდელი შედგებოდა ცისგან, ღმერთისგან, ანდროგინისგან, მიწისგან, ამ ქვეყნისგან, ქალური საწყისისგან და მათ შორის მყოფი შუაკაცის, მედიუმის, ღვთის და კაცის დამაკავშირებელი მგოსნიდან. ჩვენს მიერ დასისტემებული მგოსნის გამომხატველი ყველა სახე მართლაც მის შუაკაცობას, ღვთის ან ღაბუშობას (დაღმავალი გეზისას) ან კაცის ღმერთის (აღმავალი გეზისას), მაკავშირებლობას გამოხატავდა.

ეროვნული მოძღვრება უკვე დამუშავებული გვქონდა და ვიცოდით, რომ აკაკიმ ბელინსკიდან აითვისა ღმერთი, როგორც ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების ერთობლიობა, რომელსაც ჰქონდა თავისი ინდივიდუალური გამოვლინებები ეროვნული უმაღლესი ღირებულებების სახით. ამდენად, ამ მოდელში უეჭველად იყო არა მარტო მსოფლიო ღმერთი, ეროვნული ღმერთიც. ამ ეროვნულ ღმერთს ვვარაუდობდით, როგორც ნათლის ტბას. სახეებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკაკისთან ხშირია გარდაცვლილ გმირთა გაუკვდავებულ სულებად წარმოდგენილი ვარსკვლავი. სანთელი იწვის, მისგან ნათელი გამოიყოფა, ეს ნათელი კი ცაზე ვარსკვლავად იქცევა და მარადიულ არსებობას იძენს. მარადიული არსებობა აქვთ ჩვენს გმირ მამა-პაპათა სულებს. აკი, აკაკისთან ეროვნული განთიადის წინამორბედი გმირიც ცისკრის ვარსკვლავია. ეროვნული სული, რომელიც შტაინერის მიხედვით წარმოდგებოდა ღრუბლის სახით, რაშიც განლაგებული არიან ჩვენს გმირ მამა-პაპათა სულები, აკაკისთან წარმოდგა ნათლის ტბის, ვარსკვლავთა კრების სახით, ინდივიდუალობა შენარჩუნებულ გმირ წინაპართა ერთობლიობისგან შექმნილი ნათლის შარავანდედის სახით, რომელიც თავს ადგა საქართველო-ტაძარს.

აკაკისთან ხშირად მეორდებოდა ქალთა სამება – თამარი, ნინო, ქეთევანი, მაგრამ თამარს აშკარად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ნინო და ქეთევანი არასოდეს, თამარი კი ხშირად იყო იდეალური საქართველოს სახე. ვეძებდით რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თამარის სახეს ქართულ აზროვნებაში, კერძოდ, გასაღების მოძებნას ვცდილობდით თამარ ღვთის მე-4 ჰიპოსტასის შესახებ მოძღვრების საშუალებით. თამარ ღვთის მე-4 ჰიპოსტასი რ. სირაძესთან „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიაში“ განმარტებული იყო როგორც იდეალური ადამიანი, სულიერ-ხორციელად განღმერთობილი, რაღაც ადამ-კადმოსის სახით, ამდენად უფრო ანდროგინად. ასეთი განმარტებით თამარი არაფრით არ ავსებდა აკაკის მოდელს სწორად. ფაქტი იყო, იდეალური და არაიდეალური, მისაღები ან მიუღებელი სამშობლოს სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მგოსნისა და გმირისადმი და, საერთოდაც, სიყვარულის სისავსით ან ნაკლებობით. და აი, ზ. გამსახურდიას წერილში „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ თამარ ღვთის მეოთხე ჰიპოსტასი შეგვხვდა განმარტებული, როგორც სიყვარული, მარადიულ-ქალური, ქართული სიბრძნის ქალწული, რომლის მთავარი თვისებაა სიყვარულით სისავსე. თამარია სულიწმიდა, ღვთის ქალური ნაწილი. აკაკისთანაც და ბერდიაევთანაც სულიწმიდა ცეცხლი და მამაკაცური საწყისია, ეს არ ეღრებოდა, მაგრამ თამარი რომ მარადიულ-ქალურია, ამან გაამთლიანა მოდელი. თუ თამარი ქართული სიბრძნის ქალწული იყო, ქართული სულიწმიდა, მამაკაცური საწყისი, გონი იყო რუსთაველი და მოდელი დასრულდა. ჯერ მსოფლიო ღმერთი ანდროგინი, მერე ეროვნული ღმერთი - ანდროგინი, თამარის და შოთას ერთიანობა, მათი ანდროგინული მთელი, მერე თამარის ცოდვადდაცემა, მისი გამოძევება ეროვნული სამოთხიდან, მისი ლეჩაქმოხდილ ტურფად ქცევა და შოთას და მისი ჰიპოსტასების მიერ თამარ-საქართველოს თანამედროვე გამოვლენათა მოქცევა. არაჩვეულებრივაად განლაგდა მარადიულ-ქალურის გასაღებით იდეალური და არაიდეალური, ლტოლვის ღირსი და მოსაქცევი საქართველოს სახეები - მით უფრო, რომ ყველა იდეალურ საქართველოს სახელი ან ნათელთან (ნათელ-ა) ან სულთან (სული-კო) იყო დაკავშირებული ან იყო ნათლით მობურული ნესტანი ან მარადიულ-ქალურით, გმირისადმი სიყვარულით სავსე დედა. არაიდეალური საქართველოები კი რაღაც მარიამ მაგდალინელის მსგავსნი იყვნენ, ვისაც მოქცევა ჭირდება, ან უსიყვარულო დედინაცვალს ჰგავდნენ, რომელიც უპირისპირდებოდა დედას.

საერთოდ, აკაკის მთელი შემოქმედება მოძღვრებაა სიყვარულზე და სულზე. აქ ვერ შეხვდებით სახეს, მოდელის დეტალს, რომელში შეღწევაც ამ გასაღების გარეშე ხდებოდეს. სიყვარულის ნიჭი აძლევს ნებისმიერ არსებას ღირებულებას.

შემოქმედებითი პროცესიც სიყვარულის სახეა. იდეათა სამყაროსკენ, ჭეშმარიტებისკენ ლტოლვის და მისი წვდომის პროცესია. როცა პოეტი ან აღწევს იმქვეყნიურ საზრისამდე ან, პირიქით, ღმერთი ჩამოიღვრება მასში. შემოქმედებითი პროცესი თვითონაც განცდილი იყო მის მიერ როგორც დნობა, ღლობა, დუღილი, გულის ჩანგის სიმებზე დადნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ხომერიკი

# ბერი ფილადელფოსი და იერემია წინასწარმეტყველი

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი ბერმონაზონი ფილადელფოს კიკნაძე 1833 წლის იანვარში დააპატიმრეს. იგი პატიმრობაში გარდაიცვალა. მის საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ „დაწერა ორი აღმაშფოთებელი და დასაძრახისი თხზულება და ცდილობდა საიდუმლო საზოგადოების დაარსებას, რისთვისაც შეადგინა საიდუმლო და მავნე გონებრივი წესები“. ეს თხზულებებია: „გოდებანი იერემიასი, ძისა ენეისნი ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა“, „სიყვარული მამულისა“ და „აკტი გონიერი“. კომისიის მასალებში ფ. კიკნაძის სხვა თხზულებები ნახსენები არ არის, რის გამოც ითვლებოდა, რომ ისინი ჩხრეკის დროს გაანადგურეს. ამ აზრის განმტკიცებას ზ. ჭიჭინაძის მიერ მიწოდებულმა მცდარმა ცნობამაც შეუწყო ხელი („ისტორია ფარული საზოგადოებისა“ ფილადელფოს კიკნაძე. ტფილისი 1919 წ.).

საარქივო ფონდებში მივაკვლიეთ ფ. კიკნაძის ქადაგებებს, გრამატიკულ ნაშრომს და სხვა საინტერესო ნაწერებს. ამჟამად ჩვენ მხოლოდ „იერემიას გოდებას“ განვიხილავთ. ამ თხზულების არსებობის შესახებ პირველად მ. პოლიევქტოვმა გვამცნო 1927 წელს, შემდეგ გ. გოზალიშვილმა მოიხსენია, ხოლო 1996 იგი თ. კუკავამ გამოაქვეყნა.

ფ. კიკნაძე დაკითხვის დროს იძულებული იყო ეთქვა, რომ მან პორფირი ბერის წაქეზებით დაწერა „მამულის სიყვარული“ და „იერემიას გოდება“. პორფირი უკვე გარდაცვლილი იყო და მას პასუხს ვერ მოჰკითხავდნენ. ფილადელფოსმა განაცხადა: „მაიძულა ბევრჯელ და შევთხზე დაცემისათვის საქართველოისა ალლილორიებ პოემა ტრაღედიური, არა თუ აწინდელისათვის მდგომარეობისა არამედ დროისათვის ოდეს მურვან ყრუმან სპარსეთისამან სრულებით მოაოხრა იგი“. ამ სიტყვებზე დაყრდნობით, თ. კუკავა ფიქრობს, რომ ეს პოემა „ეხებოდა მურვან ყრუს შემოსევას საქართველოში... ფილადელფოსი ამ პოემას უწოდებს „ალლილორიას“, რაც იმას ნიშნავს, რომ მურვან ყრუში და მის მიერ საქართველოს აოხრებაში სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობას გულისხმობს“. მკვლევარი გამოთქვამს სინანულს პოემის დაკარგვის გამო: „სამწუხაროდ, ამ პოემამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ის დაიკარგა პირველი დაპატიმრების ან მეორე დაპატიმრებისას ჩხრეკის დროს. შესაძლებელია, თვით ფილადელფოსმა მოსპო ის კონსპირაციის მიზნით, რათა პოლიციისათვის დაემალა თავისი პატრიოტული პოლიტიკური თვალსაზრისი, რაც საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლებას გულისხმობდა. ამ პოემის დაკარგვა დიდი დანაკლისია“.

აქ გვიჩნდება მთელი რიგი კითხვები: თუ პოემა ჩხრეკის დროს დაიკარგა და საგამომძიებლო კომისიამდე ვერ მიაღწია, მაშინ რა აიძულებდა ფილადელფოსს, რომ მისი არსებობა გაემჟღავნებინა? (მით უმეტეს, თუ მან პოემა თვითონ მოსპო კონსპირაციის მიზნით), თუ პოემა მურვან ყრუს ეხებოდა, მაშინ ფილადელფოსი თავის ჩვენებაში რატომ უწოდებდა მას ალეგორიულს? ამგვარი განსაზღვრით ის ხომ კომისიას მიახვედრებდა, რომ მურვან ყრუს მიერ საქართველოს აოხრებაში - რუსეთის მიერ თავისი სამშობლოს დაპყრობას გულისხმობდა?

თავის ჩვენებაში ფ. კიკნაძე ცდილობს, დაარწმუნოს კომისია, რომ მისი 40 მუხლისაგან შემდგარი პოემა მურვან ყრუს შემოსევას შეეხება და არა ახლანდელ დროს. მისივე სხვა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ლაპარაკია „იერემიას გოდებაზე“, რომელსაც ის „ორმოც მუხლოვანს“ უწოდებს, თუმცა თხზულება 38 მუხლისაგან შედგება. ახლა გასაგები ხდება, რომ ფილადელფოსი კონსპირაციის მიზნით ამბობდა, თითქოს პოემა ალეგორიულად მურვან ყრუს შემოსევას გულისხმობდა, მაგრამ, აშკარაა, კომისია ამას არ დაიჯერებდა, რადგან პოემის სათაურშივე იყო განცხადებული, რომ იერემია გოდებდა „ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა აწინდელსა ზედა“. ფ. კიკნაძე თავს იმართლებდა: „ხოლო აწინდელისათვის მდგომარეობის იყო მადლობა როსიულისა მფარველობისა და ყვედრება ქართველთ საზოგადოებისა რომელ მათ არ უწყიან გრძნობა ამისი, არამედ მხოლოდ ეძიებენ გემოთ მოყვარებასა, ესე იყო ორმოცი მუხლი, და ოდეს მივეც მას (პორფირი ბერს - მ. ხ.) შავი და წარიკითხა, გადმომიგდო და მითხრა მოშალეო ქება როსიისა მთავრობისაო, მე იგი არ მოვშალე და დაშთა შავი ესევ ჩემთან, რომელიც ურევია უთოთ იმ ქაღალდებში რომელიც ახლა ჩემის სენაკიდამ აკრიფეს“. თ. კუკავას, ვფიქრობთ, ეს სიტყვებიც არასწორად გაუგია და ასკვნის, რომ მურვან ყრუს შესახებ პოემა ფილადელფოსის „სენაკიდან წაღებულ ქაღალდებში აერიათ, მაგრამ შესაძლებელია, პოემა მან თვითვე მოსპო კონსპირაციის მიზნით“. რუსეთის ქების ფაქტს მკვლევარი საერთოდ არ ახსენებს, არადა, განსახილველი პოემის სირთულე სწორედ იმ წინააღმდეგობებშია, რომელსაც ის შეიცავს. მისი ორი პარაგრაფი თვალის ასახვევად რუსეთის ქებას ეძღვნება; გარდა ამისა, ფ. კიკნაძის ქაღალდებში მივაკვლიეთ უსათაურო ტექსტს, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ძნელბედობა რუსეთთან შეერთებამდე: შემდეგ „გამოჩნდა ბრძენი, გამოჩნდა სახიერი ძლიერი მეფე. ძლიერი განმგებ-



ელი სხვა მაკედონელი სხვა დიდი ალექსანდრე...“ დიდი ქება-დიდებით არის მოხსენიებული იმპერატორი. შესაძლებელია, რომ ფილადელფოსი თავის ჩვენებაში ცდილობდა, სწორედ ეს ტექსტი გამოეცხადებინა პოემის დასასრულად, რის გამოც 38 მუხლის ნაცვლად 40 მუხლს ასახელებდა. ჩვენებაში ფილადელფოსი ამბობს, რომ პორფირი ბერის გავლენით მცირე შეცდომა დაუშვა: „მომეცა შეცთომა რომელ მცირედი რაიმე გაკვრით მოხსენიებულ იყო ყოფნისათვის რუსთა, არა უშესაბამოდ არცა გონებით, ვითარცა თვით ამტკიცებს დასასრულსა შინა მადლობა ამას მთავრობისა და მადლობა ღვთისა, რომ მოწყალებითა რუსთა კვალად ქამი მოხედვისა და ქამი სუფევისა ჩუენისა და ვცხოვრობთ ისევ ქრისტიანობასა შინა, ძლეული ვნებათაგან. შევჰცთი ამას ზედა შინა და მხოლოდ ოდენ გრძნობა ჩემი ამას იპყრობს თვისა შორის მტანჯუელობითსა სინდისსა“.

ჩვენი აზრით, რუსეთის ქება ფილადელფოსმა მხოლოდ იმ მიზნით ჩართო პოემაში, რომ თავისთვის ერთგვარი ალიბი შეექმნა. მთელი ნაწარმოები გამოხატავს ქართველი პატრიოტის უდიდეს მწუხარებასა და გლოვას საქართველოს გაპარტახების გამო, რაც ალეგორიულად დამოუკიდებლობის დაკარგვას გულისხმობს. ფილადელფოსი ნათლად მიუთითებს თუ საიდან მოდის ყოველი უბედურება: „ყოველნივე მიიტაცა ქარმან ბნელისა პოლუსისმაან!“ თხზულების წინააღმდეგობრივი ხასიათი კომისიას არ გამოპარვია, დასკვნაში ვკითხულობთ: „ეს თხზულება ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მავნედ, განსაკუთრებით ამაღელვებლად, თუმცა მასშიაც ადგილ-ადგილ (§29 და 35) პირდაპირ მოცემულია ქება რუსეთისა, მაგრამ თხზულებაში საერთოდ ძნელია რაიმე გარკვეული მიზნის გამოყოფა, რომელიც თითქოს თვით ავტორსაც ეცვლებოდა. უფრო შესამჩნევია საქართველოს საყვედური უკანონობის გამო... და ჩივილი მისი ძველი თვითმყოფადი არსებობის შეცვლის გამო“.

თ. კუკავა, მართალია, წინააღმდეგობებს არ ეხება, მაგრამ მაინც სწორად ხსნის ნაწარმოების მიზანდასახულობას: „როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ივერიის მდგომარეობის წარმოსახვას.

ავტორი იერემიას პირით გლოვობს ივერიის დაცემას, მის განადგურებას გარეშე დამპყრობთაგან. ფილადელფოსი წარმოგვიდგება უდიდეს პატრიოტად, რომელიც მწვავედ განიცდის საქართველოს სავალალო მდგომარეობას, მდიდარი მხატვრული და პოეტური საღებავებით აღწერს იმ დიდ განსაცდელს, რომელიც კარს მოსდგომია ივერიას. ამიტომ ცდილობს აღაგზნოს ივერნი სამშობლოს დასახსნელად ბრძოლისათვის, განაწყოს ისინი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, თავგანწირვისათვის...“ მიუხედავად იმისა, რომ თ. კუკავა სწორად გადმოგვცემს ფ. კიკნაძის მიერ აღწერილ ივერიის უბედურებას, ის მაინც არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს პოემის დასასრულს. ფილადელფოსი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ მთელმა ერმა ხელაპყრობით შესთხოვოს უფალს გადარჩენა:

„აღსდეგით, ძენო ნათესავთა ჩვენთანო ღამესა შინა და იჭვრიტეთ მინუტთა ქუეშე განთიადისა თქუენისათა, განფინეთ, ვითარცა წყალი, გულნი თქუენნი წინაშე მაღლისა, აღიპყრენით მისდამი ხელნი თქუენნი სულთათვის, ჩჩვილთათვის, ყრმათა თქვენთასა, რათამცა იხილოს უფალმან და ზედ მოიხილოს თქუენ ზედა!“

თ. კუკავა თავის გამოკვლევაში ამ ციტატას შეცვლილი სახით იმოწმებს, რის გამოც ლოცვისკენ მოწოდება სრულიად იკარგება: „აღსდეგით ძენო ნათესავთა ჩვენ თანა... განფინეთ ხელნი თქუენნი სულთათვის, ჩვილთათვის, ყრმათა თქვენთასა, რათამცა იხილოს უფალმან და ზედ მოიხილოს თქუენზედა“. როგორც ვხედავთ, თ. კუკავამ საჭირო ფრაზის მრავალწერტილით შეცვლით და სიტყვათა გადაადგილებით ფილადელფოსის მოწოდებას სხვა შინაარსი შესძინა. ისე გამოდის, თითქოს ფილადელფოსი ივერიელებს პირდაპირ მოუწოდებს: აღსდექით და იბრძოლეთო! რასაკვირველია, ფილადელფოსის მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ ის არასოდეს პირდაპირ არ იტყოდა სათქმელს და არც პროკლამაციას დაწერდა. ეს მისი სტილი არ იყო. ფილადელფოსი ყოველთვის იტოვებდა უკან დასახევ გზას. ისეთ მგზნებარე პატრიოტულ პოემაშიც კი, როგორიცაა „იერემიას გოდება“, მან იმგვარი სტრიქონები შეიტანა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში თავის მართლების საშუალებას მისცემდა.

თ. კუკავას მიერ კიკნაძისეული ტექსტის დამახინჯებულმა ციტირებამ სხვა ავტორებიც შეცდომაში შეიყვანა. მათ იცოდნენ, რომ ფილადელფოსი - იერემია თავის თავს ბიბლიურ წინასწარმეტყველთან აიგივებდა (რომელიც მორჩილებას ქადაგებდა), ამიტომ გაუკვირდათ მისგან ამგვარი საბრძოლო მოწოდების მოსმენა და ამ შეუსაბამობის ახსნის ძიება დაიწყეს.

გამოითქვა შემდეგი მოსაზრება: „ფილადელფოსის წარმოსახვაში გამთლიანდა ესაია და იერემია და ანდერძი თუ ესაიასი აღიარა, სახელი და რელიგიურპოეტური ექსპრესია იერემიასი აირჩია“.

ჩვენი აზრით კი, ფილადელფოსის თხზულება მთლიანად ბიბლიისეული „იერემიას გოდების“ მოდელის მიხედვით არის შექმნილი. დავიწყოთ მისი ფორმით. თ. კუკავა წერს: „ეს ნაშრომი ერთგვარი თეთრი ლექსია, დანაწევრებული სტროფებად, რომელთაგან თითოეული შეესაბამება თანამიმდევრულად ქართული ანბანის რომელიმე ასოს. ნაშრომში შეიგრძნობა შინაგანი რიტმი და დიდი ემოციური დატვირთულობა“. ჩვენ მას სავსებით ვეთანხმებით, მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებულ თხზულებაში სტროფები დანომრილია არაბული ციფრებით, ამიტომ გაუგებარი ხდება მათი მიმართება ქართულ ანბანთან. აუცილებლად ვთლით შემდეგ განმარტებას: დედანში სტროფები დანომრილია ქართული ასოებით. გამოყენე-

ბულია არა ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა, არამედ ასოთა თანამიმდევრობა. ასე მაგალითად, თუ ასო „ლ“-ს რიცხვითი მნიშვნელობაა - 30, თანამიმდევრობით ის შეესაბამება მე-12 სტროფს და ა. შ. ამ საკითხზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ იგი გვიჩვენებს ფილადელფოსის თხზულების გარეგნულ მსგავსებას ბიბლიურ „გოდებასთან“, რომლის 5 ელეგიიდან თითოეულში შედის 22 ლექსი ებრაული ანბანის ასოთა რაოდენობის მიხედვით. (Еврейская Энциклопедия. т. XII, ст. 411-412). პირველი ოთხი ელეგია აგებულია ანბანურ აკროსტიხზე, ხოლო მეხუთე ელეგია არ არის შეზღუდული ანბანური აკროსტიხით, თუმცა ისიც 22 ლექსისაგან შედგება. სწორედ მეხუთე ელეგიის ფორმა გამოიყენა ფილადელფოსმა და თავისი „ორმოცმუხლოვანი“ პოემის სტროფების რიცხვი ქართული ანბანის ასოთა რიცხვს დაამთხვია, რომელიც გრამატიკის სხვადასხვა სახელმძღვანელოების მიხედვით 38-დან 40-მდე მერყეობდა.

ბიბლიის ებრაულ ხელნაწერ და ნაბეჭდ გამოცემებში იერემიას გოდების წიგნს ეწოდება - „როგორ!“ იმ სიტყვის მიხედვით, რომლითაც იწყება მისი პირველი ელეგია (Толковая Библия т.2. Петербург, 1908-1913, ст. 153). - როგორი დაცარიელებულია ოდესღაც ხალხმრავალი იერუსალიმიო - ჰგოდებს იერემია. „ვითარიმე არს მდგომარეობა შენი, ქალაქო მცხეთისაო?“ - ასე იწყებს თავის გოდებას იერემია-ფილადელფოსი. იერემია წინასწარმეტყველი ხან თავისი სახელით გოდებს, ხან იერუსალიმის სახელით. ზუსტად ასევე, ქართველი იერემია ხან თავისი ქვეყნის ბედს დასტირის, ხან მცხეთისა თუ ივერიის სათქმელს ამბობს.

ახლა რაც შეეხება შინაარსობრივ მსგავსებას. იერემია წინასწარმეტყველის გოდების მიზეზია ეროვნული უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ებრაელ ხალხს. ისინი სხვის მეხარკედ გადაქცეულან. სავალალოა დედაქალაქის მდგომარეობა, იერუსალიმი წარმოდგენილია ყველასგან მიტოვებული ქვრივის სახით. დამწუხრებულან მისი ქალწულნი. იუდეაც დაცარიელდა, მცხოვრებნი გადასახლდნენ სხვა ქვეყნებში, ცრუ მეგობრებმა და მოკავშირეებმა უმტყუნეს იერუსალიმს და ახლა ხარობენ მის თავზე დატეხილი უბედურებით. ციხესიმაგრეები და სასახლეები ნანგრევებად არის ქცეული, ღვთის სახლში მტრები ხმაურობენ, ქუჩებში დახოცილი ყმაწვილები და მოხუცები წვანან, მეფე და კარისკაცეები ტყვეობაში იმყოფებიან. საკურთხეველი და სალოცავი მიტოვებულია ღმერთისგან, ქალაქში სიმშილი მძვინვარებს, მატერიალურ გაჩანაგებას ხალხის სულიერი გაღარიბებაც ერთვის. იგივე სურათია აღწერილი ფილადელფოსის მიერ იერემიას პირით: სავალალოა მცხეთის, თბილისის, გრემის და მთლიანად ივერიის მდგომარეობა. ავტორი ასე მიმართავს მცხეთას: „განისვენა მტერმან შენმან ხილვასა ზედა შენსა... ხოლო უკანასკნელ მეგობართა გისწვიეს შენ დაქცევასა შინა მღუდეთასა. განცრუვნა სიქადული მამულისა შინა ივერიისა“. მცხეთის დიდებული ტაძარი, ღამურათა ბუდედ შეირაცხა და საკურთხეველზე ხავსი აღმოცენდა. „რასა ნუგეშინის ცემასა აღმითქუამ მე, ვახტანგისა ქალაქო“ - ეკითხება იერემია-ფილადელფოსი თბილისს. „გევედრებით თქვენ, ძენო მამულისანო, მაუწყოთ მე, სადა იყოფით, ანუ თავი საზოგადოება სატახტოს ქალაქისა თქუენისას, რომლისა უბანსა შინა დამკვიდრებულ არს სურვილი ხილვისა მათისა... ვერ ვპოვე მუნ საზოგადოება ვახტანგისა ქალაქისა. ყოველნი ძენი ადამისნი მავალნი და მცხოვრებნი მის შორის, არიან განყოფილნი ურთიერთ არს, სამოსელსა შინა, ენისა, სჯულისა, პოლიტიკისა, სახესა მამულისა და სარწმუნოებასა. ტფილისი შედგმულ არს ესრევითარითა რიცხვითა, გარნა მაუწყე მე, დიდო მზეო, სად არის საკუთრება ივეერიელთა?“

რა არის ესოდენ დიდი უბედურების მიზეზი? იერემია წინასწარმეტყველის მტკიცებით, ხალხს საკუთარი ცოდვების გამო დაატყდა თავს ღვთის რისხვა. ღმერთმა მტრების ხელში ჩააგდო ცოდვილი ერი. გარეშე დამპყრობლები მხოლოდ იარაღს წარმოადგენენ, რომლის მეშვეობით უფალს თავისი განაჩენი სისრულეში მოჰყავს. ანალოგიურად წარმოუდგენია ქართველთა უბედურების მიზეზი იბერიელ იერემიას (ფილადელფოს კიკნაძის გმირს არაფერი აქვს საერთო ისტორიულ პიროვნებასთან - იერემია იბერიელთან, რომელიც მეხუთე საუკუნეში იბერიის ეპისკოპოსი ყოფილა, იერემია-ფილადელფოსი.

*„ჰოი მე, რავდენ გზის ინება უფალმან შეკრება შვილთა შენთა და შენ არ ინებე. ამისთვისაცა უკანასკნელ მოგძარცვნა ღობენი შენნი და იქმენ დასათრგუნველ უცხოთა“ ეს არის ქართველთა უმთავრესი ცოდვა.*

იერემია წინასწარმეტყველი ამბობს, რომ ხალხის ცოდვამ, როგორც ჩანს სოდომის ცოდვას გადაამეტა რადგან ეს ქალაქი ერთ წამში დაიღუპა, მაშინ როდესაც ებრაელების ტანჯვა ხანგრძლივია. „გისწავიეს შენ მხოლოდ ჭამა მარხვისა და გულისთქმა ვნებული არა უადრეს სოდომისა...“ - ეუბნება თავის ერს იერემია-ფილადელფოსი, მაგრამ არც ერთ იერემიას არ ემეტება თავისი ხალხი სასჯელისათვის. იერემია წინასწარმეტყველი ხსნას უფალს შესთხოვს: „შენსკენ მოგვაქციე, უფალო და მოვიქცევით; განგვიახლე დღეები, როგორც ძველად იყო.

ნუთუ საბოლოოდ შეგვიძულე და უზომოდ გაჯავრდი ჩვენზე?“ (ბიბლია, თბილისი 1980, იერემიას გოდება 5. 21, 22).

იერემია-ფილადელფოსიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსავალს იმაში ხედავს, რომ მთელი ერი გაერთიანდეს და აღავლინოს ლოცვა „რათამცა იხილოს უფალმან და ზედ მოიხილოს თქუენ ზედა!“

როგორც ვხედავთ, ფილადელფოსის იერემია პირდაპირ არ მოუწოდებს ხალხს ბრძოლისაკენ, მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი, რომ ის საქართველოს „აწინდელ“ მდგომარეობას დასტირის - უდიდესი პროტესტის გამომხატველი და საზოგადოების გამომაფხიზლებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, ორივე იერემია ტრაგიკულად აღესრულა. ბიბლიური წინასწარმეტყველების ტრაგიკული აღსასრული ერთგვარ კანონზომიერებად იყო ქცეული, რამაც თავის მხრივ დაამკვიდრა აზრი, რომ წინასწარმეტყველთა სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა მთელი მათი წინასწარმეტყველების საქმით დაგვირგვინება. ასეთი ხვედრი ერგო იერემია წინასწარმეტყველსაც და თავად ფილადელფოსსაც, რომელიც თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილიანა ჯანაშია

# ანტიუტოპიის ფენომენი XX საუკუნის ლიტერატურაში

XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში აღმოცენებული ახალი ჟანრული სტრუქტურა-ანტიუტოპია ადამიანის ბუნებაზე უტოპისტურ შეხედულებასთან დავაში ამტკიცებს, რომ ადამიანებისთვის სიცოცხლეს აზრი და ღირებულება ენიჭება, როგორც ოდენ მარადიულ სწრაფვას (იდეალისკენ), დაფუძნებულს არასრულყოფილ ცოდნაზე ამ ამოუცნობ სამყაროში.

XVI-XX საუკუნეების უტოპიურ ლიტერატურას, რომელიც სავსეა წარსულისა და მომავლის „ოქროს ხანის" სურათებით, დაუპირისპირდა ნაწარმოებები, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებს სოციალური ჰარმონიის იდეას.

ერთ-ერთი პირველი „კლასიკური" ანტიუტოპია ეკუთვნის ევგენი ზამიატინს. მის რომანში „ჩვენ" ნაჩვენები ტოტალიტარული საზოგადოება, დამყარებული ადამიანების „ბედნიერების" მომწყობთა ერთპიროვნულ მმართველობასა და ინდივიდების უსიტყვო მორჩილებაზე „საყოველთაო განცხრომის" სახელმწიფოსადმი, გვევლინება ერთგვარ არქეტიპად შემდგომი ანტიუტოპიური ქმნილებებისა. ანტიუტოპიურ ნაწარმოებებში ნათლად გამოირჩევა ორი ტიპის „იდეალური" საზოგადოება. ევგენი ზამიატინის რომანში „ჩვენ", ოლდოს ჰაქსლის ანტიუტოპიებში „ ო, ეს საოცარი ახალი სამყარო", „მაიმუნი და არსი", ვლადიმერ ნაბოკოვის რომანში „მიპატიჟება სიკვდილით დასჯაზე", ანდრეი პლატონოვის „ჩევენგურში" და სხვებში მოქალაქეთა „კეთილდღეობა" დამყარებულია ყველაზე პრიმიტიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ადამიანის ცხოვრება აქ გვევლინება „ზრდადასრულებული ხისთავიანების განცხრომულ არარსებობად" (ვლ. ნაბოკოვი).

ადამიანთა ურთიერთობის განსხვავებულ პრინციპებს აღწერს ჰერმან ჰესე რომანში „ბისერის თამაში" („შუშის მძივების თამაში"). პატარა, ელიტარული სახელმწიფო, კასტალია წარმოადგენს ერთობას, რომლის წევრებიც ცხოვრებით ტკბობასა და მის უმაღლეს არსს პოულობენ განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ურთიერთობაში - „მეცნიერებისა და კულტურის ყველა ფასეულობით თამაშში". ეს საშუალებას აძლევს მათ, მიაღწიონ სრულყოფას მეცნიერულ ცოდნასა და მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა დარგში. ჰესეს კასტალია მოწოდებულია, ხელუხლებლად შეინარჩუნოს ინტელექტუალური სიწმინდე და კაცობრიობის მიერ დაგროვილი სულიერი სიმდიდრე. რესპუბლიკა თავისი მოქალაქეებისაგან მოითხოვს არა მარტო თამაშის წესების ცოდნას, არამედ ჩაღრმავებულ გარინდებას, მედიტაციას. კასტალიაში ცხოვრების აუცილებელი პირობაა უარის თქმა საკუთრებაზე, ოჯახზე, კომფორტზე-ასკეტიზმი. ეს არის ფასი მსოფლიოს მზადყოფნისათვის, შეინახოს „მეცნიერების რესპუბლიკა". მეცნიერებისა, რომლებმაც ივალეს არა განავითარონ, არამედ მხოლოდ გააღრმავონ ცოდნა, მოახდინონ ხელოვნებისა და მეცნიერების კლასიფიკაცია, რადგან აქ თვლიან, რომ ყოველნაირი განვითარება და, მითუმეტეს, ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მეცნიერებისა და ხელოვნების სიწმინდეს ემუქრება.

ანტიუტოპიებში მერმისი თანამედროვეობის ზედმიწევნით ნათელ ასახვას ემსახურება. კარინ ბოიე რომანში „კალოკაინი" (1940), ჯორჯ ორუელი ანტიუტოპიებში „საქონლის ერბო, (1945) და „1984" 2 1949), მანამდე კი ზამიატინი რომანში „ჩვენ" (1921) გვიჩვენებენ ადამიანის სახედაკარგულ არსებებს, რომლებიც სიხარულით ემორჩილებიან ტოტალიტარულ მანქანას. შემორჩენილია მხოლოდ ნაპერწკლები თავისუფალი აზროვნებისა, სულიერი ცხოვრების უბადრუკი ნარჩენები.

აიზეკ აზიმოვის ანტიუტოპიაში „მარადისობის დასასრული", ადამიანთა ორგანიზაციას, რომელმაც ამოიცნო დროის საიდუმლოება, ამოძრავებს მიწიერი ცხოვრების სრულყოფის იდეა. ისინი თავის ვალად თვლიან კაცობრიობის დაცვას ძვრებისა და კატაკლიზმებისაგან.

რაც უნდა ამაზრზენად ან, პირიქით, მიმზიდველად გამოიყურებოდეს ანტიუტოპიებში ასახული საზოგადოებრივი სისტემების ტიპები, მათ მოწყობას ერთი ხინჯი აქვს - აქ ადამიანი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად განაგოს თავისი ბედი. „სრულყოფილი" სამყარო კლავს ოცნებას, თუმცა კი თვით არის მისი ნაყოფი. ამრიგად, „აღსრულებული ოცნებების" საზოგადოებას ადამიანის მრავალფეროვანი შესაძლებლობების განვითარების ნაცვლად მიჰყავს იგი პიროვნების სრული დეგრადაციისაკენ, გადააქცევს რა მას გარე სოციალური ზემოქმედების დამჯერე მექანიზმად.

ანტიუტოპია, რომელიც გამოჩნდა ბევრად უფრო ადრე, როგორც მხატვრული პირობითობის ფორმა (სერვანტესი, სვიფტი, დოსტოევსკი და ა. შ.), სწორედ XX საუკუნეში იწყებს ერთ-ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალურ და ახალი დროის ლიტერატურისათვის პროდუქტიულ ჟანრად ჩამოყალიბებას.

ისტორიულ პლანში ანტიუტოპიის დამოუკიდებელ ჟანრად გამოყოფის მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ თავად უტოპიასა და მის რეალურად განხორციელებას შორის მანძილი საგრძნობლად შემცირდა. როგორც რუსი ფილოსოფოსი, ნიკოლაი ბერდიაევი წერს: „უტოპიები ბევრად უფრო ხელმისაწვდომი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ადრე გვეჩვენებოდა და ახლა დგას სხვა საკითხი: როგორ ავიცილოთ მათი საბოლოო განხორციელება... როგორ დავუბრუნდეთ არაუტოპიურ საზოგადოებას, ნაკლებად სრულყოფილს“.

ანტიუტოპიის აღმოცენების მიზეზად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება XX საუკუნის დასაწყისში. მეცნიერებისა და ტექნიკური გამოგონებების თემა ყოველთვის იყო უტოპისტებისა და ანტიუტოპისტების ყურადღების ცენტრში.

ანტიუტოპიები მცირერიცხოვანია და ჩნდება, უმთავრესად, კრიზისულ პერიოდებში, დამკვიდრებული სულიერი ფასეულობების გადაფასების მომენტში. მაგალითად, საბჭოთა პერიოდის 80-იან წლებში გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ეპოქაში ჩნდება გმირი, სიკეთისა და მშვენიერების მაღალი იდეალების ერთგული, რომელიც ისწრაფვის ამ იდეალების მიტანას საზოგადოების შეგნებამდე და ტრაგიკულად იღუპება. ეს არის „უტოპიური“ გმირი ჩინგიზ აითმატოვის რომანისა „სასაკლაო“, რომელიც ქმნის ახალ რელიგიურ-ეთიკურ მოძღვრებას, დაფუძნებულს ქრისტიანობის მეტად თავისებურ აღქმაზე. აიტმატოვის რომანი პასუხობს ანტიუტოპიის ყველა ჟანრულ კრიტერიუმს და შეიძლება განიხილოს მისი ტრადიციების შემდგომი განვითარების ნაკადში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ევროპულ ლიტერატურაში ანტიუტოპიის ჟანრის მამამთავრად შეიძლება ჩაითვალოს ჯონათან სვიფტი რომანით „გულივერის მოგზაურობა“. ინგლისელი მწერლის ოლდოს ჰაქსლის ცნობიერებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე აღიბეჭდა სვიფტის ნაწარმოებში გამოყენებული სახეები, სვიფტისა, რომელიც, საერთოდ, ეჭვის თვალით უყურებს ადამიანის ბუნებას.

ანტიჰუმანური ცივილიზაციის ხატი, ცივილიზაციისა, სადაც პრიმიტიული, მაიმუნური საწყისი იმარჯვებს ადამიანურზე, იმარჯვებს გონიერებასა და სულიერებაზე, ჰაქსლის ანტიუტოპიაში „მრავალი წლის შემდეგ“ ნაკარნახევი იყო „გულივერის მოგზაურობის“ ერთ-ერთი ეპიზოდით. როგორც თვით ავტორი ამბობს, სამყარო, რომელშიც სახელმწიფოები შეიარაღებულია ზემძლავრი ატომური იარაღით, აგონებს მას სვიფტის სცენას, სადაც გულივერი მოქცეულია მაიმუნის თათებში.

უაზრო, კონვეირული შრომისა და ასევე უაზრო მექანიკური ფიზიოლოგიის სამყაროში თავისუფალი, ბუნებრივი ადამიანი ისეთივე ეგზოტიკური მოვლენაა დაპროგრამებული ველური ბრბოსათვის, როგორც „სტერეოლმუილა ფილმი გორილების ქორწილზე ან ვეშაპის სასიყვარულო ცხოვრებაზე“. ტყუილად კი არ არის მათთვის „ველური“ თავისი წარმოდგენებით სიკეთესა და სიყვარულზე ამ „საოცარ“ სამყაროში საიდანღაც მოვლენილი ცხოველის, მაიმუნის დარი. ამ ქვეყანაში მაიმუნი და ადამიანი ადგილებს ინაცვლებენ. საზოგადოება სულიერ დეგრადაციას განიცდის და პრიმატების დონემდე ეშვება, განსხვავდება მათგან მხოლოდ ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის ცოდნით. ამ საზოგადოებამ ფარაში ცხოვრება პროგრესად გამოაცხადა და პირიქით, სულიერებაშენარჩუნებული ადამიანი მოარულ ატავიზმად, ცოცხალ მაიმუნად წარმოგვიდგენია.

Homo Sapiens-ის არსის შეცნობა, ადამიანის, რომელიც ხან ინსტინქტური სიბრძნის განსახიერებად, ხან გონიერ და სახიფათო ცხოველად და ხანაც რაღაც უცნაურ არსებად გვევლინება, რომელიც ვერ ამოიცნობა ვერც დარვინის ევოლუციის თეორიით, ვერც ქრისტიანული თეოლოგიით – XX საუკუნის ანტიუტოპიების ძირითადი თემაა.

თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად XX საუკუნის ანტიუტოპიებს აერთიანებს აზრი იმის შესახებ, რომ ზნეობრივი სრულყოფის გარეშე, რომელიც არ არის შემოფარგლული არც ქრისტიანული დოგმატიკით, არც სხვა რამ ორთოდოქსიით, უმაღლეს აბსოლუტთან მისტიკური შერწყმის გარეშე, მხოლოდ საკუთარი „მე“-სა და საკუთარი სურვილების დონეზე, ადამიანი განწირულია ბოროტი ქმედებებისათვის.

ისწრაფვის რა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, იდეალებისაკენ, რომლებიც მისი საკუთარი არასრულყოფილი პიროვნების პროექციაა, ადამიანი ქმნის მხოლოდ ტყვეობისა და უბედურების ფორმებს: იქნება ეს საფრანგეთის დიადი რევოლუცია თუ ნაპოლეონი, ფრანკიზმი თუ სტალინიზმი, ფაშიზმი თუ კომუნიზმი – გაუთავებელი ჯაჭვი ტოტალიტარული რეჟიმებისა. ამავე რიგშია არცთუ ისე შესამჩნევი, მაგრამ მეტად დახვეწილი მანიპულირება საზოგადოებრივი აზრით დემოკრატიის პირობებში.

აქ ჩვენ დავუბრუნდებით დოსტოევსკის: „ადამიანის სურვილები ირაციონალურია. მას შეიძლება სურდეს ტანჯვაც, ქაოსიც, ის შეიძლება ისწრაფოდეს საკუთარი პიროვნების განადგურებისაკენ. ამიტომ ცხოვრების საუკეთესო პირობები საზარელია მისთვის, თუკი ეს სხვის მიერ არის თავსმოხვეული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულნაზ კაკაშვილი

## კაი ყმა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირები

შუა საუკუნეების მწერლობაში, როდესაც მსოფლიო ლიტერატურაში საგმირო-სარაინდო ჟანრი განვითარდა, ადამიანის იდეალი რაინდის სახეში გამოვლინდა და განსხეულდა. საქართველოში რაინდისა და რაინდობის გაგება მეთერთმეტე მეთორმეტე საუკუნეებში ჩამოყალიბებულ საერო ლიტერატურას დაუკავშირდა, როცა რაინდობა რეალურად არსებული სამხედრო-არისტოკრატული ფენა იყო და რაინდი ამ ეპოქის ლიტერატურის ინტერესის საგანი გახდა.

ეს იყო დრო, როდესაც გარეშე მტრებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში გამარჯვებული საქართველო საზოგადოებრივი ცხოვრების ძალთა მძლავრ ჭიდილში პატრონყმურ ურთიერთობას ამკვიდრებდა და ცენტრალურ ხელისუფლებას აძლიერებდა, რითაც საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. ყოველივე ეს ლიტერატურულად წარმოისახა კეთილი რაინდის ფიგურაში, რომელიც ამ საზოგადოების დამცველი, მისი უშიშროების უზრუნველმყოფი, მისი ბედნიერების თავმდები იყო. საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათსაც ძირითადად რაინდობა განსაზღვრავდა, რადგან იგი იყო ზნეობრივად და ფიზიკურად სრულქმნილი, ჰარმონიული ადამიანი. ცხადია, რაინდული სრულყოფილება დიდად დავალებულია ხალხურ პოეზიაში დამკვიდრებული გმირის იდეალისა და სასულიერო მწერლობის იდეალური გმირისაგან.

რა მსგავსება და რა განსხვავებაა ხალხურ კაი ყმასა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირ რაინდს შორის?

ხალხური პოეზია, სადაც სრულყოფილად არის წარმოჩენილი ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭი, ხასიათი და მსოფლმხედველობა, ქვეყნის საიმედო გმირის თავისებურ იდეალს წარმოგვიდგენს. მომავალი თაობა წინაპართა სასახელო საქმეებზე იზრდებოდა და ყალიბდებოდმა, ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობოდა მამა-პაპათა ცხოვრებიდან ისეთი შემთხვევების გახსენებას, ლექსად თქმას და გაუკვდავებას, სადაც ყველაზე ნათლად იკითხებოდა მათი ღირსება, სიმამაცე და მამულიშვილობა.

გმირის წარმოსახვის ხალხური ტრადიციები ორგანულად უკავშირდება წერილობით ლიტერატურულ ტრადიციებს. ეს მოულოდნელი არ არის, რადგან ხალხური პოეზია და მხატვრული ლიტერატურა ერთმანეთს ასაზრდოებენ, ერთმანეთით არსებობენ.

კ. კეკელიძემ საგანგებოდ შეისწავლა წმიდა მხედრის ადგილი ქართულ ენაზე შემონახულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში და იგი მართებულად დაუკავშირა სარაინდო ლიტერატურისა და რაინდის სახის წარმოშობას.

მკვლევარმა წმიდა მხედართაგან გამოყო წმიდა გიორგი, დიმიტრი თესალონიკელი, თეოდორე სტრატელატი, ანდრია ტრიბუნი და სხვანი.

საქართველოში განსაკუთრებით თვალშისაცემია წმიდა გიორგის პოპულარობა და ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას ვერავინ შეედრება.

წმიდა გიორგის, როგორც მებრძოლის, მთავარი მიზანი ბოროტების დათრგუნვა და სიკეთის სამსახურია, რასაც მოწმობს მის მიერ ჩადენილი ყოველი სასწაული. ამავე დროს, ყოველი ეპიზოდი თუ სასწაული იმ დასკვნამდე მიგიყვანს, რომ წმიდა გიორგი სრულყოფილი, ზნეობრივად ამაღლებული, განღმერთებული პიროვნებაა. ჩვენი აზრით, მის მხატვრულ სახეში პიროვნების სულიერი აღორძინება დასტურდება.

საგულისხმოა, რომ გმირის იდეალმა, ხალხური პოეტური ტრადიციებიდან მოყოლებული ვიდრე „ვეფხისტყაოსნამდე“, განვითარების სხვადასხვა საფეხური განვლო. საქართველოს სინამდვილეში მან ერთგვარი საფუძველი მოამზადა სასულიერო მწერლობის იდეალური გმირის ნიშან-თვისებათა ჩამოყალიბებისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, საძირკველი ჩაუყარა საერო მწერლობის გმირის იდეალის შექმნას, რაინდის სახის ჩამოყალიბებას.

ხალხური „კაი ყმისა“ და ჰაგიოგრაფიის სულიერი გმირის იდეალები საერო ლიტერატურის გმირ-რაინდისათვის უცხო არ იყო, თუმცა ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება კიდეც ცალკე აღებული თითოეული მათგანისაგან.

„ვეფხისტყაოსნის“ რაინდი-მიჯნურის აუცილებელი თვისებები პოემის პროლოგშივეა განსაზღვრული და წარმოჩენილი:

*მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ*
*ვითა მზეობა,*
*სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და*
*მოცალეობა,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,*
*ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ მნეობა (23).*

მოტანილ სტროფში ნათლად იკვეთება გმირის იდეალი, ის, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მიჯნური, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს, რითი უნდა გამოირჩეოდეს. უპირველესად, იგი უნდა იყოს გამორჩეული გარეგნობისა, მზესავით ტურფა. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდებისათვის აუცილებელია გარეგანი ბრწყინვალება, თვალისმომჭრელი სილამაზე, რასაც ყოველთვის ხაზგასმით წარმოაჩენს მათი დიდებული, განსაკუთრებული ფერებით გამორჩეული სამოსელი...

ხალხურ სატრფიალო ლირიკაში ქალ-ვაჟის სიტურფის, მათი გარეგნობის აღწერა საკმაოდ ხშირია, რაც, შეიძლება ითქვას, სილამაზის ერთგვარ კულტსაც კი ქმნის, ამ ტრადიციებზე დაკვირვება კიდევ უფრო ამყარებს „ვეფხისტყაოსანში“ ამ მხატვრული ხერხის გამოყენების ერთ-ერთ სავარაუდო წყაროდ ხალხური პოეზიის მიჩნევას.

ვაჟის დახასიათებისას ხალხური მელექსე მთავარ ადგილს მისი ვაჟკაცური ბუნების წარმოჩენას უთმობს. იგი ლომია, გმირია, მაგრამ ეს ყოველივე თვითმიზნურად კი არ არის მოხმობილი, არამედ მისი სავაჟკაცო თვისებების დასადასტურებლად, რის შემდეგაც მკითხველი თუ მსმენელი მისგან საგმირო საქმეებს მოელის....

ხალხური პოეტური ტრადიციები გმირებს ბრძენ და ჭკვიან ადამიანებად წარმოაჩენენ. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

*ნუ გაუტყდები, მოყმეო,*
*გაბევრებასა მტრისასა,*
*ბერო, ბერობას ნუ სჩივი,*
*დაკლებას თვალებისასა,*
*ეცადე ჭკვა-გონებასა,*
*რიგებას თემ სოფლისასა.*

გონიერება გმირის ღირსებაზე მეტყველებს. გარდა სიმტკიცისა, გულადობისა და პურადობისა, მას წინდახედულება, სიდარბაისლე და გონებაგამჭრიახობა მოეთხოვება...

„ვეფხისტყაოსნის“ რაინდებიც ჭკუით, გონიერებით და ბრძნული მოქმედებით გამოირჩევიან. ამ მხრივ, უპირველესად, შეიძლება ავთანდილის დასახელება. იგი ყოველთვის გონების კარნახს ემორჩილება, სწორ გადაწყვეტილებას იღებს, ხერხსა და შემოვლით გზას მიმართავს მიზნის მისაღწევად. მისი ანდერძი, ლოცვა, საუბრები თინათინთან, ტარიელთან შეხვედრები, ასმათთან, ფრიდონთან თუ ფატმანთან ურთიერთობა გონიერებაზე და დიდ სიბრძნეზე მეტყველებს...

ხალხურ შემოქმედებაში მრავალგზის დასტურდება ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების კანონზომიერება. საფიქრებელია, რომ რუსთაველის იდეალი - ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება, ბოროტების დამარცხება და სიკეთის ზეიმი ქართული ხალხური საგმირო პოეზიის ტრადიციებითაც არის ნასაზრდოები.

„კაი ყმასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ რაინდს შორის, მსგავსებასთან ერთად, არსებითი სხვაობაც შეინიშნება: ხალხურში გმირის სულიერი სამყაროა, მისი განცდა და შინაგანი ბუნება.

საგმირო პოეზიაში, საზოგადოდ, გმირის პორტრეტი დეტალურად არ იხატება, რის საფუძველი გმირის ტრადიციული ხალხური იდეალის თავისებურება უნდა იყოს...

რუსთაველმა თავის პოემაში მხატვრულად წარმოაჩინა მეგობრობა, ძმადნაფიცობა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული ყოფის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენაა. ძმადნაფიცობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ საგანგებოდ შეისწავლა თ. ჭყონიამ და მოგვცა საგულისხმო დასკვნა, რომ იგი რუსთაველის ეპოქაში უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული და პოეტი უთუოდ ზედმიწევნით იცნობდა ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ და განვითარებულ ძმადნაფიცობის წესჩვეულებას მისი დამახასიათებელი ნიშნებით.

ძმადნაფიცობა, ქართველი ხალხის რწმენით, არის მეგობრობის უმაღლესი გამოხატულება, რასაც რუსთაველი თავისი გმირების ურთიერთობით გადმოგვცემს...

რუსთაველის გმირი-რაინდები და ქალები დაჯილდოებულნი არიან ამაღლებული სიყვარულის უნარით, რომელსაც თვით პოეტი-შემოქმედი, როგორც უდიდესი მოაზროვნე, ორი ასპექტით აფასებს: მორალური და ესთეტიკური.

სიყვარულის ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელი გავლენა ადამიანზე, მისი ციური ელვარება და ძალმოსილება ხალხური პოეზიის არაერთ შესანიშნავ ნიმუშშია აღბეჭდილი და გამოვლენილი.

ვაჟის დამოკიდებულება გულისსწორისადმი, ხშირ შემთხვევაში, წმინდა და ამაღელვებელია. ნათქვამის დასტურად ერთი ასეთი მაგალითიც იკმარებს:

*შირაქის ველზე მივდივარ,*
*უკან მაბრუნებს ქარიო,*
*წინ შემეყარა პეპელა,*
*ჭრელად უჩანდა მხარიო,*
*საყვარლის კაბას ვამსგავსე,*
*ღმერთო, დამწერე ჯვარიო!*

დროთა მანძილზე საქართველოში შექმნილი საგმირო-სარაინდო კოდექსი თავისებურად იჩენს თავს არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ხალხურ პოეზიაშიც. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ბევრი საერთო შეინიშნება „ვეფხისტყაოსანსა “ და პოეტური ფოლკლორის ცალკეულ ნიმუშებს შორის.

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



## ახალი წიგნები










ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია ზურაბ ხაბაძის ნამუშევართა რეპროდუქციები

